

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მეცნიერების დეპარტამენტი

2017 წ. ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოების მოკლე
ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი
პროფ. დ.თავხელიძე

თბილისი
2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	v
----------------	---

ინსტიტუტები

გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	1
ინსტიტუტი "ტექინფორმი"	35
მართვის სისტემების ინსტიტუტი	58
კიბერნეტიკის ინსტიტუტი	131
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	234
ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	305
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	322
კვების მრეწველობის ინსტიტუტი	356
მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	366
საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	401
ბიოტექნოლოგიის ცენტრი	433
ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი	452
სენსორული ელექტრონიკისა და მასალათამცოდნეობის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი	471
კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი	478
ინსტიტუტი "ტალღა"	534

ფაკულტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი	541
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი	552
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი	581
აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი	660
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი	678
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	680
სამშენებლო ფაკულტეტი	686
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი	722
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი	732

შსსავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვანი საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელია, რომლის ცნობადობა განპირობებულია სათანადო სწავლების დონით და საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო შემოქმედებით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი მძლავრი სამეცნიერო სტრუქტურა, თავისი სპეციალიზაციის შესაბამისად დაკავშირებულია საინჟინრო შემოქმედებასთან და წარმოადგენს ერთ-ერთს, თუ არა ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც მიმდინარეობს სწავლება და სამეცნიერო მოღვაწეობა ისეთ თანამედროვე აქტუალურ მიმართულებებში, როგორებიცაა: საინფორმაციო ტექნოლოგიები, მეტალურგიული და ქიმიური ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგია, მანქანათმშენებლობა და მანქანათმშენებლობა, ავიაცია და კოსმონავტიკა, სამოქალაქო მშენებლობა და არქიტექტურა, კავშირგაბმულობა და ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სამთო საქმე, აგრარული მეცნიერებები, გეოლოგია და სხვა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ტრადიციულად მუშაობენ გამოყენებითი მეცნიერების თანამედროვე ამოცანების შესრულებაზე. გასაგებია, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიურ ანგარიშში შეუძლებელია სრულად აღიწეროს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე თუ დასრულებული სამეცნიერო სამუშაოები, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ უნივერსიტეტში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

**ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი**

**2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

**ინსტიტუტის დირექტორი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია**

პერსონალური შემადგენლობა		
ადმინისტრაცია		
1	კვარაცხელია ვახტანგი ვარლამის ძე	დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	გიორგობიანი გიორგი ჯიმშერის ძე	დირექტორის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
3	რაზმაძე მარინა ედუარდის ასული	სწავლული მდივანი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
4	ექიზაშვილი მანანა გიორგის ასული	მთავარი სპეციალისტი (ბუღალტერი)
5	ლებანიძე დავითი თენგიზის ძე	უფროსი სპეციალისტი (ეკონომისტი)
6	ბოკუჩავა ნინო მურმანის ასული	კანცელარიის უფროსი
7	კაკაბაძე ლოზანა ვლადიმერის ასული	სპეციალისტი
8	ტულუში მადონა გიორგის ასული	ბიბლიოთეკის გამგე
გამოთვლითი მეთოდების განყოფილება		
1	სანიკიძე ჯემალი გურის ძე	განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	აბრამიძე ედისონი აპოლონის ძე	მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
3	ზაქრაძე მამული ვლადიმერის ძე	მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
4	ჩადუნელი ალექსანდრე შალვას ძე	მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
5	კურდღელაიძე დიმიტრი ფიდოს ძე	უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
6	სანიკიძე ზაზა ჯემალის ძე	უფროსი მეცნიერთანამშრომელი,

		ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
7	კუპატაძე კოტე რამაზის ძე	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
8	მირიანაშვილი მანანა გიორგის ასული	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
9	კობლიშვილი ნანული იოსების ასული	პროგრამისტი
10	ფეიქრიშვილი ნატა სერგოს ასული	ლაბორანტი
11	აბრამიძე ელენე აპოლონის ასული	ლაბორანტი
ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება		
1	ტარიელაძე ვაჟა იზეთის ძე	განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	ჩობანიანი სერგო აკოფის ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
3	ლაშხი ალექსანდრე არსენას ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
4	მამფორია ბადრი ივლიანეს ძე	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
5	ბერიკაშვილი ვალერი გოდერძის ძე	ასისტენტ-მკვლევარი
6	კობახიძე პაატა აკაკის ძე	პროგრამისტი
მათემატიკური მოდელირების განყოფილება		
1	უგულავა დუგლასი კარლოს ძე	განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	გიორგობიანი ჯიმშერი ალექსანდრეს ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
3	ზარნაძე დავითი ნიკოლოზის ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
4	მენტეშაშვილი მარინე ზაურის ასული	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
5	ნაჭყებია მზიანა დავითის ასული	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,

		ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
6	ჩანტლაძე თამაზი ლეონიდეს ძე	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
7	ბალათურია გიორგი გურამის ძე	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
8	ნიკოლეიშვილი მიხეილი მიხეილის ძე	მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
9	ხუროძე თამილა ვალერიანის ასული	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
10	ხაჭაპურიძე ლიანა ბარნაბის ასული	პროგრამისტი
11	მეტონიძე ნანული აკაკის ასული	ლაბორანტი
ინფორმატიკის განყოფილება		
1	მელაძე ჰამლეტი ვარლამის ძე	განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	ყიფშიძე ზურაბი შალვას ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
3	ცერცვაძე გურამი ნიკოლოზის ძე	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
4	სილაგაძე გივი სერგოს ძე	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
5	ფხოველიშვილი მერაბი გაიოზის ძე	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
6	პაპიაშვილი მაგული რომანის ასული	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
7	ღლონტი გიორგი გენადის ძე	მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
8	კორჭი ვლადიმერი ივანეს ძე	მთავარი ინჟინერ-პროგრამისტი
9	ჩოგოვაძე ილია გივის ძე	მთავარი პროგრამისტი
10	ტუხაშვილი ჟუჟუნა	პროგრამისტი
11	ჩახუნაშვილი ელენე გიორგის ასული	ვებ-დიზაინერი
12	თიგიშვილი სვეტლანა ზაქარიას ასული	ლაბორანტი
13	კიკნაძე დიმიტრი ლევანის ძე	ლაბორანტი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	მიმართულება 1. გამოთვლი- თი მეთოდები მათემატიკური ფიზიკისა და საინჟინრო მექანიკის ამოცანებში / მათემატიკა; გამოთვლითი მათემატიკა.	ჯ. სანიკიძე	მ. ზაქარაძე, მ. მირიანაშვილი, დ. კურდღელაძე, ზ. სანიკი- ძე, ედ. აბრამიძე, ვ. კუპატაძე, ა. ჩადუნელი, ნ. კობლიშვილი, ნ. ფეიქრიშვილი, ელ. აბრამი- ძე
2	მიმართულება 2. სოციალურ- ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელების და ძლიერად ოპტიმალური ალგორითმების დამუშავება / მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება.	დ. უგულავა	ჯ. გიორგობიანი, მ. ნაჭყებია, თ. ჩანტლაძე, ზ. ყიფშიძე, დ. ზარნაძე, მ. ნიკოლეიშვი- ლი, თ. ხუროძე, გ. ზადათუ- რია, მ. მენტეშაშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, ნ. მეტონიძე
3	მიმართულება 3. სტოქასტუ- რი ანალიზი ალგებრულ სტრუქტურებში. გამოყენებე- ბი ფუნქციონალურ ანალიზ- ში, სტატისტიკასა და დისკრე- ტულ ოპტიმიზაციაში / მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, ფუნქციონალური ანალიზი, დისკრეტული ოპტიმიზაცია.	ვ. ტარიელაძე	ს. ჩოხანაიანი, ა. ლაშვი, ბ. მამფორია, ვ. კვარაცხელია, გ. გიორგობიანი, ვ. ბერიკაშვილი, პ. კობახიძე.
4	მიმართულება 4. წრფივი და კვადრატული დიფერენცია- ლური განტოლებებისა და განტოლებათა სისტემებისათ-	ჰ. მელაძე	მ. ფხოველიშვილი, გ. სილაგაძე, ზ. ყიფშიძე, გ. ცერცვაძე, გ. ლლონტი, ი. ჩოგოვაძე, მ. პაპიაშვილი

<p>ვის პარალელური თვლის აღ- გორითმების აგება, დამუ- შავება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაცია / მათემატიკა; გამოთვლითი მათემატიკა, მათემატიკური მოდელირება, ინფორმატიკა.</p>		
--	--	--

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე 2017 წელი იყო ინსტიტუტის 3-წლიანი პროექტის - „თანამედროვე გამოთვლითი და საინფორმაციო ტექნოლოგიების დამუშავება საინჟინრო და სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებში“ ბოლო, შემაჯამებელი წელი. გრძელდებოდა მუშაობა პროექტით განსაზღვრული 4 სამეცნიერო მიმართულებით.

მიმართულება 1.

მიმდინარე წელს განხილული და შესწავლილი იქნა სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული შემდეგ ამოცანები:

ამოცანა 1.1. კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის პროცესებისა და მათი გამოყენების შესახებ ბრტყელი სასაზღვრო ამოცანების რიცხვით ამოხსნებში.

როგორც ცნობილია, ერთგანზომილებიან ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს სიბრტყითი სასაზღვრო განტოლებების მიახლოებით ამოხსნისთვის. კარგად შესწავლილი ბადეთა მეთოდისგან განსხვავებით იგი ერთი ერთეულით ამცირებს დასმული სასაზღვრო ამოცანის განზომილებას.

კლასიკურ მათემატიკურ ლიტერატურაში ამ მეთოდის ქვეშ ფაქტობრივად მოიაზრება ფრედჰოლმის ინტეგრალური განტოლებების გამოყენება. მაგრამ, მეორე მხრივ, ირკვევა, რომ არაერთი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მეტი უპირატესობით გამოირჩევა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი - ასეთი განტოლებების გული და მარჯვენა მხარე, როგორც წესი, გაცილებით უფრო მარტივად და ნაკლები მოთხოვნებით არიან დამოკიდებული საწყის მონაცემებზე. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ეს მონაცემები მიღებულია ექსპერიმენტის გზით (რასაც, ბუნებრივია, უმეტეს შემთხვევებში ადგილი აქვს გამოყენებითი ხასიათის ამოცანათა განხილვის პროცესებში).

მაგრამ ასევე ცნობილია, რომ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე დაფუძნებული ალგებრული სისტემების ცალსახად ამოხსნადობას ყოველთვის არა აქვს ადგილი. მაგალითად, ლიტერატურაში ნაჩვენებია შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ საფუძველზე აგებული წრფივი ალგებრული სისტემის დეტერმინანტი ნულის ტოლია საძიებელ უცნობთა ნებისმიერი რიცხვისათვის. ასეთ შემთხვევებში გარკვეულ მნიშვნელობას იძენს შესაბამისი მაპროქსიმირებელი სისტემების ინდივიდუალური თვისებების განხილვა-შესწავლა, რასაც რიგ შემთხვევებში მივყავართ

დადებით შედეგებამდე.

ბუნებრივია, ზოგად შემთხვევებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომის ტიპის სინგულარული ინტეგრალების სააპროქსიმაციო სქემების კონსტრუქციულად აგების პრობლემატიკას მათზე დაფუძნებულ წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემების უპირობოდ ამოხსნის კონტექსტში. უკანასკნელ პერიოდში გარკვეული შედეგები ამ მხრივ მიღებულია, მათ შორის ჩვენს მიერ, თუმცა აღნიშნული გამოთვლითი სქემები მოითხოვენ შემდგომში ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა მათი სიზუსტე, მდგრადობა და ეფექტურად რეალიზებადობა.

საანგარიშო წელს სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა კვლევები, რომელთა საფუძველზე მიღებულია გარკვეული პოზიტიური შედეგები კომის ტიპის სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის პროცესების და მათი გამოყენების კუთხით ბრტყელი სასაზღვრო ამოცანების რიცხვით ამოხსნებში (იხ. დამატებითი ინფორმაცია, დასაბეჭდად მიღებული ნაშრომები, [1]).

ამოცანა 1. 2. ჰარმონიული ფუნქციისათვის დირიხლეს განზოგადებული სასაზღვრო ამოცანების მიახლოებითი ამოხსნა ერთი ზედაპირით შემოსაზღვრული სივრცითი სასრული არეების შემთხვევაში.

აქ კვლევის ობიექტს წარმოადგენს გარკვეული სახის დირიხლეს სივრცითი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების (იგულისხმება შემთხვევა, როცა სასაზღვრო ფუნქციას აქვს პირველი გვარის წყვეტის წირთა სასრული რაოდენობა) კორექტულობის შესწავლა და მათი რიცხვითი ამოხსნისათვის მაღალი სიზუსტის და ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგება. სიმარტივისათვის, აღნიშნული სახის ამოცანას ჩამოვყალიბებთ მხოლოდ ერთი ჩაკეტილი უბან-უბან გლუვი S ზედაპირით შემოსაზღვრული D არისათვის.

D არის S ზედაპირზე მოცემულია $g(y)$ ფუნქცია, რომელიც უწყვეტია ყველგან, გარდა სასრული რაოდენობა $l_k (k = \overline{1, n})$ წირებისა, რომლებიც $g(y)$ ფუნქციისათვის წარმოადგენენ პირველი გვარის წყვეტის წირებს.

მოითხოვება ისეთი $u(x) = u(x_1, x_2, x_3) \in C^2(D) \cap C(\overline{D} \setminus \bigcup_{k=1}^n l_k)$ ფუნქციის პოვნა, რომელიც

აკმაყოფილებს პირობებს:

$$\Delta u(x) = 0, \quad x \in D,$$

$$u(y) = g(y), \quad y \in S, \quad y \notin l_k, \quad u(y) = 0, \quad y \in l_k \quad (k = 1, 2, \dots, n),$$

$$|u(x)| < c, \quad y \in \overline{D},$$

სადაც Δ ლაპლასის ოპერატორია, ხოლო $c \in R$.

შენიშვნა. თუ D უსასრულო არეა მაშინ ამოცანის ამოხსნის ერთადერთობისათვის დამატებით მოითხოვება შემდეგი პირობის შესრულება - $\lim u(x) = 0, \quad x \rightarrow \infty$.

გარდა აღნიშნულისა, კვლევის მიზანს წარმოადგენს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და რიცხვითი რეალიზაციით მიღებული შედეგების ანალიზი.

ამ კუთხით შესწავლილი იქნა აღნიშნული სახის ამოცანების კორექტულობის საკითხი ზოგად შემთხვევაში. კერძოდ, ერთი ან რამდენიმე ზედაპირით შემოსაზღვრული სივრცითი ჩაკეტილი არეების შემთხვევაში ნაჩვენები იქნა ამონახსნის არსებობა, ერთადერთობა და ამონახსნის სასაზღვრო პირობაზე უწყვეტად დამოკიდებულება. რიცხვითი ამოხსნისათვის გამოყენებულია ალბათური მეთოდი, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ვინერის პროცესის კომპიუტერულ მოდელირებას. ეს უკანასკნელი განხორციელებული იქნა ჩვენს მიერ შექმნილი სქემით.

განხილული იქნა ტესტური ამოცანა. ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა შემოთავაზებული ალგორითმის სიმარტივე და ეფექტურობა (იხ. პუბლიკაციები საქართველოში, სტატიები, [1]).

ამოცანა 1. 3. ფენოვანი ელიფსოიდალური გარსების არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების რიცხვითი ამოხსნა დაზუსტებული თეორიის საფუძველზე.

დაზუსტებული თეორიის ერთი ვარიანტის საფუძველზე, ფენოვანი ელიფსოიდალური გარსების ღერძსიმეტრიული არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების ამოხსნელად მიღებულია ამ კლასის ამოცანების ამომხსნელი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. მოყვანილია ელიფსოიდალური გარსის დეფორმაციის კერძო მაგალითი. ამ მაგალითის რიცხვითი რეალიზაციით მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარებულია გარკვეული ანალიზი, შეფასებულია სასაზღვრო პირობების ცვლილებით გამოწვეული ზეგავლენა გარსის დეფორმირებულ-დაძაბულ მდგომარეობაზე. აღნიშნული შედეგები მოხსენებული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე (იხ. სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში, [1]).

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ჩატარებული კვლევების ფარგლებში აგებული სხვადასხვა ტიპის გამოთვლითი სქემების საფუძველზე შექმნილია სათვლელი პროგრამები, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა მიღებული იქნას მათემატიკური ფიზიკისა და საინჟინრო მექანიკის კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნები.

მიმართულება 2.

მიმდინარე წელს განხილული და შესწავლილი იქნა სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 2.1. მათემატიკური მოდელები საბაზრო და დარგობრივი ეკონომიკის ზოგიერთი მიკრო-ეკონომიკური პრობლემისათვის.

კვლევა მიმდინარეობდა 3 ქვეამოცანის ირგვლივ:

ა) მარაგთა ოპტიმალური მართვის ერთი ამოცანის თამაშის ტიპის მოდელი.

წარმოების მართვის თეორიაში ერთ-ერთი მიმართულებაა შემთხვევით ნაკადთა მართვა (მომსახურება, გამოყენება) გარკვეული სამეწარმეო საქმიანობისათვის. ჩვენს მიერ განხილულ იქნა შემთხვევითი ნაკადის გამოყენების ერთი სქემა და იგი წარმოდგენილია ა. ვალდის გადამწყვეტ ფუნქციითა თეორიის თვალთახედვით. სქემა ეფუძნება პ. მორანის მოდელს, რომელიც დამუშავებულია როგორც მარაგთა ოპტიმალური მართვის ამოცანა. მოდელი პრინციპულად მარტივია – შემ-

თხვევით ნაკადს დროის თანაბარ მონაკვეთებში საწარმო იყენებს მაქსიმალური ინტენსივობით, დანარჩენი რესურსი ინახება გარკვეული მოცულობის საცავში მომდევნო ეტაპებზე გამოსაყენებლად. თუ საცავი სავსეა, მაშინ “ზედმეტი” რესურსი იკარგება. ეს მოდელი ადეკვატურია ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების, როცა მიზანი ერთადერთია – მაქსიმალური ჯამური ენერჯის მიღება დაგეგმარების პერიოდში. დაგეგმვის ჰორიზონტი, როგორც წესი, ერთი წელია და შედგება ეტაპებისაგან. ჩვენი მიზანია აირჩეს საწარმოს სიმძლავრე და საცავის მოცულობა ისე, რომ ჯამური დანაკარგები იყოს მინიმალური. ჩვენ განვიხილავთ შემთხვევას, როცა შემთხვევითი ნაკადი ეტაპებზე ერთნაირადაა განაწილებული და მისი განაწილების სიმკვრივე ცნობილია, უცნობია მხოლოდ მასში შემავალი პარამეტრები.

შევხედოთ ამოცანას თამაშთა თეორიის თვალთახედვით: არსებობს ორი მოთამაშე – “ბუნება” და მკვლევარი. პირველი მოთამაშე - “ბუნება” ირჩევს ყოველ ეტაპზე განაწილების პარამეტრებს, მეორე მოთამაშე – მკვლევარი კი u და v სიდიდეების მნიშვნელობებს. თამაშის ფასი, ე.წ. რისკის ფუნქცია $L(\omega, d^t)$ იქნება ფინანსური დანახარჯებისა და დაკარგული რესურსის (ფულად ერთეულებში) ჯამის მათემატიკური ლოდინი. ამრიგად, გვაქვს ორი პირის თამაში $\langle \Omega, D^t, L(\omega, d^t) \rangle$, სადაც Ω - ნაკადის განაწილების პარამეტრული ოჯახია, $D^t - (u, v)$ წყვილთა სიმრავლე, რისკის ფუნქცია $L(\omega, d^t)$ – პირველი მოთამაშის მოგება.

მიდგომა ორგვარია: პირველი – განვიხილოთ “ბუნება” როგორც მტერი და თამაშს მივცეთ ანტაგონისტური ხასიათი, მეორე – ე.წ. ბაიესისებური მიდგომა – მკვლევარმა ნაკადის ყოფაქცევაზე დაგროვილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე დაადგინოს ω პარამეტრების, ე.ი. რისკის ფუნქციის სახე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პირველი მიდგომა ხორციელდება უკიდურეს შემთხვევებში, ბაიესური მიდგომისას კი ω სივრცეში აიგება ϵ - ბადე ე.წ. ბუნებრივი მეტრიკით და მიიღება სასრულო რაოდენობა წერტილებისა. ასევე შეიძლება მოვიქცეთ D^t სივრცეში (თუ სტრატეგიათა სიმრავლე არაა სასრული) და ვიპოვოთ ოპტიმალური ამონახსნი მკვლევარისა წმინდა სტრატეგიებში. ეს ამონახსნი იქნება ϵ -ოპტიმალური.

ჩვენს მიერ აგებული იქნა ასეთი თამაში: შემომავალი ნაკადის განაწილების ფუნქციად ვიღებთ პირსონის I ტიპის განაწილებას, რომლის სიმკვრივეა $f(x) = A(x-a)^{m-1}(b-x)^{n-1}$, სადაც A მანორმირებელი კოეფიციენტია, a და b შემომავალი ნაკადის მოცულობის ზედა და ქვედა საზღვრებია, ხოლო m და n განაწილების პარამეტრებია. m და n პარამეტრების შეფასებები მიიღება სტატისტიკური მონაცემების მეშვეობით. D^t სიმრავლის ყოველი (u, v) წყვილისათვის (თუ მათი რაოდენობა სასრულია) ინტეგრალური განტოლებიდან განისაზღვრება საცავში რესურსის განაწილების ფუნქცია და შესაბამისად დაკარგული რესურსის განაწილება. (u, v) წყვილი იქნება ოპტიმალური, თუ ის ანიჭებს რისკის ფუნქციას მინიმალურ მნიშვნელობას.

მომავალში განზრახული გვაქვს ასეთი თამაშების შესწავლა სხვა ტიპის ოპერაციული ამოცანებისთვის.

ბ) ლექსიკოგრაფიული კოოპერატიული თამაშები.

კვლევა მიმდინარეობდა კოოპერატიულ თამაშებზე ვექტორული მოგებებით, როცა ვექტორულ სივრცეში შემოღებულია ლექსიკოგრაფიული დალაგება. ასეთ თამაშებს ლექსიკოგრაფიული თამაშები ეწოდებათ. კლასიკურ კოოპერატიულ თამაშთა თეორიაში ჯამური მოგების განწილვა (გა-

ნაწილებს) კოპერაციაში შემავალი მონაწილეებისთვის ხდება სხვადასხვაგვარი მიდგომით. მათ შორის ყველაზე პოპულარულია შეპლის პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია სამ ბუნებრივ აქსიომაზე. უკანასკნელ ათწლეულში მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ დაისვა საკითხი – შესაძლებელია თუ არა შეპლის აქსიომატიკის გამოყენება ლექსიკოგრაფიულ თამაშებში.

III–განზომილებიანი ლექსიკოგრაფიული თამაში წარმოვადგინეთ შეპლის აქსიომატიკით, სამართლიანი განაწილების პრინციპით. როცა კრიტერიუმი მკაცრად რანჟირებულია, შეპლის პრინციპი ვრცელდება თამაშის ყოველ v^1, v^2, \dots, v^m კომპონენტზე ერთდროულად და ცალ-ცალკე.

სკალარული ლექსიკოგრაფიული თამაშის შემთხვევაში შეპლის აქსიომატიკა გვაძლევს განწილვის ვექტორს, ხოლო ლექსიკოგრაფიულ კოპერატიულ თამაშში მოიცემა მატრიცის ფორმით. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამოცანა დასმულია რანჟირებული კრიტერიუმით.

გ) გადაწყვეტილებათა მარკოვის პროცესი რეგულირების ერთ ამოცანაში.

შემთხვევითი ნაკადის საცავით რეგულირების ამოცანას შეიძლება შევხედოთ როგორც მარაგთა მართვის თეორიის, ასევე მასობრივი მომსახურების თეორიის კუთხით. შემომავალი ნაკადი შემთხვევითი პროცესია. დაგროვება და მოხმარება ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ მივალწიოთ სასურველ ეკონომიკურ ეფექტს. ამოცანა დინამიკურია. დაგეგმარების ჰორიზონტი (წელიწადი) იყოფა ეტაპებად. ცალკეულ ეტაპებზე შემომავალი ნაკადი (რესურსი) და მარაგი საცავში დისკრეტული სიდიდეებია და იზომება ერთიდაიგივე ერთეულებში. ნაკადის მოცულობები ეტაპებზე დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია, რომელთათვისაც მდიდარი სტატისტიკური მასალის საფუძველზე შესაძლებელია ემპირიული განაწილებების (ჰისტოგრამების ან ცხრილების სახით) მიღება. საცავში რესურსის მარაგის რაოდენობაც ეტაპობრივად შემთხვევითია და დამოუკიდებელია როგორც შემომავალი ნაკადის მოცულობაზე, ასევე მის მოხმარებაზე. იგი ეტაპებზე შემონადენის დამოუკიდებლობის გამო წარმოადგენს მარკოვის ჯაჭვს, რომელიც კარგად აღიწერება გადასვლათა ალბათობის მატრიცით. ყოველ ეტაპზე მოხმარების ინტენსივობა ცალსახად განსაზღვრავს გადასვლათა მატრიცას. მატრიცის საშუალებით ყოველ ეტაპზე განისაზღვრება შემოსავლების და დანაკარგების მათემატიკური მოლოდინები.

ამოცანა მდგომარეობს ეტაპების მიხედვით მოხმარებათა ისეთი მიმდევრობის შერჩევაში, რომ მივიღოთ ჯამური მოგების მაქსიმუმი ან ჯამური დანაკარგების მინიმუმი.

საბოლოოდ, მათემატიკური მოდელი ყალიბდება გადაწყვეტილებათა მარკოვის პროცესების ჩარჩოებში და ადვილად რეალიზებადია.

ამოცანა 2.1-ის თემატიკასთან დაკავშირებით იხილეთ (სტატია [2], პუბლიკაციები საქართველოში/ ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 2016 წლის ბოლოს და არ შევიდა წინა წლის ანგარიშში) და ([1], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

ამოცანა 2.2. წრფივი ძლიერად ოპტიმალური (ცენტრალური) სპლაინური ალგორითმების კონსტრუირების საკითხი არაკორექტული ამოცანებისათვის განუზღვრელობის (ცდომილების) უარესად დასმის შემთხვევისათვის.

ჰილბერტის სივრცეში მოქმედი კომპაქტური, თვითშეუღლებული, დადებითი და მკვრივი ანასახის მქონე K ოპერატორისათვის აგებულია წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმები

$D(K^{-n})$ სივრცეში განხილული $Ku = f$ არაკორექტული განტოლებისათვის. მიღებული შედეგები გამოყენებულია პირველი რიგის ინტეგრალური განტოლებისათვის, ჰარმონიული ოსცილატორის ოპერატორის შებრუნებულის შემცველი განტოლებისათვის.

განხილულია $Au = f$ არაკორექტული განტოლება ჰილბერტის სივრცეში მოქმედი კომპაქტური A ოპერატორით, რომელიც უშვებს სინგულარულ დაშლას. მიღებული შედეგები გამოყენებულია ამ განტოლების მური-პენროუზის აზრით განზოგადებული ამონახსნების, ანუ $D((A^*A)^{-n})$ ჰილბერტის სივრცეში $A^*Au = f$ განტოლების ამონახსნების საპოვნელად. დამტკიცებულია, რომ თუ A^*A ოპერატორის ენერგეტიკულ სივრცეში არსებობს სასრულო ენერჯის მქონე განზოგადებული u_0 ამოხსნა, მაშინ ჩვენს მიერ აგებული ალგორითმის მიხედვით აგებულ მიახლოებით ამონახსნთა მიმდევრობა კრებადია u_0 -საკენ E_{A^*A} ენერგეტიკულ სივრცეში სპეციალური ნორმით. ამ კონსტრუქციის გამოყენებით აგებულია წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმი რადონის ოპერატორის შემცველი $Ru = f$ განტოლებისათვის $D((R^*R)^{-n})$ ჰილბერტის სივრცეში სპეციალური ნორმისათვის. გამოყენებულია სინგულარული დაშლები რადონის ოპერატორისათვის წონიან ჰილბერტის სივრცეებში, რომლებიც მიღებულია სასრულო და უსასრულო არეებისათვის ა. ლოუსის, რ. დიტცის და მ. დევისონის მიერ.

ანალოგიური თეორია დამუშავებული გვაქვს ჰილბერტის სივრცეში მოქმედი თვითშეუღლებული, დადებითად განსაზღვრული A ოპერატორის შემცველი განტოლებისათვის $D(A^n)$ სივრცეში. ეს თეორია ილუსტრირებული გვაქვს მრავალი დიფერენციალური ოპერატორისათვის, სახელდობრ, ძლიერად გადაგვარებული ელიფსური ოპერატორებისათვის, ლაპლას-ბელტრამის ოპერატორისათვის.

არაკორექტული ამოცანებისათვის წრფივი ძლიერად ოპტიმალური (ცენტრალური) სპლაინური ალგორითმების კონსტრუირების საკითხთან დაკავშირებით განხილულია ამოცანები უარესი დასმით, როდესაც ცდომილება გაზომილია მეტრიკის საშუალებით. კომპიუტერული ტომოგრაფიისათვის ახალი წრფივი განზოგადებული ცენტრალური სპლაინური ალგორითმის კონსტრუირების საკითხი ასახულია სტატიაში ([1], პუბლიკაციები უცხოეთში). შემოყვანილია ჰარმონიული ოსცილატორის მრავალგანზომილებიანი ანალოგი და გამოკვლეულია ამ ოპერატორის შემცველი განტოლება, რომელიც დაკავშირებულია ქვანტური მექანიკის ამოცანებთან. ამ განტოლების მიახლოებითი ამოხსნისათვის გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა განზოგადებული მეთოდი. დამტკიცებულია მიახლოებითი ამოხსნების ზუსტისაკენ კრებადობა და მიღებულია კრებადობასთან დაკავშირებული გარკვეული უტოლობები. ერთი განზომილების შემთხვევისათვის ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტი, ზოგიერთი შემთხვევისათვის გამოთვლილია გადახრათა რიცხვითი სიდიდეები. მიღებული შედეგები მომზადებულია გამოსაქვეყნებლად.

გრძელდებოდა სამუშაოები მონოგრაფიის “სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანებისათვის” დასამთავრებლად.

ამოცანა 2.3. ახალი ტიპის სიმეტრიული და ასიმეტრიული კრიპტოსისტემები.

ჩატარებულია კვლევა მაღალი მდგრადობის კრიპტოგრაფიული სისტემის შესაქმნელად. ადრე მიღებულ გაზრდილი მედეგობის სიმეტრიული დაშიფვრის კრიპტოგრაფიულ სისტემაში, რომელ-

შიც მაღალი მედეგობა მიღწეულია დასაშიფრი ბლოკის და, შესაბამისად, გასაღების სიგრძის გაზრდით 128 ბიტამდე, ხოლო დაშიფვრის და გაშიფვრის პროცესები იდენტურია, შესწორებულია გარკვეული უზუსტობა. დასრულდა მუშაობა ამ სისტემის დაპროგრამებაზე MATLAB-ის პაკეტის გამოყენებით. გადალახულია პროგრამის შექმნისას კრიპტოსისტემაში არაწრფივი ბლოკის შემოყვანით გაჩენილი სირთულეები. გამოქვეყნებულია ამ საკითხების ამსახველი სტატია ([4], პუბლიკაციები საქართველოში), რომელშიც მოცემულია კრიპტოსისტემის გასაღებებისა და დაშიფვრის სქემები და MATLAB-ის გარემოში მათი პრაქტიკული რეალიზების რელევანტური ფრაგმენტები.

ამოცანა 2.4. საწყისი, მახასიათებელი და არაკლასიკური ამოცანების შესწავლა მეორე რიგის კვაზიწრფივი ჰიპერბოლური ტიპის პარაბოლურად გადაგვარებადი განტოლებებისათვის.

განხილულია კოშის ამოცანა კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების ერთი კლასისათვის, რომლის მთავარი ნაწილი წარმოადგენს მეორე რიგის არამკაცრად ჰიპერბოლურ დიფერენციალურ ოპერატორს. ზოგადი საწყისი მონაცემების შემთხვევაში აგებულია კოშის ამოცანის ამონახსნი არაცხადი სახით. აგებულია და გამოკვლეულია რიცხვითი ალგორითმი მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად.

მეორე რიგის შერეული ტიპის კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისთვის განხილულია კოშის ამოცანა, როდესაც ამოცანის პირობები მოცემულია შეკრულ წირზე. შესწავლილია ასევე კოშის შექცეული ამოცანა და დამტკიცებულია, რომ რეგულარობის გარკვეულ პირობებში შექცეულ ამოცანას აქვს ამოხსნა. განხილულია შექცეული ამოცანის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რა შემთხვევებშიც მახასიათებელ წირებს განსაკუთრებული წერტილები, ან საერთო მომვლენები აქვთ.

განხილულია მეორე რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების კერძო შემთხვევები. ეს განტოლებები ჰიპერბოლური ტიპისაა, მაგრამ ახასიათებთ ტიპის გადაგვარება უცნობი ამონახსნის წარმოებულების გარკვეული მნიშვნელობებისათვის. ამ განტოლებებისათვის აგებულია ზოგადი ამოხსნები. ამ შედეგებზე დაყრდნობით ხდება გურსას მახასიათებელი ამოცანების არაწრფივი ვერსიის შესწავლა.

დადგენილია ამოცანის ამოხსნის არსებობისა და ერთადერთობის პირობები, ასევე ამოხსნის განსაზღვრის არე.

სხვა განხილული მახასიათებელი ამოცანა ე.წ. არალოკალური მახასიათებელი ამოცანების კლასიდანაა. ამ შემთხვევაშიც დამტკიცებულია რეგულარული ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემა.

შედეგები ასახულია ([2, 3], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში) და ([2], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

ამოცანა 2.5. მთელრიცხვა ოპტიმიზაციის ზოგადი ამოცანა.

განხილულია მთელრიცხვა ოპტიმიზაციის შემდეგი ამოცანა. საძიებელია $\prod_{i=1}^n (x_i + s_i)$ ნამრავლის მაქსიმუმი ისეთი x_1, \dots, x_n ნატურალური რიცხვებისათვის, რომელთა ჯამი არის რომელიღაც ნატურალური რიცხვი L , ხოლო $x_i \geq k_i$ ყოველი $i = 1, \dots, n$ -სათვის, სადაც k_i მოცემული ნა-

ტურალური რიცხვებია. ეს ამოცანა განხილულია ორი შემთხვევისათვის, როდესაც $k_1 = \dots = k_n = 0$ და როდესაც $s_1 = \dots = s_n = 0$ (იხ. [3], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

მიმართულება 3

მიმდინარე წელს განხილული და შესწავლილი იქნა სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 3.1. ვექტორთა კომპაქტური შეჯამება. გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და განრიგების ამოცანებში.

განხილულია შესაკრებების გადანაცვლებების შემცველ მაქსიმალურ უტოლობებთან დაკავშირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი ამოცანები. ჩვენი ერთერთი ძირითადი ამოცანაა ვექტორთა კომპაქტური შეჯამების ამოცანა, რომელიც მდგომარეობს შტეინინცის ფუნქციონალისთვის ოპტიმალურთან ახლოს მყოფი გადანაცვლების პოვნაში. ახალი მაქსიმალური უტოლობების ვარიანტები გვაძლევს შესაძლებლობას ავაგოთ ოპტიმალურთან ახლოს მყოფი გადანაცვლების მიღების პოლინომიალური ალგორითმი. მსგავსი მეთოდების გამოყენება შესაძლებელია ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხებში, აგრეთვე დაგეგმვის თეორიაში, მანქანურ სწავლებაში, სახეთა ამოცნობაში, შეუსაბამობათა (discrepancy) თეორიაში და სხვა.

მიღებულია ახალი მაქსიმალურ უტოლობები (იხ. [4], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში; [2], დამატებითი ინფორმაცია, დასაბეჭდად მიღებული ნაშრომები) ფუნქციებისთვის, რომლებიც დაგვეხმარება ეფექტურად გავანალიზოთ გარსიას ჰიპოთეზა, კოლმოგოროვის ჰიპოთეზის ლოკალური ვერსია, რომელიც წარმოადგენს დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას ორთოგონალური მწკრივების თეორიაში. ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ორთონორმირებული სისტემა გახდება კრებადობის სისტემა რომელიმე გადანაცვლების შემდეგ. ორთოგონალური მწკრივების მეორე ღია პრობლემა, რომელშიც აგრეთვე გამოიყენება მაქსიმალურ უტოლობების ტექნიკა არის ულიანოვის პრობლემა.

შესწავლილია ერთი სუსტი ტიპის მაქსიმალური უტოლობის სამართლიანობის საკითხი. აგებულია შესაბამისი კონტრმაგალითები, დამტკიცებულია მისი შესუსტებული ვარიანტი (იხ. [5], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

მიღებულია მაქსიმალური უტოლობები ნიშნების დასმისთვის ვექტორთა ერთობლიობისთვის სასრულგანზომილებიანი ნორმირებული სივრციდან. მათი საშუალებით მიღებულია შეფასებები ადამარის მატრიცების რიცხვითი მახასიათებლებისთვის (იხ. [4], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში; [2], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში).

წაკითხული იქნა 2 მოხსენება სემინარზე მადრიდიში, კომპლუტენსეს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის დეპარტამენტში (იხ. [3, 11], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში). პირველი მოხსენება ეხებოდა ჯამთა სიმრავლეებს და უნივერსალურ მწკრივებს ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეებში. მიმოხილული იყო ჩვენი ჯგუფის მიერ მიღებული შედეგები. მეორე მოხსენებაში განხილული იყო LQC-Mackey პრობლემის ბოლოდროინდელ გადაწყვეტაში მახასიათებელი მიმდევრობების როლი. დასმული იქნა ახალი ამოცანები და დაისახა მომავალი თანამშრომლობის გეგმები ამ მიმართულებებით.

დამტკიცებულია შემდეგი დებულება: ბანახის სეპარაბელურ სივრცეში კრებადი მწკრივის ყველა შესაძლო ჯამთა სიმრავლე ანალიზურია (იხ. [4], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში).

ნაჩვენებია, რომ უსასრულო განზომილებიანი ნორმირებული სივრცისათვის თავსებადი ლოკალურად ამოზნექილი ტოპოლოგიების ოჯახის სიმძლავრე არაა კონტინუუმის სიმძლავრეზე ნაკლები (იხ. [5], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში).

განხილულია ვიწრო და ფართო აზრით პროტოდისკრეტული ტოპოლოგიური ჯგუფების ცნებები. ისინი საინტერესოა ჯგუფებში უპირობო კრებადობის შესასწავლად (იხ. [5], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში).

ამოცანა 3. 1 - თან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ([6, 7, 8], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

გამოჩენილ მათემატიკოსს, სტეფან ბანახს მიეძღვნა მოხსენებათა ციკლი საერთაშორისო ფორუმებზე (იხ. [6], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში; [11], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში). მოხსენებებში მოთხრობილია საქართველოში, 1941 წელს ბანახის ვიზიტის შესახებ და მიმოხილულია მის მიერ დასმული ორი ამოცანის გადაწყვეტაში საქართველოში მოღვაწე მათემატიკოსების წვლილის შესახებ.

ამოცანა 3. 1-ის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა ხდებოდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR / 539/5-100/13 საგრანტო პროექტის - „ურთიერთკავშირი ნიშნებსა და განაცვლებებს შორის ვექტორთა კომპაქტურ შეჯამებაში: თეორია და გამოყენებები“ ფარგლებში. ვრცელი ანგარიში იხილეთ ქვემოთ

ამოცანა 3. 2. ოპერატორების ინდუცირებადობის პრობლემა ბანახის სივრცეში სტოქასტური დიფერენციალური განტოლებების ამოხსნადობის საკითხებში.

კვლევის ძირითადი მიმართულება იყო სტოქასტური დიფერენციალური განტოლებების შესწავლა ზოგად ბანახის სივრცეში. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ვიხილავდით სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის საკმარისი პირობების პოვნის ამოცანას იმ შემთხვევაში, როცა განტოლებაში შემავალი სტოქასტური ინტეგრალი აღებულია ცილინდრული ვინერის პროცესით, ინტეგრანდი კი ოპერატორული ჰერტადი პროცესია ჰილბერტის სივრციდან ბანახის სივრცეში (იხ. [6], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში).

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ასევე ნაშრომი, რომელიც ეძღვნება სტოქასტური დიფერენციალური განტოლების გამოყენებას ტურბულენტობის შესასწავლად (იხ. [7], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში). ტურბულენტური გარემოს ფიქსირებულ წერტილში, დროის მოცემულ მომენტში სიჩქარის იმპულსი შემთხვევითი სიდიდეა, დროის ინტერვალში სიჩქარის იმპულსების რაოდენობა დამოუკიდებელ ნაზრდებთან პროცესია. განვითარებული მათემატიკური თეორია იძლევა წერტილში, დროის მოცემულ მომენტში სიჩქარის გამოსახულების მიღების საშუალებას, რომელიც წარმოიდგინება ფუნქციონალურ სივრცეში მნიშვნელობების მქონე შემთხვევითი პროცესის წრფივი ფუნქციონალის სახით. შესაბამისად იგება სტოქასტური დიფერენციალური განტოლება ტურბულენტური მოძრაობის აღსაწერად.

ამ თემატიკასთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ([9, 10], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში).

ში; [7], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში).

მიმართულება 4

მიმდინარე წელს განხილული და შესწავლილი იქნა სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები:

4.1. აგებულია და შესწავლილია არაწრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემების ამოხსნის პარალელური იტერაციული მეთოდების ერთი კლასი. განვიხილოთ არაწრფივ განტოლებათა სისტემა

$$F(X) = 0, \quad (1)$$

სადაც $X = (x_1, \dots, x_n) \in R^n$, ხოლო $F: R^n \rightarrow R^n$, $F(X) = (f_1(X), \dots, f_n(X))$.

$F(X)$ ფუნქციის აპროქსიმაცია მოვახდინოთ აფინური ასახვით $L(X) = C + AX$, სადაც $C = (c_1, \dots, c_n) \in R^n$, ხოლო A მატრიცას აქვს სახე:

$$A = \begin{pmatrix} a_1^1 & a_2^1 & \cdots & a_n^1 \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ a_1^n & a_2^n & \cdots & a_n^n \end{pmatrix}. \quad (2)$$

ამასთან, C ვექტორი და A მატრიცა უნდა შეირჩეს ისე, რომ შესრულდეს პირობები:

$$F(X^j) = L(X^j), \quad j = \overline{0, n},$$

სადაც $X^j = (x_1^j, \dots, x_n^j)$ მოცემული წერტილებია R^n სივრციდან.

განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც A დიაგონალური მატრიცაა:

$$A = \begin{pmatrix} a_1^1 & 0 & \cdots & 0 \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ 0 & 0 & \cdots & a_n^n \end{pmatrix}, \quad L(X) = (l_1(X), \dots, l_n(X)),$$

ამ შემთხვევაში თითოეული $f_i(X)$ ფუნქცია შეიცვლება წრფივი ფუნქციით $l_i(X) = c_i + a_i^i x_i$. ამასთან, $c_i, a_i^i, i = \overline{1, n}$, რიცხვები უნდა შეირჩეს პირობებიდან:

$$l_i(X^j) = f_i(X^j), \quad j = 0, 1; \quad i = \overline{1, n}.$$

ან ვექტორული სახით: $L(X^j) = F(X^j), \quad j = 0, 1.$

მტკიცდება, რომ გარკვეულ პირობებში ასეთი აფინური ასახვა არსებობს და ერთადერთია (იხ. [8], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში).

ამის შემდეგ (1) განტოლებათა სისტემა იცვლება წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემით

$$L(X) = C + AX = 0.$$

(1) განტოლებათა სისტემის ფესვი აღვნიშნოთ X^* -ით. ვთქვათ, ცნობილია ფესვის 2 მიახლოება $X^{(k-1)}, X^{(k)}$. მაშინ C ვექტორსა და A მატრიცას განვსაზღვრავთ პირობებიდან $L(X^{(j)}) = F(X^{(j)}), \quad j = k-1, k$. მაშინ ამონახსნის $(k+1)$ -ე მიახლოება გამოითვლება შემდეგი განტოლებიდან

$$A^{(k)} X^{(k+1)} + C^{(k)} = 0.$$

გავითვალისწინოთ, რომ $A^{(k)}X^{(k)} + C^{(k)} = F(X^{(k)})$. მაშინ მივიღებთ

$$A^{(k)}(X^{(k+1)} - X^{(k)}) = -F(X^{(k)}).$$

უკანასკნელი ტოლობიდან შეიძლება დავწეროთ იტერაციული ალგორითმი ცხადი სახით:

$$x_i^{(k+1)} = x_i^{(k)} - \frac{x_i^{(k-1)} - x_i^{(k)}}{f_i(X^{(k-1)}) - f_i(X^{(k)})} f_i(X^{(k)}), \quad i = 1, \dots, n, \quad k = 0, 1, \dots \quad (2)$$

ცხადია, რომ (2) ალგორითმი წარმოადგენს პარალელურ იტერაციულ ალგორითმს.

გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში მტკიცდება (იხ. [8], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში), რომ (2) იტერაციული ალგორითმი კრებადია (1) განტოლების X^* ამონახსნისაკენ და ადგილი აქვს შეფასებას:

$$\|X^* - X^{(k)}\| \leq \eta_0 \left(\frac{8}{9}h_0\right)^{w_k - 1}, \quad k = 1, 2, \dots,$$

სადაც $w_0 = 0, w_1 = w_2 = 1, w_i = w_{i-1} + w_{i-2}, i = 3, 4, \dots$, – ფიბონაჩის რიცხვებია, ხოლო η_0 და $h_0 < \frac{1}{4}$ გარკვეული მუდმივებია.

ჩტარებული იქნა რიცხვითი ექსპერიმენტები, რომლებმაც დაადასტურეს მოყვანილი ალგორითმის ეფექტურობა.

4. 2. განხილულია არალოკალური საკონტაქტო ამოცანა ერთგანზომილებიანი სითბოგამტარებლობის (დიფუზიის) განტოლებისათვის: $\bar{D} = \{(x, t) | 0 \leq x \leq l, 0 \leq t \leq T\}$ არეში ვიპოვოთ ფუნქცია

$$u(x, t) = \begin{cases} u^-(x, t), & \text{if } 0 \leq x \leq c, 0 \leq t \leq T \\ u^+(x, t), & \text{if } c \leq x \leq l, 0 \leq t \leq T \end{cases} \quad (1)$$

სადაც $0 < c < l, u^-(c, t) = u^+(c, t), 0 \leq t \leq T$. $u(x, t)$ აკმაყოფილებს პირობებს:

$$\frac{\partial u^-}{\partial t} = a_1^2 \frac{\partial^2 u^-}{\partial x^2} - q_1 u^- + f^-(x, t), \quad 0 < x < c, 0 < t \leq T, \quad (2_1)$$

$$\frac{\partial u^+}{\partial t} = a_2^2 \frac{\partial^2 u^+}{\partial x^2} - q_2 u^+ + f^+(x, t), \quad c < x < l, 0 < t \leq T, \quad (2_2)$$

$$u^-(x, 0) = u_0^-(x), \quad 0 \leq x \leq c, \quad (3)$$

$$u^+(x, 0) = u_0^+(x), \quad c \leq x \leq l, \quad (3)$$

$$u^-(0, t) = u_1^-(t), u^+(l, t) = u_1^+(t), 0 \leq t \leq T, \quad (4)$$

და არალოკალურ საკონტაქტო პირობას

$$u^-(c, t) = u^+(c, t) = u_c(t) = \sum_{i=1}^m \alpha_i^- u^-(c_i^-, t) + \sum_{j=1}^n \alpha_j^+ u^+(c_j^+, t) + \varphi_0(t), \quad 0 \leq t \leq T, \quad (5)$$

სადაც $0 < c_m^- < \dots < c_1^- < c < c_1^+ < \dots < c_n^+ < l$,

$$\alpha_i^- > 0, i = \overline{1, m}, \quad \alpha_j^+ > 0, j = \overline{1, n}, \quad \sum_{i=1}^m \alpha_i^- + \sum_{j=1}^n \alpha_j^+ \leq 1; \quad (6)$$

$f^-(x, t), f^+(x, t), u_0^-(x), u_0^+(x), u_1^-(t), u_1^+(t), \varphi_0(t)$ ცნობილი, საკმაოდ გლუვი ფუნქციებია. a_1^2, a_2^2

მუდმივები სითბოგამტარებლობის (დიფუზიის) კოეფიციენტებს წარმოადგენს, $q_1 = const > 0$, $q_2 = const > 0$.

(2)-(5) ამოცანას ვუწოდოთ არალოკალური საკონტაქტო ამოცანა სითბოს განტოლებისათვის. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ (2)-(5) ამოცანა და ავავოთ მისი რიცხვითი ამოხსნის ალგორითმი.

გარკვეულ პირობებში მტკიცდება, რომ (2)-(5) ამოცანის ამონახსნი არსებობს, ერთადერთია და აგებულია იტერაციული პროცესი, რომელიც იკრიბება ამონახსნისკენ უსასრულოდ კრებადი გეომეტრიული პროგრესიის სიჩქარით. ამასთან აღნიშნულ ალგორითმს საწყისი არაკლასიკური ამოცანა დაყავს კლასიკური ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე.

თეორემა 1. თუ (2)-(5) ამოცანის რეგულარული ამონახსნი არსებობს და (6) პირობა სრულდება, მაშინ ეს ამონახსნი ერთადერთია.

(2)-(5) ამოცანის ამონახსნის საპოვნელად განვიხილოთ შემდეგი იტერაციული პროცესი:

$$\left[\frac{\partial u^-}{\partial t} \right]^{(k)} = a_1^2 \left[\frac{\partial^2 u^-}{\partial x^2} \right]^{(k)} - q_1 [u^-]^{(k)} + f^-(x, t),$$

$$0 < x < c, 0 < t \leq T, \quad (7_1)$$

$$\left[\frac{\partial u^+}{\partial t} \right]^{(k)} = a_2^2 \left[\frac{\partial^2 u^+}{\partial x^2} \right]^{(k)} - q_2 [u^+]^{(k)} + f^+(x, t),$$

$$c < x < l, 0 < t \leq T, \quad (7_2)$$

$$[u^-(x, 0)]^{(k)} = u_0^-(x), \quad 0 \leq x \leq c, \quad (8)$$

$$[u^+(x, 0)]^{(k)} = u_0^+(x), \quad c \leq x \leq l,$$

$$[u^-(0, t)]^{(k)} = [u_1^-(t)]^{(k)}, [u^+(l, t)]^{(k)} = [u_1^+(t)]^{(k)},$$

$$0 \leq t \leq T, \quad (9)$$

და არალოკალური საკონტაქტო პირობა

$$[u^-(c, t)]^{(k)} = [u^+(c, t)]^{(k)} = [u_c(t)]^{(k)} =$$

$$= \sum_{i=1}^m \alpha_i^- [u^-(c_i^-, t)]^{(k-1)} + \sum_{j=1}^n \alpha_j^+ [u^+(c_j^+, t)]^{(k-1)} +$$

$$+ \varphi_0(t), \quad 0 \leq t \leq T, \quad (10)$$

სადაც $k = 0, 1, 2, \dots$ და

$$[u^-(c_i^-, t)]^{(-1)} = 0, \quad i = \overline{1, m},$$

$$[u^+(c_j^+, t)]^{(-1)} = 0, \quad j = \overline{1, n}. \quad (11)$$

სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 2. თუ არსებობს (2)-(5) ამოცანის რეგულარული ამონახსნი და (6) პირობა სრულდება, მაშინ (7)-(11) იტერაციული პროცესი კრებადიამ ამონახსნისაკენ უსასრულოდ კრებადი გეომეტრიული პროგრესიის სიჩქარით.

შენიშვნა 1. (7)-(11) იტერაციულ ალგორითმი საშუალებას იძლევა (2)-(5) არაკლასიკური ამოცანის ამოხსნა დავიყვანოთ კომპი-დირიხლეს კლასიკური ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე. ამ ალგორითმის რეალიზაცია შესაძლებელია პარალელურ პროცესორებიან გამოთვლით

სისტემებზე. შევნიშნოთ, რომ თავის მხრივ, მიღებული კლასიკური ამოცანებიც შეიძლება ამოხსნილ იქნეს პარალელური ალგორითმების მეშვეობით.

თორემა 3. თუ $f^-(x,t) \equiv 0$ და $f^+(x,t) \equiv 0$, ხოლო $u_0^-(x)$, $u_0^+(x)$, $u_1^-(t)$, $u_1^+(t)$, $\varphi_0(t)$ ცნობილი, საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, მაშინ არსებობს (2)-(5) ამოცანის რეგულარული ამონახსენი.

შენიშვნა 2. ცვლადთა განცალების (ფურიეს) მეთოდის საშუალებით შეიძლება დამტკიცდეს (2)-(5) ამოცანის რეგულარული ამონახსნის არსებობა იმ შემთხვევაშიც, როცა $f^-(x,t) \neq 0$ და $f^+(x,t) \neq 0$.

წარმოდგენილ ნაშრომებში (იხ. [9], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში; [7], სტატიები, პუბლიკაციები საქართველოში) განხილული მეთოდების საილუსტრაციოდ ამოხსნილია კონკრეტული ამოცანები.

4.3. შესწავლილია პროგრამული კომპლექსებისათვის შემადგენელი ნაწილების ვერიფიკაცია პროგრამების პარალელური ბუნების გათვალისწინებით. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით გამოყენებული იქნა ვერიფიკაციის ცნობილი მეთოდი MODEL CHECKING ტემპორალური ლოგიკებისა და კრიპკეს სტრუქტურების გათვალისწინებით. მოხდა ამ მეთოდის ადაპტაცია კონკრეტული ამოცანათა ტიპისა და პარალელური დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით.

სხვადასხვა ტიპის მათემატიკური მოდელებისათვის პარალელური თვლის აგება და დამუშავება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. აღსანიშნავია რომ ამ ალგორითმების პროგრამული რეალიზაცია შესაძლებელია თანამედროვე სუპერკომპიუტერებზე ან კლასტერებზე. ამასთან მიღებული პროგრამული პროდუქტის საიმედოობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პროგრამების ვერიფიკაციას მათი პარალელური ბუნების გათვალისწინებით, რაც ტრადიციულ ვერიფიკაციასთან შედარებით ქმნის დამატებით სირთულეებს.

ბოლო დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამების საიმედოობას, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოდ როგორც ეკონომიკურ-მატერიალური დანაკარგები.

ბოლო დროის მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია მიმართულება MODEL CHECKING, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ერთადერთ პრაქტიკულად ღირებულ მიმართულებას. მაგრამ პარალელური პროგრამების ვერიფიკაცია ამ სისტემისათვის არ არის ჯერჯერობით რეალიზებული. ამიტომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები მოცემული ტიპის ამოცანებისათვის აგებული პარალელური პროგრამების ვერიფიკაციასთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია და პრაქტიკულად მნიშვნელოვანია.

ტრადიციულად, მონაცემთა დამუშავების პარალელური ალგორითმები ეფუძნება შემდეგ იდეას: რომელიღაც პრინციპის მიხედვით (მაგალითად, ბირთვების რაოდენობის, თითოეულ პროცესორზე ძირითადი ოპერაციების შესრულების დროს და სხვ.) დაიყოს მთლიანი წარმოდგენილი ინფორმაცია ნაწილებად და შემდეგ თითოეული ნაწილი დამუშავდეს ცალკეულ ბირთვზე (ან პროცესორზე).

ინფორმაციის ნაწილებად დაყოფას სჭირდება საკმაოდ დიდი დრო და ეს პროცესი ყოველთვის არ ხდება ოპტიმალურად. კომპიუტერის ბირთვების მოცდენა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. ყოველთვის როდი ხდება ოპტიმალური დაყოფის შერჩევა (ან/და ალგორითმის შეცვლა მუშაობის დროს).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული პარალელური ალგორითმის (იხ. [8], სტატიები, პუბლიკაციები საქართველოში) ძირითადი პრინციპია: მონაცემთა დაყოფა ნაწილებად და ბირთვებზე დამუშავება უნდა მოხდეს პარალელურად, რითაც ბირთვების მოცდენა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ამ პრინციპზე მოქმედი ორი ალგორითმი - დახარისხების ("Small Delay") და მატრიცების გამრავლების ტრანსპონირებული ლენტური ალგორითმის განვითარება. დახარისხების ალგორითმი - ეს არის სიაში ელემენტების დალაგების, მოწესრიგების ალგორითმი. დახარისხების ამოცანამ წარმოშვა დიდი რაოდენობის განსხვავებული მეთოდები, მაგრამ არ არსებობს „უნივერსალური“, საუკეთესო ალგორითმი. საუკეთესოს არჩევა ძირითადად ხდება 4 პარამეტრით: დახარისხების დრო, მეხსიერების რაოდენობა, მდგრადობა და ბუნებრივი ქცევა. ჩვენს მიერ შეთავაზებული ალგორითმის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მასივის დაშლა და დახარისხება ხდება პარალელურ რეჟიმში და ეს შესაძლებელია იმით რომ რომ ბირთვზე დახარისხება იწყება მცირეოდენი დაგვიანებით ვიდრე წინა ბირთვზე. დროის მოგება განპირობებულია იმით, რომ არ ხდება დაყოვნება მასივის ქვემასივებად დაყოფისათვის. ამ პარალელური ალგორითმის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ავტომატური თარგმნისას სიტყვების მორფოლოგიური ანალიზისათვის (იხ. [9], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში). ჩვენს მიერ შეთავაზებული ალგორითმი იყენებს ჩვენივე შემუშავებული ინფორმაციის პარალელური დამუშავების ოპტიმალურ ალგორითმს. გამოიყენება ძირითადი ფორმულა:

$$K \approx (W * M - L) / V,$$

სადაც M - ბირთვების (ან პროცესორების) რაოდენობაა, L - ბირთვებზე ელემენტების (სიტყვების) გადაცემის დროა, V - ბირთვზე ერთი ოპერაციის (მორფოლოგიური ანალიზის) შესრულების დრო, W- შემდეგ დასამუშავებელ ელემენტზე (სიტყვაზე) გადასვლის დრო (მალიან მცირე), K- ბირთვებზე გადასაცემი ელემენტების (სიტყვების) რაოდენობა. K-ს ოპტიმალური არჩევა წარმოადგენს ალგორითმის ძირითად ნაწილს.

4.4. მიმდინარე საანგარიშო წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „ინფორმაციის ფიზიკა“ (იხ. [1], მონოგრაფიები, პუბლიკაციები საქართველოში), რომელიც ძირითადად ეყრდნობა ავტორის მეცნიერული კვლევის შედეგებს სხვადასხვა მიმართულებით, რომლებშიც წამყვანი როლი მიეკუთვნება კოდირების თეორიას. ნაშრომი წარმოადგენს ამ თეორიის გამოყენების მცდელობას ისეთ მომიჯნავე მეცნიერებებში, როგორებიცაა კონფლიქტების მართვის ინფორმაციული მოდელი, სწავლების პროცესის მართვის ინფორმაციული მოდელი, ცოდნის ათვისების ორგანიზაციისა და მართვის ინფორმაციული მოდელი, სისტემის ახალი განმარტება და ცოდნის წარმოდგენა სისტემური მიდგომის საფუძველზე, სახეთა ამოცნობის კონსტრუქციული მეთოდი, ინფორმაცია და პოტენცი-ალი და მრავალი სხვა საკითხი.

პირველ თავში განხილულია ახალი მიმართულების - ინფორმაციის ფიზიკის დაფუძნება. განმარტებულია ინფორმაციის სრული დიფერენციალი და შენახვის კანონი, აგრეთვე ინფორმაციის იმპულსის შენახვის კანონიც.

მეორე - მეექვსე თავებში მოცემულია კოდირების თეორიის საკითხები, რომლებსაც განვიხილავთ როგორ ინფორმაციის კვანტურ მექანიკას. იგი სწავლობს ინფორმაციის კვანტების მოძრაობას გადაცემისა და დამუშავების პროცესში.

მეშვიდე თავში დამუშავებულია კრიპტოგრაფიული სისტემების აგების მეთოდები. აქ ყურადღება გამახვილებულია კავშირის არხში დაშიფრული ინფორმაციის დაცვაზე კრიპტოანალიტიკოსის ღია ტექსტით თავდასხმის შემთხვევაში. სქემებში არაწრფივი ელემენტის შემოტანით მიღწეულია მაღალი მდგრადობა ღია ტექსტით თავდასხმის წინააღმდეგ.

მერვე თავში ნაჩვენებია ინფორმაციისა და კოდირების თეორიის განსაკუთრებული უნარი ბუნებაში მიმდინარე მრავალი მოვლენის ერთიანი მიდგომით ახსნის შესაძლებლობით. დასაბუთებულია თერმოდინამიკაში ენტროპიის კლასიკურ გაგებასა და ინფორმაციის თეორიაში ენტროპიული ფუნქციის შენონისეული გააზრების იდენტურობა.

მეცხრე თავი ეძღვნება პრაქტიკული ამოცანების შესწავლას კოდირების თეორიის გამოყენებით. მიმართულება 4-ის პრობლემატიკას მიეძღვნა აგრეთვე მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე (იხ. [12 - 14], სამეცნიერო ფორუმები საქართველოში; [8, 10], სამეცნიერო ფორუმები უცხოეთში).

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს).

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	ურთიერთკავშირის ნიშნებსა და გადანაცვლებებს შორის ვექტორთა კომპაქტურ შეჯამებაში: თეორია და გამოყენებები. მათემატიკა.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. საგრანტო ხელშეკრულება FR / 539/5-100/13	ს. ჩოხანიანი	ვ. ტარიელაძე, ვ. კვარაცხელია, გ. ჭელიძე, გ. გიორგობიანი, მ. ნიკოლეიშვილი.
<p>დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p style="text-align: center;">პროექტი №1</p> <p>პროექტი დასრულდა 2017 წელს. მასში განხილულია ვექტორული შესაკრებების გადანაცვლებების კვლევის მათემატიკურ მეთოდებთან დაკავშირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი</p>				

ამოცანები.

ფუნდამენტურ ამოცანებში: დავატკიცეთ რიგი ახალი მაქსიმალური უტოლობებისა, რომლებიც გამოიყენება ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხებში (კოლმოგოროვ-გარსიას დიდი ხნის გადაუჭრელი ჰიპოთეზა და ულიანოვის პრობლემა), ასევე ნორმირებულ სივრცეში პირობით კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის დახასიათების ტრადიციულ ამოცანაში. ამ მიმართულებით ძირითადი მიზნები იყო:

1. მაქსიმალური უტოლობები.

- a) დამტკიცებულია გარსია-ნიკიშინის ტიპის მაქსიმალური უტოლობები ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით. მეთოდს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები: მისი საშუალებით დამტკიცებულ მაქსიმალურ უტოლობებში შემავალი მუდმივები ოპტიმალურია, უტოლობები უშვებს უშუალო განზოგადოებებს ვექტორულ, ფუნქციურ და ვექტორ-ფუნქციურ შემთხვევებში.
- b) შესწავლილია ყველა იმ გადანაცვლებების სიმრავლე, რომელიც ნიკიშინის ამოცანაში ზომით კრებად მწკრივს გადაიყვანს თითქმის ყველგან კრებად მწკრივში. გარსიას ცნობილი თეორემა ფურიეს მწკრივის თითქმის ყველგან კრებადობის შესახებ, არის ნიკიშინის თეორემის კერძო შემთხვევა.
- c) მიღებულია მაქსიმალური უტოლობა გადანაცვლებადი შემთხვევითი სიდიდეებისათვის, რომელიც აუმჯობესებს გარსიას, მორეს და პიზიეს, ჩობანიანის და სალესის, და, აგრეთვე, ლევენტალის ცნობილ შედეგებს.
- d) შესწავლილია ერთი სუსტი ტიპის უტოლობის სამართლიანობის საკითხი. აგებულია შესაბამისი კონტრმაგალითები, დამტკიცებულია მისი შესუსტებული ვარიანტი.

2. ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხები.

- a) განსაკუთრებით საინტერესოა გარსიას უტოლობა-ჰიპოთეზა (ლიაა 1970 წლიდან) და კოლმოგოროვის ჰიპოთეზა (ლიაა 1930-იანი წლებიდან). ჩვენი მეთოდი უშვებს გარსიას (უფრო ძლიერი) ჰიპოთეზის დამტკიცებას იმ შემთხვევაში, როცა ორთონორმირებული სისტემა წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეთა გადანაცვლებად სისტემას. აგრეთვე, მიღებული გვაქვს მაქსიმალური უტოლობა, რომელმაც უნდა მოგვცეს გარსიას ჰიპოთეზის სამართლიანობის ბევრი სხვა შემთხვევა.
- b) შესწავლილია (σ, θ) -პირობის როლი ულიანოვის ამოცანაში. სიდონის თეორემის გამოყენებით მიღებულია რევეშის შემდეგი ცნობილი შედეგის ალტერნატიული დამტკიცება: არსებობს ისეთი უწყვეტი 2π -პერიოდული ფუნქცია, რომ მისი ტრიგონომეტრიული ფურიეს მწკრივი იკრიბება თანაბრად, მაგრამ რადემახერის პირობა არ სრულდება; უფრო მეტიც, არ სრულდება უფრო სუსტი (σ, θ) -პირობაც;

3. პირობით კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის დახასიათება.

- a) დადგინდა, რომ (σ, θ) -პირობა პირობით კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის აფინურობას და ჩაკეტილობას იწვევს მეტრიზებადი ლოკალურად p -ამოზნექილი სივრცეებისათვის.
- b) დავამტკიცეთ ან უარვყოთ ჰიპოთეზა: თუ ბანახის X სივრცე ისეთია, რომ მის შეუღლებულ სივრცეში ნებისმიერი მწკრივის შესაძლო ჯამთა სიმრავლე X -ტოპოლოგიაში ემთხვე-

ვა სუსტ ტოპოლოგიაში ჯამთა სიმრავლეს, მაშინ X რეფლექსურია. ნაჩვენებია, რომ ჰიპოთეზა სწორია თუ X სეპარაბელურია და მცდარია თუ X არ არის სეპარაბელური.

- c) ჩვენს მიერ ადრე დამტკიცებული იყო, რომ ყოველი ერთეულოვან მოდულიანი კომპლექსური $z \in [-1,1]$ რიცხვისათვის მწკრივი $\sum z^n/n$ არის უნივერსალური \mathbb{C} -ში. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არ არსებობს კვატერნიონი z , $|z| = 1$, რომლისთვისაც ანალოგიური მწკრივი იქნება უნივერსალური კვატერნიონების ველში.
- d) დამტკიცდა, რომ სეპარაბელურ ბანახის სივრცეში ნებისმიერი მწკრივის ჯამთა სიმრავლე ყოველთვის არის ანალიზური სიმრავლე.

4. სხვა ამოცანები

- a) ნაჩვენებია, რომ მეტრიზებადი ლოკალურად ამოზნექილი X სივრცე დუალურად ϵ -მაკის სივრცეა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა X -ს გააჩნია შურის თვისება. აქედან, როგორც შედეგი, მიღებულია, რომ ბანახის რეფლექსური X სივრცე დუალურად ϵ -მაკის სივრცეა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა X სასრულგანზომილებიანია.
- b) დამტკიცებულია რომ უსასრულო განზომილებიანი ნორმირებული სივრცისათვის თავსებადი ლოკალურად ამოზნექილი ტოპოლოგიების ოჯახის სიმძლავრე არაა კონტინუუმის სიმძლავრეზე ნაკლები.
- c) გაანალიზებულია უპირობო ბაზისიან ბანახის სივრცეში მწკრივთა უპირობო კრებადობის ზოგიერთი აუცილებელი და საკმარისი პირობა.
- d) შემოტანილია სილვესტრისა და ადამარის მატრიცების რიცხვითი მახასიათებლები; მიღებულია მათი შეფასებები და განხილულია ამ მახასიათებლების ზოგიერთი გამოყენება.

გამოყენებებში: გავაუმჯობესეთ კომპაქტური ვექტორული შეჯამების ამოცანაში თითქმის საუკეთესო გადანაცვლების პოვნის ალგორითმი. ჩვენმა მეთოდმა, რომელიც ეყრდნობა გადატანის უტოლობას [S.Chobanyan and G.Giorgobiani, Lecture Notes in Math., 1391, 1989, 33-46], უკვე ჰპოვა მრავალი გამოყენება დაგეგმვის თეორიაში, მანქანურ სწავლებაში, სახეთა ამოცნობასა და შეუსაბამობათა (discrepancy) თეორიაში. ამ მიმართულებით:

- a) ჩვენ ვიპოვეთ ოპტიმალურთან ახლოს მყოფი გადანაცვლების აგების ალგორითმი, რომლის სირთულე არის პოლინომიალური, არის „ხარბი“ ტიპის და უზრუნველყოფს სათანადო შეფასებას;
- b) შექმნილია სპენსერის ალგორითმის ალტერნატიული ალგორითმი, რომლის სირთულე არის პოლინომიალური. ჩვენი გადატანის უტოლობის გამოყენებით ამოცანა დაიყვანება ე.წ. „ნიშან-ალგორითმზე“, რომელიც სინამდვილეში არის მონტე-კარლოს მეთოდის ნაირსახეობა. მეთოდი იძლევა უკეთეს შედეგს, ვიდრე სპენსერის ცნობილი ალგორითმი;
- c) ჩვენს თეორიულ შედეგს შესაკრებთა საუკეთესო გადანაცვლების პოვნის შესახებ აქვს გამოყენება დაგეგმვის თეორიის ამოცანაში. ამოცანა დაგვყავს კომპაქტური ვექტორული შეჯამების ამოცანაზე. თავის მხრივ გადატანის ლემით ამოცანა დაიყვანება ნიშნების შერჩევის ამოცანაზე.

ჩვენი სამეცნიერო აქტივობა ასახულია 8 სამეცნიერო სტატიაში. მათგან 7 ნაშრომი უკვე გამოქვეყნდა, 1 მიღებულია გამოსაქვეყნებლად, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში.

1 მონოგრაფია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (J. Math. Sci., Springer). მიღებული შედეგები წარდგენილი იყო 9 მოხსენების სახით საერთაშორისო კონფერენციებზე. პროექტის ფარგლებში მიღებულ შედეგებს შეიძლება აგრეთვე გაეცნოთ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში.

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შერეული ტიპის მარკოვული და ნახევრადმარკოვული რიგების სისტემები ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის ამოცანებში. მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება, გამოთვლითი მეთოდები, პარალელური დაპროგრამება	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. საგრანტო ხელშეკრულება FR/312/4-150/14	ჰ. მელაძე	პროექტის შემსრულებლები არიან აგრეთვე ტექნიკური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.
2				
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>პროექტის კვლევის ობიექტია რთული, ტერიტორიულად განაწილებული სატელეკომუნიკაციო სისტემა, რომელიც შედგება ერთმანეთის იდენტური ძირითადი და სარეზერვო, არასაიმედო ალდგენადი ელემენტებისაგან. სისტემაში მოქმედებენ მტყუნებული ძირითადი ელემენტის სარეზერვოთი ჩანაცვლების და მტყუნებული (ძირითადი ასევე სარეზერვო) ელემენტის ალდგენის (რემონტის) ორგანოები (არხები).</p> <p>პროექტის ამოცანა 1 ეძღვნება ზემოაღწერილი ობიექტის მარკოვული (ექსპონენტური) მოდელის აგებასა და გამოკვლევას იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი ელემენტების რაოდენობა უსასრულოა ($m = \infty$).</p> <p>აგებულია ობიექტის ექსპონენტური მოდელი იმ შემთხვევაში, როცა სისტემაში მოქმედებს ერთი ჩანაცვლების არხი ($k = 1$), ხოლო ალდგენის ორგანოების რაოდენობა ნებისმიერია ($l \in \mathbb{N}$). წინა შემთხვევის ანალოგიურად ესაა წრფივი დიფერენციალური განტოლებების უსასრულო სისტემა,</p>				

რომელიც სტაციონალურ მდგომარეობაში გვაძლევს წრფივ ალგებრულ განტოლებათა უსასრულო სისტემას. შემოთავაზებულია ამ სისტემის ამოხსნის სრულიად ახალი, ორიგინალური მეთოდი, რაც გარკვეული თვალსაზრისით გამოიყენება ზემოთ აღწერილი ტიპის ნებისმიერი უსასრულო სისტემის ამოსახსნელად. ამ მეთოდის ეფექტიანობის დასადასტურებლად შემუშავებულია მისი ამოხსნის ალგორითმი და კომპიუტერული პროგრამა. ჩატარებული კომპიუტერული გამოთვლები ადასტურებს შემუშავებული მეთოდის მაღალ ეფექტიანობას.

პროექტის ამოცანა 2 ეძღვნება ზემოხსენებული ობიექტის ნახევრადმარკოვული მოდელების აგებასა და გამოკვლევას. ასეთი მოდელების აგება, განსაკუთრებით კი მათი გამოკვლევა, გაცილებით რთული პრობლემაა როგორც საიმედოობის მათემატიკური თეორიის და რიგების თეორიის ფარგლებში, ასევე მთლიანად თანამედროვე მათემატიკის ფარგლებში. ნახევრადმარკოვული მოდელების გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის საწყის პარამეტრებზე (m, n, k, l მთელი არაუარყოფითი რიცხვები) და საწყის დროით მახასიათებლებზე მკაცრი შეზღუდვების პირობებში. განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩანაცვლების შემთხვევითი დროისა და აღდგენის შემთხვევითი დროის, როგორც შემთხვევითი სიდიდეების F და G განაწილებათა ფუნქციების არჩევას, სახელდობრ, ცნობილია რომ მეტნაკლებად პერსპექტიული მოდელის აგება შემდგომი გამოკვლევისა და გამოყენების თვალსაზრისით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნული ფუნქციებიდან მხოლოდ ერთია ზოგადი სახის (ამ დროს მეორე უნდა იყოს ექსპონენტური). ამავე დროს, როცა F ზოგადია, მაშინ ჩანაცვლების ორგანოთა რაოდენობა უნდა იყოს 1 (იგივე ეხება შემთხვევას, როცა ზოგადია G ფუნქცია).

აგრეთვე აგებულია საცდელი ნახევრადმარკოვული მოდელი შემდეგ პირობებში: $m = \infty, n \in \mathbb{N}, G$ ფუნქცია ნებისმიერია, წანაცვლების ოპერაცია მყისიერია. მიღებული მოდელი წარმოადგენს შემდეგი ტიპის განტოლებათა უსასრულო სისტემას. პირველი არის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. შემდეგია პირველი რიგის, წრფივ კერძო წარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა უსასრულო სისტემა, არაკლასიკური, არალოკალური სასაზღვრო პირობებით. სასაზღვრო პირობები, თავის მხრივ, მოცემულია ინტეგრალურ დამოკიდებულებათა უსასრულო სისტემის სახით. მოდელის გამოკვლევა მომდევნო საანგარიშო პერიოდებშია განზრახული.

მიღებული შედეგების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომების სახით (იხ. [10], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში; [5], სტატიები, პუბლიკაციები საქართველოში).

ნაშრომი ([10], სტატიები, პუბლიკაციები უცხოეთში) შეეხება სტრუქტურული მართვის პრობლემას ნებისმიერი ტერიტორიულად განაწილებული დარეზერვებული სისტემებისთვის, რომლებიც შედგება არასაიმედო აღდგენადი კომპონენტებისაგან. შემოთავაზებულია ზემოხსენებულ სისტემებში დეგრადაციისა და მისი კომპენსირების პროცესების ურთიერთქმედების მათემატიკური მოდელები და ჩატარებულია მათი გამოყენებების ნაწილობრივი ანალიზი. ეს მოდელები წარმოადგენს ღია და ჩაკეტილ სპეციალური ტიპის რიგის სისტემებს ორი პარალელური მომსახურების ოპერაციისათვის - ჩანაცვლება და აღდგენა (რემონტი). დასმულია აღნიშნული სისტემების ოპტიმიზაციის ამოცანა ეკონომიკური კრიტერიუმებით. განხილულია მისი ამოხსნის შესაძლო გზები.

ნაშრომში ([5], სტატიები, პუბლიკაციები საქართველოში) განხილულია მრავალკომპონენტური დარეზერვებული სისტემა, რომელიც შედგება არასაიმედო, აღდგენადი ელემენტებისაგან. ამ სის-

ტემაში სრულდება მომსახურების ორი პარალელური ოპერაცია: 1) მტყუნებული ელემენტის ჩანაცვლება სარეზერვოთი; 2) მტყუნებული ელემენტის აღდგენა. ჩანაცვლებისა და რემონტის ორგანოთა რაოდენობები ნებისმიერია.

აგებულია რიგების ღია ექსპონენტური მოდელი საკვლევი სისტემის საიმედოობისა და ეფექტიანობის ანალიზისათვის. ის წარმოადგენს ჩვეულებრივ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა უსასრულო სისტემას. მისგან სტაციონარულ მდგომარეობაში მიღებულია წრფივ ალგებრულ განტოლებათა უსასრულო სისტემა. ამჟამად მიმდინარეობს ამ სისტემის გამოკვლევა.

პროექტის ფარგლებში მიღებულ შედეგებს გამოქვეყნებული სტატიების გარდა შეიძლება გაეცნოთ შუალედური ანგარიშების მასალებში (სულ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში წარდგენილია 4 შუალედური ანგარიში).

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Zakradze, M. Kublashvili, Z. Sanikidze, N. Koblishvili	Investigation and numerical solution of some 3D internal Dirichlet generalized harmonic problems in finite domains. Transactions of A. Razmadze Mathematical Institute	171	Tbilisi, A. Razmadze Mathematical Institute	8
2	J. Giorgobiani	Long-term Inventory Control Problem for Cascade Systems.	v.10, no. 4, p.27 – 32. 2016.	Tbilisi, Georgian National Academy of Sciences	

		Bulletin of the Georgian National Academy of Sciences			
3	D. Ugulava	Approximation in mean on homogeneous compact spaces. Transactions of A. Razmadze Mathematical Institute	v.171, 2, 2017	Tbilisi, A. Razmadze Mathematical Institute	8
4	T. Chantladze, Z. Kipshide, M. Nachkebia, D.Ugulava	Cryptographic System of high Stability. GESJ: Computer Science and Telecommunications	2(52), 2017,	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	7
5	A. Prangishvili, H. Meladze, R. Kakubava, N. Svanidze	On Network Maintenance Problem. Open Markovian Queuing System with Bifurcation of Arrivals. Bulletin of the Georgian national Academy of sciences, Cybernetics	v. 11, no. 3, 2017	Georgian National Academy of Sciences	9
6	H. Meladze, T. Davitashvili	About one non-local contact problem for one dimensional heat equation. Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	v. 31, 2017	I. Vekua Institute of Applied Mathematics	4
7	H. Meladze, T. Davitashvili, I. Meladze	Nonlocal contact problem for nonhomogeneous second order ordinary differential equations.	ტ.13, 2017	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია	7

		ცხუმ-ავხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (მიღებულია დასახეჭდად)			
8	N. Archvadze, M.Pkhovelishvili, L. Shetsiruli	A new approach to constructing parallel algorithms. Electronic Scientific Journal: "Computer Sciences and Telecommunications"	3(53), 2017	Publisher: Georgian Technical University.	6

**II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში**

სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	D. Zarnadze, D. Ugulava	New mathematical models of computerized tomography based on SVD of Radon operator. „Information and Computer Technology, Modeling and Control“.	Chapter 29, 2017. https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=62205	Nova Science publishers, New York	10
2	G. Baghaturia, M. Menteshashvili	The numerical algorithm for the quasi-linear differential equation of mixed type. "Information and Computer Technology, Modeling and Control".	Chapter 25, 2017. https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=62205	Nova Science Publishers, New York	11
3	Á. Figula, M. Menteshashvili	On the Geometry of the Domain of the Solution of Nonlinear Cauchy Problem. „Lie Groups, Differential Equations, and Geometry"	Chapter 9, 2017	UNIPA Springer Series	17

4	G. Giorgobiani, V. Kvaratskhelia, M. Menteshashvili.	Maximum Inequalities and their Applications to Hadamard Matrices. Proceedings of 11th Int. Conf. Comp. Sc. Inf. Tech. (CSIT 2017)	Proceedings CSIT 2017. p. 198 – 199. https://csit.am/2017/	Yerevan, Armenia, IIAP NAS RA	2
5	E. Martin-Peinador, A. Plichko, V. Tarieladze	Compatible locally convex topologies on normed spaces: cardinality aspects. Bull. Aust. Math. Soc.	96 2017, 139-145	Cambridge University Press	7
6	B. Mamporia	Stochastic Differential Equation Driven by the Cylindrical Wiener Process in a Banach space. Transactions of A. Razmadze Mathematical institute	171, 1	Production and Hosting by Elsevier B.V.	14
7	B. Mamporia	Process of Independent Increments in Turbulence. Inf. Comp. Tech., Modeling and Control. Proceedings of the Int. Sc. Conf. Devoted to the 85 th Ann. of Acad. I.V. Prangishvili.	Chapter 51, 2017. https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=62205	Nova Science publishers, New York	10
8	T. Davitashvili, H. Meladze	Some Algorithms of Solving the Systems of Nonlinear Algebraic Equations on Parallel Computing Systems. "Information and Computer Technology, Modeling and Control".	Chapter 7. 2017 https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=62205	Nova Science publishers, New York	16
9	H. Meladze, T. Davitashvili, N. Skhirtladze	About One Parallel Algorithm of Solving Non-Local Contact Problem for Parabolic Equations. Proceedings of 11th Int. Conf. Comp. Sc. Inf. Tech. (CSIT 2017)	Proceedings CSIT 2017. p. 328 – 331. https://csit.am/2017/	Yerevan, Armenia, IIAP NAS RA	5
10	A. Prangishvili, H. Meladze and R. Kakubava	Queuing Models for Large-Scale Technical Systems' Structural Control. „Information and	Chapter 26. 2017 https://www.novapublishers.com/catalog/product_info.ph	Nova Science publishers, New York	9

	Computer Technology, Modeling and Control“.	p?products_id=6220 5		
--	--	-------------------------	--	--

I. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	J. Giorgobiani, M. Nachkebia, G. Giorgobiani	Energy control issues	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
2	გ. ბლათურია მ. მენტეშაშვილი.	მახასიათებელი ამოცანის არა-წრფივი ვარიანტები შერეული ტიპის მეორე რიგის კერძო-წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისათვის.	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
3	M. Nikoleishvili, A. Nikoleishvili, V. Tarieladze	A generalization of a relation between means.	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
4	ს. ჩოხანიანი	ვექტორთა კომპაქტური შეჯამების ამოცანები ალბათობის თეორიაში, ფუნქციონალურ ანალიზსა და გამოყენებით სტატისტიკაში	გაერთიანებული სემინარი ალბათობასა და სტატისტიკაში, 2017 წლის 8 მაისი, თსუ, მათემატიკის დეპარტამენტი.
5	G. Chelidze, G. Giorgobiani, V. Tarieladze.	Rearrangement theorem for the weak topology.	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM) of Ivane Javakhisvili Tbilisi State University (TSU) Dedicated to the 110th Birthday Ann. of Academician Ilia Vekua , April 19–21, 2017. Tbilisi, Georgia. http://www.viam.science.tsu.ge/eng/enlrg

6	V. Kvaratskhelia, K. Ninidze, G. Chelidze	On an algorithm of finding sign-invariant pairs of elements in normed spaces	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM) of Ivane Javakhisvili Tbilisi State University (TSU) Dedicated to the 110th Birthday Ann. of Academician Ilia Vekua , April 19–21, 2017. Tbilisi, Georgia. http://www.viam.science.tsu.ge/eng/enlrg
7	V. Kvaratskhelia	Professor Revaz Absava - 70	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
8	V. Kvaratskhelia	A note on relationships between moments	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
9	B. Mamporia	Stochastic differential equations in a Banach space, main directions and new method of development	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM) of Ivane Javakhisvili Tbilisi State University (TSU) Dedicated to the 110th Birthday Ann. of Academician Ilia Vekua , April 19–21, 2017. Tbilisi, Georgia. http://www.viam.science.tsu.ge/eng/enlrg
10	B. Mamporia	On stochastic differential equation driven by the cylindrical Wiener process	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
11	V. Tarieladze	Plenary talk: "Stefan Banach and Georgia (Dedicated to S. Banach's 125 birthday anniversary)"	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
12	H. Meladze, T. Davitashvili	About Nonlocal Contact Problems	VIII Annual Int. Conf. of the Georgian Mathematical Union. Batumi, 4 – 8 September, 2017 http://www.gmu.ge/Batumi2017/
13	T. Davitashvili, H. Meladze	Plenary talk: On Some Parallel Algorithms for Approximate	The Third International Conference on Applications of Mathema-

		Solution of Problems of Mathematical Physics	tics and Informatics in Natural Sciences and Engineering. Dedicated to the 80th Birthday of David Gordeziani, AMINSE 2017, December 6-9. http://www.viam.science.tsu.ge/aminse2017/plenary/
14	H. Meladze, T. Davitashvili	About One Non-Local Contact Problem for One Dimensional Heat Equation	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM) of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU) Dedicated to the 110th Birthday Ann. of Academician Ilia Vekua , April 19–21, 2017. Tbilisi, Georgia. http://www.viam.science.tsu.ge/eng/enlrg

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. აბრამიძე	ფენოვანი ელიფსოიდალური გარსების არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების რიცხვითი ამოხსნა დაზუსტებული თეორიის საფუძველზე	Caucasian Math. Conf., CMC II, Aug. 22-24, 2017, Van, Turkey
2	G. Giorgobiani, V. Kvaratskhelia, M. Menteshashvili	Maximum Inequalities and their Applications to Hadamard Matrices.	11th Int. Conf. Comp. Sci. Inf. Tech. (CSIT'2017), Sep. 25 – 29, 2017, Yerevan, Armenia, https://csit.am/2017/
3	G. Giorgobiani	Sum ranges and universal series in topological vector spaces.	Seminario, Dep. Geometría y Topología, Instituto de Matemática Interdisciplinar, Facultad de CC Matemáticas. Complutense University of Madrid. Madrid, Spain, November 21 – 24, 2017
4	V. Tarieladze	On the sum range problem	Caucasian Math. Conf., CMC II, Aug. 22-24, 2017, Van, Turkey
5	V. Tarieladze	On two definitions of a protodiscrete groups	Jornada de Investigacion en Geometria y Topologia. Curso Avanza-

			do " Topologia en Grupos de Lie, espacios homogeneus y clases características", Sep. 27-29, 2017, A Coruna, Spain
6	V. Tarieladze.	Plenary talk: "Stefan Banach's visit to Georgia and two problems posed by him"	Int. conf. Functional Analysis, dedicated to the 125th anniversary of S. Banach, Sep.18-23, 2017, Lviv, Ukraine
7	B. Mamporia	On stochastic differential equation in a Banach space	Caucasian Math. Conf., CMC II, Aug. 22-24, 2017, Van, Turkey
8	Н. Н. Арчвадзе, М. Г. Пховелишвили, Л. Д. Шецирули	Об одном алгоритме параллельной сортировки	System Analysis and Information Technologies 19-th Int. Conf. SAIT 2017. May 22 – 25, 2017, Kyiv, Ukraine http://sait.kpi.ua/media/filer_public/33/42/33422ad6-282e-4782-9551-0987a4e58286/sait2017ebook.pdf
9	N. Archvadze, M. Pkhovelishvili, L. Shetsiruli	Morphological Analysis of Words on Clusters (ru)	«Прикладная лингвистика в науке и образовании». Юбилейные чтения в честь 95-летия профессора Р.Г. Пиотровского
10	H. Meladze , T. Davitashvili, N.Skhirtladze	About One Parallel Algorithm of Solving Non-Local Contact Problem for Parabolic Equations	11th Int. Conf. Comp. Sci. Inf. Tech. (CSIT'2017), Sep. 25 – 29, 2017, Yerevan, Armenia, https://csit.am/2017/
11	V. Tarieladze	Characterizing sequences of countable subgroups of torus and LQC-Mackey problem	Seminario, Dep. Geometría y Topología, Instituto de Matemática Interdisciplinar, Facultad de CC Matemáticas. Complutense University of Madrid. Madrid, Spain, November 21 – 24, 2017

დამატებითი ინფორმაცია

დასაბუქდად მიღებული ნაშრომები:

1. J. Sanikidze, M. Kublashvili, M. Mirianashvili. On A Question Of Application Of Direct Computatinal Methods To Numerical Solution Of Singular Integral Equations With Cauchy Kernel (Applied Mathematics, Informatics and Mechanics).
2. S. Chobanyan, S. Levental. The transference inequality in rearrangements of orthogonal series (Georgian Math. J.).

3. F. Criado-Aldeanueva, T. Davitashvili, H. Meladze. On One Generalization of Contact Problem for Poisson's Equation in Rectangular Area. (International Journal of Computer Mathematics)

დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები:

მონოგრაფია:

1. G. Giorgobiani. Rearrangements of Series. (J. Math. Sci., Springer, 123 p., 2017).

დოქტორანტების ხელმძღვანელობა:

1. ა. ყავრელიშვილი - "მომსახურების სფეროს ბიზნეს-პროცესების მართვის ავტომატიზება". დოქტორის აკადემიური ხარისხი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
2. მ. აბაშიძე - "არალოკალური სასაზღვრო ამოცანებისათვის ოპტიმალური მართვის ამოცანების ამოხსნის რიცხვითი ალგორითმები". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
3. ლ. ჩიქოვანი - "ფილტრაციის ზოგიერთი ამოცანის მათემატიკური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ალგორითმების აგება". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
4. თ. გაბაშვილი - "დისტანციური სწავლების ინდივიდზე ადაპტირებული სისტემების დიდაქტიკური ეფექტურობის კვლევა". საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
5. გ. ნიკოლაიშვილი - "ორკომპონენტური ნარევის დინამიკის მათემატიკური მოდელირება". საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
6. ა. ჩახვაძე - "ორკომპონენტური მყარი სხეულის რადიაციული გაფუების მათემატიკური მოდელირება". საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი (ხელმძღვ. ჰ. მელაძე);
7. მ. კუბლაშვილის - "მექანიკის ზოგიერთი ამოცანის რიცხვითი ამოხსნა". (ხელმძღვ. ზ. სანიკიძე).

სადისერტაციო კომისიის წევრობა:

1. არჩილ სურმავა. დოქტორის აკადემიური ხარისხი. ატლასის დეტექტორის ინფორმაციული მოდელის ანალიზის მეთოდების დამუშავება მოდელირების ამოცანისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017.10.27 (კომისიის წევრები - ვ. კვარაცხელია, გ. გიორგობიანი).
2. ლევან ლაბაძე. დოქტორის აკადემიური ხარისხი. ზოგიერთი სტოქასტური პროცესის პარამეტრების ძალდებული შეფასების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017.07.03 (კომისიის წევრი - გ. გიორგობიანი).

სასწავლო პროცესთან კავშირი 2017 წლის მანძილზე:

ინსტიტუტის 12 მეცნიერ-თანამშრომელი მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში:

- **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი:** პროფესორები - დ. უგულავა, ვ. კვარაცხელია, ვ. ტარიელაძე; ასოცირებული პროფესორები - ე. აბრამიძე, ზ. სანიკიძე, მ. ნაჭყებია; მოწვეული პროფესორები - ს. ჩოხანიანი, გ. ბალათურია.
- **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ვ. კვარაცხელია (პროფესორი), მ. მენტეშაშვილი (ასოცირებული პროფესორი), მ. ნაჭყებია (ასისტენტ-პროფესორი).
- **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET):** ს. ჩოხანიანი (პროფესორი).
- **საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:** ჰ. მელაძე (პროფესორი), გ. ცერცვაძე (მოწვეული პროფესორი).
- **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ჯ. სანიკიძე (მოწვეული პროფესორი).

მივლინებები:

- კომპიუტერული მეცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო კონფერენციის (CSIT' 2017) საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით 2017 წლის 25-29 სექტემბერს ერევანში (სომხეთი) CSIT 2017-შიმონაწილეობის მისაღებად და მოხსენებების წასაკითხად მივლინებულნი იყვნენ ინსტიტუტის თანამშრომლები: ვ. კვარაცხელია, გ. გიორგობიანი, ჰ. მელაძე და მ. მენტეშაშვილი.
- Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვ. კვარაცხელია მიმდინარე წლის 2-დან 9 დეკემბრამდე ლექციების წასაკითხად იყო მივლინებული დებრეცენის უნივერსიტეტში (უნგრეთი).
- დებრეცენის უნივერსიტეტის (უნგრეთი) მათემატიკის ინსტიტუტის მიწვევით ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. მენტეშაშვილი თავის უნგრულ კოლეგასთან სამეცნიერო სამუშაოების ჩასატარებლად მიმდინარე წლის 2-დან 9 დეკემბრამდე იყო მივლინებული დებრეცენის უნივერსიტეტში.
- მადრიდის (ესპანეთი) კომპლუტენსეს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის გეომეტრიის და ტოპოლოგიის დეპარტამენტის მიწვევით ვ. ტარიელაძე და გ. გიორგობიანი ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების ჩასატარებლად მიმდინარე წლის 20-დან 25 დეკემბრამდე იყვნენ მივლინებული კომპლუტენსეს უნივერსიტეტში.
- კრაკოვის (პოლონეთი) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის მიწვევით გ. ბალათურია ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების ჩასატარებლად მიმდინარე წლის 7 ივნისიდან 26 ივლისამდე და 2 დეკემბრიდან 2018 წლის 5 იანვრამდე მივლინებული იქნა კრაკოვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. თანამშრომლობა შეეხება დიფერენციალური განტოლებების ჯგუფური ანალიზის საკითხებს. კერძოდ, გარკვეული სიმეტრიების საშუალებით კერძო ამონახსნების პოვნის მეთოდებს რადგან რეალური ფიზიკური პროცესების კვლევისას ხშირად არ არის აუცილებელი ზოგადი ამონახსნის აგება, არამედ საჭიროა გარკვეულ დამატებით პირობების არსებობის შემთხვევაში კერძო ამონახსნის პოვნა. ასევე თანამშრომლობა შეეხება სხვადასხვა ამოცანების დასმის კორექტულობასა და ამონახსნების მდგრადობის საკითხებს. ასევე, გაგრძელდა თანამშრომლობა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ ზბიგნევ პერაძინსკისთან თემაზე „k-ჯერადი ტალღები არაწრფივი დი-

ფერენციალური განტოლებებისათვის“. თანამშრომლობა ეხება არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ინტეგრებადობის საკითხებს ზოგადად და იმ არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების გარკვეული კლასის აგებას, რომელთათვისაც ამონახსნები წარმოიდგინება 3-ჯერადი და, ზოგადად, k -ჯერადი ტალღების ფორმით. ამ თემაზე მომზადებულია სტატია, G. Baghaturia, Z. Peradzynski. On k -tuple waves for the second order quasilinear hyperbolic equation.

უმაღლესი განათლების პროგრამის სააკრედიტაციო ექსპერტთა ჯგუფის წევრობა:

1. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამის სახელწოდება - მათემატიკის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა. თბილისი, 2017. ექსპერტთა ჯგუფის წევრი - გ. გიორგობიანი.
2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროგრამის სახელწოდება - ფინანსური მათემატიკა. ბათუმი 2017. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - გ. გიორგობიანი.

ინსტიტუტი ტექნოლოგიები

2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში

დირექტორი - ნელი მახვილაძე, ტექნიკის აკადემიური დოქტორი

სამეცნიერო პერსონალური შემადგენლობა:

ჩუბინიშვილი თეიმურაზი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - განყოფილების ხელ.
ჩოხანიანი ლევონ	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - განყოფილების ხელ.
გოგოძე იოსები	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
წოწკოლაური ფიქრია	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
კოპალეიშვილი მადონა	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
მახვილაძე ნელი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ჩხაიძე ნანი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
პავლოვიჩი ევა	მეცნიერი თანამშრომელი
მისაბიშვილი ეკატერინე	მეცნიერი თანამშრომელი
ბედინაშვილი ირინე	მეცნიერი თანამშრომელი
თავხელიძე ვალერი	მეცნიერი თანამშრომელი

2015-2019 წლების პროგრამა: ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პროცესების აღწერის, მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით ინტეგრირებული საინფორმაციო ანალიზური სისტემის ფორმირება (განვითარება), გაძლიერება და შესაბამისი სტატისტიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიურ (IT) საშუალებათა შემუშავება

I.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I.1.1

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელები	პროექტის შემსრულებლები
1	მიმართულება I: სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა პროექტი: სამეცნიერო საქმიანო-	თეიმურაზ ჩუბინიშვილი ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზ.-მათ. აკადემიური დოქტორი	მ. კოპალეიშვილი, ი. ქობულაშვილი, თ. მაღლაკელიძე, ი. ბედინაშვილი, დ. გაბუნია, დ. დუმბაძე,

	<p>ბის აღმწერი ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტექნოლოგიური პროცედურების სრულყოფა(მოდერნიზაცია). (მე-2 ეტაპი)</p>	<p>ნელი მახვილაძე ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი</p>	<p>ე. პავლოვიჩი, ე. მისაბიშვილი, ნ. შოთაშვილი, ნ. ჩხაიძე, ნ. ბაჩილავა, მ. ლებედევა, მ. ლოღელიანი, ლ. ახვლედიანი, მ. თათარაშვილი, მ. წიკლაური, ა. ბერიძე, ალ. ფაცაცია, ნ. მეიფარიანი.</p>
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>საანგარიშო პერიოდში ტექნიკის 2015-2019 წ.წ. პროგრამის მიმართულება I-ის (სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა) ფარგლებში შესრულებული სამუშაოები მიზნად ისახავდა:</p> <p>ა) პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კვლევითი პროექტების სახელმწიფო რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფის გამართვას და შესაბამის მონაცემთა ბაზის განთავსებას ინტერნეტ ქსელში;</p> <p>ბ) ტექნიკის მოქმედ მონაცემთა ბაზების აქტუალიზაციას, აგრეთვე შევსება-განახლების და ინფორმაციის გამოტანის პროცედურების დახვეწას;</p> <p>გ) სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული მოდელის ფორმირება.</p> <p>ქვემოთ მოყვანილია 2017 წელს შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობის აღწერა და შედეგები.</p> <p>საქართველოს სამეცნიერო პროდუქციისა და მეცნიერ-ექსპერტთა მონაცემთა ბაზების აქტუალიზაცია-ექსპლოატაცია შემუშავებული (მოდერნიზებული) ტექნოლოგიების საფუძველზე და საინფორმაციო ქსელებში მათი განთავსება</p> <p>სამუშაოთა ამ ნაწილის 2017 წლის გეგმა ითვალისწინებდა შემდეგი საკითხების განხილვას:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო კვლევების რეგისტრაციის სისტემის გამართვა და კვლევების მონაცემთა ბაზის ექსპლოატაცია სტუ-ში მიმდინარე და დასრულებული კვლევების საფუძველზე; - პუბლიკაციების მონაცემთა ბაზის შევსება-განახლება, გაძლოლა, განთავსება ტექნიკის საიტზე; - მეცნიერ-ექსპერტთა მონაცემთა ბაზის პირველადი ინფორმაციის მოზიდვა და ბაზის შევსება-განახლება, განთავსება ტექნიკის საიტზე. <p>სამეცნიერო კვლევების რეგისტრაციის სისტემის გამართვა და კვლევების მონაცემთა ბაზის</p>			

ექსპლოატაცია სტუ-ში მიმდინარე და დასრულებული კვლევების საფუძველზე მიზნად ისახავდა კვლევითი პროექტების სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემის და მონაცემთა ბაზის ფუნქციონირების პროცედურების გამარტივებას 2016 წლის და საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ჩატარებული საცდელი ექსპლოატაციის შედეგების საფუძველზე. კერძოდ, ინფორმაციული უზრუნველყოფის დახვეწას, პროგრამულ საშუალებათა კორექტირებას, კვლევითი პროექტების მონაცემთა ბაზის საპილოტე ვერსიის განთავსებას ტექნიკური საიტზე და სისტემის დანერგვის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავებას.

კვლევების რეგისტრაციის სისტემის და შესაბამის მონაცემთა ბაზის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითადი შემადგენელია სარეგისტრაციო ინფორმაციის (პირველადი ინფორმაციის) მონაცემები. საცდელი ექსპლოატაციის პროცესში მოხდა მათი საბოლოო სტრუქტურის დადგენა, რაც დამოკიდებულია კვლევების რეგისტრაციის მოთხოვნებსა და მონაცემთა ბაზის დანიშნულებაზე. მაგალითად, მიმდინარე საცდელმა ექსპლოატაციამ აჩვენა პროექტის მეცნიერ-შემსრულებელთა სრული შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები მოხდა კვლევების სარეგისტრაციო ინფორმაციის საწყის მონაცემების სტრუქტურაში. კერძოდ, დაემატა ველი „სამუშაოს შემსრულებლები“ (წინა ვარიანტში ფიგურირებდა მხოლოდ სამუშაოს ხელმძღვანელი). ეს მონაცემი მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა პროექტზე ყველა მომუშავეს იდენტიფიცირების საშუალებას. ამჟამად მიმდინარეობს ბაზაში ადრე დაფიქსირებული ყველა ჩანაწერის შევსება ამ მონაცემებით.

კვლევების რეგისტრაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე კვლევითი პროექტის რეგისტრაციის ციფრული იდენტიფიკატორის არსებობა. იმის გამო, რომ ამჟამად საქართველოში აღარ არსებობს სამეცნიერ-კვლევითი პროექტების სახელმწიფო რეგისტრაცია, პირველადი ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს რეგისტრაციის შესახებ. ამიტომ ბაზის ჩანაწერებში შესაბამისი ველი ცარიელია. მიუხედავად ამისა, საანგარიშო წელს ტექნიკურმა დაიწყო მონაცემთა ბაზაში ფიქსირებული ყველა კვლევითი პროექტისათვის სარეგისტრაციო ციფრული ინდიკატორის-სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება. ეს პროცესი წარიმართა ტექნიკურში ადრე შემუშავებული წესის მიხედვით, რომელშიც შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, განახლებულია ცხრანიშნა რეგისტრაციის ციფრული ინდიკატორის სტრუქტურა. კორექტირებული ინდიკატორის სტრუქტურა ასეთია: პირველი ოთხი ციფრი აღნიშნავს კვლევითი სამუშაოს დაწყების წელს, შემდეგი ორი ციფრი აღნიშნავს კვლევის დაფინანსების სახეობის კოდს (რაც წინა ვერსიაში არ არსებობდა) 01- სახელმწიფო ბიუჯეტით შესრულებული სამუშაო, 02- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსება, 03- დაფინანსების სხვა წყარო. ბოლო სამი ციფრი განსახილველი წლის განმავლობაში რეგისტრირებული კონკრეტული კვლევითი პროექტის რიგითი ნომერია.

ამჟამად მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულ კვლევითი პროექტის აღმწერი ინფორმაციის სტრუქტურა ასეთია: სამუშაოს დასახელება (ქართულად, ინგლისურად), რეგისტრაციის

ციფრული იდენტიფიკატორი (სარეგისტრაციო ნომერი), სამეცნიერო კვლევის კატეგორია, კვლევის მიმართულება, საკვანძო სიტყვები (ქართულად, ინგლისურად), სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს რეფერატი (ქართულ და ინგლისურ ენაზე), სამუშაოს დაწყება-დამთავრების წლები, დაფინანსების წყარო, ბიუჯეტი, ინფორმაცია ძირითადი და თანამონაწილე ორგანიზაციების შესახებ (ორგანიზაციის დასახელება, ქალაქი, საკონტაქტო მონაცემები), ინფორმაცია კვლევითი სამუშაოს ხელმძღვანელის და შემსრულებლების შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საცდელი ექსპლოატაციის პროცესში გამოიკვეთა კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ხელის შემშლელი გარე ფაქტორები. სამუშაოთა წინა ეტაპების ანგარიშებში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული ეს ფაქტორები და მათი აღმოფხვრის საშუალებები. მაგალითად, წარმოდგენილი პროექტების აღწერილობათა ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემების დაბალი ხარისხი, როგორცაა კვლევის რეზიუმე, მისი ინგლისური თარგმანი, კვლევის მიმართულების საკლასიფიკაციო კოდი და სხვ. ამ ხარვეზთა აღმოფხვრა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს. აუცილებელია საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების დაცვა, რაც ხალს შეუწყობს კვლევების არსის ადეკვატურ წარმოდგენას.

ხელისშემშლელ გარე ფაქტორთა შორის, აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს სისტემის მუშაობაში ყველაზე შრომატევადი და ორგანიზაციულად რთულად მოსაგვარებელი საკითხი, როგორცაა კვლევითი პროექტების აღმწერი პირველადი ინფორმაციის მოძიება-მოპოვების პროცედურები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს სამეცნიერო საქმიანობის სფეროში ადრე არსებული საინფორმაციო ნაკადების ფორმირების, მათ შორის კვლევითი პროექტების, რეგისტრაციის სახელმწიფო სისტემა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კვლევების საფუძველზე კორექტირებული იქნა სარეგისტრაციო კვლევითი პროექტების აღმწერი მონაცემთა სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შემავალი ინფორმაციის ფორმირების წესი; დაიხვეწა გამომავალი ინფორმაციის მიღების პროცედურა და რეზულტატის წარმოდგენის სტრუქტურა და ფორმა; დაზუსტდა კვლევითი პროექტის რეგისტრაციის on-line რეჟიმში ჩატარების ინსტრუქცია. შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე რეგისტრაციის, მონაცემთა ბაზის შევსება-განახლების, ინფორმაციის ძიების, გამომავალი დოკუმენტების ფორმირების პროგრამულ უზრუნველყოფაში.

გადაიხედა მომხმარებლის ბაზასთან ურთიერთობის პროცედურა. ასე მაგალითად ძიების პროცესი შეიცავდა სამ ვარიანტს: მცირე ძიება, გაფართოებული ძიება, ამორჩევითი ხასიათის ძიება. ძიების წარმოების ჩამოთვლილი ფორმები ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ძიების ახლად შემუშავებული ვარიანტი შესაძლებლობას იძლევა სწრაფად განხორციელდეს ძიების პროცესი და ძიების შედეგი (მოძიებული ინფორმაცია) წარმოდგინდეს უფრო დახვეწილი ფორმით.

რეგისტრაციის სისტემის საცდელი ექსპლოატაციის პროცესში დაფიქსირებულია 35 ინსტიტუტის 1990-2017 წლებში დასრულებული 1247 კვლევითი პროექტი, აგრეთვე გარდამავალი პროექტები (რომლებზეც მუშაობა ჯერ არ არის დასრულებული). ძირითადად ეს პროექტები წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემავალ სამეცნიერო-კვლევითი

ორგანიზაციების მიერ შესრულებულ კვლევებს, ასევე სხვა უნივერსიტეტებში შემაჯავლი რიგი ინსტიტუტების (რომელთაგან შესაძლებელი იყო სამეცნიერ-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების გამოთხოვა) და ტექნიფორმის საინფორმაციო ფონდებში არსებულ ინფორმაციას კვლევითი პროექტების შესახებ.

პუბლიკაციების მონაცემთა ბაზის შევსება-განახლება და გაძლიერება ქრჟ-ს ელექტრონული ვერსიის საფუძველზე (საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების მონაცემთა ბაზის მოდერნიზაცია). საანგარიშო წელს ტექნიფორმში რეფერატული ჟურნალის (ქრჟ) ელექტრონული ვერსიის საფუძველზე შემუშავებული საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების რეტროსპექტიული მონაცემთა ბაზის შევსება-განახლების სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზის მომსახურებისა და ექსპლოატაციის პირობების გაუმჯობესების (გამარტივების) სამუშაოები. კერძოდ, მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება ქრჟ-ში ადრე გამოყენებული სამეცნიერო მიმართულებათა საკლასიფიკაციო კოდების შეცვლა, ანუ პუბლიკაციებისთვის ადრე მინიჭებული სამეცნიერო მიმართულების საკლასიფიკაციო კოდების (ინდექსების) ჩანაცვლება OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევების კლასიფიკატორის კოდებით. სამწუხაროდ, რეკოდირების პროცესი რამდენადმე გაჭიანურდა. ამის მიზეზი იყო რეკოდირების წარმართვისათვის კოდების გადამყვანი საშუალების არარსებობა. 2015 წელს შემუშავებული კოდების გადამყვანი მატრიცა, რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევს რეკოდირების პროცესს, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ძველი და ახალი კოდების ურთიერთცალსახა შესაბამისობას, რადგან ეს კლასიფიკატორები სხვადასხვა პრინციპებზეა დაფუძნებული, მით უმეტეს, რომ ქრჟ-ში სხვადასხვა წელს სხვადასხვა კლასიფიკატორები იყო გამოყენებული. ამიტომ რეკოდირების პროცესში ხშირად აუცილებელი ხდება პუბლიკაციების ავტორებთან კონსულტირება (და არამარტო მათთან).

გრძელდება 2000-2007 წლებში გამოქვეყნებული სტატიების ელექტრონული ფონდის ჩანაწერების მონაცემთა ბაზაში ჩატვირთვის სამუშაოები. ამასთან დაკავშირებით საანგარიშო წელს შემუშავდა ქრჟ-ში გამოქვეყნებული სტატიების ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული ჩანაწერების ტექსტური ფაილების PHP ფორმატში გადაყვანის ისეთი საშუალება, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ ინფორმაციის ჩატვირთვის მონაცემთა ბაზის ჩანაწერების სტრუქტურულ ველებში.

დაიხვეწა გამომავალი ინფორმაციის მიღების პროცედურა, შეიცვალა ბაზაში ჩატარებული ძიების რეზულტატების წარმოდგენის სტრუქტურა და ფორმა.

2017 წელს დასრულდა ქრჟ-ში 2008 წლიდან 2017 წლის ოქტომბრამდე გამოქვეყნებული ყველა სტატიის ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული მონაცემების ბაზაში ჩატვირთვა. ამჟამად მთავრდება ქართული რეფერატული ჟურნალის ბოლო ნომერში ასახული პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული მონაცემების დამუშავება და ბაზაში ჩატვირთვა. სულ საანგარიშო წელს ბაზაში ჩაიტვირთა 7480 ჩანაწერი და 2017 წლის ბოლოს ჩანაწერთა რაოდენობამ 13480-ს მიაღწია. ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს თავისუფალ რეჟიმში ისარგებლოს ტექნიფორმის ინტერნეტ-საიტზე განთავსებულ პუბლიკაციების განახლებულ მონაცემთა ბაზით.

მეცნიერ-ექსპერტთა მონაცემთა ბაზის პირველადი ინფორმაციის მოზიდვა და ბაზის შევსება-განახლება. ქართველ მეცნიერ-ექსპერტთა მონაცემთა ბაზა შეიცავს მონაცემებს წამყვანი სპეციალისტების შესახებ მეცნიერების, ტექნოლოგიების და ბიზნესის სფეროში, რომლებსაც მოცემულ თემატიკაში ექსპერტების როლის შესრულება შეუძლიათ. ქართული მეცნიერების და ტექნიკური მიღწევების პოპულარიზაციის, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, მონაცემთა ბაზა ქართულ და ინგლისურ ენებზეა. ბაზაში მონაცემები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროების კლასიფიკატორის (FOS) მიხედვით.

2017 წელს გრძელდებოდა მუშაობა მონაცემთა ბაზის ახალი მონაცემებით შევსებაზე და მონაცემთა ბაზის დემო ვერსიის ტესტირებაზე. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ექსპერტების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხელახალი ინდექსირება OECD-ის კლასიფიკატორის მეორედან მესამე (უფრო დეტალურ) დონეზე.
- OECD-ის კლასიფიკატორის ქართულ ვერსიაში ტერმინოლოგიური ცვლილებების შეტანა სპეციალისტებთან კოორდინირებით.
- 2017 წელს მიღებული ახალი ანკეტების (35 ანკეტა) დამუშავება (საჭირო მონაცემების დაზუსტება, ინგლისურად თარგმნა, ინდექსირება და შეყვანა ბაზაში).
- მონაცემთა ბაზაში დემო ვერსიის ტესტირების შედეგად წარმოქმნილი პროგრამული ცვლილებების შეტანა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მისი ფაკულტეტების, ცენტრების და ინსტიტუტების თანამშრომლების პუბლიკაციების ციტირების ინდექსის დადგენის 2017 წელს შემოსული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით გამოვლინდა 100-ზე მეტი წამყვანი მკვლევარი - პოტენციური ექსპერტი მონაცემთა ბაზისთვის. ამასთან დაკავშირებით დაიწყო ბაზისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება.

ამჟამად, მონაცემთა ბაზაში არის 120 ჩანაწერი ექსპერტების შესახებ.

საინოვაციო წინადადებების (პროექტების) მონაცემთა ბაზის ფორმირება. 2017 წელს შემუშავდა საინოვაციო წინადადებების (პროექტების) მონაცემთა ბაზის თემატიკური რუბრიკატორი. განხილული იქნა OECD-FOS, Essential Science Indicators, SCOPUS, WoS და რუსთაველის ფონდის რუბრიკატორები, რომლებიც უმეტესწილად წმინდა სამეცნიერო დარგებს ასახავენ. მოცემული ბაზისთვის შემუშავდა ზემოხსენებული რუბრიკატორების საფუძველზე ახალი თემატიკური რუბრიკატორი, რომელიც უკეთ ასახავს ინოვაციების და ტექნოლოგიების თემატიკას. ამჟამად რუბრიკატორში ასახული მიმართულებები შემდგომში გაიზრდება მოწოდებული ტექნოლოგიების თემატიკის და მოთხოვნილების შესაბამისად.

ამჟამად შექმნილია და ტექნიფორმის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულია ტექნოლოგიების და საინოვაციო წინადადებების მონაცემთა ბაზა ქართულ ენაზე, ხოლო უახლოეს პერიოდში ხელმისაწვდომი იქნება მისი ინგლისური ვერსია. 2017 წელს ბაზას შეემატა 83 ახალი ჩანაწერი, სულ მოთავსებულია 711 საინოვაციო წინადადება და ტექნოლოგია, რომელთა შევსება

პერმანენტულად გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ 2017 ისევე როგორც წინა წლებში მოპოვებული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მოდის გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე, რომლის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საჯაროა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს გასულ წლებთან შედარებით უფრო მეტმა კვლევითმა ორგანიზაციამ წარმოადგინა თავისი ტექნოლოგიები. მოსალოდნელია, რომ ტექნიკორმის ახალი ინტერნეტ-გვერდის ამუშავებასთან ერთად შესაძლებელი გახდება ქართველი სპეციალისტების უფრო მეტად დაინტერესება მათი ინოვაციების და ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებაში. მონაცემთა ბაზის ინგლისური ვერსიის ინტერნეტში განთავსებით ახლო მომავალში იგეგმება ტექნიკორმის პარტნიორების ბელორუსიდან და უკრაინიდან საინოვაციო წინადადებების და ტექნოლოგიების ურთიერთ-გამოქვეყნება, რაც გათვალისწინებულია ბელორუსის ტექნოლოგიების ტრანსფერის რესპუბლიკურ ცენტრთან, უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის და ინფორმაციის ინსტიტუტთან და ასევე ბელორუსის სისტემური ანალიზისა და სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს საინფორმაციო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით.

2017 წლის განმავლობაში ხდებოდა უცხოელ მეწარმეთა და ინვესტორთა, ქართველ სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების გაცნობისა და შემდგომში ქართველ ავტორებთან თანამშრომლობით დაინტერესების მიზნით, საზღვარგარეთის ბიზნეს-პორტალებში და ქსელებში ტექნოლოგიური და საინოვაციო წინადადებების განთავსება. მაგალითისათვის, უცხოელი პარტნიორები დაინტერესდნენ, შპს „დემეტრას“, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, ინდივიდუალური გამომგონებლების შ. კოკოჩაშვილის და გ. კოკოჩაშვილის, ზ. ჭავჭავანიძის გამოგონებებით, ხოლო მოლდოვას სასოფლო მეურნეობის კულტურების მეცნიერებათა ინსტიტუტი „Porumbeni“ ტექნიკორმის მეშვეობით დაინტერესდა ი. ჯავახიშვილის თსუ-ს ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მცენარეთა ზრდის ტექნოლოგიით „ბიორაგი“ და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით მიაწოდა საცდელად ინსტიტუტ Porumbeni-ს ჰიბრიდული სიმინდის თესლი.

ტექნოლოგიების ტრანსფერისა და ინოვაციების გავრცელების ხელშემწყობი ორგანიზაციების ელექტრონული კატალოგის (ცნობარის) ფორმირება. ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების თემატიკით დაინტერესებულ პირთათვის, შეიქმნა და ინტერნეტ - გვერდზე, რუბრიკაში „ჩვენი რესურსები“ განთავსდა ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელების კატალოგი. იგი მოიცავს არა მარტო მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელებს, არამედ ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობ ორგანიზაციებსაც. ამჟამად ელექტრონული კატალოგი შეიცავს 83 მისამართს. მიმდინარეობს ამ სფეროში ახალი ინფორმაციის და მისამართების მოძიება და კატალოგის გაფართოება.

ამასთან დაკავშირებით, სასარგებლო გამოდგა მონაწილეობა საქართველოში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მიერ ორგანიზებულ ბავარიის ეკონომიკურ-პოლიტიკური დელეგაციის ვიზიტისადმი მიძღვნილ ეკონომიკურ ფორუმში, კერძოდ, საზღვარგარეთ (გერმანია) ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელებთან კონტაქტის დასამყარებლად გერმანელი სპეციალის-

ტების მიერ მიღებულ იქნა სასარგებლო რჩევები.

ქართული რეფერატული ჟურნალის ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების მომზადება და გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული რეფერატული ჟურნალი ტექინფორმში 2000 წლიდან გამოდის. ეს ერთადერთი რეფერატული ჟურნალია საქართველოში. მასში შესულია 100-მდე დასახელების სამეცნიერო-ტექნიკური დარგის პერიოდული გამოცემები. დღითიდღე იზრდება ქრჟ-ში განთავსების სურვილის მქონე სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა.

2017 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ქართული რეფერატული ჟურნალის ორი ნომრის გამოცემა - #17(29) და #18(30). შესაბამისად განხორციელდა ტექინფორმში შემოსული პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების თავმოყრა, აღრიცხვა, გადარჩევა, შენახვა; აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად რიგ შემთხვევებში აუცილებელი გახდა ჟურნალის რედაქტორებთან დაკავშირება და ელექტრონული ვარიანტის გამოთხოვა; ასევე განხორციელდა სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდული ჟურნალების მოძიება ინტერნეტში; შემოსული ჟურნალების დამუშავება; დამუშავებული რეფერატების რედაქტირება და გაფორმება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით; ავტორთა და საგნობრივი საძიებლის გაკეთება. ასევე, თითოეულ გამოცემაში შესული სამეცნიერო ჟურნალის უკვე არსებული აღწერილობის გადამოწმება-რედაქტირება ან ახლის შექმნა.

ქართული რეფერატული ჟურნალის 2017 წლის #17(29) პოლითემატურია. მასში ასახულია 26 სამეცნიერო-პერიოდული ჟურნალი, სულ შესულია 481 სტატიის რეფერატი, სადაც თითოეულს მინიჭებული აქვს OECD-ს კლასიფიკატორის რუბრიკა. ასევე, გაკეთებულია ავტორთა და საგნობრივი საძიებელი. აღნიშნული გამოცემა ელექტრონული ჟურნალის სახით განთავსებულია ტექინფორმის საიტზე www.tech.caucasus.net. ქართული რეფერატული ჟურნალის 2017 წლის #18(30) თემატურია და მოიცავს აგრარულ მეცნიერებებს. აღნიშნულ გამოცემაში რუბრიკები დალაგებულია OECD-ს კლასიფიკატორის შესაბამისად სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით.


ამ ტომისთვის საგანგებოდ შეირჩა სოფლის მეურნეობის ჟურნალები, ასევე ის სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც ერთ-ერთ თემატიკას აგრარული მეურნეობა წარმოადგენდა. განხორციელდა ასეთი გამოცემებიდან სტატიების ამორჩევა და თავმოყრა, როგორც ბეჭდური ჟურნალებიდან, ასევე ელექტრონული გამოცემებიდან. სულ დამუშავდა 25 დასახელების ჟურნალი, ხოლო სტატიების რეფერატების რაოდენობაა 192. ეს ტომი რედაქტირებული და განთავსებულია ტექინფორმის საიტზე www.tech.caucasus.net.

I.1.2

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიმართულება II: სამეცნიერო და ინოვაციური სფეროების მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების	იოსებ გოგოძე ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების	ი. გოგოძე ი. ქობულაშვილი ნ. შოთაშვილი

<p>შეფასება სტატისტიკურ-მათემატიკური მოდელების მეთოდების გამოყენებით.</p> <p>თემა: საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება. (ეტაპი III):</p> <ul style="list-style-type: none"> - GII (Global Innovation Index) ინდიკატორის მონაცემთა ბაზის სრულყოფა. - საქართველოს ინოვაციური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. 	<p>განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი</p>	
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>		
<p>GII ინდიკატორის მონაცემთა ბაზის სრულყოფა. GII (Global Innovation Index) ინდექსის შემუშავება და გამოქვეყნება ხორციელდება INSEAD მიერ, Cornell University-სთან და WIPO-სთან თანამშრომლობით. 2011 წლიდან GII ინდექსი ექვემდებარება ყოველწლიურ აუდიტს, რომელსაც ახორციელებს ECJRC. 2014 წლის მდგომარეობით GII ინდექსი მოიცავს 145 ქვეყნის მონაცემებს, რომლებიც წარმოდგენილია 85 პირველად ინდიკატორის მეშვეობით. აღნიშნული ქვეყნები ფარავენ მსოფლიო მოსახლეობის 92.9% და მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 98.3%. GII ინდექსის შემუშავება მიზანად ისახავდა შექმნილიყო ინოვაციური შესაძლებლობების მონიტორინგის უნივერსალური და ჰარმონიზებული ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა არსებული ინოვაციური შესაძლებლობების ანალიზს, როგორც ცალკეული ქვეყნის დონეზე, ასევე გლობალური მასშტაბით. სამწუხაროდ, დღეისთვის GII ინდექსის მონაცემები წარმოდგენილი არ არის ელექტრონული სახით და მისი გავრცელება ხორციელდება მხოლოდ ბეჭდური სახით. საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების ანალიზისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში მათი პოზიციონირების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული GII ინდექსის მონაცემების წარმოდგენა ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზად. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა და მისი მეშვეობით განხორციელდა GII ინდექსის მონაცემთა გადატანა ბეჭდური ფორმატიდან (pdf) ელექტრონული ცხრილის ფორმატში (Excel). საანგარიშო პერიოდში განხორციელდა GII ინდექსის 2016 და 2017 წლების მონაცემთა გადმოტანა ელექტრონული ცხრილის ფორმატში, რაც სათანადო ვერიფიკაციის შემდეგ გაერთიანებული იქნება 2011-2015 წლების მონაცემებთან და წინა ეტაპებზე იქნა განხორციელებული.</p>		

საქართველოს ინოვაციური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი GII ინდექსის საფუძველზე იძლევა არსებითად იგივე დასკვნებს რაც წინა ეტაპებზე იქნა მიღებული და სავარაუდოდ მიუთითებს იმაზე, რომ GII ინდექსი საკმაოდ ინერციულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა დამატებითი ანალიზი ECI ინდექსის (ეკონომიკის კომპლექსურობის ინდექსი) მეშვეობით. განხორციელებულმა ანალიზმა აჩვენა (ნახ. 1), რომ 2017 წლის მდგომარეობით საქართველო 65-ე ადგილზეა (- 0.38) 124 ქვეყანას შორის თავისი ეკონომიკის კომპლექსურობის დონის მიხედვით. შედარებისთვის: ბელორუსი - 31(0.72), ესტონეთი - 32(0.70), ლიტვა - 34(0.58), ლატვია - 37(0.41), უკრაინა - 41(0.35), თურქეთი - 43(0.32), რუსეთის ფედერაცია - 49(0.03), მოლდოვა - 54(-0.11), აზერბაიჯანი - 118(-1.56). ქვემოთ მოყვანილია ECI ინდექსის მნიშვნელობები ქვეყნების მიხედვით:



ნახ. 1

<p>I.1.3</p>	<p>მიმართულება II: სამეცნიერო და ინოვაციური სფეროების მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების შეფასება სტატისტიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით.</p> <p>თემა: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მოდელების შემუშავება და ანალიზი მათემატიკური, სტატისტიკური და რიცხვითი მოდელირების მეთოდებით (ეტაპი III):</p> <ul style="list-style-type: none"> - ქვეყნების ინოვაციურ შესაძლებლობათა ურთიერთკავშირის კვლევა. 	<p>ი. გოგობე</p> <p>ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი</p>	<p>ი. გოგობე</p> <p>ი. ქობულაშვილი</p> <p>ნ. შოთაშვილი</p>
---------------------	---	--	--

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევითი სამუშაოს ამ ეტაპზე განხორციელდა ECI ინდექსისა (ეკონომიკის კომპლექსურობის ინდექსი) და GII ინდექსის (გლობალური ინოვაციური ინდექსი) კომპონენტებს (I11- I15 და I21- I22 ქვეინდექსები) შორის კავშირის პილოტური კვლევა. 113 ქვეყნის მონაცემების მიხედვით გაანალიზებულ იქნა GII-2015 ინდექსის ზემოთ აღნიშნული კომპონენტების კორელაციები ECI-2017 ინდექსთან და NRR (ნატურალური რესურსების რენტის ინდექსთან (2011-2015 წლების საშუალო). მიღებული შედეგები გვიჩვენებს (იხ. ცხრილი 1), რომ ნატურალური რესურსების რენტა მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაშია გლობალური ინოვაციური ინდექსის ყველა ზემოთ ხსენებულ კომპონენტთან და ამასთანავე გლობალური ინოვაციური ინდექსის ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტი ძლიერ კორელირებს ECI ინდექსთან. ECI-2017 ინდექსის და GII-2015 ინდექსის კომპონენტების რეგრესიული ანალიზის შედეგები მოტანილია ცხრილში 2.

ცხრილი 1


	I11	I12	I13	I14	I15	I21	I22
NRR	-0,337	-0,299	-0,109	-0,359	-0,433	-0,382	-0,397
ECI	0,2	0,788	0,420	0,637	0,795	0,807	0,732

თავის მხრივ, ECI-2017 ინდექსის და GII-2015 ინდექსის კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს 0.836 (იხ. აგრეთვე ნახ. 2), რაც იმაზე მიუთითებს რომ საკმაოდ კარგი სიზუსტით ეს ორი ინდექსი ურთიერთთანაცვლებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ცხრილი 2

<i>ECI regression</i>	<i>Coefficients</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>
Intercept	-2,36186	-2,87650	-1,84723

I11	0,01142	-0,00043	□,02326
I12	0□01272	-0,□0123	0,02667
I13	0,00141	-0,00637	0,00919
I14	-0,01187	-0,02775	0,00402
I15	0,02560	0,00488	0,04631
I21	0□0□971	0,01462	0,04479
I22	-0,00151	-0,01765	0,01463
<i>Regression Statistics</i>			
R Square	0,738066538		
Adjusted R Square	0,720604307		
Standard Error	0,52446046		
Observations	113		



ნახ. 2. ECI და GII ინდექსებს შორის ურთიერთკავშირი

I.1.4

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელები	პროექტის შემსრულებლები
1	მიმართულება IV. აგრარული სფეროს მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საინფორმაციო-ანალიზური სისტემის ფორმირება (განვითარება).	ნელი მახვილაძე ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,	ლ. ჩოხანიანი, მ. ლებედევა, ე. პავლოვიჩი, ც. დოსმიშვილი, ა. ბერიძე,

<p>აგრარული სფეროს საინფორმაციო-ანალიზური სისტემის საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შემუშავება FAO CIARD სტანდარტებისა და დებულებების საფუძველზე (მე-III ეტაპი)</p>	<p>ტექნიკის აკადემიური დოქტორი</p>	<p>ნ. ჯავახაძე.</p>
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>		
<p>აგრარული სფეროს საინფორმაციო სისტემის განვითარების მიმართულება მოიცავს აგრარული სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში წვდომის გაფართოებას და გაუმჯობესებას, აგრეთვე საქართველოში შიდა საინფორმაციო ქსელის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს.</p> <p>აგრო საინფორმაციო საერთაშორისო ქსელებთან ურთიერთობა. აგრარული მიმართულებით ტექნიკის საკმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი მუშაკების, მეცნიერების და სპეციალისტების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო აგროქსელის საინფორმაციო რესურსების გამოყენებაა. ამ მიზნით ტექნიკის ჩართულია აგრარული ინფორმაციის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აგროქსელის საინფორმაციო სისტემებში, როგორცაა FAO, CIARD, CIARD RING, FAO AGRIS და სხვ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროექტის (Coherence in Information for Agricultural Research for Development) CIARD-ის სისტემის ათვისებას, რომელიც გაეროს სურსათისა და ს/ს საერთაშორისო ორგანიზაციის FAO-სა და გლობალური ფორუმის GFAR-ის შეთანხმებით შეიქმნა.</p> <p>CIARD-ის სტანდარტების გამოყენება უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვების ორგანიზებას და აგრარული სფეროს ინფორმაციის მონაცემთა ბაზებთან და ქსელურ რესურსებთან წვდომას. ძირითადი რესურსები ხელმისაწვდომია CIARD RING-ის სისტემის მეშვეობით. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო სამეცნიერო სისტემის AGRIS-ის რესურსებში თავისუფალ წვდომას (ხელმისაწვდომობას). უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ტექნიკის ერთადერთი ორგანიზაციაა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც თავის საინფორმაციო რესურსებს განათავსებს CIARD RING-ში. გარდა ამისა, ტექნიკის მიერ ათვისებულია AGRIS-ის სისტემის სტანდარტები. მათ საფუძველზე და AGRIMETAMAKER სისტემის გამოყენებით ინსტიტუტი ახორციელებს საქართველოს მეცნიერთა სამეცნიერო შრომების ექსპორტს AGRIS-ის სისტემაში და ის AGRIS-ის ქსელში წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში არსებულ ორი ცენტრიდან ერთ-ერთს. მიმდინარე წელს ტექნიკის მოამზადა საქართველოს მეცნიერთა 60 პუბლიკაცია AGRIS-ის ბაზაში განსათავსებლად. ტექნიკის საიტზე tech.caucasus.net/agris განთავსდა 38 დოკუმენტის სრული ტექსტი, რომელთა ბიბლიოგრაფიული აღწერები განთავსებულია AGRIS-ის მონაცემთა ბაზაში და გააჩნიათ ლინკი ტექნიკის საიტზე (სტატიათა სრულ ტექსტებზე).</p> <p>სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა GODAN (Global Open Data in Agriculture and Nutrition) პროექტში მონაწილეობას. GODAN-ის პროექტის განხორციელებ-</p>		

ბის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს G8-ის სამიტზე მსოფლიოში სურსათის წარმოების კატასტროფული უკმარისობის გამო. 2017 წელი განიხილება როგორც GODAN-ის ფარგლებში ინფორმაციის აქტიური შეგროვებისა და წარდგენის პირველი წელი. მიმდინარე წელს ორგანიზაციათა მიერ Open Data for Development (OD4D) Network, Open Data Charter და the Open Data Institute ჩაშვებულ იქნა ახალი პროექტი **Agricultural Open Data Package**. GODAN-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა საკლასიფიკაციო სისტემა, რომლითაც განისაზღვრება ერთდროულად როგორც რესურსის თემატიკა, ასევე ამ რესურსებით დაინტერესებული მიზნობრივი ჯგუფები. ტექნიფორმი ატარებს ღონისძიებათა კომპლექსს GODAN-ის პროექტში ჩართვისთვის, კერძოდ, ჩატარდა ტექნიფორმის ს/ს სფეროში რესურსების რეკლასიფიცირება **Agricultural Open Data Package**-ს კლასიფიკატორის შესაბამისად. GODAN-ის პროექტში სრულფასოვანი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ამ პროექტის მონაცემთა ბაზებში ძიების ჩატარებას, და აგრეთვე დოკუმენტთა სრულ ტექსტებთან თავისუფალ წვდომას, რომლებიც რეალიზებულია GODAN-ის მიერ.

დღეისათვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა წვდომა FAO-ს მონაცემთა ბაზებთან. ეს არის 34 მონაცემთა ბაზა 11 ძირითადი კატეგორიით: წარმოება, ვაჭრობა, კვების პროდუქტები, სასურსათო ბალანსი, სასაქონლო ბალანსი, ფასები, რესურსები, მოსახლეობა, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, ინვესტიციები და მეტყევეობა. ინსტიტუტმა Open Data Institute - შექმნა პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სფეროს სხვადასხვა რესურსებთან წვდომას: ტექნიფორმის სპეციალისტთა მთავარი ამოცანაა ს/ს ინფორმაციის ცენტრებთან ერთად უზრუნველყონ ღია წვდომის ინფორმაციის ეფექტური გამოყენება.

აგროსაინფორმაციო შიდა ქსელის მომსახურება. აგროსფეროს საერთაშორისო ქსელებში წვდომა და ტექნიფორმის ჩართულობა განსაზღვრავს შიდა აგროქსელის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერსპექტივას. ამასთან დაკავშირებით გრძელდება აგროსაინფორმაციო ქვეყნის შიდა ქსელის მომსახურება. მომზადდა FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ფონდის ლიტერატურის რეფერატები ბიულეტენის სახით, რომელიც დაეგზავნა ქსელის აბონენტებს, საკონსულტაციო ცენტრებს, მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. გარდა ამისა ამ ქსელის მომხმარებლებს სისტემატურად მიეწოდებათ DWVG-ის (გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება საქართველოში) აგრობიზნესის ბიულეტენი, რომელიც ითარგმნება ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ამავე დროს ქვეყნდება ტექნიფორმის საიტზე. ქსელის გაფართოების მიზნით ტექნიფორმს აქვს შეთანხმება ფონდ „აფხაზინტერკონტან“, რომლის მომსახურება მოიცავს რაჭა-ლეჩხუმის, ცაგერის, ქვემო სვანეთის და იმერეთის რაიონების საინფორმაციო და ფერმერულ ცენტრებს, კოოპერატივებს.

FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. 2017 წელს გაგრძელდა სამუშაოები FAO-ს გამოცემების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზის შესაქმნელად. აღნიშნული გამოცემები დაცულია ტექნიფორმში FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ფონდში. (2000 წლიდან ტექნიფორმს მინიჭებული აქვს FAO-ს ნაციონალური სადეპოზიტო ბიბლიოთეკის სტატუსი). დღეისათვის ბიბლიოთეკა 2000-ზე მეტ საბიბლიოთეკო ერთეულს მოიცავს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ხსენებული

ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონულად ასახვა და ინტერნეტში განთავსება. ამ მიზნით მიმდინარე წელს შესრულდა სამუშაოს შემდეგი ეტაპები:

- შეიქმნა დაახლოებით 500 ელექტრონული ჩანაწერი (საკატალოგო ბარათი), რომელიც მოიცავს ყოველი პუბლიკაციის დაწვრილებით აღწერილობას: დასახელება, ავტორ(ებ)ი/რედაქტორ(ებ)ი, სერია, გამოცემის ადგილი, გამომცემელი და გამოცემის წელი, გვერდების რაოდენობა, ენა, სრული ტექსტი პდფ ფორმატში, ქართული და ინგლისური დესკრიპტორები (საკვანძო სიტყვები) AGROVOC-ის თეზაურუსიდან, საგნობრივი კლასიფიკაცია AGRIS/CARIS-ის კლასიფიკატორის შესაბამისად.
- დოკუმენტების შეტანისა და რედაქტირებისათვის შემუშავებული პროგრამის საშუალებით მონაცემთა ბაზაში განთავსდა 50 ჩანაწერი (კატალოგის ბარათი).
- შეიქმნა მომხმარებლის ინტერფეისის პროექტი და ელექტრონული ბიბლიოთეკის დემოვერსია. ამჟამად მიმდინარეობს ბაზის ტესტირება, რომლის შემდეგ განთავსდება ტექნიფორმის საიტზე მისი შემდგომი შევსების გათვალისწინებით.

მრავალენოვანი თეზაურუსი AGROVOC. FAO-სთან შეთანხმებით 2016 წლიდან ტექნიფორმში იქმნება მრავალენოვანი თეზაურუსის (დღეისათვის არსებობს 29 ენაზე) AGROVOC-ის ქართული ვერსია, რომელიც FAO-ს მიერ მრავალი ქვეყნის დაწესებულებებსა და ექსპერტებთან თანამშრომლობით ქვეყნდება და რომელიც მოიცავს ტერმინოლოგიას FAO-ს საქმიანობის ყველა სფეროდან, როგორცაა სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, სასურსათო უსაფრთხოება და ა.შ. თეზაურუსი მოიცავს აგრეთვე ცხოველთა და მცენარეთა სისტემატიკას, ბიოლოგიურ ცნებებს და ქვეყნების, მდინარეების, ტბების და სხვა გეოგრაფიულ დასახელებას. დღეს AGROVOC შეიცავს 40 ათასზე მეტ ტერმინს, მის ძირითად ინგლისურ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ AGROVOC არის მუდმივად აქტუალიზებადი ლექსიკონი. ტექნიფორმი AGROVOC-ის ქართულ ტერმინებს FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მონაცემთა ინდექსირების, ძიების და ორგანიზებისათვის იყენებს. თეზაურუსის ქართული ტერმინოლოგია შესაბამისი სფეროს სპეციალისტებთან, და აგრეთვე ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანხმდება. 2017 წელს შესწავლილ იქნა VocBench-ის პლატფორმა AGROVOC-ში ქართული ტერმინების on-line რეჟიმში შეტანისა და რედაქტირებისათვის. VocBench-ის დახმარებით თეზაურუსში შეტანილია თეზაურუსის ტერმინების 2500 ქართული ეკვივალენტი (შესატყვისი), რომელთაგან 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში AGROVOC-ის ოფიციალურ საიტზე (<http://artemide.art.uniroma2.it:8081/agrovoc/> agrovoc/en) გამოქვეყნდა 1892 დესკრიპტორი და 632 ასკრიპტორი, სულ 2524 ტერმინი. თეზაურუსის ტერმინების ქართული შესატყვისების შერჩევისას მრავალი პრობლემა გამოჩნდა. განსაკუთრებით მტკივნეულია (ყურადსაღებია) ქვეყნების ოფიციალური დასახელება ქართულად, საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციები, მათი აბრევიატურები, კანონებში ასახული ტერმინები და აკადემიურ სფეროში ფართოდ გამოყენებული ინგლისური ტერმინები. ამ პრობლემების შესახებ მოხსენებული იქნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ტერმინოლოგიურ კოფერენციაზე (2017 წ. 14-16 ნოემბერი) და ტექნიფორმის სამეცნიერო სემინარზე (2017 წ. 01.12).

ქართული რეფერატული ჟურნალი - სოფლის მეურნეობა (აგრარული მეურნეობა).

ტექნიკორმი ყოველწლიურად ამზადებს და გამოსცემს პოლითემატურ ქართულ რეფერატულ ჟურნალს. წელს მომზადდა ქართული რეფერატული ჟურნალის 2017 წლის #18(30), რომელიც მიემდგნა აგრარულ მეურნეობის მეცნიერებებს. გამოცემაში რუბრიკები დალაგებულია OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) კლასიფიკატორის შესაბამისად სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით, შესაბამისად ნომერში ასახულია: **აგრარული მეცნიერებები: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა** (სოფლის მეურნეობა; მეტყევეობა; თევზჭერა; ნიადაგმცოდნეობა; მებაღეობა, მევენახეობა; აგრონომია, მცენარეთა მოშენება და დაცვა); **მეცნიერება ცხოველთა შესახებ და მერძევეობა** (მეცნიერება ცხოველთა შესახებ და მერძევეობა; მეცხოველეობა); **ვეტერინარია; აგრარული ბიოტექნოლოგიები** (სოფლის მეურნეობისა და სურსათის ბიოტექნოლოგიები; გენმოდიფიცირების ტექნოლოგია, შინაური ცხოველების კლონირება, სელექცია მარკერით, დიაგნოსტიკა; ბიომასის ნედლეულის წარმოების ტექნოლოგიები, ბიომეურნეობა). **სხვა აგრარული მეცნიერებები: საკვები პროდუქტები და სასმელები; ეკონომიკა და ბიზნესი.** ეს ტომი რედაქტირებული და განთავსებულია ტექნიკორმის საიტზე [www. tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net).

I.2.1

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიმართულება I: სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის მოდელის შექმნა და რეალიზაცია.	მ. კოპალიეშვილი ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	ი. ბედინაშვილი ა. ბერიძე ლ. ჩობანიანი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის მოდელის შექმნა და რეალიზაცია. წინამდებარე სამუშაოს მიზანია უნივერსალური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის მოდელის შექმნა და შემუშავებული მოდელის რეალიზაციისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. ამის აუცილებლობის წინაპირობაა შემდეგი გარემოება: ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა მსოფლიოში 25 ათასამდე აღწევს და დღით-დღე იზრდება. მხოლოდ გამომცემლობა Elsevier-ს თავის სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზაში ჩართული აქვს 14 ათასზე მეტი რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი. დასავლეთის ქვეყნებში პრაქტიკულად ყველა ბეჭდვით გამოცემას აქვს ელექტრონული ვერსია. სწრაფად იზრდება დამოუკიდებელი			

ელექტრონული ჟურნალების რიცხვიც. ამჟამად მსოფლიოში on-line რეჟიმში ხელმისაწვდომი სტატიების ციტირება 4,5-ჯერ მეტია, ვიდრე ტრადიციული ფორმით გამოქვეყნებული სტატიებისა. აქედან გამომდინარე თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალისათვის აუცილებელი ხდება ინტერნეტ სივრცეში მისი საიტის არსებობა. ამას მოითხოვს სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორიტეტულ საერთაშორისო ბაზებში ჩართვის პირობებიც. მიუხედავად ამისა დღეისათვის არ არსებობს ელექტრონული სამეცნიერო გამოცემების ერთიანი სტანდარტი და რეგლამენტირებული სტრუქტურა, რაც აფერხებს ინფორმაციის ძიების და ელექტრონული ჟურნალების ურთიერთინტეგრირების პროცესს. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის მოდელის შექმნა ითვალისწინებს მზა ჟურნალის განთავსებას სერვერზე, რომელიც შედგება პროგრამული სისტემის საშუალებით ერთმანეთთან დაკავშირებული ისეთი ელემენტებისაგან, როგორცაა: სტატიების მიღებისა და პუბლიკაციის მოდელი, სტატიების შენახვის მოდელი, სტატიების რეცენზირების მოდელი, სტატიების სამეცნიერო ჟურნალში განთავსების მოდელი და სხვ.

2017 წლის განვლილ პერიოდში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შედგენისა და რეალიზაციის პრინციპები და სირთულეები. ამის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოში სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დასმული ამოცანის გადაჭრისათვის ჩამოყალიბდა შესაბამისი მიდგომა და თანმიმდევრობა. შესწავლილ იქნა სამეცნიერო ჟურნალების ინტერნეტ-სივრცეში წარმოჩენის ვარიანტები და თითოეული ვარიანტის გამოყენების მიზანშეწონილობა. რეკომენდებულია გამოყენებული საიტის ტიპი (ერთგვერდიანი საიტი, საინფორმაციო პორტალი, საიტი სოციალური ქსელის სახით, საიტი ინტერნეტ-საზოგადოების პლატფორმაზე, საიტი ინტერნეტ-მაღაზიის სახით, საიტი ონლაინ-ბიბლიოთეკის სახით) შერჩეულ იქნეს იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება მისი შექმნა. აღწერილ იქნა ცალკეული ტიპის საიტის თავისებურება.

ჩამოყალიბებულ იქნა ელექტრონული ჟურნალის მოდელის მიმართ წაყენებულია ძირითადი მოთხოვნები:

- რედაქტორი წარმართავს სტატიის პუბლიკაციის მთელ ციკლს, ავტორი იღებს შეტყობინებას რა ეტაპზე იმყოფება სტატია;
- ჟურნალში გათვალისწინებული უნდა იყოს შიდა რეცენზირების მექანიზმი (სტატიის ავტორისათვის შეტყობინების გარეშე);
- ინფორმაციის ძიება შესაძლებელი უნდა იყოს:
 - სტატიების სხვადასხვა დაჯგუფების მიხედვით;
 - სტატიების საკვანძო სიტყვების მიხედვით.
- აუცილებელია გამჭოლი ნავიგაციის რეალიზება;
- ინტერფეისი უნდა იყოს მრავალენოვანი;
- შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა ფორმატის სტატიების ჩატვირთვა და ნახვა.

ჩატარდა პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევის სამუშაოები: ტექნიკური კონსულტაციები

დაინსტალირდა (განთავსდა) ღია წვდომის სისტემა PKP OJS (Open Journal System), რისთვისაც შეირჩა მოსახმარად უფრო მარტივი 4.7.0.0. ვერსია. OJS სისტემისთვის MySQL პლატფორმაზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა, ასევე სისტემაში დაინსტალირდა ადმინისტრატორის პანელი, რისი მეშვეობითაც ხდება ამ სისტემის სრული ადმინისტრირება.

I.2.2

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელები	პროექტის შემსრულებლები
1	<p>მიმართულება III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება მეცნიერებათმზომელობის (scientometrics) მეთოდების გამოყენებით.</p> <p>მეცნიერების სხვადასხვა დარგებში მომუშავე მეცნიერების და სამეცნიერო კოლექტივების ბიბლიომეტრული პარამეტრების შედარების მიზნით სპეციალიზებული პროცედურების შემუშავება.</p>	<p>ლევონ ჩობანიანი</p> <p>საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი</p>	<p>ფ. წოწკოლაური, ვ. თავხელიძე, ნ. ვასაძე, მ. ლებედევა, ა. ბერიძე.</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>ბიბლიომეტრული ინდექსების გაანგარიშება და ანალიზის ჩატარება საქართველოს მეცნიერთა და სამეცნიერო კოლექტივების სამეცნიერო აქტივობების შეფასებისთვის. პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია ბიბლიომეტრული ინდექსების დადგენის სამუშაოები. გაანგარიშებულია ინდექსები, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებში მომუშავე სამეცნიერო კოლექტივების და ცალკეულ მკვლევართა სამეცნიერო აქტივობის დახასიათების, პროდუქტიულობის ურთიერთშედარების საშუალებას იძლევა. კერძოდ, შემუშავდა ისეთი მიდგომა, რომლის თანახმადაც შემოღებულია ე.წ. ჰირშის ეფექტური ინდექსი - H*. ინდექსი, რომელიც საშუალებას იძლევა მხადველობაში იქნეს მიღებული სხვადასხვა სამეცნიერო დარგებისათვის პუბლიკაციების ციტირების დამახასიათებელი თავისებურებები.</p> <p>თუ კვლევის წინა ეტაპებზე კვლევისთვის შერჩეული სამეცნიერო კოლექტივში მომუშავე მეცნიერთა ინდივიდუალური ეფექტური ჰირშის H* ინდექსების გაანგარიშება ხდებოდა, ამჯერად კვლევის პროცესში სამეცნიერო კოლექტივების სამეცნიერო აქტივობის დასადგენად გაანგარიშებულ იქნა კოლექტიური ეფექტური ჰირშის ინდექსები. თუმცა კოლექტიური ჰირშის ინდექსის ასეთი მეთოდით გაანგარიშებას აქვს ნაკლოვანებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს</p>			

სამეცნიერო კოლექტივის სამეცნიერო აქტივობის არასწორი შეფასება. სამეცნიერო კოლექტივის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისთვის უფრო ადეკვატურია და სწორ შეფასებას იძლევა ციტირების i ინდექსი.

ციტირების დამახასიათებელი თავისებურებები. სამეცნიერო სტატიაზე ციტირების საშუალო რაოდენობის დამოკიდებულების ანალიზი შესაბამის სამეცნიერო მიმართულებაზე გაკეთდა ქიმიის დარგის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების ციტირების მაგალითზე (ბიოქიმია, ანალიზური ქიმია, გამოყენებითი ქიმია, ორგანული და არაორგანული ქიმია და სხვ.). ციტირების საერთო რაოდენობამ შეადგინა 2152. ანალიზი ჩატარდა დროის სამი ინტერვალის მიხედვით: 2005-2015, 2010-2015, 1960-2015. ანალიზმა აჩვენა, რომ სტატიაზე ციტირების საშუალო რაოდენობა არსებითად დამოკიდებულია კვლევის სფეროზე, რაც შეესაბამება ამ დარგების მიხედვით მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებს.

სამეცნიერო სტატიების ბიბლიომეტრული აღწერისათვის ORCID-ის და DOI-ის ინდექსების გამოყენება. სამეცნიერო საქმიანობისათვის მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო სტატიებისადმი თანდართული ლიტერატურის ნუსხის სტანდარტიზაცია და ციტირების ინდივიდუალური საერთაშორისო ORCID ინდექსების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორებისთვის, მათი სამეცნიერო სტატიების ბიბლიომეტრული აღწერისათვის დაიწყო ORCID და DOI ინდექსების გამოყენება. საქართველოს სამეცნიერო პერიოდიკის გაფორმებისას ასეთი სისტემების გამოყენება ქართული ჟურნალების საერთაშორისო ინდექსირების აუცილებელი პირობაა.

უკრაინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ასოციაცია „ურანთან“ ერთობლივად გამოკვლეულია ავტორთა საერთაშორისო იდენტიფიკაციის სისტემა ORCID-ის მეტამონაცემების და ობიექტის ციფრული იდენტიფიკაციის Digital Object Identifier-ის (DOI) გამოყენების შესაძლებლობები, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ინფორმაციის სისტემაში ქართველ მეცნიერთა ინდექსირების საშუალებას იძლევა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამეცნიერო პუბლიკაციების ელექტრონული ჩანაწერების ფორმატის შემუშავება, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან თავსებადობისა და შემდგომში ქართული ჟურნალებიდან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის ჩართვის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობების შექმნის მიზნით.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა MYSQL სისტემის პროცედურების საფუძველზე შემუშავებული ინფორმაციის ძიების ინტერფეისი, რომელსაც გააჩნია ჰირშის ინდივიდუალური ინდექსის გაანგარიშების, აგრეთვე პუბლიკაციების მიხედვით აქტივობის მონაცემების და ცალკეული სამეცნიერო მიმართულებებისათვის ციტირების საშუალო რაოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობა.

ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებში ციტირებული ლიტერატურის ელექტრონული ჩანაწერების ფორმატის სტანდარტების შექმნა. Web of Science(WOS)-ის მონაცემთა ბაზების საფუძველზე, MYSQL სისტემაში შეიქმნა საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების მონაცემთა

ბაზა. ბაზა მოიცავს 1960 წლიდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით, საქართველოს მეცნიერთა 18436 პუბლიკაციების რეფერატულ აღწერას.

MYSQL სისტემის პროცედურების საფუძველზე შემუშავებულ იქნა ინფორმაციის ძიების ინტერფეისი, რაც საშუალებას იძლევა მოძიებულ იქნეს ინფორმაცია ავტორის, დროის პერიოდის, რეფერატისა და პუბლიკაციების სათაურის შესაბამისი საკვანძო სიტყვების მიხედვით.

ამასთან ერთად ჩატარდა სამუშაოები Thomson Reuters ახალი პროდუქტების – WOS(all data bases)-ის ასათვისებლად. მონაცემთა ბაზა WOS ALL DATABASES განსხვავებით WOS CORE COLLECTION-სგან მოიცავს დამატებით ბაზებს, მათ შორის ინფორმაციას პატენტების ციტირების შესახებ (Derwent Innovations Index).

საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების მონაცემთა ბაზები WOS CORE COLLECTION-სა და WOS ALL DATABASES-ის საფუძველზე შექმნილი საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების ბაზები განთავსებულია ტექნიფორმის საიტზე.

ზემოაღნიშნული შესაძლებლობას იძლევა, რომ ფირმა Clarivate Analytics მიერ შექმნილი ანალიზური აპარატის საფუძველზე შესრულდეს შემდეგი სამუშაოები: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაკავშირება უცხოეთის საპატენტო დოკუმენტაციასთან DERWENT Innovation, Derwent World Patent Index-ის მონაცემთა ბაზების საფუძველზე; ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების ციტირების ინფორმაციის ძიება საპატენტო მონაცემთა ბაზებში; პატენტების ძიება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და სამეცნიერო სამუშაოების რეფერატების აღმწერი საკვანძო სიტყვების შესაბამისად, Clarivate Analytics-ის ძიების აპარატის გამოყენებით და Derwent Patent Citation Index-ის მონაცემთა ბაზებში ძიების შესაძლებლობების საშუალებით; ქართულ პუბლიკაციებზე პატენტების ციტირების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ამსახველი სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე რელევანტური, უცხოური საპატენტო დოკუმენტაციის მოძიება; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიხედვით ინოვაციური პოტენციალის შესწავლა და ანალიზი.

ტექნიფორმი ამერიკულ კომპანია **Global Visions-Silicon Valley, Inc.**-თან ერთად ამუშავებს სამეცნიერო პროექტების ინოვაციური მიმზიდველობის შეფასების მეთოდიკას. ეს მეთოდის მუშავდება ინოვაციური პროექტების შეფასების პრინციპების საფუძველზე. პრინციპების, რომელიც ფორმულირებულია კვლევების ამერიკული საბჭოს (National Research Council) და ევროკავშირის სამრეწველო საწარმოთა (DG Enterprise and Industry) დირექტორატის მიერ.

მომავალში გათვალისწინებულია ამ მეთოდის გამოყენება ტექნიფორმში შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მონაცემთა ბაზების ფარგლებში სამეცნიერო პროექტების ინოვაციურობის და პერსპექტიულობის შეფასებისთვის.

I.1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში



მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. კოპალეიშვილი ნ. მახვილაძე ლ. ჩოხანიანი თ. ჩუბინიშვილი ი. ბედინაშვილი ე. პავლოვიჩი	სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	74 გვ.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. კოპალეიშვილი - მთ.რედ. ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ვ. თავხელიძე ი. ბედინაშვილი ვ. სარჯველაძე ნ. ჯავახაძე ნ. ჩხაიძე მ. ლოდელიანი ნ. მეიფარიანი	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე) #17(29) (პოლითემატური)	სტუ, ინსტიტუტი ტექნიკური	245 გვ.
2	მ. კოპალეიშვილი - მთ.რედ. ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ვ. თავხელიძე ი. ბედინაშვილი ვ. სარჯველაძე ნ. ჯავახაძე	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე) #18(30) (თემატური)	სტუ, ინსტიტუტი ტექნიკური	132 გვ.

ნ. ჩხაიძე მ. ლოღელიანი ნ. მეიფარიანი			
--	--	--	--

**II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში**

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V.Tavkheldze და სხვ.	Spectroscopic Studies of Defects in Gamma- and Neutron – Irradiated Magnesium Aluminates Spinel ceramics	Problems in Atomic Science and Technology C, № 5 (111), 2017	ხარკოვი (უკრაინა)	10 გვ.
2	V.Tavkheldze და სხვ.	On the Possibility of Using Magnezium Oxysige for Selective Detection of Fast Neutrons”	Radiation Effects and Defects in Solids, 2017 (in print).[]	ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)	9 გვ.

**III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით
დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)**

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. მახვილაძე	სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკის სტანდარტიზაციის მდგომარეობა საქართველოში	თსუ-ს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 14-16 ნოემბერი, 2017. (თეზისები)

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	V. Tavkheldze და სხვ.	Spectroscopic Studies of Defects in Gamma- and Neutron – irradiated Magnesium Aluminates Spinel ceramics. XIII International Scientific	Kharkiv, Ukraine. 2017

		and Technical Conference Young Scientists and Specialists.	
2	P. Tsotskolauri და სხვ.	Transformation of South Caucasus Countries During 25 Years of Independence	12th International Conference on Social Sciences Amsterdam, 19-20 May 2017, http://icss12.euser.org/
3	P. Tsotskolauri და სხვ.	Библиометрические индексы для оценки грузинской научной продукции	INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE INTEGRATION OF BUSINESS STRUCTURES: STRATEGIES AND TECHNOLOGIES, February 24, 2017 (<i>on-line conference</i>)

ტექნიფორმის სხვა აქტივობები

1. 2017 წლის 1 დეკემბერს ტექნიფორმა ჩაატარა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „**ქართული ტერმინთბანკი (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიის კორპუსისათვის)**“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების წამყვანმა სპეციალისტებმა თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან (თელავი, ახალციხე).
2. საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების (SCOPUS, Google Scholar) საფუძველზე დადგინდა ტექნიკური უნივერსიტეტის 523 მეცნიერის ციტირების ზოგადი ინდექსი (მეცნიერის ყველა გამოქვეყნებული სტატიების ციტირებათა ჯამი) და ციტირების ჰირშის ინდექსი.
3. განახლდა კომპაქტ-დისკი **საქართველოს ორგანიზაციები - საქმიანი საქართველო** იმავე სახელწოდების მქონე განახლებული ბაზის საფუძველზე. კომპაქტ-დისკი მოიცავს 3762 ორგანიზაციას.
4. განახლდა კომპაქტ-დისკი **მეცნიერება და განათლება**. მასში პირველად განთავსდა ტექნიფორმის მიერ გამოცემული ქართული რეფერატული ჟურნალის (ქრჟ) ბოლო ნომერი.
5. მომზადდა გამოსაცემად ქართულ-ინგლისური კომპაქტ-დისკი **ინოვაციური საწარმოები საქართველოში**.
6. ინსტიტუტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად მომზადდა ქართულ-ინგლისურ ენებზე მონაცემთა ბაზა **საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები**.
7. ქართულ-ინგლისურ ენებზე გამოსაცემად მომზადდა კომპაქტ-დისკი **ქართული ღვინო**, რომელშიც მოცემულია ქართული ღვინის ისტორია, მწარმოებელი კომპანიები, მეღვინეობის რეგიონები, ვაზის ჯიშები და სხვ.
8. ქართულ ენაზე გამოსაცემად მომზადდა ევროგაერთიანების მიერ რეკომენდებული ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორის ელექტრონული ვერსია (NACE-ს სტანდარტი).
9. მომზადდა და ტექნიფორმის საიტზე განთავსდა **სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები**.

**არჩილ ელიაშვილის
მართვის სისტემების ინსტიტუტი**

2015-2017 წლების სამეცნიერო კვლევების პროგრამის:

**მართვის თეორია, ტექნიკური სისტემებისა და მოწყობილობების იდენტიფიკაცია,
ოპტიმიზაცია და აგება, ინტელექტუალური პროცესების მოდელირება**

სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში/ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით

მიმართულება – მართვის პროცესები

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;

**ოთარ ლაბაძე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

1. თ. საანაშვილი – ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თანამშრომელი,
2. დ. ფურცხვანიძე – ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თანამშრომელი,
3. ზ. ბუაჩიძე – ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თანამშრომელი,
4. ლ. გვარამაძე – უფროსი მეცნ.თანამშრომელი,
5. მ. ცერცვაძე – ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თანამშრომელი,
6. ვ. ბახტაძე – მეცნ.თანამშრომელი,
7. პ. სტავრიანიდი – მეცნ.თანამშრომელი,
8. თ. ხუციშვილი – ინჟინერი,
9. გ. კიკნაძე – ინჟინერი.

**II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2015-2017 წლების
გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	2	3	4
1	<p>ინფორმაციის გარდაქმნის მოწყობილობების დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>მეცნიერების დარგი და მიმართულება: ელექტრომაგნიტური გარდამქნელების დამუშავება მართვის სისტემებისათვის</p> <p>ამოცანა 1 სამპოზიციური დინამიური ობიექტის უკონტაქტო ადაპტური მართვის მიკროპროცესული სისტემის დამუშავება და გამოკვლევა.</p> <p>ამოცანა 2 კუთხური გადაადგილების 3D-ტიპის არაინერციული უკონტაქტო ნახევარსფერული ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელის დამუშავება და აგება</p> <p>ამოცანა 3 დიდი მუდმივი დენის ოპტოტირისტორული წყაროს –კალიბრატორის მართვის მოწყობილობის დამუშავება.</p>	ო.ლაბაძე	<p>თ. საანიშვილი დ. ფურცხვანიძე ზ. ბუაჩიძე ლ. გვარამაძე მ. ცერცვაძე ვ. ბახტაძე პ. სტავრიანიდი თ. ხუციშვილი გ. კვიციანიძე</p>
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია</p> <p>ამოცანა 1. დამუშავებული სამპოზიციური დინამიური ობიექტის უკონტაქტო მართვის მიკროპროცესორული სისტემა უზრუნველყოფს ინდიკატორის ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოებას, მართველი იმპულსის მოხსნის შემდეგ გარდამავალი პროცესების რხევების რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას, მოძრავი მაგნიტის მართვის გაშვების, დამუხრუჭების და მომდევნო აჩქარების იმპულსების გამოყენების საშუალებით და დამატებითი გრაფილის ამოქმედებას რხევების აქტიური დემფირების დროს, საინფორმაციო ხედის შეცვლის სწრაფქმედების გაზრდას, სამხედური ინფორმაციის შეცვლის საიმედოობას და ელექტროენერჯის ხარჯის მნიშვნელოვან შემცირებას.</p> <p>სისტემა გამოიყენება ავტომატურ მართვასი, უპირატესად ინფორმაციის ამსახველ ელექტრომაგნიტურ ხელსაწყოებში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტაბლოებში, ცვალებად საგზაო ნიშნებში, სარეკლამო ფარებში და ა. შ.</p> <p>ამოცანა 2.</p>			

დამუშავდა კუთხური გადაადგილების 3D-ტიპის არაინერციული უკონტაქტო ნახევარსფერული ურთიერთინდუქციური პირველადი გარდამქმნელი, რომელიც უზრუნველყოფს სივრცეში ურთიერთორთოგონალურად და ნახევარსფეროს ზედაპირზე განთავსებულ სამ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კოჭებში აღძრას ურთიერთინდუქციის ელექტრომაგნიტური ძალები, რომლებიც დამოკიდებული არიან აღმგძნები კოჭას სივრცულ ადგილმდგომარეობაზე.

კვლევის ჩასატარებლად დამზადებულია მოქმედი მაკეტი და ჩატარებულია ექსპერიმენტული გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებენ სიგნალების ცვლილების ასეთ ხასიათს. დამუშავებული 3D-ტიპის გარდამქმნელი შეიძლება გამოყენებული იქნეს, მაგალითად, მრავალსახსრული სამრეწველო რობოტის სამართავად, რომელზედაც, მიღებულია საავტორო მოწმობა.

ამოცანა 3

ჩატარებულია დიდი მუდმივი დენის მართვადი წყაროების მიმოხილვა და მოცემულია მათი შედარებითი კლასიფიკაცია. გამოვლენილია დიდი მუდმივი დენის წყაროების სხვადასხვა ტიპების თავისებურებანი და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები; კლასიფიკაციის და კონკრეტული ამოცანების მოთხოვნების საფუძველზე გამოკვეთილია დიდი მუდმივი დენის წყაროს ქვეკლასის მუდმივი დენის კალიბრატორის პრაქტიკული რეალიზაციის ტირისტორების მართვის ფაზოიმპულსურ მეთოდზე დაფუძნებული სისტემების სტრუქტურა; დამუშავებულია ტირისტორების ფაზოიმპულსურ მეთოდზე დაფუძნებული სისტემების მართვის ბლოკის სხვადასხვა სტრუქტურები და მოყვანილია ანალოგურ, დისკრეტულ ელემენტებზე და მიკროკონტროლერებზე ტირისტორების მართვის სქემების პრაქტიკული რეალიზაცია; შესწავლილია მუდმივი დენის კალიბრატორის დატვირთვის დენზე მოქმედი აღმშფოთი ზემოქმედებები (ქსელის ძაბვა, სიხშირე, დატვირთვის წინააღმდეგობის ცვლილება, ტემპერატურა). განხილულია გამოსავალი მახასიათებლის მდგრადობის საკითხი სისტემაზე სხვადასხვა აღმშფოთი ზემოქმედებისას. ნაჩვენებია რომ უკუკავშირის შემოტანით შესაძლებელია ამ უარყოფითი მოვლენის კომპენსირება; აღწერილია მეტროპოლიტენის მატარებელში გამოყენებული დიდი დენის რელეების გაწყობისათვის განკუთვნილი, ოპტოტირისტორებზე აგებული, მოწყობილობა. ამ მოწყობილობას აქვს ერთნაირი მეტროლოგიური მახასიათებლები მეტროპოლიტენის მატარებელში გამოყენებული ყველა ტიპის დიდი დენის რელეების მიმართ.

II. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, პ. სტავრიანიდი, თ. საანიშვილი	უკუკავშირის გამოყენება ტირისტორების მართვის ფაზოიმპულსურ მეთოდზე დაფუძნებული დიდი მუდმივი დენის წყაროში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	N21	თბილისი “პოლიგრაფი“ 2017	6
2	О. Лабадзе, П. Ставрианиди, Д. Пурцхванидзе, М. Церцвадзе, М. Ставрианиди	Робототехнический манипулятор საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	N21	თბილისი “პოლიგრაფი“ 2017	4
3	მ. გეგეჭკორი, ვ. ბახტაძე, მ. ცერცვაძე, ნ. ვარძიაშვილი	ინფორმაციის უსაფრთხოების საშიშრო- ებები, დაცვის მეთოდები და მათი კლასიფიკაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	N21	თბილისი “პოლიგრაფი“ 2017	5

4	ა. ჭირაქაძე, ა. გიგინეიშვილი, ნ. ყავლაშვილი, ზ. ბუაჩიძე, მ. თაქთაქიშვილი, კ. გორგაძე	ზემაღალსიხშირული დიაპაზონის რუპორული და სპირალური გამომსხივებლის გათვლა სასოფლო-სამეურნეო მავნებლების პოპულაციების კონტროლის დანადგარებში გამოსაყენებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	N21	თბილისი “პოლიგრაფი“ 2017	6
5	ნ. ყავლაშვილი, ო. ლაბაძე, პ.სტავრიანიდი, ლ. გვარამაძე, თ. საანიშვილი, გ. კიკნაძე	დენის ოპტოტირისტორული კალიბრატორი გამომავალი ხაზოვანი მახასიათებელით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№20	თბილისი „დამანი“ 2016	4
6	ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, მ. ცერცვაძე	სხვადასხვა ტიპის დინამიური ობიექტების მართვის ამოცანების გადაწყვეტა ინფორმაციის გარდაქმნის თანამედროვე პრინციპების გამოყენების საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№20	თბილისი „დამანი“ 2016	10
7	ო. ლაბაძე,	დიდი მუდმივი დენის	№20	თბილისი	7

	ნ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, პ. ტავრიანიძე, თ. საანიშვილი	წყარო ატვირთვის დენის წრფივი მახასიათებლით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული		„დამანი“ 2016	
8	ნ. დადიანი, დ.ფურცხვანიძე	მრავალსახსრული საწარმოო რობოტის კვანძთა მომართვის ტრაექტორიის ფორმირება და ოპტიმიზაცია კუბიური პოლინომებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№20	თბილისი „დამანი“ 2016	4
9	დ.ფურცხვანიძე, ო. ლაბაძე, ვ. ბახტაძე	რობოტის სამართავი პროგრამის ჩაწერა მისი ჩამჭერის ხელით გადაადგილებისას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№20	თბილისი „დამანი“ 2016	5
10	ლევან გვარამაძე, ოთარ ლაბაძე, ნუგზარ ყავლაშვილი, პანაიოტ სტავრიანიძე, თამაზ საანიშვილი, გიორგი კიკნაძე	დიდი მუდმივი დენის კალიბრატორში დაგვიანების ციფრული ბლოკის რეალიზაცია დისკრეტულ ელემენტებზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის	№19	თბილისი „უნივერსალი“ 2015	5

		სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული			
11	დავით ფურცხვანიძე, ოთარ ლაბაძე	შესახსვრის ტრაექტორიის ფორმირება და ოპტიმიზაცია მრავალსახსრული საწარმოო რობოტისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№19	თბილისი „უნივერსალი“ 2015	3
12	დავით ფურცხვანიძე	სამგანზომილებიანი სივრცე დროის (ოთხგანზომილებიანი სივრცის) მოდელი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№19	თბილისი „უნივერსალი“ 2015	3
13	დავით ფურცხვანიძე, ნოდარ გძელიშვილი	ენერჯის ახალი წყაროების მიების გზები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№19	თბილისი „უნივერსალი“ 2015	4
14	მერი გეგეჭკორი, ნინო ნარიმანიძე, ვერიკო ბახტაძე, თინათინ კაიშაური	Google Apps for Education-ის სერვისების გამოყენება სასწავლო პროცესში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული	№19	თბილისი „უნივერსალი“ 2015	4

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Н. В. Кавлашвили, П. Д. Ставрианиди, О. С. Лабадзе, Л. Л. Гварамадзе, Т. П. Саанишвили	Оптический цифровой калибратор напряжения	აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები მოდელირება, მართვა”. თბილისი, 2015 წ. 3-5 ნოემბერი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	О. С. Лабадзе, Н. В. Кавлашвили, Л. Л. Гварамадзе, Т. П. Саанишвили	Адаптивная система управления параметрами искусственного микроклимата многоуровневого секционированного хранилища	აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები მოდელირება, მართვა”. თბილისი, 2015 წ. 3-5 ნოემბერი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

* სამეცნიერო ერთეულის დასახელება

ოპტიმალური მართვის პრობლემების განყოფილება

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

ვლადიმერ გაბისონია, ტექნ. მეცნ. კანდიდატი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. მინდია სალუქვაძე – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიკოსი
2. ბესარიონ შანშიაშვილი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი
3. სოსო გოგოძე – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა კანდიდატი
4. ვიქტორ ხუციშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა კანდიდატი
5. ნელი კილასონია – მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
6. დალი სიხარულიძე - მეცნიერი თანამშრომელი
7. დუდუხანა ცინცაძე – მეცნიერი თანამშრომელი
8. ნუგზარ დადიანი - მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
9. ქეთევან ოშიაძე – ინჟინერი

III. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2015-2017 წლების გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	<p>მართვის სისტემების იდენტიფიკაციისა და ვექტორული ოპტიმიზაციის პრობლემური ამოცანების კვლევა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე.</p> <p>მართვის თეორია, მართვის სისტემების იდენტიფიკაცია, ოპტიმალური მართვა.</p>	ბესარიონ შანშიაშვილი	<p>ბესარიონ შანშიაშვილი მინდია სალუქვაძე ვლადიმერ გაბისონია სოსო გოგოძე ვიქტორ ხუციშვილი ნუგზარ დადიანი ნელი კილასონია დალი სიხარულიძე დუდუხანა ცინცაძე ქეთევან ოშიაძე</p>
<p align="center">დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს მართვის სისტემების იდენტიფიკაციისა და ვექტორული ოპტიმიზაციის პრობლემური ამოცანების კვლევას.</p> <p>მართვის სისტემების იდენტიფიკაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მოიცავს შემდეგ საკითხებს:</p>			

არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციის მეთოდების მიმოხილვა და ანალიზი, მრავალგანზომილებიანი არასტაციონარული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაციის მეთოდის შემუშავება გამოსავალის მიხედვით, არასტაციონარული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაციის ალგორითმის შემუშავება და ადეკვატურობის საკითხის გამოკვლევა, არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდისა და ალგორითმის გამოკვლევა, არაწრფივი სისტემების სტრუქტურული მეთოდების მიმოხილვა და ანალიზი. არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდის შემუშავება, არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ალგორითმის შემუშავება და ადეკვატურობის საკითხის გამოკვლევა, არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდისა და ალგორითმის გამოკვლევა, არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის მეთოდების მიმოხილვა და ანალიზი, არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის მეთოდის შემუშავება, არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმის შემუშავება და ადეკვატურობის საკითხის გამოკვლევა, არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის მეთოდისა და ალგორითმის გამოკვლევა.

მართვის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – სისტემების იდენტიფიკაცია გულისხმობს ოპტიმალური მოდელის აგებას სისტემის ფუნქციონირების დროს მის შესავალ და გამოსავალ ცვლადებზე დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. იდენტიფიკაციის სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა სისტემის სახეობისაგან დამოკიდებულებით, შეიძლება განხორციელდეს წრფივი, არაწრფივი, სტაციონარული ან არასტაციონარული მოდელებით სისტემის შესავალზე დეტერმინირებული ან სტოქასტური სიგნალების ზემოქმედებისას, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია სისტემის ფუნქციონირების პირობებზე.

პროექტის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კვლევის, მათემატიკური ანალიზის, უმაღლესი ალგებრის, ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის, გამოთვლითი მათემატიკის, იდენტიფიკაციისა და მართვის თეორიის, ვექტორული ოპტიმიზაციის, რხევების თეორიის მეთოდები. შემუშავებულია იდენტიფიკაციისა და ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდებისა და ალგორითმების ეფექტურობა, გამოკვლეულია როგორც თეორიული ანალიზის, ისე მოდელირების დახმარებით.

ტექნიკური სისტემა თავისი ნორმალური ფუნქციონირების დროს ხასიათდება პარამეტრების ცვალებადობით დროში. ასეთი სისტემების წარმოდგენა სტაციონარული მოდელებით არ იძლევა პრაქტიკისათვის მისაღებ შედეგებს.

დინამიკური სისტემების წარმოდგენისას წრფივი არასტაციონარული მოდელები აღიწერებიან ცვლადპარამეტრებიანი წრფივი არაერთგვაროვანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებით. იდენტიფიკაციის ამოცანების გადაწყვეტა გართულებულია იმ მათემატიკური სიძნელებით, რომლებიც გვხვდება ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის დროს. არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციის არსებული მეთოდების

მიმოხილვისა და ანალიზის შედეგად განხორციელდა არსებული მდგომარეობის დაზუსტება არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციის ამოცანების კვლევის სფეროში. მოცემულ სამუშაოში არასტაციონარული წრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც ჩვეულებრივი წრფივი ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლების კომპის ამოცანის ამოხსნის გარკვეული აზრით შეზღუდებული ამოცანა, სისტემის შესავალ და მდგომარეობის ცვლადებზე და პარამეტრებზე გარკვეული შეზღუდვების დროს. იგულისხმება, რომ მდგომარეობის ცვლადების პირდაპირი დაკვირვება არ არის შესაძლებელი და მათ შესახებ მსჯელობა შეიძლება გაზომვადი გამოსავალი ცვლადების საშუალებით გამოსავალი მატრიცის ცვლადი ელემენტების პირობებში. განხორციელდა არსებული მდგომარეობის დაზუსტება არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციის ამოცანების კვლევის სფეროში. შემუშავდა არასტაციონარული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაციის მეთოდი გამოსავლის მიხედვით. შემუშავებულია არასტაციონარული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაციის ალგორითმი და ჩატარდა ადეკვატურობის საკითხის გამოკვლევა. ჩატარდა არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციის მეთოდისა და ალგორითმის გამოკვლევა მეორე რიგის სისტემების მაგალითზე.

სისტემის შესახებ არსებული აპრიორული ინფორმაციის მიხედვით არჩევენ იდენტიფიკაციის სხვადასხვა ამოცანებს. სისტემის ადეკვატური მოდელის აგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

არაწრფივი სისტემების იდენტიფიკაციის დროს არაწრფივი მოდელებით შეიძლება გამოიყოს ძირითადად ორი ტენდენცია. პირველი მდგომარეობს კერძო სახის, უმთავრესად ბლოკურად ორიენტირებული მოდელების, ხოლო მეორე კი ზოგადი მოდელების, ძირითადად ვოლტერას და ვინერის ფუნქციონალური მწკრივებისა და კოლმოგოროვ-გაბორის უწყვეტი და დისკრეტული პოლინომების გამოყენებაში. კერძო მოდელების უპირატესობა გამოიხატება მათი გამოყენების სიმარტივით არაწრფივი სისტემების წარმოსადგენად.

მიდგომა არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტისადმი ძირითადად ხდება ზევით აღნიშნული ორი ტენდენციის პოზიციებიდან. თუმცა არსებობს სხვა მიდგომებიც აღნიშნული ამოცანის გადასწყვეტად.

ბლოკურად-ორიენტირებული მოდელებით სტრუქტურული იდენტიფიკაციისას ძირითადი შედეგები მიღებულია დისკრეტული მოდელებით იდენტიფიცირების დროს ან უწყვეტი მოდელებით ასეთი მოდელების სიმრავლის გარკვეულ ქვესიმრავლეებზე.

მოცემულ სამუშაოში განიხილება არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა უწყვეტ ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების უფრო „დიდ“ სიმრავლეზე სისტემის შესავალი პერიოდული სიგნალის დროს.

არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია შედეგნაირად: ცნობილია მოდელთა და შესავალი სიგნალების კლასები და საჭიროა დამუშავებული იქნას

მოდელის განსაზღვრის კრიტერიუმი მოდელთა კლასიდან. სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანის ასეთი დასმა ეთანადება ლ. ზადეს მიერ შემოტანილ იდენტიფიკაციის კლასიკულ განმარტებას.

არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტისას არაწრფივი სისტემებისათვის მოდელის სტრუქტურის განსაზღვრა ხორციელდება უწყვეტი ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე, რომლის ელემენტებია ჰამერშტეინისა და ვინერის მოდელების სხვადასხვა მოდიფიკაციები, კერძოდ, ჰამერშტეინის მარტივი და განზოგადებული მოდელები, ვინერის მარტივი, განზოგადებული და გაფართოებული მოდელები, ვინერ-ჰამერშტეინის მარტივი, განზოგადებული და გაფართოებული კასკადური მოდელები, ჰამერშტეინ-ვინერის მარტივი კასკადური მოდელი. ამასთან, სისტემის შესახებ აპრიორული ინფორმაცია გამოიყენება მოდელების სიმრავლის, ხოლო აპოსტერიორული ინფორმაცია მოდელის სტრუქტურის განსაზღვრისათვის მოდელების მოცემული სიმრავლიდან.

პროექტში დამუშავებულია არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ რეჟიმში, როდესაც მოდელების შემადგენლობაში მყოფი არაწრფივი სტატიკური რგოლი აღიწერება მეორე ხარისხის პოლინომიალური ფუნქციით, ხოლო წრფივი დინამიკური რგოლები მდგრადია. სისტემის შესავალი $u(t)$ ნამდვილი პერიოდული ფუნქციაა პერიოდით T , რომლისთვისაც არსებობს აბსოლიტურად და თანაბრად კრებადი ფურიეს მწკრივი. ასეთი შესავალი სიგნალების კლასი მოიცავს სინუსოიდალურ სიგნალის გარდა ისეთ სიგნალებს, როგორც არიან, სიმეტრიული სამკუთხა იმპულსი, სიმეტრიული ტრაპეციული იმპულსი, ნახევრად სინუსოიდალური იმპულსი და სხვა.

მოდელთა კლასის თითოეული მოდელის გამოსავალი ცვლადის გამოსახულების მიღების დროს ნაჩვენებია, რომ არაწრფივი სტატიკური და წრფივი დინამიკური რგოლების გამოსასვლელელებზე მიღებული ტრიგონომეტრიული მწკრივები კრებადია თანაბრად და აბსოლუტურად, და მიღებული მწკრივების კვადრატში აყვანისას და ერთმანეთზე გადამრავლებისას შეიძლება კოშის წესით სარგებლობა.

მოდელების გამოსასვლელეზე მიღებული იძულებითი რხევების შესავალი სიგნალის მიმართ ფაზური წანაცვლების და ასევე ამ რხევების მუდმივი მდგენელის შესავალი სიგნალის პერიოდზე დამოკიდებულების მიხედვით მოდელის სტრუქტურის იდენტიფიკაციის დამუშავებული კრიტერიუმის მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს მოდელთა სიმრავლის ოთხი ქვესიმრავლე, კერძოდ ქვესიმრავლეები, რომელთა ელემენტებია: 1. ჰამერშტეინის მარტივი და განზოგადებული; 2. ვინერის (მარტივი და განზოგადებული) და ვინერ-ჰამერშტეინის კასკადური (მარტივი და განზოგადებული); 3. ვინერის და ვინერ-ჰამერშტეინის გაფართოებული მოდელები; 4. ჰამერშტეინ-ვინერის მარტივი კასკადური მოდელი, საკვლევი არაწრფივი სისტემის წარმოსადგენად.

შემუშავებული იდენტიფიკაციის მეთოდის საფუძველზე აგებული ალგორითმი

გამოკვლეულია როგორც თეორიული ისე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

დამუშავებული მეთოდების სიზუსტე დამოკიდებულია სისტემის შესავალ-გამოსავალი ცვლადების გაზომვისა და მიღებული ექსპერიმენტალური მონაცემების მათემატიკური დამუშავების სიზუსტეზე. ცდომილებების თავიდან ასაცილებლად შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

არაწრფივი სისტემების იდენტიფიკაციისას პერიოდული სიგნალებით რეკომენდირებულია დაგროვების მეთოდის გამოყენება, რომლის დროსაც გამოსავალი სიგნალის მნიშვნელობად დროის ყოველ მომენტში აიღება მისი მათემატიკური ლოდინის მნიშვნელობა მრავალჯერადი ცდების ჩატარებისას. მოდელის სტრუქტურის განსაზღვრის სიზუსტეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს აგრეთვე გამზომი ხელსაწყოთა ინერციულობამ. ამიტომ, ექსპერიმენტის ჩატარების დროს რეკომენდირებულია ისეთი ხელსაწყოების გამოყენება, რომელთა ინერციულობა გაცილებით ნაკლებია საკვლევი სისტემის ინერციულობაზე.

პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა წარმოადგენს სისტემების იდენტიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მოდელის ცნობილი სტრუქტურის დროს.

არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანისადმი მიძღვნილია ნაშრომთა დიდი რაოდენობა, რომლებშიც ეს ამოცანა გადაწყვეტილია სხვადასხვა მიდგომით და სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით. არაწრფივი სისტემების ბლოკურად-ორიენტირებული მოდელებით წარმოდგენისას ამ მოდელების პარამეტრების იდენტიფიკაციის მეთოდების უმრავლესობა დამუშავებულია ჰამერშტეინის მარტივი მოდელისათვის. შედარებით მცირე რაოდენობა ნაშრომებისა ეძღვნება ვინერის მარტივი მოდელის პარამეტრების იდენტიფიკაციას. რაც შეეხება სხვა ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების პარამეტრების იდენტიფიკაციას, აქ წარმატებები უმნიშვნელოა და სულ რამდენიმე ნაშრომის დასახელება შეიძლება ამ სფეროში. ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების უმრავლესობა, გარდა ჰამერშტეინის მოდელებისა, არაწრფივია პარამეტრების მიმართ, და ასევე, შესაფასებელი პარამეტრების დიდი რაოდენობით. ასე მაგალითად, ჰამერშტეინ-ვინერის მარტივი კასკადური მოდელისათვის, რომლის შემადგენლობაში მყოფი წრფივი დინამიკური ელემენტი აღიწერება m -ური რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებით, ხოლო არაწრფივი ელემენტები - n_1 და n_2 ხარისხის პოლინომიალური ფუნქციებით, შესაფასებელი პარამეტრების რიცხვი ტოლია: $n_1 + m + n_2 + 3$. ამის გამო, ასეთი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა ანალიზური სახით შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი დაბალი რიგის მოდელისათვის.

პროექტში განიხილება არაწრფივი სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა მათი წარმოდგენისას დაბალი რიგის ვინერ-ჰამერშტეინის მარტივი კასკადური მოდელით. პარამეტრული იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება გამოსავალი - იძულებითი რხევების გამოსახულებები დამყარებულ რეჟიმში სისტემის შესავალზე ჰარმონიული სიგნალის ზემოქმედებისას. იგულისხმება, რომ მოდელის წრფივი დინამიკური რგოლები წარმოიდგინება პირველი რიგის აპრიოდული რგოლებით, ხოლო არაწრფივი სტატიკური რგოლი აღიწერება

მეორე ხარისხის პოლინომიალური ფუნქციით.

წრფივი სისტემებისათვის დამახასიათებელი სუპერპოზიციის პრინციპის გათვალისწინებით, მოდელის გამოსავალზე მიღებული იძულებითი რხევების აღმწერი გამოსახულებები მიღებულია დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის გზით. ექსპერიმენტის ჩატარებისას მიღებული იძულებითი რხევებისათვის ფურიეს აპროქსიმაციის გამოყენებისას ფურიეს კოეფიციენტების შეფასებული მნიშვნელობების მათ თეორიულ მნიშვნელობებთან გატოლების გზით, მიღებულია ალგებრულ განტოლებათა სისტემები უცნობი პარამეტრების განსასაზღვრავად. პარამეტრების შეფასებები მიიღება აღნიშნული განტოლებათა სისტემებიდან უმცირესი კვადრატების მეთოდით:

$$c = \frac{\left(\sum_{i=1}^n a_{0i}\right)\left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^4\right) - \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^2\right)^2}{A^2 n \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^4\right) - A^2 \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^2\right)}, \quad \hat{T}_1 = \sqrt{\frac{n \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^2\right) - \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\right)\left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^2\right)}{n \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^4\right) - \left(\sum_{i=1}^n a_{0i}\omega_i^2\right)}}$$

$$\hat{T}_2 = \frac{\sum_{i=1}^n (a_{2i}\omega_i^3 \hat{T}_1^2 - 4b_{2i}\omega_i^2 \hat{T}_1)(a_{2i} - b_{2i} + a_{2i}\omega_i \hat{T}_1 + b_{2i}\omega_i^2 \hat{T}_1^2)}{\sum_{i=1}^n (a_{2i}\omega_i^3 \hat{T}_1^2 - 4b_{2i}\omega_i^2 \hat{T}_1)}$$

სადაც a_{ki}, b_{ki} ($k=1,2$), ($i=1,2,\dots,n$) - ფურიეს კოეფიციენტების მნიშვნელობაა ω_i სიხშირის დროს,

პარამეტრების შეფასების საიმედოობა დამოკიდებულია სისტემის შესავალი და გამოსავალი სიგნალების გაზომვისა და ექსპერიმენტული მონაცემების მათემატიკურ დამუშავების სიზუსტეზე.

არაწრფივი სისტემების იდენტიფიკაციის დამუშავებული მეთოდების საფუძველზე შედგენილი ალგორითმის გამოკვლევა ჩატარებულია ასევე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით პროგრამული პაკეტის MATLAB-ის გამოყენებით.

(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)**

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.ბაქრაძე, ლ.შავლიაშვილი, გ.კუჭვა	ზოგიერთი მძიმე ლითონის შემცველობა კახეთის რეგიონის ნიადაგებსა და ზედაპირულ წყლებში	ქ.ქუთაისი, მეორე საერთაშო- რისო კონფერენცია: უმაღლ- ესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები
2	გ.კორძახია, გ. ლაზრიევი, ნ. ანთაძე	"მრავალსაფრთხიანი ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარება საქართველოს მასშტაბით და კლიმატური ინფორმაციის გამოყენება"	თბილისი, საქართველო 29-31 მაისი, 2017 წ.
3	რ.ჭითანავა, გ.კორძახია	ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში	თბილისი, საქართველო 20-21maisi2017 w.
4	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ.ძამამია	თანამგზავრული მონაცემებით მთის მყინვარის ფირნის ხაზის სიმაღლის განსაზღვრა გეფერის მეთოდის გამოყენებით	თბილისი, საქართველო 20-21maisi2017 w.
5	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ.ძამამია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტალური კვლევებისათვის სხელმწიფო სამეცნიერო გრანტის პროექტის "კლიმატის ცვლილების ზემოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარებზე." (FR/586/9-110/13) საბოლოო ანგარიში.	თბილისი, საქართველო 15 marti2017 w.
6	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ.ძამამია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტალური კვლევებისათვის სხელ- მწიფო სამეცნიერო გრანტის პროექტის	თბილისი, საქართველო 4 მარტი, 2017 წ.

		„თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე საქართველოს მყინვარების კვლევა“ (FR/586/9-110/13). III წლის შედეგები	
7	ე.ბაქრაძე, ლ.შავლიაშვილი, გ.კუჭავა	ზოგიერთი მძიმე ლითონის შემცველობა კახეთის რეგიონის ნიადაგებსა და ზედაპირულ წყლებში	ქ.ქუთაისი, მეორე საერთაშორისო კონფერენცია: უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები
8	ფიფია მ., კაპანაძე ნ., ქართველიშვილი ლ., ბეგლარაშვილი ნ.	სეტყვიან დღეთა რაოდენობა სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების წარმოებამდე, წარმოებისას და მის შემდგომ პერიოდში	2017/V, თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰირომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
9	ფიფია მ., ბეგლარაშვილი ნ.	კლიმატის ცვლილების ფონზე სეტყვიანობის დინამიკა კახეთის რეგიონში	2017/X, თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	ბეგლარაშვილი ნ., გვირჯიშვილი მ.	მევენახეობის აგროკლიმატური რესურსები სამცხე-ჯავახეთში	2017/XI, თბილისი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
11	ს.მდივანი	მდ. მტკვრის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცირე მდინარეების გავლენს გათვალსწინებით	25 მაისი, სტუ საკონერენციო დარბაზი, თბილისი
12	გარი გუნია, ზიზი სვანიძე	მიკრომინარევებით სასურსათო პროდუქტების დაბინძურების მონიტორინგის საკითხებისთვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ლია დიპლომატიის ასოციაციისა და სამეცნიერო ჟურნალის `ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)` ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, (თბილისი, სტუ, 25/11/2017).

13	ა.სურმავა, ნ.გიგაური, ლ.ინწკირველი	საქართველოს რეგიონების ატმოსფეროს დაბინძურების რიცხვითი მოდელის დამუშავება და კახეთის დამტვერიანების გამოკვლევა სტანდარტული მეტეოროლოგიური სიტუაციებისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები ქუთაისი, საქართველო, 2017
14	N. Gigauri A. Surmava L. Intskirveli	Creation of Numerical Models of Polluting Agent Propagation in the Ecosystems by the Example of Georgia	International Scientific conference Landscape Dimensions of Sustainable Development: science-planing-governance Tbilisi Georgia 2017

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E.Bakradze, G.Kuchava, L.Shavliashvili	Study of contamination of the transboundary river Kura in Georgia	Athena, Greece - European water resources association 10 th world congress on Water Resources and Environment "Panta Rhei" Proceeding
2	E.Bakradze.L.Shavliashvili, G.Kuchava, M.Arabidze	The Impact of Saline Soils on The Chemical Composition of Artificial Reservoirs	Madrid, Spain - International Conference on Natural Science and Environment (ICNSE)
3	A.Vepkhvadze, L.Shavliashvili, T.Mchedluri, T.Oniani	The impact of global climate changes on biodiversity of Kakheti region	Ganja, Azerbaijan - International scientific conference "Actual problems of the modern nature sciences"
4	ბ. ჩიკვილაძე, ნ. ბუაჩიძე	აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი და მათი გავლენა მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების პროცესებში	სინგაპური, მე-5 საერთაშორისო კონფერენცია „მყარი ნარჩენების მართვა“, 09-14 სექტემბერი 2017
5	გ.კორმახია მ.კორმახია	წყალმომარაგების სახელმძღვანელო სისტემის გამოყენების შედეგები საქართველოში	ბაქო, აზერბაიჯანი 3-6 დეკემბერი, 2017

6	გ.კორმახია ზ.დადუა, მ.კორმახია ს. ქინქლაძე	წყალდიდობების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილებების სისტემის განვითარება საქართველოში	ბაქო, აზერბაიჯანი 3-6 დეკემბერი, 2017
7	გ.კორმახია	ქ. თბილისის ფარგლებში არსებული მცირე მდინარეების კვლევა (მდ. დაბახანის და ლედვთახევის მაგალითებზე	დანია კოპენჰაგენი 22-23 მაისი, 2017
8	ნ. დვალიშვილი	“მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების გავლენა კლიმატის ცვლილებაზე საქართველოში”	პორტუგალია, პორტო, Wastes 2017, 25-26 სექტემბერი, 2017 წელი
9	ნ. დვალიშვილი	“მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინსინერაციის გავლენა კლიმატის ცვლილებაზე საქართველოში”	სინგაპური, Waste Management Convention 2017, 11-12 სექტემბერი, 2017 წელი

ეკოლოგიის თანამშრომელთა აქტივობები, რომლებიც წლიურ ანგარიშში არ შევიდა

1. **ალ. სურმავა** - საქ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დამოუკიდებელი ექსპერტი, ატარებს სამრეწველო ობიექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტიზებს.
2. **ლიანა ინჭკირველი** - 1995 წლიდან ეკოლოგიური აკადემიის ასოცირებული წევრი;
3. **მ.ტაბატაძესთან და ნ.ბუაჩიძესთან** - ერთად საქართველოს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების უწყებათაშორისი საბჭოს წევრი.
4. **ნ.ბუაჩიძე** - მონაწილეობს UNDP, NATO, SIDA, USAID საერთაშორისო პროგრამებში, როგორც ეროვნული ექსპერტი ნარჩენების მართვის სფეროში.
5. **გარი გუნია** - საქ. ტექნ. უნ-ტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 1/2, პროფესორი (მიწვევით). ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია და ოკეანოლოგიის კათედრა – პროფესორი (მიწვევით);
6. **მ.კაიშაური** - 2015 წლიდან დღემდე, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“ მიერ განხორციელებული სეტყვის საწინააღმდეგო დაცვის სახელმწიფო პროგრამის წამყვანი სპეციალისტი; **პატენტი** № GE U 2017 1940 Y დასახელება: პირველი კატეგორიის სეტყვასაშიშ ღრუბელზე ზემოქმედების ხერხი. გაცემის თარიღი: **15.08.2017.**

7. **ნ.ბეგლარაშვილი** - 1.თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის გაძლიერება აგრარული მიმართულებით რეგიონულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) და PMC კვლევით ცენტრი. 2016-2017წწ. 2.პროექტი ზრდა საქართველოში. სასერტიფიკატო კურსის მოდული. USAID, საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია, Chemonics. 2017წ.
- ტექნიკური უზრუნველყოფის წევრი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი.
- სადოქტორო ნაშრომის შემფასებელი:** იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016წ.
- სამეცნიერო ნაშრომის შემფასებელი:** საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ANNALS OF AGRARIAN SCIENCE EVALUATION FORM“; „აგრალოგ მეცნიერებათა მაცნე“ ელსევიერის სამეცნიერო ელექტრონული გამომცემლობა. 2016წ
- სამეცნიერო ნაშრომის შემფასებელი:** Journal of Environmental Biology (An International Research Journal of Environmental Sciences & Toxicology); საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “გარემოსდაცვითი ბიოლოგია”, ISSN: 0254-8704, N35574/79. 2016წ.
8. **ნ.დვალაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
9. **გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები** : ნარჩენების ეფექტური მართვა და კლიმატის ტოლერანტულობა ნაგავსაყრელის ოპერირებისას (GIZ); GHG Inventory Training AGENDA (GIZ); Measurement, Reporting and Verification of Mitigation Actions and NAMAs (GIZ)
10. **გ.კორძაძია** - მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის VI რეგიონალური ასოციაციის ექსპერტი და მონაწილეობდა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის VI რეგიონალური ასოციაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში; ვმონაწილეობდი 15 საერთაშორისო პროგრამაში; ამჟამად ვმონაწილეობ 1 საერთაშორისო პროგრამაში.
- არის გამომცემლობა ELSIVIER-ის რეცენზენტი; კლიმატის ცვლილების სამმთავრობათაშორისო საბჭოს (IPCC) 38-ე სესიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;
- წაკითხული აქვს ორი ლექცია ჰაიდელბერგში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის VI რეგიონალური ასოციაციის სესიის მუშაობისას.
11. **გ.კუჭავა მონაწილეა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის - 2017-2018-** „გარემოს ეროვნული სააგენტოში გამოყენებული ანალიტიკური მეთოდების ჰარმონიზაცია წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებთან“ პროექტი 2013/39/EU-სლოვაკეთის რესპუბლიკა, ეროვნული ექსპერტი.
12. **ლ.შავლიაშვილი** - UNDP გაეროს პროგრამაში მონაწილეობა: „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ -2017- ნიადაგის ექსპერტი.

13. **მ.ტაბატაძე** - მსოფლიო კონგრესი ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვული უსაფრხოების და მათი მავნე ზემოქმედების მართვის საკითხებზე - კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 2017;
კრიზისების მართვის და საგანგებო სიტუაციების მართვის კურსი, შვედეთი, სტოკჰოლმი, 29 მაისი - 2 ივნისი, 2017.

ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენურიკატასტროფების მოდელირების განყოფილება

1	ტატიშვილი მარიკა	განყოფილების გამგე
2	ბერიტაშვილი ბაკური	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3	შენგელია ლარისა	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4	ხვედელიძე ზურაბი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
5	კაპანაძე ნაილი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6	მკურნალიძე ირინე	მეცნიერი თანამშრომელი
7	სამხარაძე ინგა	მეცნიერი თანამშრომელი
8	დემეტრაშვილი დემური	მეცნიერი თანამშრომელი
9	ჩინჩალაძე ლაშა	მეცნიერი თანამშრომელი

I. 1. საქართველო სსახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების მიერ

№	შესრულებული პროექტის და სახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტისხელმძღვანელი	პროექტისშემსრულებლები
1	ამინდის და კლიმატის რეგიონალური მრავალმოდელიანი საპროგნოზო მეთოდების დამუშავება საქართველოს პირობებისათვის (2014-17) 1.5. დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები; სამეცნიერო მიმართულება-მეტეოროლოგია;	მარიკა ტატიშვილი	დ.დემეტრაშვილი ი.მკურნალიძე ი.სამხარაძე ლ.ჩინჩალაძე

კლიმატოლოგია		
<p>დედამიწის ატმოსფერო წარმოადგენს გაზების ფენას, რომლებსაც გრავიტაცია აკავებს დედამიწის გარშემო. ატმოსფერო იცავს სიცოცხლეს დედამიწაზე, მზის ულტრაიისფერო გამოსხივების აბსორბციით, რითაც ათბობს ზედაპირს სითბოს შეკავების მექანიზმით (სათბური ეფექტი) და თან დღისა და ღამის ტემპერატურების ექსტრემუმებს ამცირებს. საინტერესოა ატმოსფეროს უკიდურესი გარე ფენა- მაგნიტოსფერო, სადაც დამუხტული ნაწილაკების მოძრაობას აკონტროლებს მაგნიტური ველი, რადგან ურთიერთდაჯახების სიხშირე მცირეა. იონოსფერო რეაგირებს სხვადასხვა მოვლენებზე, როგორცაა ელჭექი, ვულკანური ამოფრქვევა, ტაიფუნი და სხვ. ელჭექებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ენერჯის გადატანაში ატმოსფეროს დაბალი ფენებიდან იონოსფეროში და გლობალური ელექტრული წრედის შექმნაში. დედამიწის ზედაპირს უარყოფითი მოხტი აქვს, ხოლო ატმოსფეროს დადებითი. მთლიანად წრეზე ძლიერი გავლენა აქვს კოსმოსურ სხივებს, მაღალ-ენერგეტიკულ ტალღებს და დამუხტულ ნაწილაკებს, წარმოქმნილს მზის კორონალური ამოფრქვევებიდანმას შემდეგ, რაც გაფართოვდა დედამიწის შესწავლა თანამგზავრული დაკვირვების მონაცემებით, NASA, NOAA და EUMETSAT პროგრამების ფარგლებში განხორციელდა თანამგზავრების გაშვება, აღჭურვილებს სხვადასხვა ტიპის სენსორებით, აქტუალური გახდა იონოსფეროს ამინდის ამოცანა, რომლის მიხედვით დედამიწაზე ამინდის ჩამოყალიბება იწყება ატმოსფეროს მაღალ ფენებში.</p> <p>NASA -ს მაგნიტური ველის სადამკვირვებლო თანამგზავრები MMS, THEMIS და მზეზე დაკვირვების თანამგზავრები SOHO, SDO, SOLAR PROBE და სხვ. გაშვების შემდეგ განუწყვეტლივ გადმოსცემენ ინფორმაციას მზის პარამეტრების ცვალებადობაზე, კოსმოსური სხივების მახასიათებლებზე და დედამიწის მაგნიტური ველის შემფოთებებზე. გეომაგნიტური ინდექსები მნიშვნელოვანი პარამეტრია ამინდის საპროგნოზო მეთოდებში. მათ სიმძლავრეზეა დამოკიდებული გლობალური ცირკულაციური პროცესების განვითარება და ლოკალური ამინდის ჩამოყალიბება. დედამიწის მაგნიტოსფეროს მოდელის (ჰMM) საშუალებით ხდება მოსალოდნელი ველის მონიტორინგი და გეომაგნიტური შტორმების პროგნოზირება.</p> <p>შექმნილია გეომაგნიტური ინდექსების და მეტეოროლოგიური პარამეტრების (ნალექები, ტემპერატურა, ქარი) მონაცემთა ბაზა 2014-17წ-თვის. მონაცემთა ანალიზიდან ცხადი ხდება გეომაგნიტური შტორმების გავლენა ლიკალური ამინდის წარმოქმნაზე.</p>		
საქართველო სმყინვარების ევოლუციის კვლევა თანამგზავრული დისტანციური მეთოდოლოგიების და მიწისპირა დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. 2014-2017. მეცნიერების დარგი-1.5. დედამიწის და	ლარისა შენგელია	გიორგი კორძახია ვასილ ცომაია

<p>მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები; სამეცნიერო მიმართულება- ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები.</p>		
<ul style="list-style-type: none"> • თღზ (თანამგზავრული დისტანციური ზონდირება)-ით მიღებული საქართველოს მყინვარების კონტურების შედარებამ ტოპოგრაფიულ რუკებზე ასახულ მყინვარების კონტურებთან საშუალება მოგვცა გამოგვეტანა მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ დაახლოებით ბოლო 50 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა მყინვარის ფართობი შემცირდა; • ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებენ საქართველო სმყინვარებზე კლიმატის რეგიონალური ცვლილების შემოქმედებას, კერძოდ, დათბობის შედეგად მყინვარების უკანდახევას; • კლიმატის თანამედროვე დათბობის გამო მცირე მყინვარები ინტენსიურად დნებიან, საშუალო მყინვარების გარკვეული ნაწილი მცირე მყინვარებად იქცევიან, ხოლო დიდი მყინვარები დეგრადირებენ და უკან იხევენ; • კატალოგში აღრიცხული დასავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების ფართობის შესახებ სანდო მონაცემები გააჩნია 187-ს. ამჟამად ამ მყინვარებიდან თღზ-ის მიხედვით დარჩენილია 65 მცირე მყინვარი (34.8%), რაც იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი 122 (64.2%) მცირე მყინვარი გადნა და თოვლნარად იქცა, ან საერთოდ გაქრა. მყინვარების კატალოგში აღრიცხული აღმოსავლეთ საქართველოს 105 მცირე მყინვარიდან ამჟამად კლიმატის გლობალური დათბობის გამო დარჩა მხოლოდ 31 მცირე მყინვარი (29.5%), რაც ნიშნავს, რომ 74 (70.5%) მცირე მყინვარი ან თოვლნარად იქცა, ან საერთოდ გაქრა. ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში მყინვარების დნობის პროცესი უფრო აქტიურია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში; • დიდი მყინვარების უკანდახევის ტრენდის შესწავლის შედეგად დადგინდა: <ul style="list-style-type: none"> ა) მიწისპირა დაკვირვებები ადასტურებს თანამგზავრული მონაცემების სიზუსტეს, როგორც დაკვირვების სრული პერიოდისათვის ასევე მყინვარებზე კლიმატის ცვლილების შემოქმედების უკეთ გაგებისათვის დაკვირვების პერიოდის ორ პერიოდად გაყოფის შემთხვევაში; ბ) თღზ-ის, ასევე მიწისპირა მონაცემები ადასტურებენ, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარის უკანდახევის სიჩქარე მთლიანი პერიოდისათვის არათანაბარია, კერძოდ მეორე პერიოდში აჩქარებულია და იგი არაწრფივი ხასიათისაა, რაც თვალნათლივ მიუთითებს კლიმატის თანამედროვე ცვლილების შემამფოთებელ ტენდენციაზე, კერძოდ დათბობის ზრდის არაწრფივ ხასიათზე; • მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამგზავრულმა ინფორმაციამ ახალი საშუალებები გააჩინა მყინვარების კვლევისათვის, კერძოდ შესაძლებელი გახდა ერთდროულად დიდი რაოდენობის მყინვარების შესწავლა 		

- მვირადღირებული მიწისპირა დაკვირვებების მინიმუმამდე შეზღუდვის გზით;
- საქართველოსათვის მცინვარების სხვადასხვა მახასიათებლების დასადგენად ალტერნატიულ, ინოვაციურ მეთოდს წარმოადგენს თანამგზავრული დისტანციური ზონდირება, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მონაცემები საჭირო რეგულარობით, როგორც დროში ასევე სივრცეში. თდზ გარდა დიდი მცინვარებისა, მცირე ზომის მცინვარებისა და თოვლნარების კვლევის შესადლებლობასაც იძლევა. მაღალი გარჩევადობის თანამგზავრული მონიტორინგთან ერთად ისტორიული მონაცემებისა და ექსპერტული ცოდნის ერთობლივი, ეფექტური გამოყენება საუკეთესო შედეგებს იძლევა.
 - დღესდღეობით მცირე მცინვარების მდგომარეობის გარკვეული რეგულარობით გაშუქება მიწისპირა დაკვირვებებით ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ მცინვარების შესწავლა დედამიწის თანამგზავრული დაკვირვებებით ეფექტური ალტერნატივაა მათი კვლევებისათვის და სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისათვის;
 - აღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს მცინვარების მონიტორინგისა და კვლევისათვის დისტანციური ზონდირების გამოყენება ფრიად ეფექტურია.

3	კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პოტენციალის დადგენა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორებისთვის. მეცნიერების დარგი-1.5. დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები; სამეცნიერო მიმართულება- წყლის რესურსები.	ბაკურ ბერიტაშვილი	ნაილი კაპანაძე თენგიზ ცინცაძე ლია ქართველიშვილი ნანული ზოტიკიშვილი
---	--	-------------------	---

განხილულია კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო პოლიტიკის ზოგადი ასპექტები, ადაპტაციის სტრატეგიის შემუშავების წესები და საადაპტაციო პოტენციალის შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასებულია საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების მიმდინარე (1961-2010 წწ. პერიოდში) და XXI საუკუნის დასასრულამდე (2050 და 2100 წლებამდე) პროგნოზირებული კლიმატური მახასიათებლების (ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექების, ჰაერის ფარდობითი სინოტივისა და ქარის სიჩქარის) ცვალებადობა.

მოყვანილია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების სამუშაოთა თანამედროვე მდგომარეობა და ეროვნული შეტყობინების ფარგლებში მომზადებული 30-ზე მეტი საადაპტაციო პროექტის მოკლე მიმოხილვა.

საქართველოს 3 რეგიონის მაგალითზე (აჭარა, ზემო სვანეთი და კახეთი) განხილულია კლიმატის ცვლილების მიმართ ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სექტორების, მოწყვლადობა და შეფასებულია საადაპტაციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრულია მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში

ჩატარებული დისკუსიებისა და ანალიზის შედეგად. გაანალიზებულია თითოეული რეგიონისათვის ცალკეულ სექტორებში შემუშავებული რამდენიმე საპროექტო წინადადების მაგალითი, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები და შეფასებულია მათი საორიენტაციო ღირებულება.

დახასიათებულია ეკონომიკის ცალკეული სექტორის (ტრანსპორტი, შენობები, გარე განათება, ინდუსტრია, ნარჩენები, გამწვანება) როლი დიდ ქალაქებში კლიმატის ცვლილების შერბილებაში. ზოგადი კუთხით განსაზღვრულია დიდი ქალაქების მოწყვლადობა ბუნებრივი კატასტროფებისა და ტექნოგენური ავარიების მიმართ. გაანალიზებულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებისა და დაბალემისიანი განვითარების პრობლემები საქართველოში. განხილულია საქართველოში მერების შეთანხმების ხელმძღვანელი დიდი ქალაქების (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე, ბოლნისი, მცხეთა) ენერგეტიკის მდგრადი განვითარების წინაშე არსებული კლიმატური რისკები და მათთან ადაპტირების გზები. მიმოხილულია გლობალური ეკონომიკის დეკარბონიზაციის სოციალურ –ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები.

საქართველოს რეგიონებში ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორებისათვის, გარკვეული დაშვებების საფუძველზე, შეფასებულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების პოტენციალი.

შემუშავებულია რეკომენდაციები ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო პროექტების შესასრულებლად.

I.2. გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს ცალკეულ რეგიონებისათვის ჰაერის ნაკადის კინეტიკური ენერჯის მოდელური გათვლები, ნაკადის ლოკალურ რელიეფთან ურთიერთქმედების გათვალისწინებით. მეცნიერების დარგი-	განათლების და მეცნიერების სამინისტრო	უფროსი მეცნიერთანამშრომელი ზურაბ ხვედელიძე.	მეცნიერთანამშრომელი ინგა სამხარაძე; წამყვანი ინჟინერი ნანული ზოტიკიშვილი.

1.5. დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები;			
<p>2017 წლისათვის განხორციელდა: ა) საქართველოს ტერიტორიაზე თემის მოთხოვნილების შესაბამისად, ლოკალური რეგიონების შერჩევა და მოხდა ამ რეგიონების ფიზიკურ, გეოლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შეფასება; ბ) განისაზღვრა მოდელისათვის საჭირო პარამეტრები, დადგინდა მათი ცვლილების დიაპაზონი; გ) პირველ რიგში შესწავლილ იქნა თბილისის ქვაბური. თბილისში განლაგებული ექვსი მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე შეიქმნა მოდელური გათვლებისათვის მონაცემთა ბაზა. დ) თეორიულ ასპექტში განხორციელდა თბილისის ქვაბურისათვის ოროგრაფიული იაკობიანის მოდელური გათვლა ჰაერის ვერტიკალური სიჩქარისათვის, მოხდა შედეგების ანალიზი და გამოადდა გამოსაქვეყნებლად სამეცნიერო სტატია. ე) ქალაქ თბილისის ქვაბურის ყოველი კლიმატური თავისებურების ახსნა მოხერხდა „ფიზიკური - ჰიდროთერმოდინამიკური მიდგომით. ასეთი მიდგომა ორდინალურია და განხორციელებულია პირველად. შედეგი გათვალისწინებული უნდა იქნას ქალაქის ახალი უბნების ურბანიზაციის პერსპექტივაში.</p>			

I.3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელებამეცნიერების და რესურსების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
	<p>№ FR/586/9-110/13 თანამგზავრული დისციპლინის საფუძველზე საქართველოს მცინვარების კვლევა. 2014-2017. მეცნიერების დარგი- 1.5. დედამიწის და მასთან დაკავშირებული</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ლარისა შენგელია</p>	<p>გიორგი კორძაია, გენადი თვაური.</p>

<p>გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები; სამეცნიერო მიმართულება-ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლისრესურსები.</p>			
<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მყინვარების შესახებ მონაცემები გამოცემულია ყოფილი საბჭოთა კავშირის კატალოგში, რომლის ბოლო გამოცემაში შესული მასალები მიახლოებით 50 წლის წინანდელია. საქართველოს მყინვარების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისათვის მაღალი გარჩევადობის თანამგზავრების, საექსპერტო ცოდნისა და მიწისპირა დაკვირვებების კომპლექსური გამოყენების საფუძველზე განსაზღვრულია და შედგენილია საქართველოს ყველა მყინვარის მახასიათებლების ცხრილები; • თითოეული მყინვარისათვის მიღებულია შესაბამისი თანამგზავრული სურათი, რომელზეც გავლებულია: <ol style="list-style-type: none"> 1. მყინვარის კონტური; 2. საშუალო და დიდი მყინვარებისათვის დადგენილია ღია და მთლიანი არის ფართობები და გავლებულია დამატებითი ხაზები, რომლითაც განისაზღვრება მყინვარების სიგრძეები. როცა მყინვარის მთლიანი და ღია ნაწილის სიგრძეები განსხვავდება გავლებულია ორი დამატებითი ხაზი; 3. გავლებულია ფირნის ხაზები; • შესასწავლი მყინვარების კონტურების ვალიდაციისათვის გამოვიყენეთ 60-იანი წლების საბჭოთა კავშირის დროინდელი ტოპოგრაფიული რუკებით (1:50000), რომლებიც თავის დროზე გამოყენებული იყო მყინვარების კატალოგის შექმნისას. ტოპოგრაფიული რუკებით ვისარგებლეთ მყინვარების იდენტიფიკაციისას და შედეგების ანალიზისათვის. • თანამგზავრული მონაცემების დამუშავებისა და ვიზუალიზაციისათვის გამოვიყენეთ GIS სისტემები; • ASTER სენსორის რელიეფის ციფრული მოდელის საშუალებით მოვახდინეთ მყინვარების 3D ვიზუალიზაცია. თანამგზავრული სურათის 3D ვიზუალიზაციის გამოყენებით რელიეფის ანალიზით დავაზუსტეთ მყინვარის მდებარეობა მდინარეთა აუზების მიხედვით, რიგ შემთხვევაში დავაზუსტეთ აგრეთვე მყინვარის მახასიათებლები: მყინვარის ფართობი, მაქსიმალური სიგრძე, ქვედა და ზედა საზღვრის მდებარეობა. ASTER სენსორის რელიეფის ციფრული მოდელის საშუალებით გენერირებული 5 მ-ის ბიჯით გავლებული იზოხაზების საფუძველზე რიგ შემთხვევაში დავაზუსტეთ მყინვარებს შორის საზღვარი. • შესასწავლილი მყინვარების თანამგზავრული სურათების საშუალებით ვიზუალიზაციის სურათების შედარებამ ტოპოგრაფიულ რუკებთან თვალნათლივ გვიჩვენა, რომ მყინვარები, რომლებიც თანამგზავრულ სურათებზე დემიფირირდებიან მნიშვნელოვნად არიან შეცვლილნი. <ol style="list-style-type: none"> ა) რიგი მცირე მყინვარებისა, რომლებიც ტოპოგრაფიულ რუკებზეა დატანილი აღარ 			

არსებობენ;

ბ) თანამგზავრულ სურათზე არსებული რიგი მყინვარებისა და თოვლნარებისა, არ არია დატანილი ყოფილი საბჭოთა კავშირის მყინვარების კატალოგის სქემებზე.

- თღზ-ითმიღებული საქართველოს მყინვარების კონტურების შედარებამ ტოპოგრაფიულ რუკებზე ასახულ მყინვარების კონტურებთან საშუალება მოგვცა გამოგვეტანა მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მიახლოებით ბოლო 50 წლის განმავლობაში საქართველოს ყველ მყინვარის ფართობი შემცირდა.
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებენ საქართველოს მყინვარებზე კლიმატის რეგიონალური ცვლილების ზემოქმედებას, კერძოდ, დათბობის შედეგად მყინვარების უკანდახევას;
- კლიმატის თანამედროვე დათბობის გამო მცირე მყინვარები ინტენსიურად დნებიან, საშუალო მყინვარების გარკვეული ნაწილი მცირე მყინვარებად იქცევიან, ხოლო დიდი მყინვარები დეგრადირებენ და უკანიხევენ.
- დიდი მყინვარების უკანდახევის ტრენდის შესწავლის შედეგად დადგინდა:
 - ა) მიწისპირა დაკვირვებები ადასტურებს თანამგზავრული მონაცემების სიზუსტეს, როგორც დაკვირვების სრული პერიოდისათვის ასევე მყინვარებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების უკეთ გაგებისათვის დაკვირვების პერიოდის ორ პერიოდად გაყოფის შემთხვევაში.
 - ბ) თღზ-ის, ასევე მიწისპირა მონაცემები ადასტურებენ, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარის უკანდახევის სიჩქარე მთლიანი პერიოდისათვის არათანაბარია, კერძოდ მეორე პერიოდში აჩქარებულია და იგი არაწრფივი ხასიათისაა.
- მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამგზავრულმა ინფორმაციამ ახალი საშუალებები გახსნა მყინვარების კვლებისათვის, კერძოდ შესაძლებელი გახდა ერთდროულად დიდი რაოდენობის მყინვარების შესწავლა;
- დღესდღეობით მცირე მყინვარების მდგომარეობის მიწისპირა დაკვირვებებით გარკვეული რეგულარობით გაშუქება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ მყინვარების შესწავლა დედამიწის თანამგზავრული დაკვირვებებით ეფექტური ალტერნატივაა მათი კვლევებისათვის და სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისათვის.
- აღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს მყინვარების მონიტორინგისა და კვლევისათვის დისტანციური ზონდირების გამოყენება ფრიად ეფექტურია.

II.1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ტატიშვილი ი. მკურნალიძე ი. სამხარაძე ლ. ჩინჩალაძე	დედამიწის სადამკვირვებლო სისტემის (EOS) თანამგზავრული მონაცემების გამოყენება ამინდის საპროგნოზო მოდელებში	„ჰიდრომეტეოროლოგიის ადაეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული #124	საქართველო, თბილისი.	92-97
2	მ. ტატიშვილი ლ. ქართველიშვილი ი. მკურნალიძე	ელვის ზემოქმედება სხვადასხვა შენობა-ნაგებობებზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი ISSN 0130-7061 Index 76127	საქართველო, თბილისი.	62-70
3	M. Tatishvili M. Meladze I. Mkurnalidze L. Chinchaladze	EARTH OBSERVING SYSTEM SATELLITE DATA APPLICATIONS IN GEORGIA	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Alexandre Javakhishvili Geographical Society of Georgia international Geographical Union (IGU) Commission of Landscape Analysis and Landscape Planning Landscape Dimensions of Sustainable Development: Science – Planning – Governance INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE Dedicated to commemorate the 70th Anniversary of professor Nikoloz (Niko) Beruchashvili	Tbilisi	451-456
4	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური,	დისტანციური ზონდირების (თანამგზავრული და აერო-ფოტოგადაღებების)	„ჰიდრომეტეოროლოგიის ადაეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, საქართველოს	საქართველო, თბილისი. საქართველოს	83. 97-106

	ვ. ცომაია, მ. ძაძამია.	გამოყენებით მდინარე ტვი- ბერის აუზის მყინვარების შესწავლის შედეგები	ქართველოს ტექნიკური- უნივერსიტეტის ჰიდრო- მეტეოროლოგიის ინსტი- ტუტის შრომათა კრებული ტ 124	ტექნიკური უნივერსიტე- ტის ჰიდრომე- ტეოროლოგი- ის ინსტიტუ- ტი	
5	ბერიტაშვილი ბ. კაპანაძე ნ. ზოტიკიშვი- ლი ნ.	საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორე- ბისთვის კლიმატის ცვლი- ლებასთან ადაპტირების პოტენციალის შეფასება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომე- ტეოროლოგიის ინსტიტუ- ტის შრომათა კრებული			87-91
6	ბეგალიშვილი ნ. ცინცაძე თ. ბერიტაშვილი ბ. კაპანაძე ნ. ქართველიშვი- ლი ლ. ბეგა- ლიშვილი ნ.ნ. ცინცაძე ნ.	საათობრივი ნალექების განსაზღვრა კლიმატური ცნობარებიდან მათი წლის და თვის სიდიდეების სა- ფუძველზე და ძლიერი, კა- ტასტროფული ნალექების მოსვლის ალბათობის (რის- კის) შეფასება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომე- ტეოროლოგიის ინსტიტუ- ტის შრომათა კრებული „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალუ- რი პრობლემები“			33-37
7	ფიფია მ. კაპანაძე ნ. ქართველიშვი ლი ლ. ბეგლარაშვილ ი ნ.	სეტყვიან დღეთა რაოდენობა სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების წარმოებამდე, წარმოებისას და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა			42-491

		კრებული „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“			
8	კაპანაძე ნ. ბერიტაშვილი ბ. ხვედელიძე ზ. ზოტიკიშვილი ი. ნ.	ძლიერი ქარების რეჟიმის ცვალებადობა მტკვრის ხეობაში აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული „გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები“.		აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტ ის გამომცემლობა	
9	ზურაბ ხვედელიძე, ნანული ზოტიკიშვილი	კლიმატის ლოკალური „ფენომენური“ თავისებურებების დინამიკური ბუნების შესწავლა, ქალაქ თბილისის ქვაბურისათვის ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „ფიზიკა“ (http://gesj. Internet-academy).	Org.ge/physic/, N 7(17)	ანდრია პირველის სახ.საპატრიაქ ო უნივერსიტეტ ი. თბილისი,	გვ.29-37
10	დ. დემეტრაშვილი	ნიადაგში მყარი მინარევის გავრცელების მათემატიკური მოდელირების შესახებ. საქართველოს ტექნიკუ- რი უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები	2017, ტ.124	ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ ის გამომცემლობა	7
11	დ. დემეტრაშვილი ი, ვ. კუხალაშვილი	შავი ზღვის ოპერატიუ- ლი ოკეანოგრაფია თანამედროვე ეტაპზე. VIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტი- კული	2017	ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტ	6

		კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ ინსო-2017, 7-8 ივლისი, 2017, შრომათა კრებული.		ო	
--	--	---	--	---	--

II.2 პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Tatishvili	Developing Weather Forecasting Modeling	OMICS International	45

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Marika Tatishvili, Inga Samkharadze	Local disturbances and wind field distribution modeling in Georgia International Scientific Journal of Environmental Science	Vol. 6	International Scientific Journal ISBN -13: 978-1546686477 ISBN-10: 1546686479, Italy	3-6
2	Marika Tatishvili, Demur Demetrashvili, Inga Samkharadze, Irine Mkurnalidze	Wind field distribution in Georgia Journal of Fundamentals of Renewable Energy and Applications.	Volume 7, Issue 5	Journal of Fundamentals of Renewable Energy and Applications. ISSN: 2090-4541	
3	დ. დემეტრაშვილი, ა. კორძაძე	Operational forecasting for the eastern Black Sea. Proceed. of the The 13 th MEDCOAST Congress on Coastal and Marine Sciences, Engineering, Management and Conservation-	2017, ტომი 2	ქ. მელიეჰა, მალტა	12

	MEDCOAST2017,30 October – 4 November 2017		
--	--	--	--

**III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)**

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მ. ტატიშვილი, ი. მკურნალიძე, ი.სამხარაძე, ლ. ჩინჩალაძე	დედამიწის დაკვირვების სისტემის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება ამინდის საპროგნოზო მეთოდებში.	3-4 ივნისი აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	M.Tatishvili M.Meladze I.Mkurnalidze L.Chinchaladze	EARTH OBSERVING SYSTEM SATELLITE DATA APPLICATIONS IN GEORGIA	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Alexsandre Javakhishvili Geographical Society of Georgia international Geographical Union (IGU) Commission of Landscape Analysis and Landscape Planning Landscape Dimensions of Sustainable Development: Science - Planning - Governance INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE Dedicated to commemorate the 70th Anniversary of professor Nikoloz (Niko) Beruchashvili. 4- 6 october, Tbilisi
3	მ. ტატიშვილი, ი. მკურნალიძე, ი.სამხარაძე, ლ.	დედამიწის სადამკვირვებლო სისტემას ინფორმაციის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

	ჩინჩალაძე	გამოყენება ამინდის საპროგნოზო მეთოდებში.	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაისის 64-ე სამეცნიერო სესია, 2017 წლის 24 მაისი.
4	ლ. შენგელია, გ. კორძაძია, გ. თვაური.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის FR/586/9-110/13 „თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე საქართველოს მყინვარების კვლევა“ საბოლოო ანგარიში.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარი, სადემონსტრაციოდლე 2017 წლის 15 მარტი.
5	ლ. შენგელია, გ. კორძაძია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ. ძაძამია.	დისტანციური ზონდირების (თანამგზავრული და აეროფოტოგადაღებების) გამოყენებით მდინარე ტვიბერის აუზის მყინვარების შესწავლის შედეგები.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაისის 64-ე სამეცნიერო სესია, 2017 წლის 24 მაისი.
6	ლ. შენგელია, გ. კორძაძია, ვ. ცომაია.	საქართველოს მყინვარების ევოლუციის კვლევა თანამგზავრული დისტანციური მეთოდოლოგიების და მიწისპირა დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. საბოლოო ანგარიში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარი,
7	ლ. შენგელია, გ. კორძაძია, ვ. ცომაია.	საქართველოს მყინვარების ევოლუციის კვლევა თანამგზავრული დისტანციური მეთოდოლოგიების და მიწისპირა დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. დასკვნითი ანგარიში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარი, 2017 წლის დეკემბერი.
8	ლ. შენგელია, გ. კორძაძია, ვ. ცომაია.	საქართველოს მყინვარების ევოლუციის კვლევა თანამგზავრული დისტანციური მეთოდოლოგიების და მიწისპირა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 2017 წლის

		რა დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. დასკვნითიანგარიში	22 დეკემბერი.
9	კაპანაძე ნ. ბერიტაშვილი ბ. ზოტიკიშვილი ნ.	საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორებისთვის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების პოტენციალის შეფასება	24 მაისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი
10	ბეგალიშვილი ნ. ცინცაძე თ. ბერიტაშვილი ბ. კაპანაძე ნ. ქართველიშვილი ლ. ბეგალიშვილი ნ.ნ. ცინცაძე ნ.	სათობრივი ნალექების განსაზღვრა კლიმატური ცნობარებიდან მათი წლის და თვის სიდიდეების საფუძველზე და ძლიერი, კატასტროფული ნალექების მოსვლის ალბათობის (რისკის) შეფასება	24 მაისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი
11	კაპანაძე ნ. ბერიტაშვილი ბ. ხვედელიძე ზ. ზოტიკიშვილი ნ.	ძლიერი ქარების რეჟიმის ცვალებადობა მტკვრის ხეობაში	3-4 ივნისი აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
12	ფიფია მ. კაპანაძე ნ. ქართველიშვილი ლ. ბეგლარაშვილი ნ.	სეტყვიან დღეთა რაოდენობა სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების წარმოებამდე, წარმოებისას და მის შემდგომ პერიოდში	24 მაისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი
13	დ. დემეტრაშვილი, ვ. კუხალაშვილი	შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფია თანამედროვე ეტაპზე.	VIII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ ინსო-2017, 7-8 ივლისი, 2017 ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

1	Marika Tatishvili, Inga Samkharadze	Local disturbances and wind field distribution modeling in Georgia	International conference on Environment and Renewable Energy. Venice, Italy, 2017, May
2	Marika Tatishvili, Irine Mkurnalidze Inga Samkharadze, Lasha Chinchaladze	Satellite technologies in forest ecological monitoring and weather forecasting modeling.	Международной научно-технической конференции «СИСТЕМЫ КОНТРОЛЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ – 2017» Sevastopol
3	დ. დემეტრაშვილი, ა. კორძაძე	Operational forecasting for the eastern Black Sea.	MEDCOAST Congress on Coastal and Marine Sciences, Engineering, Management and Conservation- MEDCOAST2017,30 October – 4 November 2017 სანაპიროსა და საზღვაო მეცნიერებების, ინჟინერიის, მართვისა და კონსერვაციის მეცამეტე საერთაშორისო კონგრესი. ქ. მელიეჰა, მალტა 30 ოქტომბერი-4 ნოემბერი 2017

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი

**2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

ინსტიტუტის დირექტორი: **პროფ. ზურაბ კაკულია**

2017 წლის სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

№	სახელი და გვარი	თანამდებობა
	ადმინისტრაცია	
1	ზურაბ კაკულია	დირექტორი
2	ავთანდილ სონდულაშვილი	დირექტორის მოადგილე
	საინჟინრო გეოლოგიის განყოფილება	
1	თარხან თევზაძე	განყ.ფროსი, მთ. მეც. თან.
2	გუგა ჭოხონელიძე	მთ. მეც. თანამშრომელი
3	თამაზ ბაციკაძე	მთ. მეც. თანამშრომელი
4	დალი ჩუტკერაშვილი	უფ. მეც. თანამშრომელი
5	ზურაბ კაკულია	უფ. მეც. თანამშრომელი
6	მანანა კოპაძე	მეც. თანამშრომელი
7	ელენე ჯანდიერი	მეც. თანამშრომელი
	ზღვის საინჟინრო გეოლოგიის განყოფილება	
1	გივი იაშვილი	განყ.ფროსი, უფ. მეც. თან.
2	თინათინ ძაძამია	უფ. მეც. თანამშრომელი
3	ზურაბ ვარაზაშვილი	უფ. მეც. თანამშრომელი
4	ხვიჩა ზაგაშვილი	მეც. თანამშრომელი
	ჰიდროგეოლოგიის განყოფილება	
1	ბადრი მხეიძე	განყ.ფროსი, მთ. მეც. თან.
2	ბერდი ზაუტაშვილი	მთ. მეც. თანამშრომელი
3	გიორგი ომსარაშვილი	უფ. მეც. თანამშრომელი
4	ლუდმილა ღლონტი	უფ. მეც. თანამშრომელი
5	ინგული ნანაძე	მეც. თანამშრომელი
	გეოეკოლოგიის განყოფილება	
1	დიმიტრი აბზიანიძე	განყ.ფროსი, უფ. მეც. თან.
2	ვერა აბზიანიძე	უფ. მეც. თანამშრომელი
3	ნათია ინანაშვილი	მეც. თანამშრომელი

4	კონჩაკოვი ივანე	ლაბორანტი (შტატგარეშე)
	დამხმარე პერსონალი	
1	მაია შევარდენიძე	წამყვანი სპეციალისტი
2	ნათელა გელაშვილი	უფროსი სპეციალისტი
3	კარლო გავაშელი	კომენდანტი
4	ნინო მეხრიშვილი	დამლაგებელი
	შტატგარეშე	
1	ომარ კრიალაშვილი	ელექტრიკოსი
2	იგორ ჩუჟაიკინი	ბურღვის ოსტატი
3	კოტე გუგუშვილი	ბურღ. ოსტ. თანაშემწე

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	დარგი: გეოლოგია სამეცნიერო მიმართულება: საინჟინრო გეოლოგია პროექტი „თბილისის ავარიულ შენობა-ნაგებობათა დეფორმაციების გამომწვევი მიზეზების კვლევა და მათი საწინააღმდეგო ლონისძიებების დასახვა“	გ. ჭოხონელიძე	ზ. კაკულია; ზ. ვარაზაშვილი; დ. ჩუტკერაშვილი; მ. კოპაძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩატარებული კვლევების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისში არსებული დეფორმირებული შენობა-ნაგებობების ფუძე-გრუნტებად ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ტიპის ქანები:

1) ტექნოგენური ანუ ნაყარი გრუნტები, რომელებიც ქალაქის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული და ფარავენ მისი რელიეფის სულ ზედა ფენებს. ეს ქანები ძალზე არაერთგვაროვანი აგებულებისაა, ძირითადად წარმოდგენილია თიხნარ გრუნტებში სხვადასხვა ოდენობით შერეული სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სახით. მათი სიმძლავრე ასევე მერყეობს რამდენიმე ათეული სანტიმეტრიდან 10.0-15.0 მეტრამდე. მათი გამოყენება შენობების ფუძე გრუნტებად ხდება არასწორად ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დროს და საკმაოდ უარყოფითი შედეგებით მთავრდება.

2) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხა-თიხნაროვანი ტიპის ქანები. ეს ქანები ქალაქის გარკვეულ რაიონებში შენობების საძირკვლების ფუნდირების უალტერნატივო ფუძე-გრუნტებს წარმოადგენენ, თუმცა საკმაოდ კარგი მზიდუწარმობით გამოირჩევიან, მაგრამ არასწორი ექსპლოატაციის პირობებში, როგორცაა დასველება ან სხვა ტექნოგენური ზემოქმედება, სიმტკიცის თვისებებს სწრაფად კარგავენ, რაც ხშირად ამ ტიპის ქანებზე დაფუძნებული შენობების დეფორმაციებს იწვევს. ამ ქანების სიმძლავრე მერყეობს ერთ-ორი მეტრიდან ათეულ მეტრამდე.

თიხნარები ბუნებრივ პირობებში არ ხასიათდებიან დიდი ტენიანობით. იგი მერყეობს 12-16 % ფარგლებში. სიმკვრივე $\rho=1.68-1.88$ გ/სმ³. თიხნარები ხშირად შეცავენ თაბაშირს 3-15% და ზოგჯერ მეტი რაოდენობით. ვხვდებით ასევე კარბონატული მასალას საერთო და ჩანაწინკლების სახით. თიხნარების თვისებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი არამდგრადობა წყალთან ურთიერთობაში, რაც მდგომარეობს იმაში, რომ დასველებისას ისინი მკვეთრად კარგავენ მზიდუწარმობას. მის დასტურად გამოდგება ის, რომ თუ მშრალ მდგომარეობაში (ბუნებრივი) მათი საანგარიშო წინაღობა ვერტიკალურ დატვირთვებზე 2.0-3.0 კგ/სმ² ტოლია, გაწყლიანების შემდეგ 1.5 კგ/სმ² ეცემა.

თიხნარების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ლიოსისებური გრუნტები. ისინი ფართე გავრცელებით სარგებლობენ სანჯონაში, ავლაბარში, სამგორის რაიონში და სხვა. ლიოსისებური ქანები ხასიათდებიან ჩაჯდომადი თვისებებით, რაც მათი მაკროფოროვანი სტრუქტურითაა გაპირობებული. ეს გრუნტები მშრალ მდგომარეობაში ჩვეულებრივი თიხნარების მსგავსი თვისებებით ხასიათდებიან, მაგრამ გაწყლიანების შემთხვევაში იძლევიან დიდ ვერტიკალურ დეფორმაციებს, ანუ ჩაჯდომებს, რაც შენობების ფუძეებისათვის ძალზე საზიანოა. მათი ჩაჯდომადობის მაჩვენებელი 0.02-0.03 უტოლდება, ხოლო სიმტკიცის მაჩვენებლები შემდეგნაირად იცვლება, ბუნებრივ მდგომარეობაში: შიდა ხახუნის კუთხე $\phi^0=18-190$, შეჭიდულობა $C=0.64$ კგ/სმ²; გატენიანების შემდეგ: შიდა ხახუნის კუთხე $\phi^0=10-120$, შეჭიდულობა $C=0.16-0.30$ კგ/სმ².

აღსანიშნავია, რომ ლიოსისებური ქანების გავრცელების არეალში ხშირია მეწყრული და ეროზიული პროცესები, რომლის დროსაც ამ ადგილებში ლიოსისებური ქანებისთვის დამახასიათებელი ჩამოქცევის ვერტიკალური კედლები წარმოიჩობიან, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა საქმიანობას.

3) ალუვიური წარმოშობის კენჭნაროვანი ქანები ფართო გავრცელებით სარგებლობენ თბილისის ფარგლებში. ეს შრეები მდ. მტკვრის მეორე და მესამე ჭალის ტერასების ნარჩენებსა და ფრაგმენტებს წარმოადგენენ. მათ გრანულომეტრიულ შემადგენლობაში ძირითადად სჭარმობენ 3-5 სმ სიდიდის მქონე კენჭნარები. როგორც წესი მათი შემავსებელი თიხნარები დიდი რაოდენობით შეიცავენ თაბაშირს. ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა ცდებმა ნათლად დაგვანახა, რომ

გაწყლიანების შემთხვევაში ეს ქანები განიცდიან დეფორმაციებს, რომლის სიდიდეც პირდაპირპროპორციულად იზრდება თაბაშირის შემცველობასთან დაკავშირებით ანუ, რაც მეტი რაოდენობის თაბაშირია ქანში, მით მეტი მისი ნაწილაკები გამოიტუტება გრუნტიდან და დაჯდომის სიდიდეც მით მეტია, ე.ი. აქტიურად მიდის სუფოზიური პროცესი.

4) თბილისის ტერიტორიის ამგები კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანები ძირითადად წარმოდგენილი არიან არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ეს ქანები საღ მდგომარეობაში შენობების ფუნდირებისათვის საუკეთესო თვისებებს ავლენენ, მათი სიმტკიცის მაჩვენებლები ბევრად აღემატება საძირკვლების განლაგებისათვის საჭირო ნორმებს, მაგრამ ისინი ადვილად იფიტებიან და მათ ზედა ფენებში წარმოშობილი გამოფიტული შრეები საძირკვლებისთვის ხშირად პრობლემებს ქნიან, განსაკუთრებით იმ ზონებში სადაც მათი დასველება ხდება. გამოფიტვის ქერქის სიმძლავრე ცვალებადია და საერთო მონაცემების მიხედვით 0.5-1.5 მეტრის ფარგლებში მერყეობს, თუმცა არცთუ გამონაკლისებს მიეკუთვნება გამოფიტვის ქერქის 3.0 და 4.0 მეტრიანი ფენები. ამას ემატება ის გარემოება, რომ საძირკვლებისთვის გამზადებულ ღია ქვაბურებში არგილიტები ძალზე სწრაფად იფიტებიან (რამდენიმე კვირის მანძილზე) და ღორღ-ნატეხოვან მასალას წარმოქმნიან, რაც საძირკვლების მშენობლობისათვის ძალზე სახიფათოა.

ჩატარებული კვლევების ანალიზზე დაყრდნობით ასევე შესაძლებელი გახდა დაგვედგინა ქ. თბილისის ავარიული შენობა-ნაგებობების დეფორმაციების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები და მიზეზები, რომლებიც შესაძლოა დავყოთ შემდეგ ძირითად სახეებად:

№	ძირითადი ფაქტორები	დეფორმაციის გამომწვევი მიზეზები
1	ენდოგენური	მიწისძვრები
2	ეგზოგენური	ტექნოგენური წარმოშობის რხევები და ვიბრაციები
		თანამედროვე გეოდინამიკური მოვლენები და პროცესები
3	ჰიდროგეოლოგიური	კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორების ზემოქმედება (ქარისმიერი დატვირთვები, წვიმა, მკვეთრი ტემპერატურული ცვალებადობა, სამშენებლო მასალის „ხანდაზმულობა- დაუძლურება“ და სხვა)
		მიწისქვეშა წყლების დონეების ცვალებადობით გამოწვეული დეფორმაციები – სუფოზია, გრუნტების დაჯდომა.
4	ფუძე-გრუნტების სამშენებლო თვისებების არასწორი შეფასება	ლიოსისებური ან სხვა დაჯდომადი ფუძე-გრუნტების არსებობის შემთხვევაში მათი დასველება გაუმართავი წყალგაყვანილობის ან მოძველებული საკომუნიკაციო ქსელის პირობებში
		დამარილიანებული ფუძე-გრუნტების არსებობის შემთხვევაში გრუნტების დასველება-გამოტუტვა და სუფოზიური პროცესების განვითარება გაუმართავი

		წყალგაყვანილობის ან მოძველებული საკომუნიკაციო ქსელის პირობებში
		მშენებლობა არაკონსოლიდირებულ ტექნოგენურ გრუნტებზე ან სხვა განსაკუთრებული თვისებების მქონე ქანებზე
5	სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევა (არასწორი მშენებლობა)	არასწორი კონსტრუქციული გადაწყვეტა

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თბილისის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული შენობების დეფორმაციის გამომწვევ ძირითად მიზეზებად გვევლინებიან ჰიდროგეოლოგიური ფაქტორები, როგორცაა მიწისქვეშა წყლების დონეების ცვალებადობა ბუნებრივ ან გაუმართავი საკომუნიკაციო ქსელის პირობებში (ან ორივე ერთად), რომლის შედეგადაც ფუძე გრუნტების გამოტუტვა-სუფოზია და დაჯდომის პროცესები ვითარდება. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფუძე-გრუნტების სამშენებლო თვისებების არასწორი შეფასებით გამოწვეულ მიზეზებს, სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევას (არასწორი დაშენება-მიშენება), მიწისძვრებს, კლიმატურ-მეტეოროლოგიურ ზემოქმედებას და სხვა.

ყოველი აღნიშნული ფაქტორით გამოწვეულ დეფორმაციას და ყოველი კონკრეტული შენობის დაზიანებას გამაგრებითი ღონისძიების შესამუშავებლად ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება, მაგრამ საერთო პრინციპები ყველგან თანაბრად გასათვალისწინებელი, ესაა ფუძის გრუნტების სრული საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა და მასზე დაყრდნობით საძირკვლების და შენობის საექსპლოატაციო პირობების სწორი შერჩევა.

2	დარგი: გეოლოგია სამეცნიერო მიმართულება: ზღვის საინჟინრო გეოლოგია პროექტი „კოლხეთის ზღვის სანაპირო ზონის თანამედროვე პირობების შესწავლა გარემოს დაცვასა და მის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით“.	გ. იაშვილი.	თ. იაშვილი; თ. ძამამია; ზ. ვარაზაშვილი.
---	--	-------------	---

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საკვლევი ტერიტორია-კოლხეთის ზღვის სანაპირო ზონა მდ. ენგურიდან მდ. სუფსამდე საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით წარმოსადგენს ერთ-ერთ რთულ რაიონს,

რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმასთან დაკავშირებით, რომ ამუშავებულია აზია-ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, ფუნქციონირებს სუფსის ნავთობის ტერმინალი და მისი ზღვაში ჩასატვირთი ობიექტი, ანაკლიაში იწყება ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მკვეთრად იზრდება ანთროპოგენული დატვირთვა, რაც უფრო აქტუალურს ხდის საკვლევი რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლას.

ზღვის სანაპირო ზონა არის ზღვისა და ხმელეთის ის ნაწილი, სადაც ლითოსფერო და ჰიდროსფერო აქტიურ ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. მის საზღვრებში მიმდინარეობს ტალღების ტრანსფორმაცია, მათი ენერჯის დახარჯვა, სანაპირო ზონის რელიეფის სისტემატური სახეცვლილება და ნაშალი მასალის (კენჭნარი, ხრეში, ქვიშები) გადაადგილება. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ამ ზონაში დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის. გარდა ბუნებრივი ფაქტორებისა იგი დამოკიდებულია აგრეთვე ანთროპოგენულ ფაქტორებზეც (ჰიდროტექნიკური და ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისა და პორტების მშენებლობა, მდინარეების შესართავის გადაადგილება და სხვა).

პირველ ყოვლისა ჩვენს მიერ დამუშავებული და გაანალიზებული იქნა არსებული ფონდური მასალა, რომელიც მოპოვებული იყო მრავალი წლის განმავლობაში, როგორც ჩვენი ინსტიტუტის (რომლის ზღვის საინჟინრო-გეოლოგიის განყოფილება 1964 წლიდან ატარებდა საინჟინრო კვლევით სამუშაოებს), ასევე სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციების მიერ.

განისაზღვრა ძირითადი ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების როლი, რომლებიც განაპირობებენ საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ფორმირებას. ბუნებრივი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ზღვის ტალღური რეჟიმი, რომლის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება ჩატარდა. ბუნებრივი ფაქტორებიდან დიდი როლი ენიჭება პლაჟების წარმოქმნასა და ზღვის წარეცხვებისგან დაცვაში მდინარეთა მყარ გამონატანს.

ანთროპოგენული ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ:

1. კაშხლების მშენებლობა, რომელიც იწვევს მდინარეების მყარი ჩამონადენის შემცირებასა და მისი დეფიციტის გამო პლაჟების წარეცხვასა და აბრაზიას (მდინარე ენგურზე კაშხლის აშენების შემდეგ ანაკლიის სანაპიროს წარეცხვა);
2. პორტების მშენებლობა, რომელიც იწვევს ნალექების ნაპირგასწვრივი გადაადგილების ზონებში სანაპიროების მნიშვნელოვან, ე.წ. „ქვედა“ წარეცხვებს;
3. მდინარეების ნაკადის დარეგულირება, კერძოდ მდ. რიონის გადაადგებამ ჩრდილოეთით 1938წელს გამოიწვია ფოთის პორტის სამხრეთით სანაპიროების ძლიერი წარეცხვები, განსაკუთრებით მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ძველი სასაფლაოსა და „შუქურას“ უბნებზე;
4. ქვიშებისა და ხრეშის მოპოვება მდინარეებსა და ზღვის სანაპირო ზონებში და ა.შ;

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სავსე სამუშაოები ზღვის სანაპირო ზონაში. გაკეთდა 40 გეოლოგიური ჭრილი ლაზერული მანძილმზომის გამოყენებით. ჭრილებზე მოცემულია პლაჟების სიგანეები, წყალქვეშა ფერდობზე გავრცელებული ლითოლოგიურ სახესხვაობათა შორის საზღვრები.

ანაკლია მდ. ჭურის უბანზე სანაპირო ზონაში გავრცელებულია კენჭნარი, ხვინჭისა და ქვიშის შემავსებლით 1.5-2.0 მ. სიღრმემდე. მათი გავრცელების არეალი ვიწროვდება სამხრეთის მიმართულებით რაც უფრო შორდება მდ. ენგურის შესართავს. ამასთან ერთად, შესაბამისად მათი

გრანულომეტრიული შემადგენლობისა, სიდიდეები მცირდება.

მდ. ხობი - მდ. რიონის ზღვის სანაპირო ზონაში გავრცელებულია სხვადასხვამარცვლოვანი ქვიშები, რომლებიც 1.6-2.0 მ. სიღრმიდან გადადიან წვრილმარცვლოვან ქვიშებში. რაც შეეხება პლაჟის სიდიდეებს, მათი ზომები უმთავრესად 20-30 მ-ია, ხოლო მდ. ხობის სამხრეთით ფართოვდება და მდ. რიონის როგორც მარცხენა ისე მარჯვენა სანაპიროზე 100 მ-ს აღწევს, რაც მიუთითებს მდ. რიონის გამონატანის გავლენაზე, რომელიც ქვიშოვანი მასალითაა წარმოდგენილი.

გამომდინარე ამ გარემოებებიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალში რეჟიმული დაკვირვებების ჩატარება საკვლევი რაიონის სანაპირო ზონაში, რათა მიღებული იქნას მასალები ზღვის სანაპირო ზონის ცვლილებების როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროგნოზისთვის, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიმუშაოთ ღონისძიებები უარყოფითი გეოლოგიური მოვლენის განვითარების საწინააღმდეგოდ.

პროექტის შესრულების შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას საინჟინრო კვლევებისას სამეურნეო და საკურორტო მშენებლობის დროს ზღვის სანაპირო ზონაში სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო და ნაპირგასამაგრი ღონისძიებების დაპროექტებისას.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული (დასრულებული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	მიწის, წყლის და ტყის რესურსების და ეკოლოგიის განყოფილება „საქართველოს მიწის რესურსების (ფონდის) მართვის პრობლემები“ მეცნიერების დარგები: აგრარული მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულები: ნიადაგმცოდნეობა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ეკოლოგია	თ.ურუშაძე	ნ.ჭითანავა ჯ.მაჭავარიანი რ.ფირცხალავა
2	„ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების დონე საქართველოში და	თ. პატარქალაშვილი	თ. პატარქალაშვილი

	<p>პერსპექტივები“ მეცნიერების დარგები: აგრარული მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულები: მეტყვეობა, ეკოლოგია, ეკონომიკა</p>		
3	<p>„კახეთის რეგიონის მოსახლეობის სასმელ- სამეურნეო წყალმომარების პრობლემები მუნიციპალიტეტების მიხედვით“ მეცნიერების დარგები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულები: ჰიდროლოგია, წყლის რესურსები, ეკონომიკა, ეკოლოგია</p>	ქ. მახარაძე	<p>ზ. ლომსაძე მ. ციციშვილი ვ. გელაძე რ. ფირცხალავა</p>
4	<p>მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილება</p> <p>„მეორეული და არატრადიციული მინერალური რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში“ მეცნიერების დარგები: დედამიწის და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულებები: გეოლოგია, გარემოს და გეოლოგიური ინჟინერია,</p>	გ. მაღალაშვილი	<p>გ. მაღალაშვილი, ა. სულაძე, ჯ. კაკულია, დ. კუპატაძე, ა. დვალაძე</p>

	სამთო და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ბიოპროცესების ტექნოლოგიები		
5	„საქართველოში ენერჯის განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი ჩართვის პერსპექტივები“ მეცნიერების დარგები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი სამეცნიერო მიმართულებები: ინჟინერია და ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, ეკონომიკა	ირ. ჟორდანია	ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი, ა. დვალაძე
6	ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილება „შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში“ მეცნიერების დარგები: სოციალური მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულებები: სოციოლოგია, ეკონომიკა, დემოგრაფია	ა. სახვაძე	ა. სახვაძე
დასრულებული კვლევითი პროექტების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

1. „საქართველოს მიწის რესურსების (ფონდის) მართვის პრობლემები“

სამუშაოში გაანალიზებულია 1985-2016 წლებში საქართველოში მიწის რესურსების მართვაში ჩამოყალიბებული ტენდენციები, მიწის ფონდის სტრუქტურა, საკუთრებით ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებები, მიწის რესურსების მართვაში დაშვებული შეცდომები. სასოფლო-სამეურნეო აღწერების (2004 და 2014 წლებში) მასალების ანალიზით დადგენილია მიწის პრივატიზაციის ნეგატიური მოვლენები (მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია, მრავალნაკვეთიანობა, დეგრადაციის პროცესების გაღრმავება, დაუმუშავებელი ფართობების ზრდა, მოუწესრიგებელი აღრიცხვა და სხვ.) და მათი გამომწვევი ფაქტორები. მიწის რესურსების მართვის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლითა და ანალიზით მოპოვებულია საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, რომელსაც საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს.

კვლევამ აჩვენა, რომ 1990-იან წლებიდან ქვეყანაში ფაქტობრივად შეიცვალა მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის პრინციპები. 2014 წლის აღწერის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 30%-მდე გაცემულია სარგებლობასა და კერძო საკუთრებაში. სახელმწიფოს საკუთრებაში ისევ რჩება მთელი ტერიტორიის 86,7%, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 71,3%, სახნავის 50%, მრავალწლიანი ნარგავების 50%, სათიბ-სამოვრების 83,3%.

2005 წლის შემდეგ ქვეყანაში მიწის ბალანსი არ დგება. სახელმწიფომ პრაქტიკულად დაკარგა მიწის რესურსებზე კონტროლი. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო აღწერებით (რომლებიც მხოლოდ კერძო სექტორს შეეხო) მიღებული ინფორმაცია მიწის საერთო ფონდის შეფასებისათვის საკმარისი არ არის. აუცილებელია ჩატარდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების ინვენტარიზაცია. გაანალიზებულია მიწის რესურსების უცხოელებზე მიყიდვის ცალკეული ფაქტები. ახსნილია მიწის რესურსების აღრიცხვაში არსებული მდგომარეობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ნაშრომში გაანალიზებულია რეგიონების მიხედვით კლიმატის ცვლილებები, შეჯერებულია 1999-2010 წლების საშუალო მონაცემები ათეული წლების მონაცემებთან. დაფიქსირებულია, რომ ქვეყანაში (რიგ რეგიონებში) საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 10, 20 და 30-ზე მეტი პროცენტით. შემცირდა წლიურ ნალექების რაოდენობა 10, 20 და 30-ზე მეტი პროცენტით. გაიზარდა ჰაერის 0°C-ზე მეტი ტემპერატურის ჯამი 10, 15 და მეტი პროცენტით. გაანალიზებულია ნიადაგების აზოტით, ფოსფორით და კალიუმით უზრუნველყოფის მდგომარეობა. ნიადაგის დეგრადაციის მიმდინარე პროცესების ნეგატიური შედეგები და დასაბუთებულია ნიადაგის დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავების აუცილებლობა.

მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის თავისებურებების და გამოყენებაში ჩამოყალიბებული ტენდენციების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები. მათ შორის:

- მიზანშეწონილად არის მიჩნეული მიწის რესურსების მართვისა და დაცვის ერთიანი სამსახურის შექმნა (სააგენტო, დეპარტამენტი, კომიტეტი ან სხვა

ფორმით), რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება პარლამენტს ან პრემიერ მინისტრს. სამსახურის სისტემაში უნდა შეიქმნას შესაბამისი კვლევითი და საპროექტო სტრუქტურები, ლაბორატორიები. სამსახურს უნდა ჰქონდეს მართვის რეგიონული სტრუქტურები. ასევე დაზუსტებას მოითხოვს მიწის რესურსების მართვასთან დაკავშირებული სამინისტროებისა და უწყებების ფუნქციები. ერთიან სამსახურს უნდა დაეკისროს მიწის რესურსების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, სახელმწიფო მონიტორინგის, კონტროლისა და მიწის კატეგორიების შეცვლაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია. სამსახური ყოველწლიურად უნდა ადგენდეს მიწის ბალანსს, მიზნობრივ ანგარიშებს მიწის რესურსების გამოყენებაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

- მიწის კონსოლიდაციის პროცესის რეგულირების დაჩქარების მიზნით განხილულ იქნას მიწის რესურსების სახელმწიფო კორპორაციის (ფონდის) შექმნის საკითხი. იგულისხმება, რომ აღნიშნულ სტრუქტურას მართვისათვის გადაეცეს ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (დაახლოებით 2 მლნ ჰექტრამდე), აღიჭურვოს უფლება-მოსილებით მიწის ბაზარზე შეისყიდოს მიწის ფართობები. მასვე უნდა დაეკისროს გადაცემული და შესყიდული ფართობების მიზნობრივად გამოყენებისათვის მომზადება (გამასივება, გასარწყავება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, მიწის რეკულტივაცია, კონსერვაცია და ა.შ.). შემდგომში ქვეყნის ინტერესების შესაბამისად შესაძლებელი გახდეს მიწის ფართობების გასხვისება ან იჯარით გადაცემა.
- ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამჟამინდელი დონის (სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოძველებული ტექნოლოგიები, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ა.შ.) გათვალისწინებით მიზანშეწონილია სპეციალიზებული საადგილმამულო ბანკის ფუნქციონირება (იგი შეიძლება იყოს სახელმწიფო-კომერციული ბანკი). იგულისხმება, რომ ასეთი ბანკი მრავალფუნქციურია, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობით ხელს უწყობს მიწების რაციონალური გამოყენების ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამასთან მას უნდა დაეკისროს მიწის ნაკვეთის გირაოდ მიღების ფუნქციაც. ბანკის მიერ გირაოდ აღებული მიწის ფართობის დაბრუნების უფლება უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს მის ადრინდელ მფლობელს, სხვა შემთხვევაში მიწის ფართობს შეიძენს ზემოთ დასახელებული კორპორაცია, ე.ი. მიწის ნაკვეთი დარჩება სახელმწიფო ბალანსზე. ასეთი წესი საბოლოოდ ხელს შეუწყობს მიწის კონსოლიდაციას (რაც ყველაზე აქტუალურია და ძნელად განსახორციელებელი). კორპორაციის ბალანსზე უნდა იყოს მიწის სახელმწიფო მარაგებში განსაზღვრული მიწის ფართობებიც, რომლებიც საჭიროებისასაა მიზნობრივად იქნება გამოყენებული.
- მიწის ფართობების დეგრადაციის შეჩერების, შემდგომში მისი აღმოფხვრის მიზნით მიზანშეწონილია შედგეს მიწის დეგრადაციის (ეროზიის, დაჭაობების,

გაუდაზნოების, დაზინძურებისა და ა.შ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემა 2025 წლამდე პერიოდისათვის. სქემის შედგენის ორგანიზაცია უნდა დაევალოს მიწის რესურსების მართვის ერთიან სამსახურს.

- მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა, კერძოდ, მიწის ეკონომიკური შეფასება, მიწის ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება, დაზღვევის სისტემის სრულყოფა, ამჟამად გამოყენებული პროგრამების ინტეგრაცია, დაბეგვრის პრინციპების სრულყოფა, მიწის ბაზრის განვითარება.
- ქვეყანაში მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო, არასამთავრობო, სამეცნიერო და სხვა უწყებების კოორდინაციისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს პრემიერ მინისტრი. კომისიამ უნდა უზრუნველყოს აგრარული სფეროს განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მიწის კოდექსისა და კადასტრის შედგენა, მიწის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ხელი შეუწყოს მსოფლიო ბაზრებზე ქვეყნის აგრარული პროდუქციის დამკვიდრებას.

აგრარულ სფეროში საკადრო პოლიტიკა (შემუშავება და განხორციელება) განხილული უნდა იყოს როგორც სახელმწიფო მართვის სტრატეგიული ფუნქცია. მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი პროფილის კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი. ამ მიზნით კადრების მომზადება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ხარჯებით. მიზნობრივი პროგრამებითა და ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს მიწის სავარგულების მეცნიერული კვლევა.

2. „ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების დონე საქართველოში და პერსპექტივები“

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს უმდიდრესი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ხეტყის მეორეული რესურსები რათა დაზოგონ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები და ხელი შეუწყონ ეკოლოგიური სტაბილურობისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. სამწუხაროდ საქართველოში ამ პრობლემას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოკვლევებით ტყეკაფზე ხეტყის დამზადების შემდეგ ადგილზე ნარჩენების სახით დაახლოებით რჩება მოჭრილი ხეტყის 40-50%. ხეტყის შემდგომი დახერხვისა და გადამუშავებისას ნახერხის, ბურბუმელის, სხვადასხვა ზომის ჩამონაჭრების სახით კიდევ რჩება დაახლოებით 20-25% ნარჩენები. საქართველოში ამ სახის კვლევები არასდროს არ ჩატარებულა, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები მეტად სარწმუნო და დამაჯერებელია.

საბჭოთა პერიოდშიც კი ხეტყის გადამუშავებისას მიღებული მეორეული ნარჩენები გამოიყენებოდა მერქანბურბუმელიანი და მერქანბოჭკოვანი ფილების დასამზადებლად (სამტრედისა და რუსთავის ხეტყის გადამამუშავებელი კომბინატები). ამ საწარმოებში დამზადებული ფილები გამოიყენებოდა მშენებლობაში, შენობების შიდა კედლების მოსაპირკეთებლად და სასკოლო, საოფისე და სხვა საყოფაცხოვრებლო ავეჯის დასამზადებლად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყეკაფზე ჭრის შედეგად დარჩენილი მეორეული რესურსები არც მაშინ იყო აღრიცხული და გამოყენებული.

ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ისე რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ვინაიდან იზოგება ათასობით სარი, ზეზე მდგომი ხე. უკანასკნელ წლებში საქართველოში ყოველწლიურად იჭრება 700-800 ათასი კუბ. მეტრი ხეტყე. მეორეული რესურსების რაციონალური გამოყენების შემთხვევაში ეს რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს 40-50%-ით.

ამჟამად მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ხეტყის მეორეული ნარჩენები ფართოდ გამოიყენება ცელულოზა-ქაღალდის, ქიმიურ, სამშენებლო და ავეჯის წარმოებაში. მათგან დამზადებულ ფილებს სხვაგვარად ინჟინერულ მერქანსაც უწოდებენ. მეტად მნიშვნელოვანია ხის ქერქის გამოყენება კომბიკორმების საწარმოებლად, ვინაიდან იგი მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით. ხეტყის მეორეული რესურსების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მათი გამოყენება ბიოსაწვავის სახით(ე. წ. პელეტები). ეს მიმართულება სწრაფი ტემპებით ვითარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში. ა.შ.შ.-ში ბიოსაწვავის მოხმარება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 2,5-ჯერ გაიზარდა ასეთივე მდგომარეობაა ევროპისა და აზიის განვითარებულ ქვეყნებშიც. არის ქვეყნები რომლებიც თვითონ ჯერ არ მოიხმარენ პელეტებს, მაგრამ ყიდიან მათ.

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია ხეტყის მეორეული ნარჩენების წარმოქმნის მიზეზები, მათგან დამზადებული პროდუქციის განმოყენების სფეროები. ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის ქვეყნებში ხეტყის მეორეული რესურსების გამოყენების თანამედროვე დონე და პერსპექტიული გათვლები. სამეცნიერო ნაშრომის მიზანია აღნიშნული საკითხის გააქტიურება, მისი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობის ხაზგასმა რათა აღნიშნული დარგის სპეციალისტებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა სათანადოთ შეაფასონ პრობლემის მნიშვნელობა.

3. „კახეთის რეგიონის მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარების პრობლემები მუნიციპალიტეტების მიხედვით“

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომლის წყალმომომარაგებისა და წყალმომარების პრობლემები მეტად აქტუალურია. სამუშაოში ნაჩვენებია, რომ კახეთი მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე გაედინება ორი მაგისტრალური მდინარე - იორი და ალაზანი, რომელთა აუზებში ირიცხება 1000-ზე მეტი მდინარე. თავმოყრილი და გაანალიზებულია მნიშვნელოვანი

მასალები კახეთის წყლის რესურსების შესახებ, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროდან, შპს 'საქმელიორაციიდან', გაერთიანებული წყლის კომპანიიდან და სხვ. განსაზღვრულია წყლის რესურსების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში და ერთ სულ მოსახლეზე; დადგენილია წყლის რესურსების საერთო რაოდენობა მდგენელების მიხედვით, რაც შეადგენს რეგიონში 4429 მლნ მ³-ს, მათ შორის მდინარეული ჩამონადენი 3914 მლნ მ³, წყალსაცავებში თავმოყრილია 505 მლნ მ³, მიწისქვეშა ჩამონადენია - 1631 მლნ მ³.

მუნიციპალიტეტებს შორის წყლის რესურსების სიუხვით გამოირჩევა ახმეტის მუნიციპალიტეტი, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 28,6 ათასი მ³ წყალი, ხოლო სულ ადგილზე ფორმირდება 0,9 კმ³. ყველაზე მცირე წყლის რესურსებით ხასიათდება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 2,33 ათასი მ³ წყალი, ხოლო სულ ადგილზე ფორმირდება 0,07 კმ³.

მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადების წყლის დებიტი იძლევა საშუალებას, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობა სრულად იყოს მომარაგებული სასმელ-სამეურნეო წყლით. მიუხედავად ამისა, ქალაქებისა და სოფლების უმეტესობას წყალი გრაფიკით მიეწოდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მოუწესრიგებელია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები. ამავე დროს მიწოდებული წყლის ხარისხიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს.

წყლის ხარისხის კონტროლი ამ დარგის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ამიტომ მისი გაუმჯობესება არსებული სტანდარტების შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განვითარებას საჭიროებს კახეთის ქალაქებისა და სოფლების საკანალიზაციო სისტემები, რაც დაკავშირებულია სათანადო დაფინანსებასთან. კახეთის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, რის გამოც მდ. ალაზანში და სარწყავ არხებში ჩაედინება გაუწმენდავი წყლები, რაც აბინძურებს მდინარესთან ერთად სარწყავ ფართობებს.

კახეთის წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა იძლევა საფუძველს, რომ კახეთის რეგიონი შეიძლება გახდეს სასმელი წყლის ერთ-ერთი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე.

სამუშაოს შესრულების შედეგად გამოყოფილია შემდეგი პრიორიტეტები:

- აუცილებელია კახეთის მტკნარი წყლის რესურსების, როგორც გრუნტის წყლების, ასევე მდინარეების დებიტის შეფასება;
- სასმელი წყლის და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია; პირველ რიგში ქალაქებში ხარისხის კონტროლის მექანიზმის დანერგვა; სასმელი და საკანალიზაციო სისტემების სრული იზოლირება ერთმანეთისაგან;
- სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს წყლის გამწმენდი სისტემების მშენებლობას.

სამუშაოში სათანადო ყურადღება ეთმობა კახეთის წყლის რესურსების გამოყენებას სარწყავ მოწათმოქმედებასა და მრეწველობაში. სამუშაოს ახლავს რეზიუმე და

გაკეთებულია დასკვნები კახეთის წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით. მიღებულ შედეგებს აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს კახეთის წყლის რესურსების გამოყენების სწორი პოლიტიკის გატარებას და რეგიონის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

4. „მეორეული და არატრადიციული მინერალური რესურსები და მათი გამოყენების პესპექტივები საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში“

საქართველოში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე გაცემული ლიცენზიები თითქმის 70-80%-ს აღწევს. ჩვენი საბადოები ძირითადად მცირე და საშუალო მასშტაბით ხასიათდება და თუ გავითვალისწინებთ მათი დამუშავების ტემპებს, დავრწმუნდებით, რომ 15-20 წლის შემდეგ მათი უმრავლესობა (ზოგი ერთეული საბადოს გამოკლებით) თითქმის მთლიანად იქნება დამუშავებული. მაგალითად, თეთრიწყაროს მანგანუმის საბადო (ჩხიკვთა, სამშვილდო, ჯორჯიაშვილი და სხვა უბნები) დაახლოებით ხუთ წელიწადში მთლიანად იქნა დამუშავებული.

ამრიგად, გარკვეული პერიოდის შემდეგ ქვეყანა დადგება დიდი პრობლემის წინაშე - იძულებული გახდება სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს მინერალური ნედლეული, რაც დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკას.

აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ვეძებოთ მათი შემცვლელი, თუნდაც არატრადიციული ნედლეული, მეორეული, ძირითადი სასარგებლო მინერალური კომპონენტების გადამხურავი „ფუჭი“ ქანები და თანამდევი ელემენტები, რაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოგვცემს საშუალებას შევინარჩუნოთ ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალი.

აღსანიშნავია, რომ მინერალური რესურსების შეფასებისას ხშირ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ექცევა თანამდევ, მეორეულ, არატრადიციულ და სასარგებლო წიაღისეულის ბუდობის გადამხურავ, ე.წ. „ფუჭ“ ქანებს. მათი ჩართვა მინერალურ-რესურსულ პოტენციალში საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა და შევქმნათ მისი ახალი დარგები.

მადნების შემთხვევაში თანამდევ ელემენტებს შორის აღსანიშნავია ვანადიუმი, კადმიუმი, ბისმუტი, სელენი, ტელური; მეტალურგიული ნარჩენებიდან - ნამწვი, წიდა, აქროლადი ელემენტები; „ფუჭ“ ქანებიდან - ბენტონიტური თიხების გადამხურავი ტრაქიტები (ასკანის საბადოზე); ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოზე - ალუმინის ოქსიდის მაღალი შემცველობის არგილიტები და თიხები; მადნეულის საბადოს საკერამიკო და მინის საწარმოებლად - გადამხურავი რიოლითური ქანები (ასეთი ტიპის „ფუჭი“ ქანები გავრცელებულია ასევე ბოლნისის საბადოების თითქმის ყველა უბანზე - ქვემო ბოლნისი, დავითგარეჯი, წითელი სოფელი), ბეგთაკარის საბადოზე - ოქროსშემცველი მეორადი კვარციტები (უნიკალური, ჩინეთის „ფაიფურის ქვების“ ტიპის ქანები).

გუმბრის ბენტონიტური თიხის საგები ქანები წარმოდგენილია გლაუკონიტის კვიშაქვებით, რომელთა პროგნოზული რესურსი (წყალტუბოს რაიონიდან ვრცელდება

ქ.ონამდე) შეადგენს რამდენიმე მლრდ. ტონას.

ახალციხის მურა ნახშირის საბადოზე საგები და სახურავი ქანები წარმოდგენილია „შავი ბენტონიტებით“, რომელიც არაჩვეულებრივ ორგანო-მინერალურ სასუქს წარმოადგენს. ასეთია ასევე მდ.დურუჯის ნაშალი თიხაფიქლები და სხვა.

ჭიათურის კარბონატული მადნების შემადგენლობაში დადგენილია ფოსფორი (ფრანკოლიტის და პოდოლიტის მინერალების სახით). ფოსფორი მონაწილეობს როგორც ჭიათურის მადნების შემცველ სპონგოლითურ ქანებში და ზღვიურ ზღარბების შემადგენლობაში, ასევე როგორც მინერალ-მანგანოკალციტში, რაც მოითხოვს ასეთი მადნების გამდიდრებას.

დედამიწის ქერქისა და მისი ლითოსფერული ფილების გეოდინამიკის თანამედროვე გააზრება აისახა როგორც ჩვენი ქვეყნის დანალექი ფორმაციების სედემენტოგენეზის, მაგმატიზმისა და მადანწარმოშობის პრობლემური საკითხების გაგებაშიც.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების ერთ-ერთი უკანასკნელი სქემა, რომელიც შემუშავებულია აკად. ე.გამყრელიძის მიერ, ყველაზე მეტად პასუხობს როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი გეოლოგიის მოთხოვნებს. მასზე გამოყოფილი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები-ზონები, ქვეზონები, ბლოკები, სექტორები ერთმანეთისაგან დაცილებულია რღვევებითა და გამოირჩევა თავისი გეოლოგიური ისტორიით, სტრუქტურული პოზიციითა და სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსებით.

დღეს ინტერნეტი საშუალებას გვაძლევს შევაჯამოთ თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები საბადოების წარმოშობაზე და მათ კავშირზე დედამიწის სხვადასხვა სტრუქტურებთან, ქანთა ფორმაციებთან, მინერალთა ასოციებთან.

სწორედ ასეთი მიდგომით და კონკრეტულად საქართველოს გეოლოგიაში ბოლო წლებში მიღებული ახალი მეცნიერული და პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებით ანგარიშში ჩამოყალიბებულია ჩვენი ხედვა ქვეყნის მინერალურ-რესურსულ პოტენციალში მეორეული თანამდევი, არატრადიციული და ზოგი „ფუჭი ქანების“ ჩართვის შესაძლებლობის შესახებ.

მინერალური პიგმენტების საბადოებიდან ანგარიშში განხილულია მათხოჯი-უძლოურის, ფოლადაურის, ნაგომარის რკინის მინერალების მეორეული ჟანგეული სახეობების-(ჰიდროჰემატიტი, ჰიდროჰოეთიტი) გამოყენების საკითხი, მუმის, სურინჯისა და ოხრის საწარმოებლად. ასეთი ტიპის საღებავებზე ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა (სამშენებლო ინდუსტრია-შენობების სახურავების, გემების, კატარღების შეღებვა და სამხატვრო ხელოვნება).

არატრადიციულ მინერალებსა და ქანების ჯგუფში განხილულია ბეგთაკარის „ფაიფურის ქვის“ ტიპის მეორადი კვარციტების კვარც-კაოლინიტიანი, კვარც-კაოლი-ტინ-მინდვრისშპატიანი, კვარც-სერიციტიანი ფაციესის ქანები, ასკანის ბენტონიტური თიხის ციხისუბნის გადამხურავი, ადრე „ფუჭ ქანებად“ ცნობილი კალიუმის მაღალი

შემცველობის ტრაქიტები, როგორც კერამიკული, მათ შორის ფაიფურის ნედლეული.

ასევე, როგორც არატრადიციული, განხილულია ტყიბულ-შაორის შემცველი არგილიტები და თიხები, რომლებში ალუმინის ოქსიდის შემცველობა შეადგენს 28-32%-ს და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან თიხამიწის, ცეცხლმედეგი და სხვადასხვა სამშენებლო მასალების საწარმოებლად. განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ამ საბადოზე არსებული ლიპტობიოლითების ფენა, რომლის გამოყენება შესაძლოა სპეციალური პლასტმასების საწარმოებლად.

ცალკე განხილულია ტყიბულის ნახშირებთან დაკავშირებული გიშერი (გაგატი), რომლის მოპოვება საიუველირო სამკაულებში გამოსაყენებლად წარმოებს კუსტარული მეთოდით, რაც მეტად დასანანია. ჩვენი რეკომენდაციით, განხილულ უნდა იქნეს ტყიბულში გიშრის მუზეუმის აშენება-მოწესრიგება (დანგრეული შენობის ნაცვლად), რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასაც (ამისათვის არსებობს საინტერესო მაგალითი: ინგლისში, ქალაქ უიტბისში, სადაც გიშრის მუზეუმი ფუნქციონირებს თითქმის შუა საუკუნეებიდან და მასში გამოფენილია გიშრის არაჩვეულებრივი საიუველირო და სამომხმარებლო ექსპონატები).

გარდა ჩამოთვლილისა, არატრადიციულ მინერალებიდან და ქანებიდან დეტალურად არის განხილული ობსიდიანი, ახალციხის მურა ნახშირის შემცველი „შავი ბენტონიტები“, რომელიც არაჩვეულებრივი აგროქიმიური სასუქია, ნახშირის დაბრიკეტების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ როგორც შემკვერელი მასა, ხოლო შავ მეტალურგიაში - ფხვიერი მადნების დაგუნდავების მიზნით.

ყურადღების გარეშეა დარჩენილი გუმბრის ბენტონიტური თიხის საბადოზე არსებული საგები ქანები, რომელიც წარმოდგენილია ალბ-სენომანური ასაკის მწვანე ფერის გლაუკონიტის კირქვებით, ქვიშაქვებით, ტუფებით. გლაუკონიტი შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ხისტი სასმელი წყლის დამარბილებელი (პეპწიდებად), აგროქიმიური კალიუმ და ფოსფორშემცველი სასუქი, მწვანე ფერის პიგმენტი, რადიონუკლიდების შთანთქმნელი მასალა და სხვ. ამ ქანების უზარმაზარი მარაგი არსებობს - დაწყებული წყალტუბოს რაიონიდან, სადაც გლაუკონიტის კვიშაქვების დასტა 25 მ-ს შეადგენს, რაჭამდე: სოფ.ქორთასთან მათი სიმძლავრე 60-70 მ-დეა, ხოლო ონის რაიონში 100 მ-დეც აღწევს.

ამრიგად, ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზის ანალიზი ცხადდის, რომ მეორეული, თანამდევნი და არატრადიციული მინერალებისა და ქანების არსებული პოტენციალი ეკონომიკის როგორც მოქმედი, ასევე ახალი დარგების შექმნის საშუალებას იძლევა.

ასეთებია:

- მინერალური პიგმენტების წარმოება შემდეგი საბადოებისა და გამოვლინებების საფუძველზე: მათხოჯი-უძლოურის, ფოლადაურის, უბისის ჰიდროკვამატიტის მადნებიდან მუმიის, სურინჯისა და ოხრის წარმოება (წითელი, ყავისფერი პიგმენტი შენობების სახურავების, გემების, კატარღების შესაღებად და სამხატვრო

ხელოვნებისათვის); ნაგომარის, სულორის, ჩაქვის რკინის ჰიდროჟანგული მინერალების ჰიდროჰემატიტისა და ლიმონიტის გამოყენებით ყვითელი პიგმენტის წარმოება;

— ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოს „ფუჭი ქანების“-არგილიტებისა და თიხების გამოყენებით თიხამიწის, ალუმინის, ცეცხლმედეგი და სამშენებლო მასალების სხვადასხვა პროდუქციის (აგურის, კრამიტის, მეტლახის ფილების, ცემენტის) წარმოება;

— გუმბრის ბენტონიტური თიხის საგები ალბ-სენომანური გლაუკონიტისანი ქვიშაქვების გამოყენება როგორც პეპწიდი, კალიუმისანი და ფოსფორშემცველი აგროქიმიური მადანი, მწვანე პიგმენტი;

— ჩორჩანის ტალკის შემცველი სერპენტინიტის გამოყენება ფორსტერიტულ ცეცხლმედეგ მასალად, მაგნეზიალური აგრონომიულ სასუქად და სანახელავო ქვად (ნეფრიტოიდი);

— ასკანის ბენტონიტური თიხის ციხისუბნის გადამხურავი ტრაქიტებისა და ბეგთაკარის „ფაიფურის ქვის“ ნედლეულის გამოყენება საკერამიკო, მათ შორის ფაიფურის საწარმოებლად;

— სპილენძის საბადოების მეორეული მინერალების - აზურიტის, მალაქიტის, ფირუზის, ფარავნის პერლიტის თანამდევი ობსიდიანის, ტყიბულის ნახშირის საბადოს გიშრის, გოდერძის უღელტეხილის ოპალიზებული ხის გამოყენება სახვით ხელოვნებასა და საიუველირო საქმიანობაში;

— ტყიბულის ნახშირის საბადოზე ლიპტობიულითური ნახშირის გამოყენება სპეციალური დანიშნულების პლასტმასების წარმოებაში;

— პრაქტიკული მნიშვნელობისაა ნავთობის საბადოებთან დაკავშირებული თანამდევი იოდ-ბრომიანი წყლებიდან აღნიშნული ელემენტების ამოკრეფის ტექნოლოგიის შემუშავება, რაც ქიმიისა და ფარმაცევტული ახალი დარგების ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს;

— გარკვეულ ინტერეს იძენს კახეთში, ელდარის სტეპში არსებული ასფალტიტების, ასფალტების და ბიტუმიზირებული ქანების გამოვლინებები;

— ყურადსადება რაჭის (ძმუისი და სხვა) ოზოკერიტის და ბიტუმიზირებული ქანები;

— ზოგი შესწავლილი საბადოს უნიკალური, თუმცა არატრადიციული ნიმუშები, გამორჩეული ბუნებრივი ლანდშაფტური პირობები, ისტორიული ძეგლების არსებობა საშუალებას იძლევა მათ ბაზაზე შეიქმნას ადგილობრივი მუზეუმები (არტეფაქტები, მინერალების კოლექციები, ბუკლეტები) და ასეთი მადანგამოვლინებები გეოტურიზმის ობიექტებად გამოცხადდეს.

სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისას მნიშვნელოვანია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური გამდიდრების მეთოდების გამოყენება, რაც მასში არსებული სასარგებლო კომპონენტების მაქსიმალურად ამოკრეფის საშუალებას იძლევა. ამჟამად, სასარგებლო წიაღისეულის პირველადი გადამუშავება ძირითადად წარმოებს გამდიდრების ტრადიციული მექანიკური მეთოდების გამოყენებით, რაც მოპოვებულ მინერალურ ნედლეულში ძნელადსამდიდრებელი მადნების წილის ზრდის გამო ვერ

უზრუნველყოფს გამდიდრების მაღალი მაჩვენებლების მიღწევას კონცენტრატებში სასარგებლო კომპონენტების ამოკრეფისა და მადნების კომპლექსური გამოყენების თვალსაზრისით. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი დარგის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია ნედლეულის გამდიდრების პროცესებში უფრო ფართოდ იქნეს დანერგილი კომბინირებული ტექნოლოგიური სქემები. ამგვარი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდება არატრადიციული ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, ტრადიციული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და პირველადი გამდიდრების ნარჩენების უტილიზაცია. განსაკუთრებით პერსპექტიულია გამდიდრების ტექნოლოგიურ სქემებში ბიოტექნოლოგიური პროცესების ჩართვა. იგი გამოირჩევა გამოტუტვის პროცესების ეფექტით და სელექციურობით, მცირე ენერგოტევადობით და ეკოლოგიური სისუფთავით. ამ მიზნით დაწყებულია კვლევითი სამუშაოები, მიღებულია პირველი დადებითი შედეგები და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

ტყიბულის რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებისათვის და დამატებით ახალი პროდუქციის მისაღებად მნიშვნელოვანია დასაწყობებული (9-10მლნ.ტ) განმეორებითი გამდიდრების ტექნოლოგიის დამუშავება და დანერგვა. ტყიბულის დასაწყობებულ შლამებში ჰუმუსის შემცველობა აღემატება 23%, რაც საშუალებას იძლევა ამ ნარჩენების კალიუმის ტუტით დამუშავების შედეგად მიღებულ იქნეს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კალიუმის ჰუმატი - მცენარეთა ზრდის სტიმულატორი. დასაწყობებულ გრავიტაციულ კუდებში ალუმინის ჟანგის შემცველობა 28% -ზე მეტია. კუდების ბაქტერიალური დამუშავების (სილიკატური ბაქტერიების გამოყენებით) შედეგად შესაძლებელია გამოტუტვის კეკის მიღება ალუმინის ჟანგის 36-38% შემცველობით.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს მოპოვებულ სამთო მასაში ძნელად გასამდიდრებელი (კარბონატული, დაჟანგული და შერეული მადნები) მადნების წილის გაზრდისათვის აქტუალურია ამ ტიპის მადნების გამდიდრებისათვის კომბინირებული ტექნოლოგიური სქემების დამუშავება კონდიციური კონცენტრატების მისაღებად, გამდიდრების ტრადიციული და ჰიდრომეტალურგიული მეთოდების გამოყენებით.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე მდიდარი და ადვილად გასამდიდრებელი მადნების უპირატესი მოპოვება წარმოებდა, ხოლო ღარიბი ძნელად გასამდიდრებელი მადნები (კარბონატული, დაჟანგული და შერეული), რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია, მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა. აქტუალურია ამ მადნების მოპოვების გაფართოება და მათი გამდიდრებისათვის კომბინირებული ტექნოლოგიური სქემების დამუშავება. მეტალურგიისათვის კი, კონდიციური კონცენტრატების მისაღებად ტრადიციული და ჰიდრომეტალურგიული მეთოდების გამოყენების, უპირატესად, ბიოჰიდრომეტალურგიული მეთოდების გამოყენებით.

პერსპექტიულია აგრეთვე ჭიათურის მანგანუმის შლამებიდან მანგანუმის გამოტუტვა მანგანუმის აღმდგენელი ბაქტერიების გამოყენებით. ოპტიმალურ პირობებში

TH-FERROOXIDANSE ტიპის მიკროორგანიზმების გამოყენებით ჭიათურის საბადოს შლამებიდან გამოტუტვის შედეგად ხსნარში მანგანუმის ამოკრეფამ შეადგინა 80-90%, ხოლო თიონური ბაქტერიების მეშვეობით ხსნარში 48 სთ-ში გადავიდა 123-340 გ/ლ მანგანუმი. ამ ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად გადაწყდება ჩამდინარე წყლების გაწმენდის საკითხი.

მადნეულის დასაწყობებული სულფიდური მადნების ეფექტიანი გამდიდრების ტექნოლოგია არ არის დამუშავებული. მათი მაღალი ხარისხით კომპლექსური გამდიდრებისათვის აუცილებელია კომბინირებული ტექნოლოგიური სქემების შერჩევა გამდიდრების მექანიკური და ჰიდრომეტალურგიული მეთოდების გამოყენებით.

სპილენძ-კოლჩედანური მადნების სელექციური ფლოტაციის სქემით გამდიდრება რიგ სიმნელებთანაა დაკავშირებული. სპილენძის კონცენტრატში ოქროს ამოკრეფა შეადგენს 60%, ხოლო 40% გადადის კუდებში, რაც მოითხოვს კუდების განმეორებითი გამდიდრების აუცილებლობას, რისთვისაც პერსპექტიულია სპილენძ-პირიტის კოლექტიური კონცენტრატის მიღება და მისი გადამუშავება ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

საქართველოში კალიუმის ნაერთების მისაღებად ტრადიციული ნედლეული არ არსებობს. ალტერნატიულ ნედლეულად შეიძლება ჩაითვალოს კალიუმის მინდვრის შპატის შემცველი ტრაქიტები, რომლებიც წარმოადგენს ასკანის ბენტონიტური თიხის საბადოს გადამხურავ ქანებს.

ჩორდის ბარიტის საბადოზე მამდიდრებელი, ახლად შედგენილი პროექტი ითვალისწინებს გრავიტაციული კონცენტრატის მიღებას, ხოლო მორეცხვის შლამებისა და გამდიდრების კუდების დასაწყობებას. არ არის გადაწყვეტილი მორეცხვის შლამების გადამუშავების საკითხი. როგორც ჩორდის ბარიტის გამდიდრების პრაქტიკა გვიჩვენებს, მორეცხვის შლამებში გადადის სასარგებლო კომპონენტის 30-40%. ღიად არის დარჩენილი კუდსაცავში დასაწყობებული წარმოების ნარჩენების უტილიზაციის საკითხი, რომლის რაოდენობა შეადგენს 300 ათ.ტ ბარიტისა და კალციტის 70-80% ჯამური შემცველობით.

5. „საქართველოში ენერჯის განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი ჩართვის პერსპექტივები“

განალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებზე (ევროპა, აზია, ამერიკა, ავსტრალია) და ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოში მზის, ქარის, თერმული წყლების გამოყენების დღევანდელი მდგომარეობა და მათი ათვისების პერსპექტივები.

ნაჩვენებია, რომ განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების ფართოდ გამოყენების შემთხვევაში ქვეყანაში დაიზოგება მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 15-20%.

ანგარიშში მოყვანილი მდინარეების მცირე ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი შეფასებულია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონებისა და რაიონების

მიხედვით.

ქვეყნის მცირე ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასებისათვის განისაზღვრა როგორც პატარა, ასევე დიდი და საშუალო პოტენციალის მქონე მდინარეების ცალკეული უბნების ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სულ საქართველოში მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 3729 მვტ-ს, ენერჯის წლიური გამომუშავებით 19471 მლნ. კვტ. სთ. აქედან დასავლეთ საქართველოზე მოდის მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 2740 მვტ., ენერჯის შესაბამისი წლიური გამომუშავებით 13680 მლნ. კვტ.სთ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის შესაბამისად - 989 მვტ., და 5791 მლნ. კვტ. სთ.

ცნობილია, რომ საქართველოს ქვანახშირის გარდა, არ გააჩნია სხვა წიაღისეული სათბობის მნიშვნელოვანი მარაგი. ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულ ტვირთად აწევს ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის იმპორტი, რომლის ფასები მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია და ამავდროულად არასტაბილური. ასეთ ვითარებაში კი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რასაც ემატება აგრეთვე გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები. ამ ასპექტების გათვალისწინებით, სულ უფრო აქტუალური ხდება ალტერნატიული, განახლებადი რესურსების გამოყენების საკითხი, მითუმეტეს ახლა, როცა დღის წესრიგში დგას სათბობენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმიზაციის მწვავე აუცილებლობა. ამასთან, საქართველოში აღინიშნება ენერგეტიკული რესურსების არარაციონალური მოხმარება, ხოლო არსებული საკუთარი ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული, სათანადოდ არ არის ათვისებული. ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება და ქვეყნის საიმედო ენერგოუზრუნველყოფის გზების და მიმართულებების ძიება მეტად მწვავე და აქტუალური პრობლემაა.

ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს გააჩნია განახლებადი, არატრადიციული ენერჯის რესურსების დიდი მარაგი (ჰიდრო, მზის, ქარის, გეოთერმული წყლების და ბიოგაზის). მიუხედავად ამისა, დღემდე მიღებული არ არის მათი ათვისების მხარდამჭერი კანონები, რის გამოც რესურსების გამოყენების დონე ამჟამად ძალიან დაბალია და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად 300 მლნ. ლარის ბუნებრივ აირს ყიდულობს უცხოეთში. საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის 50% კი იხარჯება დაბალპოტენციური თბური ენერჯის (40-150⁰) მისაღებად გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ამ სეგმენტის ჩანაცვლებაა უპრიანი ალტერნატიული რესურსებით, რაც მილიონობით ტონა ძვირადღირებულ იმპორტირებულ ნედლეულს დაზოგავს და არც გარემოს დააზინძურებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩატარდეს ფუნდამენტური სამუშაოები, რათა გადაიჭრას საკანონმდებლო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ბარიერები, რაც ხელს უშლის და ამუხრუჭებს ამ მეტად აქტუალურ,

ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ახალ მიმართულებას.

იაპონიაში ჩატარებულ სამიტზე, რომელიც ეძღვნებოდა კლიმატის გლობალური ცვლილებების პრობლემების გადაწყვეტას, მოთხოვნილ იქნა განახლებადი, არატრადიციული ენერჯის ფართოდ გამოყენების აუცილებლობა. გარდა ამისა, მიღებულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ფაქტიურად არატრადიციული ენერჯის ათვისებას პირდაპირ უკავშირებენ გარემოსდაცვით პრობლემებს. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ იმ უზარმაზარი თანხების ნაწილი, რომელიც მობილიზებული იყო საერთაშორისო დონორების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაწყვეტად, მოხმარდება ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოსაც აუცილებლად უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ქვეყანაში არსებული ენერჯის განახლებადი რესურსების გამოყენებას სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისას.

მზის ენერგეტიკული რესურსები. საქართველოში საკმაოდ პერსპექტიულია მზის ენერჯის გამოყენება. ქვეყნის უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 200-250 დღეს შეადგენს, რაც დღის ხანგრძლივობის მიხედვით 1900-2000 საათია წელიწადში. ზაფხულში მზის ნათების მრავალწლიური საშუალო პერიოდი თვეში 225-300 საათია, ხოლო ზამთარში 60-75 საათი. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველო გაცილებით მზიანია, ვიდრე დასავლეთ საქართველო.

მზის თერმული ენერჯის რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში აღწევს 10^{14} კვტ-ს, რაც 32,52 მლრდ.ტ პირობითი სათბობის ექვივალენტურია. 1 მ² ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოდინებული (პირდაპირი და გაბნეული კომპონენტების ჯამის სახით) მზის ენერჯის საშუალო რაოდენობა წელიწადში არის 1300-1800 კვტსთ. პირდაპირი გამოსხივების წილი ჯამურ გამოსხივებაში, წელიწადში საშუალოდ შეადგენს 52-59%-ს, ზაფხულში-62-66%-ს, ხოლო ზამთარში-50%. დღე-ღამეში საშუალოდ (50%-იანი ალბათობით) 1მ² ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაციის სახით ზამთარში მოედინება დაახლოებით 1,5, ზაფხულში კი - 6,5 კვტსთ ენერჯია. გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების განხორციელების მიზნით საქართველოში დამონტაჟებულია დაახლოებით 80 ათასი მ² ფართობის მზის კოლექტორები.

ქარის ენერგეტიკული რესურსები. საქართველო ქარის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პოტენციალს ფლობს, რომელიც ამჟამად პრაქტიკულად არ გამოიყენება. ქარის თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი საქართველოს ტერიტორიაზე $1,3 \cdot 10^{12}$ კვტსთ-ია წელიწადში. ცალკეულ ზონებში კი, სადაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აღემატება 4 მ/წმ-ს, ქარის ენერჯის ტექნიკური პოტენციალი შეადგენს თითქმის 4,5 მლრდ.კვტსთ-ს წელიწადში. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მერყეობს 0,5-9,0 მ/წმ-ის ფარგლებში.

ქვეყნის ტერიტორიის 5%-ზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 3500 კმ²-ს, მიწის ზედაპირიდან 10 მ-ის სიმაღლეზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აღემატება 5-6 მ/წმ-ს. ატმოსფეროში კი, მიწის ზედაპირიდან 100-150 მ სიმაღლეზე, სადაც უნდა განლაგდეს

ქარის თანამედროვე მძლავრი აგრეგატების ჰაერის ნაკადის მიმღები მოწყობილობები, მისი სიჩქარე აღწევს 8-9 მ/წმ-ს. ამ ზონაში ქარის ნაკადის სიმძლავრე შეადგენს 450-500 ვტ/მ². ჰორიზონტალური ღერძის მქონე ქარის, ენერგეტიკული დანადგარი, რომლის ფრთების მიერ აღწერილი დიამეტრი შეადგენს 50-60 მ-ს, 70-80 მ სიმაღლის კომპურაზე დამონტაჟებისა და ზემოთ მოცემული ქარის სიჩქარეების შემთხვევაში, იძლევა 3,0-3,5 მგვტ სიმძლავრეს. 2016 წელს ქ.გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში შევიდა პირველი 20 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგური.

გეოთერმული რესურსი. საქართველოს ტერიტორიაზე დღეისთვის აღრიცხულია 60-110°C თერმული წყლის 300-მდე გამოსავალი, ჯამური დებიტით 230-270 მლნ მ³ წელიწადში, რაც პოტენციურად შეესაბამება 1,8-2,3 მლრდ.ტპს-ს. დღეისათვის გეოთერმული რესურსების წილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შეადგენს მხოლოდ 1,5%-ს. გეოთერმული რესურსების კომპლექსურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ეს მაჩვენებელი პერსპექტივაში გაიზარდოს 6%-მდე.

ბიომასა. ენერჯის განახლებადი წყაროებიდან საქართველოს გააჩნია ბიომასის მნიშვნელოვანი რესურსი. მისი ტექნიკური პოტენციალი 10 მლრდ. კვტს-ის, ხოლო ეკონომიკური პოტენციალი 2-3 მლრდ. კვტს-ის ენერჯის ტოლია.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა რამდენიმე სფერო, სადაც ენერგოდაზოგვაში და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებაში, ინვესტიციების ჩადება ყველაზე რენტაბელურად შეიძლება. მათ შორისაა საცხოვრებელი და კომერციული ფართების გათბობა, განათება და აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოების (ჩაის ფაბრიკები, რძის გადამამუშავებელი ქარხნები, სათბურები, ლუდსახარში საწარმოები და სხვ.) თბოსიცივით მომარაგება თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით. ეფექტურია თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენება აგრეთვე მეტალურგიაში და ქიმიურ მრეწველობაში.

აღნიშნულ დანადგარების ფართოდ გამოყენების შემთხვევაში ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში წელიწადში დაიზოგება მოხმარებული ენერჯის დაახლოებით 10-15%.

საქართველოში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დღევანდელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გამწვავებული ეკოლოგიური სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია გატარდეს შემდგომი ღონისძიებები:

- შემუშავდეს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა „ენერგეტიკა და ეკოლოგია“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იქნება არატრადიციული, განახლებადი ენერგეტიკული ენერჯის მიღება;
- დაიხვეწოს არსებული საკანონმდებლო ბაზა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნას ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების მხარდამჭერი კანონი;
- საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსდეს ის პროექტები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ენერჯის განახლებადი რესურსების ათვისებასთან.

6. „შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში“

წარმოდგენილი ანგარიში არის ორწლიანი კვლევითი პროექტის დასრულებული შედეგი, რომელიც მოიცავს: - შესავალს, ხუთ თავსა და დასკვნას.

შესავალში დახასიათებულია თემის შესწავლილობის დონე და ხაზგასმულია მისი აქტუალობა. ნაშრომის პირველ თავში, „შრომითი რესურსების ცნება და საქართველოს შრომითი პოტენციალი“, მიმოხილულია „შრომითი რესურსები“-სა და „შრომითი პოტენციალი“-ს ცნებები, სტრუქტურა და სტატისტიკური მაჩვენებლები. აქვეა მოცემული საქართველოში შრომითი რესურსების დინამიკის დახასიათებაც. ამასთან აღნიშნულია, რომ „შრომისუნარიანი“ ასაკის ცნება საქართველოს მოსახლეობის ბოლო ორი აღწერის (2002 და 2014 წწ.) მიხედვით, თავისი არსით განსხვავებულია წინა აღწერებიდან მოტანილია მაჩვენებლების შინაარსისგან, რამეთუ მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში „შრომისუნარიანი“ ასაკებად მიღებული იყო ვაჟებისთვის 16-59 და ქალებისთვის 16-54 წელი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საუკუნის ბოლოდან და, მაშასადამე, 2002 და 2014 წლებშიც ვაჟებისთვის არის 16-64 და ქალებისთვის 16-59 წელი, რაც „შრომითი რესურსები“-ს დინამიკაში განხილვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სათანადო ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ 1959-1989 წლებში, შრომისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა განუხრელად იზრდებოდა, ხოლო 1989-2014 წლებში კი, პირიქით, განუხრელად კლებულობდა. ეს კანონზომიერება ანალოგიური იყო თითოეული სქესის მიხედვითაც, თუმცა შრომისუნარიანი ასაკის ვაჟების ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატებოდა შრომისუნარიანი ასაკის ქალების ზრდის ტემპს და მნიშვნელოვნად განაპირობებდა მთელი ქვეყნის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპებსაც.

თავის მხრივ შრომისუნარიანი ასაკის ვაჟებისა და ქალების ზრდის ტემპების ამგვარი დიფერენციაცია აიხსნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაზრდილი შობადობის დონითა და შესაბამისად სქესთა მეორეული თანაფარდობის (ახალშობილთა შორის გოგონებთან შედარებით ბიჭების სიჭარბე) გამო ვაჟების აბსოლუტური რიცხვის მომატებით.

მთელი საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპების ანალოგიური დინამიკა იყო ქალაქის მოსახლეობაშიც, სადაც შრომისუნარიანი ასაკის ვაჟების ზრდის ტემპები ასევე სჭარბობდა ქალების ანალოგიურ მაჩვენებლებს. უფრო მეტიც, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო ქალაქად, ვიდრე მთელ მოსახლეობაში, რაც, უდავოდ, საქართველოში ამ დროს მიმდინარე ურბანიზაციის ინტენსიურ პროცესს უნდა მიეწეროს.

ქალაქის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან ოდნავ განსხვავებული დინამიკა ახასიათებდა სოფლის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობას. კერძოდ, 1959-1970 და 1979-1989 წლებში, სოფლად აღინიშნა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შემცირება, რაც მხოლოდ შრომისუნარიანი ასაკის ქალების რიცხოვნობის შემცირებით იყო

გამოწვეული.

აქვე აღნიშნულია, რომ ყველა აღწერის მიხედვით შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ეს კანონზომიერება ქალაქად უფრო ძლიერაა გამოკვეთილი, ვიდრე სოფლად. გარდა ამისა, გამოიკვეთა ისიც, რომ 1970 წლიდან მოყოლებული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის განუხრელი ზრდა (როგორც ქალაქად, ასევე სოფლადაც) ძირითადად შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური და, შესაბამისად, ხვედრითი წილის შემცირებით იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო შობადობის დონის შემცირებით და მომავალში შრომითი რესურსების დეფიციტზე მიაწინებდა.

ნაშრომის მეორე თავში - „შრომითი რესურსების დემოგრაფიული სტრუქტურა და მისი პერსპექტივები” გაანალიზებულია 1959-2014 წლებში საქართველოს შრომითი რესურსების დემოგრაფიულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები. დახასიათებულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები და წარმოდგენილია მათი დემოგრაფიული პერსპექტივები. აღნიშნულია, რომ 1990-იან წლებში შობადობის მკვეთრი დაცემისა და უარყოფითი მიგრაციული სალდოს გამო 2020-იანი წლების შუახანებიდან შრომისუნარიან ასაკში შევა გაცილებით ნაკლები ადამიანი ვიდრე ეს იყო თუნდაც 2000-იან წლებში და ეკონომიკის აღორძინების შემთხვევაში შესაძლოა შრომითი რესურსების მკვეთრი დეფიციტიც კი გამოიწვიოს.

ნაშრომის მესამე თავში - „შრომითი რესურსების გამოყენების დარგობრივი სტრუქტურა” მოცემულია, 1959-დან 2014 წლემდე ჩატარებული ყველა მოსახლეობის აღწერის მიხედვით დაფიქსირებული, შრომითი რესურსების გამოყენების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი. დადგენილია, რომ საანალიზო პერიოდში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა პერიოდში, მწარმოებლურ დარგებში დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრი შემცირების გამო საგრძნობლად მოიმატა მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ და ხვედრითმა წილმა.

ნაშრომის მეოთხე თავში - „შრომითი რესურსების გამოყენების დინამიკა” დახასიათებულია თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული შრომითი რესურსების რაოდენობა და სტრუქტურა. აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს შრომითი რესურსების ინტენსიური დაბერების პროცესი.

ნაშრომის მეხუთე თავში - „შრომითი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხები” კი გამოთქმულია წინადადებები მომავალში საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული შრომითი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით.

ნაშრომის დასკვნაში გადმოცემულია თემის შინაარსიდან გამომდინარე ლოგიკური დებულებების მოკლე მიმოხილვა.

I. 2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული (გარდამავალი) სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	<p>ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილება</p> <p>„ტურისტული და რეკრეაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენების ძირითადი მიმართულებები: შეფასება და პროგნოზები“ მეცნიერების დარგები: ეკონომიკა და ბიზნესი, სამეცნიერო მიმართულებები: ტურიზმი, ეკონომიკა, ეკოლოგია</p>	ლ. კვარაცხელია	ლ.კვარაცხელია
<p align="center">გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <p>1. „ტურისტული და რეკრეაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენების ძირითადი მიმართულებები: შეფასება და პროგნოზები“</p> <p>ქვეყნის ტურისტული და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოკვლევული {მოდებელი} მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული უნიკალური ტურისტული რესურსების გამოყენება ვერ ხერხდება მიზნობრივად - არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელთა შესწავლა განაპირობებს სწორ მიდგომას პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით. მოცემულია განსაზღვრებები როგორც რესურსების რეკრეაციული გამოყენების, რეკრეაციული რესურსების ჯგუფებისა და ტიპების, ასევე რეკრეაციული საქმიანობის მიხედვით. განსასაზღვრია საქართველოს და რეგიონების რეკრეაციული გეოგრაფიის კონცეფცია. განხილულია შესაძლებლობები და განსაკუთრებულობა – ბუნებრივი, ეთნოლოგიური, კულტურული, ეკოლოგიურ-შემეცნებითი – რეკრეაციის რეგიონებსა და შორეულ ადგილებში. გაკეთებულია დასკვნა</p>			

რეკრეაციული პერსპექტიულობისა სწორედ ასეთი, ჯერ კიდევ აუთვისებელი ადგილების. შეთავაზებულია ვარიანტები რეკრეაციულ რესურსებთან მუშაობის. საჭიროა გაცნობა საქართველოს რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და აღწერის მეთოდებთან, რეკრეაციული რესურსების ჯგუფებთან და ტიპებთან, მათი შეფასების მეთოდებთან; სპეციალური ლიტერატურის მოძიება, დროით და სივრცით ჭრილში შედარებითი ანალიზის ჩატარება, პრიორიტეტული ტურისტული და რეკრეაციული რესურსების გამოვლენა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.

საქართველოს ტურისტული და რეკრეაციული რესურსების სისტემური კვლევა – ინოვაციური მიდგომებისა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების მსოფლიო გამოცდილების მეცნიერული ანალიზი და მათი საქართველოს პირობებში რეალიზაციის შესაძლებლობების დადგენა, დინამიკური ცვლილებების შესწავლა განაპირობებს ტურისტული და რეკრეაციული რესურსების განვითარებაში დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანაში და რეგიონებში ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება დარგში არსებული გადაუჭრელი პრობლემების დამლევისადმი. ამ მიზნით უმნიშვნელოვანესია ტურიზმში არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ნორმატიული აქტების განახლება, ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება, ტურიზმის სფეროში სტატისტიკის აღრიცხვის მოწესრიგება საერთაშორისო ტურიზმში მიღებული ნორმატივების საფუძველზე.

დადგენილია, რომ საქართველოში ბუნებრივი რესურსები არარაციონალურად გამოიყენება, რაც იწვევს მათ მნიშვნელოვან შემცირებას. დასაბუთებულია, რომ მდგრადი განვითარება არის განუწყვეტელი ცვლილებების პროცესი, რომლის ჩარჩოებში რესურსების ექსპლუატაცია, განხორციელებული ინვესტიციები, ტექნოლოგიური პროცესები მოყვანილი უნდა იყოს დღევანდელ და მომავალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში.

განხილულია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები, ასევე გარემოს დაცვის პრობლემები. მნიშვნელოვანია ქვეყანაში შიდა ტურიზმის სფერო, რომლის განვითარება ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ტურიზმის სფეროში. მათ საშუალება ეძლევათ უკეთ გაეცნონ თავისი ქვეყნის ბუნებას, კულტურასა და ისტორიას.

განხილულია ტურიზმის სახეები და ეკოტურისტული სახეობები, კულტურული ტურიზმის პოტენციალი ქვეყნის რეგიონებში. კულტურული ტურიზმის განვითარება თითოეულ რეგიონში ხელს შეუწყობს საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას და ქართული ტრადიციების შენარჩუნებას.

განხილულია სპა ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივა საქართველოში. სპაში იყენებენ მინერალურ, ზღვის და მტკნარ წყლებს, ზღვის წყალმცენარეებსა და მარილს, სამკურნალო ტალახსა და მცენარეებს.

სწრაფად ვითარდება სამკურნალო – გამაჯანსაღებელი ტურიზმი. აღსანიშნავია, რომ

სამკურნალო, გამაჯანსაღებელი და სპა ტურიზმი თავისი არსით ერთმანეთისგან განსხვავებულია. საქართველოს თავისი ბუნებრივი პირობებითა და სამკურნალო პოტენციალით სპა ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია. ქვეყნის საკურორტო მეურნეობა პოსტსაბჭოთა კატაკლიზმების შედეგად თოთქმის მთლიანად განადგურდა. ამჟამად ტურიზმის ინდუსტრიის ეს სექტორი თავიდან ვითარდება – ხორციელდება ძველი კურორტების რეაბილიტაცია, ახალი კურორტების შექმნა, საზღვაო, სამედიცინო და სპა კურორტების განვითარება და სხვ.

მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის. საქართველოს შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე რამდენიმე ტიპის მომსახურების გატანა, როგორცაა სტომატოლოგია, მხედველობის კორექცია, თმის გადანერგვა, კოსმეტიკური მედიცინა, ფაგებით მკურნალობა (მკურნალობის ექსკლუზიური სახეობა), რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება და სხვ.

არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ტურიზმი და კურორტოლოგია ერთ პრიზმაში უნდა განიხილებოდეს; კურორტებზე აღსადგენია მკურნალობის სისტემა, გასათვალისწინებელია სამკურნალო კურორტების სპეციფიკა, საჭიროა შეიქმნას კომპლექსური პროგრამა როგორც ინფრასტრუქტურის და ტექნიკური პირობების უზრუნველსაყოფად, ისე ექიმ-კურორტოლოგებისა და კადრების მომზადება_გადასამზადებლად და საერთაშორისო პრომოუშენისა და მარკეტინგის დასახვეწად. ეს საკითხი, როგორც საექსპორტო პოტენციალის ფუნდამენტური მიმართულება, უნდა აისახოს სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის შექმნასა და განხორციელებაში.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.ურუშაძე	სიამაყე და ტკივილი	თბილისი, 2017	94 გვ

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. მაღალაშვილი, ი. ახვლედიანი	დამხმარე სახელმძღვანელო „საქართველოს სანახელავო ქვები“	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	157გვ.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე.ფანცხავა	„სითბო-სიცივით მომარაგების ახალი ენერგეტიკული სისტემების დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში“	ქ.ქუთაისი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა. მოხსენებათა კრებული.	5გვ.
2	ნ.მირიანაშვილი	სტუ-ს ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. შრომათა კრებული №21	თბილისი, მართვის სისტემების ინსტიტუტის გამომცემლობა.	5გვ.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z.Lomsadze K.Maxaradze M.Tsitsikishvili R.Pirtskhalava	Water Resources of Kakheti and Ecological Problems Annals Of Agrarian Science	vol. 14 (2017)	Elsevier, Final version published online 27-OCT-2017, ISSN 1512-1887	pp. 204-208
2	T.Patarkalashwili	Urban Forests and Green Spaces of	vol.15, issue 2, 2017	Elsevier	pp. 187-191

		Tbilisi and Ecological Problems of the City, Annals Of Agrarian Science			
3	T.Patarkalashwili	Forest Biodiversity of Georgia and endangered Plant Species, Annals Of Agrarian Science	vol.15, issue 3, 2017	Elsevier	pp. 349-351
4	თ.პატარქლაშვილი	ტყეების შენარჩუნებისა და განვითარების ზოგიერთი ეკოლოგიური ასპექტები, „ბიზნეს ენჯინერინგი“	01-02, 2017	თბილისი	გვ. 142-145
5	ნ.ჭითანავა	რატომ არ იქმნება საშუალო ფენა საქართველოში, სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“	N3, ივლისი-აგვისტო, 2017 წ.	თბილისი	გვ. 5-11
6	ნ.ჭითანავა	როცა ქვეყანაში მომხმარებლური ინსტიტუტი მძლავრობს, სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“	N3, ივლისი-აგვისტო, 2017 წ.	თბილისი	გვ. 16-19
7	ნ.ჭითანავა	საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების პირისპირ,	2 მარტი, 2017 წელი	www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	16 გვ.

		www.b-k.ge , www.iverioni.com.ge						
8	ნ.ჭითანავა	ეკონომიკური ზიგზაგები და პასუხგაუცემელი კითხვები, www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	6 მარტი, 2017 წელი	www.b-k.ge , www.iverioni.com.g e	14 გვ.			
9	ნ.ჭითანავა	რატომ დაეცა მკვეთრად ცხოვრების დონე საქართველოში, www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	10 მარტი, 2017 წელი	www.b-k.ge , www.iverioni.com.g e	17 გვ.			
10	ნ.ჭითანავა	ეკონომიკურ გარდაქმნებში ათქვეფილი ზნეობრიობა, www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	21 მარტი, 2017 წელი	www.b-k.ge , <a href="http://www.iverioni.com.g
e</td> <td>12 გვ.</td> </tr> <tr> <td>11</td> <td>ნ.ჭითანავა</td> <td>ახალი ტიპის
ნომენკლატურა და
ეკონომიკური
რეფორმები</td> <td>24 მარტი, 2017
წელი</td> <td>www.b-k.ge , <a href="http://www.iverioni.com.g
e</td> <td>9 გვ.</td> </tr> <tr> <td>12</td> <td>ნ.ჭითანავა</td> <td>რა მოგვცა
გარდაქმნებმა,
www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	28 მარტი, 2017 წელი	www.b-k.ge , <a href="http://www.iverioni.com.g
e</td> <td>9 გვ.</td> </tr> <tr> <td>13</td> <td>ნ.ჭითანავა</td> <td>ეროვნულ-
სახელმწიფოებრივი
იდეოლოგია -
დროის მოთხოვნა,
www.b-k.ge , www.iverioni.com.ge	4 აპრილი, 2017 წელი	www.b-k.ge , <a href="http://www.iverioni.com.g
e</td> <td>14 გვ.</td> </tr> <tr> <td>14</td> <td>ნ.ჭითანავა</td> <td>ეკონომიკის
მდგრადი და
უსაფრთხო
განვითარების</td> <td>8 აპრილი, 2017
წელი</td> <td>www.b-k.ge , <a 507="" 542="" 922="" 939"="" data-label="Page-Footer" href="http://www.iverioni.com.g
e</td> <td>17 გვ.</td> </tr> </table> </div> <div data-bbox=">426

		პროგრამა ეროვნულ- სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის (სტრატეგიის) რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტი, www.b-k.ge , www.iverioni.com.ge www.b-k.ge , www.iverioni.com.ge			
15	T.Urushadze (თანაავტორებით)	Soil distribution and soil properties in the subalpine region of Kazbegi; Greater Caucasus; Georgia; Soil quality rating of agricultural soils, Annals of Agrarian Science	vol. 15, No 1 (2017)	Elsevier	pp.1-10
16	T.Urushadze (თანაავტორებით)	Physical properties of the soils of Georgia, Annals of Agrarian Science	vol. 15, No 2 (2017)	Elsevier	pp.224-234
17	T.Urushadze (თანაავტორებით)	Radioactive contamination of the soils of Georgia, Annals of Agrarian Science	vol. 15, No 3 (2017)	Elsevier	pp.375-379
18	გ.მაღალაშვილი	ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალის გაზრდის პერსპექტივები მეორეული მინერალების, არატრადიციული	№1(38), 2017	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, შპს „პოლიგრაფისტი“	7გვ.

		სახეობების ნედლეულისა და ზოგი „ფუჭი“ ქანების ხარჯზე. „სამთო ჟურნალი“			
19	ჯ. კაკულია	ოქროშემცველი მედეგი სულფი- დური მადნების ფლოტაციის კუდების გადამუშავებისას ბიო და ელექტროქიმიური გამოტუტვის მეთოდების გამოყენების პერსპე- ქტივები საქართველოს საინჟინრო სიახლენი. სამთო ჟურნალი.	№1(38), 2017	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, შპს „პოლიგრაფისტი“	4გვ.
20	ჯ. კაკულია	საქართველოს ტრაქტების ბუნე- ბრივი და ტექნოგენური ნარჩენე- ბიდან კალიუმის გამოტუტვა ბიოტე- ქნოლოგიური მეთოდების გამოყე- ნებით. სამთო ჟურნალი.	№1(38), 2017	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, შპს „პოლიგრაფისტი“	5გვ.
21	ქ.ვეზირიშვილი- ნოზაძე, ნ.არაბიძე, ე.ფანცხავა	„მზის ენერჯის ათვისების ახლებური ხედვა, მზის დანადგარების განგარიშება- დაპროექტების	№3 (83)	ქ.თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	4გვ.

		მეთოდის გამოყენებით“. ჟურნალი „ენერჯია“			
22	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ნ.არაბიძე, ე.ფანცხავა	„ბიომასა-ალტერნატიული გზა ენერგოეფექტურობისაკენ“, სამეცნიერო ჟურნალი „ენერჯია“	№3 (83)	ქ.თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	4გვ.
23	ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე.ფანცხავა ლ.პაპავა	„საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება-გზა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისაკენ“ „საქართველოს საინჟინრო-სიახლენი“	№1 (vol.81)	ქ.თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	4გვ.
24	O.Paresishvili, L.Kvaratskhelia V.Mirzaeva	Rural tourism as a promising trend of small business in Georgia: topicality, capabilities, peculiarities, Annals of Agrarian Science,	Vol. 15, Issue 3, 2017.	Elsevier	pp. 344-348

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T.Urushadze (with co-authors)	World references base for soil resources and Georgian classification.	Germany, Lambert, 2017	116 pages

2	T.Urushadze (with co-authors)	Physical properties of the soils of Georgia	Germany, Lambert, 2017	48 pages
---	----------------------------------	--	------------------------	----------

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Сахвадзе А.Ш.	Демографическое образование и изучение народонаселения в университетах (К 50-летию кафедры народонаселения) 18-20 октября 2017 г. Девятые Валентеевские чтения. Сборник статей Под редакцией И.Е. Калабихиной, Н.М. Кальмыковой	Москва, 2017 Экономический факультет МГУ имени М.В. Ломоносова	10 (с. 185-195)

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	О.Паресишвили, Л.Кварацхелиა, В.Мирзаева	Коллективная монография «Философия экономики эпохи постнеклассической эпистемологии» Институт философии НАНА, Баку, Азербайджан, 2017	გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	ქ. ბაქო, აზერბაიჯანი	
2	Сахвадзе А.Ш.	«Этнодемографический	«Демоскоп» Weekly	http://www.demoscope.ru/	

	баланс на Южном Кавказе»	№ 723 - 724 3 - 16 апреля 2017	weekly/2017/0723/ tema01.php	
--	--------------------------	-----------------------------------	---------------------------------	--

**III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)**

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Сахвадзе А.Ш.	«Демографическое образование и изучение народонаселения в университетах Грузии	18-20 октября 2017г., г. Москва (Международная конференция)

სხვა აქტივობები:

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017-ის მუშაობაში, სადაც წარსდგნენ მოხსენებებით:

1. მიწის რესურსების მართვის პრობლემები საქართველოში

მომხსენებელი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნ. ჭითანავა;

2. ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოტენციალის გაზრდის პერსპექტივები არატრადიციული ნედლეულის ხარჯზე

მომხსენებელი - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, პროფესორი, გ. მაღალაშვილი;

3. საქართველოს ენერგოსისტემაში არატრადიციული ენერგორესურსების (მზე, ქარი, ბიომასა და სხვ.) და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების (თბური ტუმბო) გამოყენების მასშტაბების შეფასება

მომხსენებლები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, ე. ვეზირიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნ. მირიანაშვილი

4. საქართველოს ტყის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა

მომხსენებელი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თ. პატარქალიშვილი

5. დემოგრაფიული პროცესების დინამიკა საქართველოში და მისი როლი შრომითი რესურსების ფორმირებასა და გამოყენებაში

მომხსენებელი - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი, ა. სახვაძე

ა. სახვაძეს ინტერვიუები:

- „თავიდან შესაძლებელია, ევროპაში წასვლის ბევრი მსურველი აღმოჩნდეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება” For.ge (ინტერვიუს ნაწილი ჟურნ. - მანანა ნოზაძე)
- „ქართველებთან ფიქტიური ქორწინება - ევროპაში მოხვედრის მარტივი საშუალება?!” For.ge (ინტერვიუს ნაწილი ჟურნ. - მანანა ნოზაძე)

ბიოტექნოლოგიის ცენტრი

**2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: დირექტორი - მაია კუხალიაშვილი

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის
გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	უვირუსო კარტოფილის სინჯარის მცენარეების კოლექციის განახლება შენარჩუნება და კაკლის <i>in vitro</i> სინჯარის მცენარეების შექმნა - აგრარული მიმართულება	მაია კუხალიაშვილი ეკოლოგიის აკადემიური დოქტორი, ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი მ/შ	ივეტა მეგრელიშვილი (მთ, მეც თანამშრომელი) ეკატერინე ბულაური (მეც. თანამშრომელი) თამარ შამათავა (მეც. თანამშრომელი) თამარ ჭიპაშვილი (მეც. თანამშრომელი) გულიკო დვალი (უფრ. მეც. თანამშრომელი) ლეილა ზვიადაძე (მეც. თანამშრომელი) ნაილი ლომთაძე (მეც. თანამშრომელი)
2			

ბიოტექნოლოგიის ცენტრში 1992 წლიდან მიმდინარეობს უვირუსო კარტოფილის სინჯარის მცენარეების კოლექციაში მოქცევა. მთელი ამ წლების მანძილზე ღდემდე ხდება კოლექციის განახლება და შემდგომ მათი რეპროდუქცია. კოლექციაში თავმოყრილია 59 ჯიში (ამერიკული, ჰოლანდიური, ინგლისური, რუსული, შვეიცარული და სხვა). საანგარიშო პერიოდში კოლექცია შეივსო 12 ახალი ჯიშით რომელიც შემოტანილი იქნა ორგანიზაცია „ევროპლანტი“ - ის მიერ საქართველოში. ეს ჯიშებია: „ვივიანა“, „რედ სონია“, „ბელაროსა“, „ანაბელა“, „ბერნინა“, „ელსე“, „გეორგინა“, „მადეირა“, „ვინეტა“, „მონტანა“, „დონატა“, „რუდოლფი“. ყველა ეს ჯიში ფერმერების მიერ გატანილ იქნა თავიანთ ნაკვეთებში დასარგავად. აღნიშნული ჯიშებიდან მერისტემული

მეთოდის საშუალებით პირველ ეტაპზე მიღებულ იქნა სადედე მცენარეები, მცენარეების მიღება ხდებოდა შემდეგი სახით: პირველ ეტაპზე ვზომავდით კარტოფილის ტუბერებში 6 სახის ვირუსს PVX, PVY, PVA, PVM, PVS, PVL ტესტირება ტარდებოდა იმუნოფერმენტული ანალიზის გზით ორმაგი ანტისხეულების სენდვიჩის მეთოდით (DAS-ELISA). მიკროპლანშეტების ფოსოებში (ტაკაჩის მიერ შემუშავებულ მიკროსისტემაში), მცენარეული ვირუსების იმუნოფერმენტული ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა LOEWE ფირმის რეაქტივების სტანდარტული ნაკრები DAS-ELISA - თვის (LOEWE Biochemical GmbH), მიკროპლანშეტების ფოსოებში ხდებოდა შრატის შეყვანა ვირუს-სპეციფიკური ანტისხეულებით, ფოსოების ზედაპირზე მათი ადსორბირების მიზნით. 4 საათი ინკუბაციის შემდეგ კი მათი გამორეცხვა ბუფერით. შემდეგ პლანშეტის ფოსოებში შეტანილ იყო მცენარეული მასალის ჰომოგენიზაციისა და ცენტრიფუგირების გზით მიღებული ექსტრაქტი (200მკლ რაოდენობით). იმავდროულად საკონტროლოდ წარმოდგენილი იყო უვირუსო და ვირუსდადებითი ნიმუშები. 12 სთ ინკუბაციის შემდეგ ხდებოდა მათი გამორეცხვა ბუფერით და პლანშეტის ფოსოებში შეგვექონდა ხსნარის სპეციფიკური ანტისხეული - ფერმენტის (ტუტე ფოსფატაზა) კომპლექსით. დასკვნით ეტაპზე, 4 სთ ინკუბაციისა და ბუფერით გამორეცხვის შემდეგ ფოსოებში შეგვექონდა სუბსტრატის - 4 - ნიტროფენილ- ფოსფატის ხსნარი და ერთი საათის შემდეგ ვახდენდით ფერის ცვლილების ტესტირებას 405 ნმ ტალღის სიგრძეზე. გაზომვები და შედეგების დამუშავება წარმოებდა State Fax [†]2100 მიკროპლანშეტურ ფოტომეტრზე (AWARENESS Technology.inc).

ნიმუში ვირუსული ინფექციის შემცვლელად ითვლებოდა იმ შემთხვევაში თუ უარყოფითი კონტროლის საშუალო მნიშვნელობას აღემატებოდა 3-ჯერ. ამის შემდეგ ვახდენდით ვირუსისაგან თავისუფალი ტუბერების გაღვივებას, ღვივებს ვათავსებდით გასტერილებულ მურაშიგე სკუგეს, ჩვენს მიერ მოდიფიცირებულ საკვებ არიან სინჯარებში (MS მედიუმი + 60 გ საქაროზა), ამის შემდეგ სინჯარებს ვათავსებდით გასაზრდელად ფიტოტრონიში (24 – 25 °C, ტენიანობა 70 – 75%, განათება 5.0 – 6.0 ლუქსი). 24 დღის შემდეგ მცენარეები მზად იყვნენ რეპროდუქციისთვის (5-6 მუხლთაშორისი, ძლიერი ფოთლოვანი აპარატი და კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა).

თვეში ერთხელ ხდება კოლექციის მცენარეების განახლება მერისტემული მეთოდის გამოყენებით. არსი მგომარეობს შემდეგში: მცენარეები იჭრება 5 - 6 -ს მუხლთაშორისზე ლამინარულ ბოქსებში გასტერილებული ინსტრუმენტებით, ისინი თავსდებათ ფიტოტრონიში შესაბამის პირობებში ფიტოტრონიში (24 – 25 °C, ტენიანობა 70 – 75%, განათება 5.0 – 6.0 ლუქსი, ფოტოპერიოდი 16 საათი დღის ხანგრძლივობა).

როგორც ცნობილია ბიოტექნოლოგიის მერისტემული მეთოდი ითვალისწინებს უვირუსო *in vitro* მცენარეების მიღებას, რომლიდანაც შემდგომში შესაძლებელია კარტოფილის ელიტური სათესლე მასალის მიღება. ასეთი თესლის პროდუქტიულობა დაახლოებით 3- 4 ჯერ მეტია ვიდრე და ვირუსებული სათესლე მასალის.

კოლექციაში არსებულ თითოეულ მცენარეს შეუძლია მოგვეცეს ელიტური თესლი, გარდა ამისა კოლექციაში დაცული მცენარეები არის ბაზა იმისა, რომ არ დაიკარგოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაბნეული კარტოფილის ჯიშები, ასეთ მცენარეებიდან შესაძლებელია ღია გრუნტში რეპროდუქციის შემდეგ პირველ წელს სუპერ-სუპერ ელიტის მიღება, ხოლო მომდევნო ორი წლის მანძილზე-სუპერ ელიტის და ელიტის მიღება. ამ მეთოდით ქართველ ფერმერებს

შესაძლებლობა ექნებათ თავიანთ ნაკვეთებში თვითონვე მიიღონ კარტოფილის უვირუსო ელიტური თესლი, რაც გაამჯობესებს, როგორც ფერმერების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ასევე დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე.

ბიოტექნოლოგიის ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა, უვირუსო კარტოფილის სინჯარის მცენარეების გატანის ტექნოლოგია ღია გრუნტში, ტექნოლოგია მოიცავს რამდენიმე ეტაპს: პირველ ეტაპზე მიღებულ იქნა *in vitro* კარტოფილის სადედე მცენარეები ლაბორატორიაში და მოხდა მათი რეპროდუქცია, მეორე ეტაპზე ლაბორატორიაშივე მოხდა ამ მცენარეების გაკაჟება, რაც გულისხმობს მათი შეგუების უნარის გაძლიერებას, გარემო პირობებისადმი (ადაპტაცია). მესამე ეტაპზე ასეთი მცენარეები დარგული იქნა ღია გრუნტში. ეს მეთოდი ჩვენ გამოვიყენეთ ახალქალაქის და წალკის რეგიონების რამდენიმე სოფელში. ქართველმა ფერმერებმა პირველად მიიღეს ელიტული სათესლე მასალა, რომლის მოსავლიანობა მერყეობდა 45-55 ტ/ჰა-ზე ჯიშების და რეგიონების ნიხედვით. ამ ტექნოლოგიის უპირატესობა კლასიკურ მეთოდთან არის ის, რომ ელიტური თესლის მიღების სქემიდან ამოვარდა სათბური, რამაც წარმოების პროცესი ერთი წლით შეამცირა და მოგვცა გარკვეული ეკონომიკური ეფექტი.

ბიოტექნოლოგიის ცენტრში მიმდინარე პერიოდში მუშავდებოდა თემა-კაკლის *in vitro* სინჯარის მცენარეების შექმნა.

საქართველოში არსებული ნიადაგურ კლიმატური პირობები კაკლოვანი კულტურების ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ საქართველოს უმეტეს ეკოლოგიურ ზონებში კაკალი ფართოდაა გავრცელებული.

კაკალი ეკონომიურად მომგებიან კულტურას წარმოადგენს, პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ადგილობრივი ტექნოლოგიებით მიღებული კაკლის ნერგები ვერ აკმაყოფილებენ ფერმერების მოთხოვნებს, მაღალი ხარისხის კაკლის ნერგი დეფიციტს წარმოადგენს, ამიტომ ინტენსიურად დაიწყო უცხოეთიდან ძვირადღირებული კაკლის ნერგების შემოტანა, რაც თავისთავად იწვევს ადგილობრივ „ჯიშების“ შევიწროებას. საჭიროა კაკლის ნერგების წარმოების მიმართულებით ახალი ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ კაკალი ძნელად გასამრავლებელ კულტურას წარმოადგენს, რთულია ამ კულტურის მცნობით გამრავლება. ბოლო წლებში აქტუალურად იყენებენ ქსოვილოვანი გამრავლების სხვადასხვა მეთოდს: აპიკალური კვირტით, მუხლთაშორისებით, ფოთლებით, ყუნწებით, ემბრიონით და სხვა. მიღებულია სხვადასხვა შედეგები ფესვის სიძლიერის, ფოთლის და ღეროს ჩამოყალიბების შეფასებაზე დაყრდნობით. მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყანა (ესპანეთი, თურქეთი, ამერიკა და სხვა) ცდილობს გამოიყენოს ქსოვილოვანი კულტურების მეთოდით კაკლის გასამრავლებლად. *In vitro* მეთოდი საშუალება იძლევა დროის მოკლე მონაკვეთში მივიღოთ ჯანმრთელი, დაავადებებისგან თავისუფალი მცენარეები.

კაკლის სინჯარის მცენარეების გაზრდისათვის ლაბორატორიაში გამოყენებული იყო სამი ტიპის საკვები არე (მურაშიგე-სკუგე; (MS) ნახევრად-ძლიერი მურაშიგე-სკუგე და DKWმედიუმი), რომლებიც აუცილებელია სინჯარის მცენარეების გამოსაზრდელად და მათ დასაფესვიანებლად. სინჯარები საცობებთან ერთად სტერილიზდებოდა მშრალ სტერილიზატორებში 120°C ტემპერატურაზე. გასტერილებულ სინჯარებში ისხმებოდა 10მლ ადუღებული საკვები არე,

რომელიც სტერილდებოდა ორთქლის ავტოკლავში 105°C ტემპერატურაზე, 40-45 წთ-ის განმავლობაში. გადათესვას ვახდენდით სტერილურ ბოქსებში, ლამინარული მაგიდების გამოყენებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი კაკლის *in vitro* გამრავლების პროცესში არის კულტურის გასუფთავება მიკრობებისაგან, რომელიც ითვლება ყველაზე რთულ პროცესად. ამიტომ საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა ანტისეპტიკები სხვადასხვა კონცენტრაციებით. აქედან გამომდინარე ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა როგორც ყველაზე საუკეთესო ანტისეპტიკები შესაბამისი კონცენტრაციებით, ასევე სტერილიზაციის ტიპების დადგენა. სუფთა კულტურის მიღება შესაძლებელი გახდა ორი ტიპის სტერილიზაციით: კვირტებიდან გამოსული მწვანე მასა სტერილდებოდა 1-2% ნატრიუმის ჰიპოქლორიტით 10-15 წთ, შემდეგ 70% ეთანოლით-30 წთ და ირეცხებოდა 3-ჯერ გამობდილი წყლით.

მეორე ტიპის სტერილიზაცია მდგომარეობდა შემდეგში: მცენარე მუშავდებოდა 0.1% ვერცხლისწყლის ქლორიდით 5 წთ განმავლობაში და ირეცხებოდა 3-ჯერ გამობდილი წყლით. გასტერილებულ მცენარეებს ვათავსებდით ბაქტერიოციდულ ლამინარულ ბოქსში- 30წთ-ის განმავლობაში, გამშრალ მცენარეებს ვჭრიდით მუხლთაშორისებად და ვათავსებდით DKW მედიუმში (ტემპერატურა 26 °C: 18 საათიანი ფოტოპერიოდი).

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა მიგველო კაკლის *in vitro* სუფთა კულტურა.

ბიოტექნოლოგიის ცენტრში ასევე გამოვლენილი იქნა სამცხე-ჯავახეთში კარტოფილის დაავადებების გამომწვევი სოკოები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა უცხოეთიდან ინტროდუცირებული მაღალმოსავლიანი კარტოფილის სათესლე მასალიდან საქართველოს მეკარტოფილეობის რეგიონებში გავრცელებული ფიტოპათოგენური სოკოების მიმართ რეზისტენტული მცენარის შერჩევა და მათგან კარტოფილის სინჯარის მცენარის კოლექციის შექმნა. რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა რეზისტენტული მცენარიდან კარტოფილის სათესლე მასალის მიღება შემდგომი წარმოებისათვის,

ცნობილია, რომ ნიადაგში ცალკეული მიკროორგანიზმების წარმოქმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტემპერატურა, ტენი, მცენარის ბიოლოგიური თვისებები და აგროქიმიური მაჩვენებლები, ამიტომ სხვადასხვა კლიმატურ-ნიადაგურ პირობებში ნიადაგის მიკროფლორა მკვეთრად განსხვავდება ერთმენეთისაგან და ასევე, კარტოფილის ჯიშების ადაპტაციის უნარიც განსხვავებულია.

ამ მიზნით შესწავლილ იქნა ახალციხის და წალკის რაიონებში კარტოფილის დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები (სოკოები) და მოხდა შემოტანილი თესლის „არინდა“, „ამოროზა“, „ნევსკი“, „იმპალა“-ს ადაპტაციის უნარის შესწავლა აღნიშნული რაიონების ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში და ამ ჯიშების რეზისტენტულობის უნარი გავრცელებული პათოგენებისადმი.

სამცხე-ჯავახეთი ზღვის დონიდან 1500-2500მ სიმაღლეზე მდებარეობს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეკარტოფილეობის განვითარებისათვის. ცდები ტარდებოდა ფერმერების

საკუთარ ნაკვეთებში. დაკვირვება ხდებოდა აღნიშნული რაიონების კლიმატურ-ნიადაგურ პირობებზე (ტემპერატურა, ჰაერის ტენიანობა, ნალექები, წვიმიანი დღეების ინტენსივობა).

ახალციხის რაიონის (სოფ. ზემო არალი, წყალთბილა) ჰაერის ტემპერატურა სავეგეტაციო პერიოდში 10-29°C ტემპერატურამდე მერყეობს და ყველაზე მაღალი ტენიანობა აგვისტოს თვეში აღინიშნება, ამ რაიონში (სოფ. არალი) ტყის შავმიწა კარბონატული ნიადაგია. წალკის რაიონში (სოფ. ჯინისი) შავმიწა ნიადაგია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 2-4⁰- ით ნაკლებია ახალციხის რაიონთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ წალკის რაიონი უფრო ცივია, ვიდრე ახალციხის რაიონი. ჯინისში ნიადაგის PH არის 6-7, ახალციხის რაიონის ნიადაგის NPK – 60-90-60-ია, ხოლო წალკის რაიონში NPK – 80-100-80. მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩატარდა მცენარის ვეგეტაციის ფაზების მიხედვით (აღმოცენება, ყვავილობა, სიმწიფე). ხდებოდა ტუბერების დაავადების გამომწვევე პათოგენური სოკოების შესწავლა.

ნიადაგის, მცენარის ფესვის, ფესვისპირა ნიადაგის და რიზოსფეროს შესწავლა მოხდა ნ. ა. კრასილნიკოვის მეთოდით. ნიადაგის ნიმუში აღებულ იქნა სტერილური დანით ნაკვეთის სამი წერტილიდან. ნიმუში მოთავსებულ იქნა სტერილურ პერგამენტში. აღებული ნიმუშები შერეული იქნა ერთმანეთში, გასუფთავდა მცენარის ფესვებისა და ქვებისაგან. საშუალო ნიმუში 10გრ-ის რაოდენობით გადატანილი იქნა 250მლ მოცულობის კოლბაში, რომელშიც ჩასხმული იყო 90მლ გამოხდილი წყალი. ხსნარი ინჯღრეოდა 10 წუთის განმავლობაში, ხდებოდა მისი დალექვა და შემდეგ განზავების მეთოდით მზადდებოდა ნიადაგის სხვადასხვა შემცველობის სუსპენზიები.

ნიადაგის საშუალო ნიმუშიდან საანალიზო 10 გრ ნიმუშის პარალელურად ვიღებდით 10-20გრ ნიმუშს, ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრისთვის, მიღებული შედეგების გაანგარიშება ხდებოდა 1გრ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე. ამ წესით მომზადებული სუსპენზიისაგან მზადდებოდა განზავებები 10⁻¹, 10⁻², 10⁻³. მიღებული განზავებები ითესებოდა მყარ საკვებ არეებზე - კარტოფილის, ჩაპეკის და სუსლოს საკვებ არეებზე. ნიადაგის სუსპენზია მყარ საკვებ არეებზე ითესებოდა ზედაპირულად სტერილურ პეტრის ჯამებზე. სტერილური პიპეტით 0,05მლ ნიადაგის სუსპენზია შესაბამისი განზავებიდან შეგვქონდა ორ პარალელურ პეტრის ჯამზე, შემდგომ დრიგალსკის შუშის შპატელით ნაწილდებოდა გამრობამდე. დათესილ პეტრის ჯამები თავსდებოდა თერმოსტატში 35-37°C ტემპერატურაზე 5-7 დღის განმავლობაში. მიკრობთა საერთო რაოდენობის გაანგარიშება ხდება 1გრ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე.

ფესვთა მიკროფლორის შესწავლა ხდებოდა ე.ფ. ბერიოზოვას მეთოდით. გამდინარე წყლის ქვეშ რამდენჯერმე ჩამორეცხილი ფესვები კვლავ ირეცხებოდა გამოხდილი წყლით. აწონვის შემდეგ ისრისებოდა ფაიფურის როდინში. დასრესილი ფესვები გადაგვქონდა გამოხდილწყლიან კოლბაში (5გრ. ფესვზე 50მლ გამოხდილი წყალი) და 5 წუთი ნჯღრევის შემდეგ მზადდებოდა განზავებები (10⁻², 10⁻³, 10⁻⁴). განზავებებიდან ვაწარმოებდით ზედაპირულ თესვას სოკოების, ბაქტერიების და აქტინომიცეტების კულტივირებისათვის შესაბამისად ჩაპეკის, MPA და KAA მყარ საკვებ არეებზე. დათესილი პეტრის ჯამები თავსდებოდა თერმოსტატში 35-37⁰ ტემპერატურაზე 5 დღის განმავლობაში. მიღებული კოლონიათა რიცხვი მრავლდებოდა განზავების ხარისხზე და ვღებულობდით 1გრ ფესვზე არსებულ მიკრობთა რაოდენობას (სოკოები, ბაქტერიები, აქტინომიცეტები).

ანალიზების შედეგმა აჩვენა, რომ კარტოფილის რიზოსფეროს მიკროფლორა მცენარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში სხვადასხვაა და განვითარების მაქსიმუმს ყვავილობის და სიმწიფის ფაზაში აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ახალციხის სოფლებში დარგული უვირუსო კარტოფილის რიზოსფეროში მიკრობთა საერთო რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე წალკის რაიონის სოფელ ჩანდურაში დარგული კარტოფილი „იმპალას“ რიზოსფეროში. რაც განპირობებული იყო კლიმატური პირობებით. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18-21°C, ხანგრძლივი წვიმები. სიმწიფის ფაზაში ტემპერატურა 25-27°C-ია., ჰაერის ტენიანობა მაღალია, რამაც განაპირობა დიდი რაოდენობით სხვადასხვა პათოგენების ზრდა წალკის რაიონში ახალციხის რაიონთან შედარებით.

ამრიგად, პათოგენური სოკოების განვითარებისათვის საუკეთესო პირობები კარტოფილის ყვავილობის და სიმწიფის ფაზაში იყო, რადგან ამ პერიოდში ჰაერის მაღალი ტენიანობა და ზომიერად თბილი ტემპერატურაა, რაც ხელს უწყობს მიკროორგანიზმების, კერძოდ სოკოების მაქსიმალურ განვითარებას. გამოიყო კარტოფილის დაავადების გამომწვევი ძირითადი პათოგენების სუფთა კულტურები და მოხდა მათი იდენტიფიკაცია. აღმოჩნდა, რომ პათოგენებიდან ინტენსიურად განვითარდა: ფიტოფტორა, რიზოქტონია და ფუზარიუმი, როგორც უშუალოდ დაავადებული მცენარეებიდან, ასევე ტუბერებიდან. „ამოროზას“ ჯიშის კარტოფილის დაავადების გამომწვევი ძირითადად იყო *Fhytophthora infestans*, *Fuzarium expansum* და *Rhizoctania solan-*ი, რაც მცენარეზე გარეგნული ნიშნებითაც აისახებოდა. კარტოფილის რიზოსფეროში ძირითადად ამოითესა ფიტოფტორა და რიზოქტონია, ხოლო ფუზარიუმი --მცირე რაოდენობით. წალკის რაიონში „იმპალას“ ჯიშის კარტოფილში ინტენსიურად იყო განვითარებული პათოგენური სოკოები, რაც განპირობებული უნდა იყოს კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობებით და ნიადაგის სპეციფიურობით. ამიტომ წალკის რაიონის ფერმერებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ კარტოფილის ჯიშში „იმპალას“ არ იქნას გამოყენებული კომერციული მიზნით, რაც აისახება დაბალი მოსავლით და ხარისხით. რაც შეეხება სამ ჯიშს: „ამოროზა“, „არინდა“, „ნევსკი“ ხასიათდებიან მაღალი ადაპტაციით, კარგად ეგუებიან არსებულ კლიმატურ-ნიადაგურ პირობებს და იჩენენ რეზისტენტულობას კარტოფილის დაავადებების მიმართ, ამიტომ მიზანშეწონილია მათი მოყვანა აღნიშნულ რაიონებში კომერციული მიზნით.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4

1	სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, საღებავ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი-კონსერვაცია და კულტივირება - გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოში;	სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	სტუ-ს დოქტორანტები: დინარა დევაძე, თინათინ ეპიტაშვილი მეცნიერ-თანამშრომელი მაია კობახიძე
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, მოსალოდნელია მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ცხადია, საქართველო, როგორც გლობალური ეკონომიკის ნაწილი, არსებული პროცესების მიღმა ვერ დარჩება. ამიტომაც საქართველოში აგრარული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კენკროვანი კულტურების გაშენება და მათი ნაყოფის წარმოების ინდუსტრიის განვითარებაა. ისინი უძველესი დროიდან ენდემური კულტურებია, ძირითადად ველურ ფორმებში, ნაყოფების შეგროვებისა და გამოყენების მდიდარი ტრადიციაც არსებობს. თუმცა ამჟერად უპირატესობა ეძლევა კულტურულ ფორმებს, რომელთა გაშენებაც და მოვლა-მოყვანაც თანამედროვე აგროტექნიკის პირობებში უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია, ნაყოფზეც დიდი მოთხოვნაა არა მხოლოდ საშინაო, არამედ მსოფლიო ბაზარზე.</p> <p>კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული ველური მაცვალი, კულტივირებული ფორმები და in vitro მეთოდით გამრავლებულ მცენარეთა ბიომრავალფეროვნება განსხვავებული ეკოსისტემის პირობებში;</p> <p>საქართველოს რამდენიმე რეგიონში განსხვავებული ეკოსისტემებით, მათ შორის მაღალმთიან რეგიონში, ჩვენს მიერ ჩატარდა მაცვლის ველური და კულტურული სახეობების გენპლაზმის მოძიება-კატალოგირება, არეალი, მდგომარეობა, ბიომორფოლოგიური კვლევა, არსებული ეთნოფარმაკოლოგიური ჩვევების მონაცემთა ბანკის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ფიტორესურსის დაცვას და მისი კომპონენტების მდგრად გამოყენებას, ნერგების ბანკის განახლება ხარისხობრივი და სასაქონლო ღირებულების დიფერენცირებით, რათა შემდგომ ეტაპზე მოხდეს სხვადასხვა მოთხოვნადი ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება. რაც პროექტის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია; პროექტის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია;</p>			

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ in vitro ტექნოლოგიით გამრავლებული მცენარეების ნედლეული და ნაყოფები ხარისხობრივი მაჩვენებლებით (ნახშირწყლები, ანტოციანები, ფენოლები, ფლავონოიდები, ვიტამინები, ორგანული მჟავები) არ ჩამოუვარდება კულტივირებულ ჯიშებს. ზოგ შემთხვევაში ველურ ფორმებში აღნიშნული ტესტები სჭარბობს, რაც აიხსნება ეკოსისტემის პარამეტრების გავლენით. ამიტომაც ვაძლევთ რეკომენდაციას მცენარეთა in vitro გამრავლების ტექნოლოგიას.

აღნიშნულ პროექტზე დაცულია დისერტაცია შესაბამისი რეკომენდაციებით.

I. 2

№	შესრულებული პროექტის დასახელება მცენიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, საღებავ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი-კონსერვაცია და კულტივირება - გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოში;	სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კაჭარავა	სტუ-ს დოქტორანტები: დინარა დევაძე, თინათინ ეპიტაშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი მზია ლობჯანიძე მეცნიერ-თანამშრომელი მაია კობახიძე
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ეკოსისტემის პირობებში ფოტო გენეტიკური რესურსის მონიტორინგი და დიფერენცირება ეკონომიკურად მომგებიანი მცენარეების მდგრადი გამოყენება-დაცვის მოდელის შემუშავებით, რასაც თავის მხრივ სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, საღებავ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა მოხმარებისა და გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> •საქართველოს უნიკალური ფლორის სახეობების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება; •სამრეწველო პლანტაციების გაშენება ინოვაციური ტექნოლოგიებით ბიონედლეულის მისაღებად; •ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება; •მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპების ინტეგრირება ბიომრავალფეროვნების იმ 			

კონვენციით მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო. მაღალპროდუქტული, ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო, არომატულ, საღებავ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა სამრეწველო პლანტაციების და თესლის ბანკის ბიომოდელის შექმნას ემსახურება ჩვენს მიერ გამოცემული რეკომენდაციები, რადგან მცენარეებში წარმოდგენილი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მთელი სპექტრი, რომლებიც წარმოიქმნებიან ონთოგენეზის პერიოდში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაოდენობით და თვისობრივი შემცველობით, დადებით და სტაბილურ ზეგავლენას ახდენენ ცოცხალ ორგანიზმზე ნაკლები უკუქმედებების გარეშე, ანუ ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საწინდარია. ამასთანავე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აიკრძალა ანტიბიოტიკები, ამ ფონზე ბიოლოგიურად აქტიური ფიტოდანამატები ადამიანისა თუ ცხოველის კვებაში შეუცვლელ ადგილს იჭერენ მსოფლიო ბაზარზე, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნება.

ჩვენს მიერ დამუშავებულია სამკურნალო, არომატულ, თაფლოვან, სანელებელ, საღებავ და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაცია-მონიტორინგის, კულტივირება-წარმოების და ხარისხობრივი მაჩვენებლების დიფერენცირების კომპლექსური მოდელი, სადაც ერთ მთლიანობაშია გაერთიანებული ერთის მხრივ კვლევა-მონიტორინგი პრიორიტეტულ მცენარე-თა გენეტიკური რესურსის მარაგისა ქვეყანაში, შემდგომი დაცვა-კონსერვაციისა და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტებით, მეორე მხრივ კი მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისათვის;

-მიმდინარეობს ცხოველთა (მათ შორის თევზების) კვების ასორტიმენტში მცენარეული დანამატების დიფერენცირების დაზუსტება;

აღნიშნული თემატიკის ნაწილი შედის დოქტორანტების სამუშაო პროგრამაში.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. კაჭარავა	კენკროვანი	N 2(725);	საგამომცემლო	გ. 83-90

	დ. დევაძე	კულტურების in vitro გამრავლების ტექნოლოგიები სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“,	ISSN 0130-7061, Index 76127,	სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2017	
2	თ. კაჭარავა დ. დევაძე	მაყვლის (Rubus Fruticosus) ბიოლოგიური თავისებურებანი „საქართველოს საინჟინრო სიახლენი - GEN“	ISSN 1512-0287 N2. (vol. 82)	Georgian Federation For Information and Documentation (GFID), NGO Georgian Engineering News (GEN) LTD, თბილისი 2017	გ. 81-85
3	მ. კუხალიშვილი ი. მეგრელიშვილი თ. შამათავა ე. ბულაური თ. ჭიპაშვილი	კურკოვანი კულტურების მიკროკლონური გამრავლების თავისებურებანი in vitro პირობებში საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი	ISSN 1512-2530 N 34	თბილისი, მ. კოსტავას 77, 2017	7
4	გულიკო დვალი, ნაილი ლომთაძე, ლეილა ზვიადაძე	ბიოპრეპარატი-უსაფრთხო საშუალება ადამიანისა და ბუნებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი	ISSN 1512-2530 N 34	თბილისი, მ. კოსტავას 77, 2017	5

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Megrelishvili Iveta, Kukhaleishvili Maia, Bulauri Ekaterine, Shamatava Tamar and Chipashvili Tamar	Development of Elite Seed Production Technology from <i>in vitro</i> Potato in Georgia, International Journal of Agriculture Sciences	9(39), pp.4605-4607	online	3
2	Megrelishvili I, Kukhaleishvili M, Bulauri E, Chipashvili T.	The effect of sucrose on <i>in vitro</i> tuberization of potato cultivars. Journals of Biotechnology & Biomaterials	V-7(3). pp.52.		1

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა (სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. კაჭარავა	სამკურნალო მცენარეთა გენეტიკური რესურსი საქართველოში	ი. გოგებაშვილის თელავის სახ. უნივერსიტეტი „კულტურათ შორის დიალოგები“, სს კონფერენცია, ISSN 2233-3401, უაკ 008.1, კ-899, გ. 293-297

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kukhaleishvili M, Megrelishvili I, Bulauri E, Chipashvili T, Shamatava T	Surcrose effect on in vitro potato regeneration under modify conditions	20 th Triennial Conference of European Association for Potato Research (EAPR), 9-14 july, Versailles, France, 2017
2	Megrelishvili I, Kukhaleishvili M, Bulauri E, Chipashvili T	The effect of sucrose on in vitro tuberization of potato cultivars	Biotechnology Conference, 24- 27 September, Berlin, Germany
3	Kukhaleishvili M, Bulauri E, Chipashvili T, Shamatava T, Megrelishvili I	Determination of phytotron optimal condition for in vitro potato ontogenesis.	Biotechnology Conference, 24- 27 September, Berlin, Germany
4	Т. Качарава	Некоторые Составляющие Дорожной Карты Сохранения Биоразнообразия ex-sutu и in- sutu Классических Сортов Грузинского Винограда „Саперави“ и „Ркацители“	Международная Научная Конференция, посвященная 85- летию Института бота-ники и фитоинтродукции КН МОН РК „Изучение, Сохра-нение и Рациональное Ис-пользование Растительного Мира Евразии“, 2017, Алматы, с. 485- 489

სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრში დამუშავდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია“ (ხელმძღვანელი პროფესორი თ. კაჭარავა), რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 15.09.2017 გადაწყვეტილებით N68 მიენიჭა 7 (შვიდი) წლის ვადით აკრედიტაცია, მოხდება ბიოტექნოლოგიის ცენტრის ინტელექტუალური და მატერიალური ბაზის გამოყენება სასწავლო პროცესისათვის.

შეივსო სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, საღებავ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ოთხენოვანი მონაცემთა ბაზა მცენარეთა (ათასზე მეტი ეგზემპლარი სხვადასხვა ეკოსისტემის პირობებში) ბუნებრივ პირობებში გადაღებული ფოტოებით, უახლოეს მომავალში გამოიცემა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

გადაცემულია დამატებით დასაბეჭდად ორი სტატია (ამერიკის შეერთებული შტატები, უკრაინა), ორი თეზისი საერთაშორისო კონფერენციისათვის (აზერბაიჯანი).

სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
 პროფესორი **თამარ კაჭარავა**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია პროექტის დასახელება- გრეიფრუტის ნაყოფების გამოკვლევა ნატურალური პროდუქტების დამზადების მიზნით	გულნაზი კაიშაური, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი	გულნაზი კაიშაური, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მერაბ ჟღენტი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
	ქვეთემა გრეიპფრუტისა და ზოგიერთი ველურად მზარდი კენკროვანი ხილის შენახვისუნარიანობის გაუმჯობესება და მათი გადამამუშავებელ მრეწველობაში გამოყენება.	მერაბ ჟღენტი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი	გულნაზ კაიშაური-ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, გოჩაჭუმბურიძე-მეცნიერ თანამშრომელი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>წლიდან წლამდე იზრდება თანამედროვე ადამიანის სწრაფვა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანმრთელი პროდუქტებისადმი. კვების ასეთი პროდუქტების წარმოება მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ორგანიზმის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად სპორტის გარდა აუცილებელია, რომ საკვები იყოს მაქსიმალურად ფუნქციონალური. ასეთ საკვებს აქვს საერთო გამაჯანსაღებელი მოქმედება და მისი ყოველდღიური მოხმარება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.</p> <p>ამის მიუხედავად, საქართველოში პრაქტიკულად არ იწარმოება ნატურალური ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტები. ამ პროდუქტების მისაღებად გამოიყენება მაღალი ბიოლოგიური აქტივობის მქონე სხვადასხვა სახის ნედლეული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ციტრუსოვანი კულტურები, მ.შ. გრეიფრუტი.</p> <p>საქართველოს პირობებში მოყვანილი გრეიფრუტის ჯიშებისა და მათი გადამამუშავების პროდუქტების ქიმიური შედგენილობის შესახებ მონაცემები საკმაოდ მწირია, არსებული,</p>			

ზოგადი სახის მონაცემები არ იძლევა სრულყოფილ სურათს გრეიფრუტის სამრეწველო მასშტაბით სრულად გამოყენებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გრეიპფრუტის გამოკვლევა ნატურალური პროდუქტების დამზადების მიზნით და მისი გადამამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება, ასევე მიღებული პროდუქტების კვებითი ღირებულების განსაზღვრა.

თანამედროვე მომხმარებლის საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვამ, ასევე მცენარეულ ნედლეულზე დამზადებულ პროდუქტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა ადგილობრივ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქტების შექმნის აუცილებლობა.

თემის აქტუალობა. ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამღლევა და ნაკლებად გამოყენებული ადგილობრივი რესურსების შესწავლა შემდგომი გადამამუშავების მიზნით.

კვლევის სიახლე. ადგილობრივი სანედლეულო ბაზის, გრეიპფრუტის, გამოკვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ნატურალური პროდუქტების დასამზადებლად და მისი გადამამუშავების რაციონალური ტექნოლოგიის შემუშავება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში, კერძოს ოზურგეთის რაიონის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი “დუნკანი” და “ნარინჯი“ (მსხლისებრი) ჯიშის გრეიპფრუტის ნაყოფები.

კვლევის მეთოდოლოგია.

- გრეიპფრუტის ნაყოფების ტექნოქიმიური მაჩვენებლების გამოკვლევა;
- ნაყოფების ტექნოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა;
- გრეიპფრუტის გადამამუშავების პროდუქტების დამზადება, მათი ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლების შესწავლა და კვებითი ღირებულების შეფასება.

კვლევის შედეგები. საანგარიშო პერიოდში (2014-2017წწ.) ჩვენს მიერ შესწავლილია “დუნკანი“-სა და “ნარინჯი“-ს (მსხლისებრი) ჯიშის გრეიპფრუტის ნაყოფების ტექნოქიმიური მაჩვენებლები, კერძოდ: ორგანოლუპტიკური, ტექნიკური მაჩვენებლები, მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობა (მ.შ. C და P ვიტამინები, ჯამური პოლიფენოლები, ანტიოქსიდანტური აქტივობა).

კვლევებმა გვიჩვენეს, რომ შესწავლილი ჯიშები, “დუნკანი” და “ნარინჯი“ (მსხლისებრი), აკმაყოფილებდნენ დასაკონსერვებლად განკუთვნილი გრეიპფრუტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ ჰქონდათ მომჟავო-მოტკბო (ჯიში “დუნკანი”) და მოტკბო-მომჟავო (ჯიში “ნარინჯი“ (მსხლისებრი) გემო სიმწარის გარეშე, შეიცავდა არანაკლებ 9% მშრალ ნივთიერებას; არაუმეტეს 3% მჟავას (ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით) და არანაკლებ 40 მგ% ასკორბინის მჟავას.

ჯიშები „დუნკანი“ და “ნარინჯი“ (მსხლისებრი) შეიცავდა შესაბამისად 180 მგ/100გ და 164 მგ/100გ ჯამურ პოლიფენოლებს. მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა კი შეადგენდა შესაბამისად 378 მგ და 344 მგ (100გ ნიმუშზე მგ ასკორბინის მჟავას ექვივალენტი).

გრეიპფრუტის ნაყოფიდან არსებული ტექნოლოგიით ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა საკონდიტრო ტიპის კონსერვები: მურაბა, ჯემი და ცუკატი. აღნიშნული პროდუქცია დამ-

ზადდა მთლიანი ნაყოფიდან, რბილობიდან და კანიდან სხვადასხვა ვარიანტის, კერძოდ: წინასწარ დამზალი და წინასწარი დაღობის გარეშე.

კვლევებით დადგინდა, რომ წინასწარ დამზალი ნაყოფიდან, კანიდან და რბილობიდან დამზადებული პროდუქციის სასაქონლო (ხარისხობრივი) მაჩვენებლები საკმაოდ ჩამოუვარდება დაუმზალი ნაყოფიდან დამზადებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ზემოაღნიშნული კონსერვების გარდა საკვლევი ჯიშებისაგან ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა საცდელი ნიმუშები: ნატურალური წვენი (რბილობიდან) და ნაყენი (კანიდან). წვენში შენარჩუნებული იყო ნაყოფში შემცველი ნივთიერებები.

წვენის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი მასა გამოყენებულ იქნა საკონდიტრო ნაწარმის (მარმელადი), ხოლო ნაწნები—ხორხოშელას დასამზადებლად. ხორხოშელა დამზადდა ასევე ალბედოსა და კანისგან.

გრეიპფრუტისაგან დამზადებული პროდუქციის სტანდარტული ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ანალოგიური სახის პროდუქცია-ზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

გრეიპფრუტის წვენად გადამუშავების შემდეგ მიღებული ნაწნებიდან, ასევე კანიდან და ალბედოდან გამოყოფილია პექტინი და P ვიტამინი. აღნიშნული ნაერთების მაღალი შემცველობის გამო წვენის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ნაწნების შრობის შედეგად მიღებულ იქნა ფქვილი, რომლიდანაც შესაძლებელია პექტინითა და P ვიტამინით მდიდარი ფქვილოვანი პროდუქციის დამზადება.

შესწავლილია ასევე წინა წლებში დამზადებული გრეიპფრუტის ნატურალური წვენის ხარისხობრივი მაჩვენებლები. გამოვლენილია, რომ წვენი, 2 წლის განმავლობაში შენახვის (0_{-15}°C ტემპერატურაზე) შემდეგ ინარჩუნებს ხარისხობრივ (ორგანოლექტიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებს).

ქიმიური შედგენილობისა და გემური თვისებების გათვალისწინებით როგორც გრეიპფრუტის ნატურალური წვენიდან, ასევე მისი ნაყენიდან სტუ ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ლაბორატორიაში არსებული ტექნოლოგიით დამზადდა საცდელი კუპაჟები, ხოლო ამ უკანასკნელიდან _ უალკოჰოლო სასმელები.

შესწავლილია დამზადებული პროდუქციის სტანდარტული ხარისხობრივი მაჩვენებლები (ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური). დამზადებული პროდუქცია აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებს.

ცდები დაყენებულ იქნა ასევე ნაყოფების შენახვისუნარიანობის დასადგენად. შენახვისას ნაყოფების რაოდენობრივი დანაკარგების შესასწავლად გრეიპფრუტის საკვლევი ჯიშები შესანახად მოთავსებული იყო 12_{-14}°C ტემპერატურისა და 70_75% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ბუნებრივ ვენტილაციიან საცავში.

კვლევებით დადგინდა გრეიპფრუტის შენახვის ოპტიმალური რეჟიმი. შენახვისას ნაყოფების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები არ იცვლება. შენახვის შემდეგ საკვლევ ჯიშებში შემცირდა ჯამური პოლიფენოლების შემცველობა (142 მგ/100გ ჯიშში „დუნკანი“ და 129,5 მგ/100გ ჯიშში „ნარინჯი“ (მსხლისებრი); შემცირდა ასევე ჯიშების ანტიოქსიდანტური აქტივობა (294,8 მგ ჯიშში

„დუნკანი“ და 271მგ (100გ ნიმუშზე მგ ასკორბინის მჟავას ექვივალენტი) ჯიში „ნარინჯი“ (მსხლისებრი). ბუნებრივ ვენტილაციან საცავში შენახვისადმი შედარებით მდგრადია ჯიში „ნარინჯი“.

ზემოაღნიშნულის გარდა, ლაბორატორიულ პირობებში ველურად მზარდი კენკრისაგან (კუნელი, კოწახური) დამზადდა: საკონდიტრო ტიპის კონსერვი (მურაბა), ნაყენი.

დასკვნა. 1. შესწავლილია საქართველოში გავრცელებული გრეიპფრუტის ჯიშების («დუნკანი» და «ნარინჯი» (მსხლისებრი) ტექნოქიმიური მაჩვენებლები (დიფერენცირებულად) გადამამუშავებელ მრეწველობაში მათი გამოყენების მიზნით. მიღებულია გრეიპფრუტის ჯიშების ტექნოქიმიური მაჩვენებლების ახალი მონაცემები.

შესწავლილი ჯიშები ხასიათდებიან ჯამური პოლიფენოლების მაღალი შემცველობითა და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, განსაკუთრებით ჯიში „დუნკანი“.

2. გრეიპფრუტის წვენიად გადამამუშავების შემდეგ მიღებული ნარჩენიდან დამზადებულია საკონდიტრო ნაწარმი „მარმელადი“ და „ხორხომელა“.

3. მიღებულია ნაწინების მშრალი პროდუქტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ორგანული დანამატი, ფქვილოვანი ნაწარმის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გასამდიდრებლად

4. გრეიპფრუტის შესწავლილი ჯიშების («დუნკანი» და «ნარინჯი» (მსხლისებრი) სხვადასხვა ნაწილებიდან (რბილობი, კანი, ალბედო) გამოყოფილია პექტინოვანი ნივთიერებები და P ვიტამინი.

5. გრეიპფრუტის სხვადასხვა ნაწილიდან (მთლიანი ნაყოფი, რბილობი, კანი) დამზადებულია საკონდიტრო ტიპის კონსერვები (მურაბა, ჯემი, ცუკატი). შემუშავებულია სიახლის ელემენტები მათი გადამამუშავების ტექნოლოგიაში.

6. გრეიპფრუტისაგან დამზადებული წვენებისა და ნაყენების საფუძველზე შერჩეულია რეცეფტურები უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად.

7. შემუშავებულია გრეიპფრუტის შესწავლილი ჯიშების გადამამუშავების უნარჩენო ტექნოლოგია.

8. დადგინდა გრეიპფრუტის შენახვის ოპტიმალური რეჟიმი. ამ პირობებში ნაყოფი შეიძლება შენახულ იქნას საშუალოდ 3 თვის განმავლობაში. შენახვის ბოლოს საკვლევ ჯიშებს შენარჩუნებული აქვთ საკმაოდ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა.

II. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	--	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

1	ე. ხვიჩია, გ. კაიშაური	„ზოგიერთი გარეული ხილკენკროვანი ნედლეულის გამოკვლევა ფქვილების დამზადების მიზნით“. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“	2017. N2 (725)	თბ. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”.	გვ.138 – 142
2	გ.კაიშაური	„ქართული თეთრის“ ჯიშის გოგრის ბიოქიმიური და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები“. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“	2017. N2 (725)	თბ. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”.	გვ.143 -147
3	გ.კაიშაური	“საქართველოში მოყვანილი „ქართული თეთრი“ ჯიშის გოგრის ბიოქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები.	2017. №2 (504).	თბ. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”.	გვ.11 – 16
4	გ. კაიშაური, გ. ჭუმბურიძე, მ. ღირსიაშვილი	„გრეიპფრუტის ნაყოფების შენახვა საცავებში“. საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული ჟურნალი “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”.	2017 N3 (32)	თბ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	გვ.22 – 29

დამატებითი ინფორმაცია

მონაწილეობა:

I. სურსათის სფეროში სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის “სასურსათო პროდუქტები“ (ტკ-3) მუშაობაში - საქართველოს სახელმწიფო სტანდარტისა და საერთაშორისო სტანდარტების (ისო) ქართულენოვანი ვერსიის საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებად მისაღებად (ექსპერტიზა-განხილვა) (გ.კაიშაური):

1. **სსტ : 2017** „თაფლის ნატურალობის დადგენის ექსპრესული და რაოდენობითი ქიმიური ანალიზის მეთოდი“;

2. **სსტ ისო 11133:2014/2017** „სურსათის, ცხოველთა საკვებისა და წყლის მიკრობიოლოგია-საკვები არეების მომზადება, წარმოება, შენახვა და გამოცდის ჩატარება“;

3. **სსტ ისო 11133:2014/2017 შესწორებული ვერსია 2014-11-01** „სურსათის, ცხოველთა საკვებისა და წყლის მიკრობიოლოგია – საკვები არეების მომზადება, წარმოება, შენახვა და სამუშაო მახასიათებლების გამოცდა“;

4. **სსტ ისო 13136/ტს:2012/2017** „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია – პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციაზე (PCR) რეალურ დროში დაფუძნებული მეთოდი კვებითი პათოგენების გამოსავლენად – ჰორიზონტალური მეთოდი შიგა ტოქსინის მაპროდუცირებელი *Escherichia coli*-ს (STEC) გამოსავლენად და O157, O111, O26, O103 და O145 სეროჯგუფების განსასაზღვრად“;

5. **სსტ ისო 6888-3:2003/2017** „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია–კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკების (*Staphylococcus aureus*-ისა და სხვა სახეობების) რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი. ნაწილი 3: გამოვლენა და MPN-ის მეთოდი მცირე რიცხვებისათვის“;

6. **სსტ ისო 6887-5:2010/2017** “სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია -საკვლევი ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის. ნაწილი 5: სპეციალური წესები რძისა და რძის პროდუქტების მოსამზადებლად”;

7. **სსტ ისო 7251:2005/2017** “სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია– პრეზუმციული *Escherichia coli*-ს გამოვლენისა და რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი – ყველაზე უაღმათესი რიცხვის მეთოდიკა”;

8. **სსტ ისო 11866-1 : 2005/2017** „რძე და რძის პროდუქტები – პრეზუმციული *Escherichia coli*-ს რაოდენობრივი აღრიცხვა–ნაწილი 1: უაღმათესი რიცხვის მეთოდი 4-მეთილუმბელიფერილ-β-D-გლუკურონიდის (მუგ) გამოყენებით“;

9. **სსტ ისო 11866-2:2005/2017** „რძე და რძის პროდუქტები – პრეზუმციული *Escherichia coli*-ს რაოდენობრივი აღრიცხვა – ნაწილი 1: კოლონიების დათვლის მეთოდი 44 °C ტემპერატურაზე მემბრანების გამოყენებით“;

II. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველო; თბილისი, სექტემბერი (გ. კაიშაური, მ. ღირსიაშვილი, გ. ჭუმბურიძე)

III. ჩატარებული მეცადინეობები (ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული) საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებთან დისციპლინაში "სურსათის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის საფუძვლები" (გ. კაიშაური).

**ნაბეპოგების, სამცხიალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის
ინსტიტუტი**

2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ინსტიტუტის დირექტორი: **ნოდარ წიგნაძე** (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი);

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ელგუჯა მექმარიაშვილი** (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი).

სამეცნიერო ერთეულის სამეცნიერო პერსონალური შემადგენლობა:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები – **შოთა წეროძე, მამუკა სანიკიძე, თენგიზ შუბლაძე;**

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები – **გურამ ბედუკაძე, ვახტანგ გოგილაშვილი, კონსტანტინე ჩხიკვაძე, გიორგი გრატიაშვილი, ამირან ლუღუშაური.**

მეცნიერ თანამშრომლები – **ლუდმილა ფილიპენკო, მალხაზ ნიკოლაძე, აბესალომ ჭაფოძე, ანდრო წიკლაური.**

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	საქართველოს ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების, საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების, ბუნებრივი და ხელოვნური ექსტრემალური ვითარებების საინჟინრო	ე. მექმარიაშვილი	ნ. წიგნაძე, მ. სანიკიძე, შ. წეროძე, გ. ბედუკაძე, გ. გრატიაშვილი, თ. შუბლაძე

	<p>უზრუნველყოფის სისტემატიზებული და კლასიფიცირებული კონცეფციის განსაზღვრა, თეორიული საფუძვლების და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა (სამხედრო მეცნიერება, სამოქალაქო ექსტრემალური სიტუაციები)</p>		
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p style="text-align: center;">1. ბუნებრივი კატასტროფები</p> <p>განხილულია კატასტროფების კლასიფიკაცია; კატასტროფობი და მათი შედეგები:</p> <p>ა) მიწისძვრა – ძირითადი ცნებები. მიწისძვრების შესწავლა. მიწისძვრების სიხშირე და ენერჯია. სეისმური აქტიურობის რუქები. მიწისძვრის წარმოშობის გეოლოგიური პირობები. მიწისძვრის პროგნოზი, სეისმური დაზვერვა;</p> <p>ბ) ვულკანიზმი – ვულკანიზმი სივრცესა და დროში. ამოფრქვევის პროდუქტები. მიწისზედა ვულკანური მოქმედება. წყალქვეშა ვულკანური მოქმედება;</p> <p>გ) ჰიდროლოგიური კატასტროფები – წყალდიდობა და მისი მიზეზები: ბუნებრივი და ანთროპოგენური. წყალდიდობების კლასიფიკაცია. წყალდიდობის შედეგები;</p> <p>დ) ყინულოვანი კატასტროფები – მყინვარები, მათი გავრცელება და გეოლოგიური ადგილი. ყინულის დაძვრა და მისი კატასტროფული ზემოქმედება გარემოზე. პულსირებადი მყინვარების ნიშნები. პულსირებადი მყინვარების დინამიკური კანონზომიერებები;</p> <p>ე) ზვავები – ზვავები და მათი ბუნება. ზვავების კლასიფიკაცია. ზვავსაშიში ტერიტორიების დარაიონება. ზვავები და რელიეფი. ზვავები და მცენარეული საფარი. ზვავებისგან დაცვა.</p> <p>ვ) ღვარცოფი, მეწყერი, ჩამოქცევა – ღვარცოფული ნაკადები და მათი თავისებურებები. ღვარცოფების ბუნება და მათი კლასიფიკაცია. ღვარცოფის გავრცელება და მათგან დაცვა. ჩამოქცევისა და მეწყერების ბუნება და წარმოქმნის პირობები. ჩამოქცევისა და მეწყერების ტიპები. უსაფრთხოების ზომები;</p> <p>ზ) მეტეოროლოგიური კატასტროფები: ქარბორბალა, ჭექა-ქუხილი – ქარბორბალა და მისი გავრცელება. არბორბალის შინაგანი აგებულება. ქარბორბალების კლასიფიკაცია. ქარბორბალის განვითარება. ჭექა-ქუხილი;</p> <p>თ) ანთროპოგენური კატასტროფები.</p> <p>კატასტროფა არის ბუნებრივი სისტემის სტაბილური მდგომარეობის დარღვევის შედეგი განსაზღვრულ ადგილზე და განსაზღვრულ დროს. გეოსისტემის ან ეკოსისტემის (აგრეთვე, შეიძლება ითქვას ნებისმიერი კლასის ანთროპოსისტემასთან მიმართებით) კატასტროფული</p>			

განვითარების გამომწვევი ადიტიური ზემოქმედების (ბუნებრივი თუ ხელოვნური) სახეობასთან დამოკიდებულებით, კატასტროფები შეიძლება დაიყოს ბუნებრივ და ანთროპოგენურ (ბუნებრივ-ტექნოგენური, ბუნებრივ-სოციალური და სხვ.) კატასტროფებად.

კატასტროფა არის უცაბედი მოვლენა, უმართავი სწრაფად მიმდინარე ბუნებრივი პროცესი, რომელიც იწვევს მძიმე შედეგებს, ნგრევას, მსხვერპლს. ასეთი ცვლილებების მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც სისტემაზე გარე ზემოქმედება, ასევე ეკოლოგიური სტრუქტურის სიმტკიცეზე გადაჭარბებული შინაგანი დამაბულობის განმუხტვა.

ბუნებრივი პროცესები, რომლებიც იწვევენ ბუნებრივი კომპლექსის კომპონენტების რაოდენობის დიდ ან მცირე მკვეთრ სახეცვლილებას, დედამიწის ისტორიაში ხდებოდა და ხდება მუდმივად. ამ პროცესების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ვულკანების ყელიდან ამოფრქვეული ვულკანოგენური მთის ქანების ვებერთელა მასივები; ჩვენი პლანეტის სიღრმეში მრავალ კილომეტრზე გადაჭიმული დედამიწის ქერქის ნაპრალები; მეტეორიტული კრატერები (კოსმოსური ფაქტორების ზემოქმედების მაგალითი); წიაღისეულ (ნამარხ) ნარჩენებში აღბეჭდილი პლანეტის ორგანული სიცოცხლის ევოლუცია და ა. შ. ამასთან, სავარაუდოდ, პლანეტის შინაგანი გარდაქმნის პროცესების თანდათანობითი შენელებიდან (რელაქსაცია) გამომდინარე, შორეულ წარსულში კატასტროფები ბევრად უფრო ხშირი და მასშტაბური იყო.

ამგვარად, კატასტროფები წარმოადგენენ სისტემის ფორმირების კანონზომიერ ეტაპებს, რომლებიც ხელს უწყობენ მის პროგრესულ განვითარებას. ეს აკადემიური ხედვა კატასტროფების შესახებ, საშუალებას იძლევა აღიარებულ იქნას მათი ბუნებრიობა და გარდაუვალობა.

წარმოშობის მიხედვით კატასტროფები შეიძლება იყოს:

1) ენდოგენური, რაც დაკავშირებულია დედამიწის შინაგან ენერგიასა და ძალებთან. მათ მიეკუთვნება მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანის ამოფრქვევა;

2) ეკზოგენური, რაც ძირითადად გამოწვეულია მზის ენერგიითა და მზის აქტივობით, ატმოსფერული, ჰიდროდინამიკური და გრავიტაციული პროცესებით. ესენია ციკლონი და ურაგანი, წყალდიდობა, ჭექა-ქუხილი, მეწყერი, გვალვა, ქვიშის ქარიშხალი და ა. შ.;

3) ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ანთროპოგენური კატასტროფები, რომლებიც წარმოიშობიან ადამიანის საქმიანობის შედეგად. მათი გამომწვევი ძალები, თავისი ბუნებით ან ენდოგენურია ან ეკზოგენური.

კატასტროფები აგრეთვე იყოფა თავისი მიმდინარეობის დროის მიხედვით, ანუ ბუნებრივ სისტემებზე ზემოქმედების დროის მიხედვით:

1) მკვეთრი სტიქიური ხანმოკლე უბედურება (მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ზვავები და ა. შ.);

2) სტიქიური უბედურება, რომელიც წარმოიშობა დროის ხანგრძლივ მონაკვეთში დაგროვილი რომელიმე ნეგატიური მოვლენის შედეგად. უპირველეს ყოვლისა, გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედება, რაც დაკავშირებულია ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ლითოსფეროს და ა. შ. დაბინძურებასთან. კრიზისების ამ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ

დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რაც წარმოშობს შიმშილისა და წყლის უკმარისობის პრობლემას. ეს, დროში შედარებით ხანგრძლივი პროცესი, უკვე იწვევს ნეგატიურ ზემოქმედებას ჩვენს პლანეტაზე, რასაც მივყავართ გლობალურ ეკოლოგიურ კრიზისამდე. შედეგად, ძლიერდება დაწოლა გარემოზე – ახალი ტერიტორიების ინტენსიური დასახლებისა და ათვისების, სასარგებლო წიაღისეულისა და საკვები რესურსების მოპოვების, მრეწველობის სწრაფი განვითარების, მიწის სავარგულების გადახვნის, მეგაპოლისების კატასტროფული ზრდის და ა. შ. შედეგად;

3) დროში გაწეილი სტიქიური უბედურება, როდესაც დაზიანება ხანგრძლივია, საგანგებო სიტუაციის შედეგის თანდათანობითი დაცხრომით (მიღევით). მაგალითად აფეთქება ატომურ ელექტროსადგურზე. ასეთი დაზიანებების მასშტაბი ობიექტურად შეიძლება იყოს კატასტროფულ ზემოქმედებებზე არანაკლები.

კატასტროფული მოვლენები ასევე შეიძლება კლასიფიცირებული იქნას მათი ზემოქმედების ფართობის მიხედვით. ამ შემთხვევაში კატასტროფა შეიძლება იყოს: ლოკალური, რომელიც მოიცავს მსხვილი ეკოსისტემის მხოლოდ ცალკეულ უბანს; რეგიონული, რომელიც მოიცავს ცალკეულ რეგიონს, მაგალითად, ევროპას; და, ბოლოს, გლობალური, რომელიც ვრცელდება მთელ ჩვენს პლანეტაზე და ეხება ყოველივე ცოცხალს და არაცოცხალს.

არსებული კლასიფიკაციების კიდევ ერთი კრიტერიუმია ამა თუ იმ კატასტროფის მსხვერპლთა რაოდენობა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია მცირე და მსხვილ კატასტროფებზე.

კატასტროფების კლასიფიცირება შეიძლება მიყენებული მატერიალური ზარალის მიხედვით. შესაბამისად, შეიძლება ვილაპარაკოთ მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან კატასტროფებზე და მათი ზემოქმედების შედეგები გავზომოთ ფულად ექვივალენტში.

რა თქმა უნდა, იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რომელ კლასს ან ტიპს მიეკუთვნება ესა თუ ის კატასტროფა, სკმაოდ რთულია. იმიტომ, რომ ეს მრავალჯერადი და მრავალი მიზეზის მქონე მოვლენაა. ხშირად, როდესაც ვმსჯელობთ კატასტროფებზე, სუფთა სამეცნიერო სფეროდან გადავდივართ ეთიკურ სფეროში, ვინაიდან ხშირად კატასტროფები დაკავშირებულია ადამიანების მსხვერპლთან, მორალურ და მატერიალურ ზარალთან, რომლის შეფასებაც ზოგჯერ ძალიან ძნელია.

ადამიანის ზემოქმედებამ ბუნებრივი კომპონენტების ბუნებრივ მდგომარეობაზე შეიძლება გამოიწვიოს სინერგიული ეფექტით განპირობებული გლობალური ბუნებრივი ცვლილებები (კლიმატის გლობალური დათბობა და, შედეგად, მსოფლიო ოკეანის დონის აწევა, ბირთვული ზამთარი და პლანეტაზე სიცოცხლის გაქრობა, ლანდშაფტების გარდაქმნა და უკაცრიელი ტერიტორიების განვრცობა). სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი გეოლოგიური, ჰიდროლოგიური ან ატმოსფერული ძალებით დაინდუქციებული კატასტროფების მიზეზებისა და დინამიკის ცოდნა, რომლებიც ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ანთროპოგენური ზემოქმედებით.

ნათლად ჩანს, რომ კაცობრიობამ რადიკალურად უნდა გადახედოს ბუნებასთან თავის დამოკიდებულებას. ბუნება მომთმენია, მაგრამ მისი მოთმინება უსასრულო არ არის.

ბუნებაზე ჭრილობის მიყენება ადვილია, მაგრამ შეუძლია მრისხანე შურისძიება.

2. საგანგებო სიტუაციების არიდება და ლიკვიდაცია

განხილულია ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ბუნებრივი, ტექნოგენური და ეკოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში, ასევე მოცემულია მათი არიდების და სალიკვიდაციო სამუშაოების აქტუალობა.

განხილულია საგანგებო სიტუაციების არსი და მისი კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონში „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“. გარდა ამისა, მოცემულია მთელი რიგი სპეციფიკური ტერმინები და მათი განმარტებები. აქვე კონკრეტულად აღწერილია საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია წარმოქმნის წყაროს ხასიათის მიხედვით და მათი მოკლე დახასიათება.

გაანალიზებულია ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა, მისი შემადგენლობა, ფუნქციონირების რეჟიმები და ძირითადი ამოცანები მართვის დონეების მიხედვით.

მთავარი ნაწილი ეთმობა საქართველოსათვის დამახასიათებელ ძირითად ბუნებრივ საგანგებო სიტუაციებს, მათი წარმოქმნის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებს, შედეგების ლიკვიდაციის თავისებურებებს. ასევე მოცემულია ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების, მ.შ. ტერორისტული აქტების შედეგების ლიკვიდაციის თავისებურებები.

გაანალიზებულია საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის დაცვის ძირითადი ღონისძიებები: მოსახლეობის შტყობინება, უსაფრთხო ზონებში მათი ევაკუაცია და საინჟინრო დაცვა (ყველა ტიპის დაცვით ნაგებობაში თავის შეფარება). მოსახლეობის მომზადება საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებთან მიმართებაში, მათი კატეგორიებად დაყოფა და სწავლების განხორციელების ძირითადი მიმართულებები.

3. ტერიტორიების, შენობების და ნაგებობების საინჟინრო დაცვა სახიფათო გეოლოგიური პროცესებისაგან

ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვის წინაპირობას წარმოადგენს მათი წარმოშობის მიზეზებისა და მექანიზმების ცოდნა. გვეცოდინება რა კატასტროფული მოვლენის არსი, შეიძლება მოიძებნოს მისი პროგნოზისა და დაცვითი ზომების გზები, რითაც მნიშვნელოვნად შევამცირებთ უარყოფით შედეგებს.

წარმოდგენილი სამუშაო ვრცელდება სახიფათო გეოლოგიური პროცესებისა (მეწყერი, ზვავი, კარსტი, ღვარცოფი, ზვავი, ზღვების, ტბების, წყალსაცავების და მდინარეების ნაპირების გადამუშავება, ტერიტორიების შეტბორვა და დატბორვა, ყინვითი ამობურცვა) და მათი თანწყობებისაგან ტერიტორიების, შენობების და ნაგებობების საინჟინრო დაცვის ნაგებობებსა და ღონისძიებებზე.

სეისმურ და სხვა სახიფათო პროცესების განვითარების რაიონებში, განსაკუთრებული თვისებების

გრუნტების შემთხვევაში (დაჯდომადი, გაჯირჯვლებული, მლაშე და სხვ.), აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიებზე საინჟინრო დაცვის დაგეგმარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი ნორმებისა და წესების დამატებითი მოთხოვნები.

საინჟინრო დაცვის ნაგებობების სქემების პროექტირებისათვის საჭირო საწყისი მასალები და საინჟინრო დაცვის ღონისძიებები უნდა შეიცავდეს:

- ცნობებს გეოგრაფიული მდებარეობის, სამეურნეო კავშირების და დასაცავი ტერიტორიების შესახებ;

- ტერიტორიის არსებული სამეურნეო გამოყენების, მის ეკოლოგიურ მნიშვნელობასა და მათი განვითარების პერპექტივის შეფასებას;

- ცნობებს არსებული ნაგებობებისა და საინჟინრო დაცვის ღონისძიებებზე, მათ მდგომარეობაზე, - მათი რეკონსტრუქციის შესაძლებლობასა და მათი ექსპლუატაციის სამსახურებზე;

- მონაცემებს სახიფათო გეოლოგიური პროცესებისგან გამოწვეული შედეგებისა და შესაძლო დანაკარგების პროგნოზის მიხედვით;

- რეგიონალური-გეოლოგიური კვლევებისა და საინჟინრო ძიების (საინჟინრო-გეოლოგიურ, საინჟინრო-გეოტექნიკურ, საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიურ, საინჟინრო-ჰიდრომეტეოროლოგიურ, საინჟინრო ეკოლოგიურ) მასალებს;

- მასალებს ტერიტორიის საინჟინრო მომზადებისთვის მიმდინარე ან დაგეგმილი რეგიონული ღონისძიებებისა და დასაცავი ტერიტორიის ბუნებრივ პირობებსა და რესურსებზე მათი გავლენის შესახებ;

- მონაცემებს ადგილობრივ სამშენებლო მასალებსა და ენერგეტიკულ რესურსებზე;

- კარტოგრაფიულ მასალებს.

საინჟინრო ძიებები დაფუძნებული უნდა იყოს ინფორმაციის განზოგადოებაზე, რომელიც მოიცავს ტერიტორიაზე შესრულებულ სამიეზო სამუშაოთა ყველა სახეს.

ძიების შედეგები უნდა შეიცავდეს საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოკრიოლოგიური და ეკოლოგიური პირობების ცვლილებათა პროგნოზს საანგარიშო პერიოდში, ბუნებრივი და ტექნოგენური ფაქტორების გათვალისწინებით, აგრეთვე ტერიტორიის დარაიონებას გეოლოგიური უსაფრთხოების ზღურბლზე და რეკომენდაციებს საინჟინრო დაცვის პრინციპული მიმართულების მიხედვით.

საინჟინრო დაცვის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- ნაგებობების აგებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპობრიობა სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით;

- კონსტრუქციული გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს დასაგეგმარებელი ნაგებობის რემონტის შესაძლებლობას, აგრეთვე ექსპლუატაციის პროცესში მათი ფუნქციონალური დანიშნულების ცვლილებას;

- საინჟინრო დაცვის არსებული ნაგებობის გამოყენება და, აუცილებლობის შემთხვევაში, რეკონსტრუქცია.

საინჟინრო დაცვისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები უნდა დაგეგმარდეს კომპლექსურად, მისი

ცვლილებების პროგნოზის გათვალისწინებით, საინჟინრო დაცვის ნაგებობების აშენებასა და ტერიტორიის ათვისებასთან კავშირში. ამასთან, სხვადასხვა სახის სახიფათო პროცესებიდან გამომდინარე, საინჟინრო დაცვის ღონისძიებები უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული.

საინჟინრო დაცვის დაპროექტებისას საჭიროა, აუცილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს საორგანიზაციო-ტექნიკური, მათ შორის საგანგებო სიტუაციების გამაფრთხილებელი, ადამიანების დაღუპვისაგან ასარიდებელი, საავარიო სიტუაციების გამომრიცხავი ან მისი მოქმედების შემასუსტებელი და შესაძლო ზარალისაგან თავის არიდების ღონისძიებები.

სახიფათო გეოლოგიური პროცესების ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასაცავი ტერიტორიის საზღვრები, სადაც შორისაც საჭიროა საინჟინრო დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, უნდა დადგინდეს რეკონსტრუქციული კვლევებით და დაზუსტდეს შემდგომი საინჟინრო ძიებისას.

საინჟინრო დაცვის ღონისძიებათა განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს სახიფათო პროცესების გააქტიურება მიმდებარე ტერიტორიებზე.

იმ შემთხვევაში, როცა ნაგებობები და საინჟინრო დაცვის ღონისძიებები მოახდენს უარყოფით გავლენას ამ ტერიტორიაზე (დაჭაობება, ნაპირთა რღვევა, მეწყერების წარმოქმნა და გააქტიურება და სხვა) გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი საკომპენსაციო-აღდგენითი ღონისძიებები.

აუცილებლობის შემთხვევაში, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში სახიფათო პროცესების განვითარებასა და საინჟინრო დაცვის ნაგებობების მუშაობაზე დაკვირვებისათვის, გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონტროლო-გამზომი აპარატურის დაყენებისა და სადამკვირვებლო ჭაბურღილების, საგუმბაგოების, გეოდეზიური რეპერების, მარკების და ა.შ. მოწყობა. გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო დაკვირვებების (მონიტორინგის) შემადგენლობა და რეჟიმი და შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები ნაგებობების საიმედოობისა და საინჟინრო დაცვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

მონიტორინგი უნდა ჩაატარონ სპეციალიზირებულმა ორგანიზაციებმა, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი სახიფათო გეოლოგიური პროცესების გააქტიურება და მიღებულ იქნეს აუცილებელი ზომები შენობებისა და ნაგებობების დასაცავად და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

4. სახიფათო გადასასვლელები.

გვირაბები და ნაგებობები სამთო გზებზე.

ტრასა თავის გზაზე ხვდება სხვადასხვა დაბრკოლებას: მდინარეებს, ნაკადულებს, ხევებს, სამთო ქედებს, ღარტაფებს. ასეთ დაბრკოლებებზე გზის გასაყვანად აწყობენ ხიდებს, გვირაბებს და სხვა ხელოვნურ ნაგებობებს, რომლებიც წარმოადგენენ გზის საპასუხისმგებლო და ძვირადღირებულ ელემენტებს. დაბლობ ადგილებში გაყვანილი საავტომობილო გზებისათვის ხელოვნური ნაგებობების ასაშენებელი ხარჯები შეადგენს გზის აგების ღირებულების 10%-მდე. დასერილ და მთიან ადგილებში, ასევე, როცა გზის ტრასა ხვდება მდინარეთა დიდ რიცხვს, ეს ხარჯები მნიშვნელოვნად იზრდება. წყალუხვ მდინარეებზე აგებული ხიდები მილიონობით დოლარი ღირს.

ხიდები წარმოადგენენ გადაკვეთადი დაბრკოლების გადამკვეთ და გზის მიწის ვაკისის

შემწყვეტ ნაგებობებს. სვლა ამ უბანზე ხდება ხიდის კონსტრუქციაზე. გვირაბები ემსახურებიან სამთო მასივის სისქეში გზის გაყვანას, ხოლო ქალაქებში – მიწისქვეშ ქუჩებისა და ფეხით მავალთა გადასასვლელების გატარებას. არის მდინარეებისა და ზღვების ყურეებისა და სრუტეების ქვეშ წყალქვეშა გვირაბების მოწყობის შემთხვევებიც. ჩვეულებრივ რთული და ძვირი ხელოვნური ნაგებობების დიდი რაოდენობა საჭიროა სამთო გზებზე. გვირაბების გარდა ზოგჯერ უხდებიათ ქვისა და თოვლის ზვავებისაგან გზის დასაცავად გალერეების, ასევე აივნების და საყრდენი კედლების მოწყობაც.

მდინარის გზით გადასაკვეთად მოწყობილ ნაგებობათა კომპლექსს უწოდებენ სახიდე გადასასვლელს, მის შემადგენლობაში შედის: ხიდი, მასთან მისასვლელები, სარეგულირებელი და ნაპირსამაგრი ნაგებობები.

საკუთრივ ხიდი შედგება სავალი ნაწილისგან ტროტუარებთან ერთად, დამჭერი მალის ნაშენებისა და საყრდენებისაგან, რომლებიც მალის ნაშენების საყრდენ წნევას გრუნტს გადასცემენ. გადასახური მალეების რაოდენობის მიხედვით ხიდები გვხვდება ერთმალისა და მრავალმალისა. გზის ყრილებთან ხიდის შეუღლების ადგილებში განლაგებულ განაპირა საყრდენებს სანაპირო ბურჯებს უწოდებენ, ხოლო მასიურ შუალედურებს – ბურჯებს. მალის საყრდენი წერტილების ცენტრებს შორის ლ მანძილს ეწოდება საანგარიშო მალი.

წყლის დონე მდინარეებში საკმაოდ ძლიერად იცვლება. ზაფხულში და ზამთარში წყალს ჩვეულებრივ აქვს დაბალი დონე, რომელსაც უწოდებენ სამიჯნო წყლების ჰორიზონტს, ან მიჯნის ჰორიზონტს. გაზაფხულზე, ყინულის დნობისას, ხოლო ზოგიერთ მდინარეში ზაფხულშიც, წყლის ნაკადი მკვეთრად მატულობს და ჰორიზონტი მაღლდება.

მდინარეში სახიდე გადასასვლელის ადგილას შესაძლო უმაღლეს ჰორიზონტს უწოდებენ მაღალი წყლების ჰორიზონტს. მაღალი წყლების საანგარიშო ჰორიზონტს საზღვრავენ ნატურული ჰიდროლოგიური დაკვირვებების მონაცემების მიხედვით. ამასთან, მიღებულია საანგარიშო წყალმოვარდნის გადაჭარბების გარკვეული ალბათობა, რომელიც საგზაო ხიდების სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებულია.

ხიდის ქვეშ მაღალი წყლების საანგარიშო ჰორიზონტის მიხედვით გაზომილ წყლის სარკის თავისუფალ სიგანეს ეწოდება ხიდის ღიობი. ერთმალის ხიდში ღიობი სანაპირო ბურჯების შიგა წახნაგებს შორის შუქში მანძილის ტოლია, მრავალმალისაში კი გამოისახება ცალკეული მალეების საყრდენებს შორის შუქში მანძილების ჯამით, რომელიც იზომება მაღალი წყლების საანგარიშო ჰორიზონტით. ხიდზე სავალი ნაწილის ზედაპირიდან სამიჯნო წყლების ჰორიზონტამდე H_1 მანძილს ეწოდება ხიდის სიმაღლე, ხოლო მალეების ნაშენთა ქვემოდან მაღალი წყლების ჰორიზონტამდე ან საანგარიშო სანაოსნო ჰორიზონტამდე H მანძილს – თავისუფალი სიმაღლე ხიდის ქვეშ. იგი უნდა იყოს საკმარისი მაღალი წყლების, გემების უსაფრთხო გატარებისათვის. ხიდზე სავალი ნაწილის ზედაპირიდან მალის ნაშენის უკიდურეს ქვედა ნაწილებამდე h მანძილს უწოდებენ ხიდის სამშენებლო სიმაღლეს.

ღიობი, მალეების სიდიდეები (შუქში და საანგარიშო), ხიდის სიმაღლე, ასევე ხიდზე გავლის სიგანე წარმოადგენენ ხიდის ძირითად (გენერალურ) ზომებს.

გასავლის დონის განლაგების მიხედვით არჩევენ ხიდებს: ზედა სვლით, როცა სავალი

ნაწილი განლაგებულია მალეების ნაშენთა ზემოდან; ქვედა სვლით, რომლებშიც სავალი ნაწილი განლაგებულია მალეების ნაშენთა ქვედა დონის გასწვრივ; დადაბლებული სვლით, ანუ შუაში სვლით, ე.ი. მალის ნაშენის სიმაღლის საზღვრებში განლაგებული სავალი ნაწილით.

მალეების ნაშენთა მასალის მიხედვით ხიდები შეიძლება იყოს: ხის, ქვის, ბეტონის, რკინაბეტონის და ლითონის.

მიმოქცეული მოძრავი დატვირთვების სახეობის მიხედვით განასხვავებენ ხიდებს:

სარკინიგზო – ემსახურებიან მხოლოდ სარკინიგზო მოძრაობას;

ფეხით მავალთა – გამიზნული მხოლოდ ფეხით მავალთა მოძრაობისათვის;

საქალაქო – საქალაქო პირობებში საავტომობილო, ტრამვაის და ფეხით მავალთა მოძრაობისათვის;

შეთავსებული – ერთდროულად, როგორც საავტომობილო, ასევე სარკინიგზო მოძრაობის გასატარებლად;

სპეციალური დანიშნულების – მილსადენების, კაბელების და სხვათა გასატარებლად;

თავისი დანიშნულების, მოწყობის თავისებურებებისა და მუშაობის პირობების მიხედვით ხიდები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად სახეებად: ჩვეულებრივი ტიპის (მაღალი დონის); გასახსნელი; ტრანსბორდერები, ან სახიდე ბორნები; ტივტივა.

გვხვდება თავისი ხასიათით ხიდების ანალოგიური სხვა სახის ხელოვნური ნაგებობებიც. ასეთი ნაგებობების რიცხვს მიეკუთვნება: გზაგამტარები; ესტაკადები; ვიადუკები.

ჩვეულებრივი ტიპის ხიდები, ან მაღალი დონის (მაღალწყლიანი) ეწოდება ხიდებს, რომელთაც აგებენ მდინარის თავზე მაღალი წყლების თავისუფალი გატარებისათვის, აგრეთვე დაუბრკოლებელი ნაოსნობისა და დაცურებისათვის). ამ ხიდებში მილების ნაშენების ქვედა კიდის H ამალდება მაღალი წყლების ჰორიზონტიდან ან საანგარიშო სანაოსნო ჰორიზონტიდან არ უნდა იყოს მოცემული მდინარის სანაოსნო გაბარიტის სიმაღლეზე ნაკლები. მდინარეზე ნაოსნობის ან ხე-ტყის დაცურების არარსებობის შემთხვევაში H სიდიდე ისაზღვრება ხიდის ქვეშ მაღალი წყლებისა და გემის უსაფრთხო გატარების მოთხოვნებით.

ზოგიერთ შემთხვევებში აწყობენ ხიდებს, რომელთაც გააჩნიათ სამიჯნე წყლების ჰორიზონტთან მცირე ამალდება. ასეთი დაბალწყლიანი ხიდები ვერ ატარებენ მაღალ წყლებს და წყალმოვარდნების გავლის დროს ან იტბორებიან (ჩადირული ხიდები), ან საჭირო ხდება მათი დაშლა. დაბალწყლიანი ხიდებს იყენებენ როგორც ნაპირებს შორის კავშირის ხანმოკლე საშუალებას.

გასახსნელ ხიდებს უწოდებენ ისეთებს, რომლებშიც გემების გასატარებლად მოწყობილია სპეციალური გასახსნელი მალი. ამ მალს აქვს ნაოსნობისათვის აუცილებელი ზომები.

გასახსნელ ხიდებს იყენებენ იმ შემთხვევებში, როცა შეუძლებელი ან არაეკონომიურია მისასვლელების აწევა ხიდის ქვეშ გემების უშუალო გატარებისათვის აუცილებელ სიმაღლეზე. გასახსნელი ხიდების ნაკლია ხიდზე მოძრაობის წყვეტადობის გარდაუვალობა

გახსნისას.

ტრანსბერდერებს, ან სახიდე ბორნებს აწყობენ ფართოწყლიანი სივრცის გადაკვეთის აუცილებლობის შემთხვევაში ნაპირებს შორის სუსტი მოძრაობისას. ტრანსბერდერი შედგება წყლიანი დაბრკოლების გადამკეტი მსუბუქი კონსტრუქციისა და შეკიდულპლატფორმიანი ურიკის დამჭერი გზისაგან, რომელიც ემსახურება ტვირთების გადაზიდვას.

ტივტივას უწოდებენ მცურავსაყრდენებიან ხიდებს, მათ იყენებენ ფართო და ღრმა მდინარეების გადაკვეთისას იმ შემთხვევებში, როცა მუდმივსაყრდენებიანი ხიდის მოწყობა ძვირი, რთული და გაუმართლებელია ხიდზე წინასწარგათვალისწინებული ტვირთბრუნვით. გემთსავალ მდინარეებზე ტივტივა ხიდებში აწყობენ გამოსაყვან უბნებს, რომლებითაც ხსნიან გზას გემების გასავლელად.

სუსტი მოძრაობის გზებიანი უხვწყლიანი მდინარეების გადაკვეთისას ნაპირებს შორის კავშირი შეიძლება განხორციელდეს საბორნე გადასასვლელით. ასეთი გადასასვლელი შედგება მდინარის ორივე ნაპირის ნავმისადგომისა და ნავმისადგომებს შორის მაცირკულირებელი მცურავი ბორანისაგან.

გზაგამტარებს უწოდებენ ერთი გზის ზემოთ მეორის გასატარებელ ხიდებს (გადაკვეთა სხვადასხვა დონეზე) – ინტენსიურმოძრაობიანი ორი საავტომობილო გზის გადაკვეთისას, საქალაქო ქუჩების ავტომაგისტრალით ან საავტომობილო გზის რკინიგზით გადაკვეთისას.

ესტაკადას უწოდებენ სახიდე კონსტრუქციას, რომელიც ემსახურება მიწის ზედაპირის ზემოთ რაღაც სიმაღლეზე გზის გატარებას, რათა ქვემდებარე სივრცე გამოყენებულ იქნეს გასავლელად ან სხვა მიზნებისათვის. ესტაკადებს ხშირად აწყობენ ქალაქებში ქუჩების, მოედნების და საქალაქო დასახლების თავზეც კი ჩქაროსნული საავტომობილო მოძრაობის, მეტროპოლიტენის, რკინიგზის გასატარებლად.

ვიადუკებს აგებენ ღრმა ღარტაფების, ხრამების ან მშრალი ხეობების გზით გადაკვეთისას, როცა გადასაკვეთი დიდი სიღრმის გამო მაღალი ყრილის მოწყობა ნაკლებად მიზანშეწონილია, ვიდრე სახილო ნაგებობის – ვიადუკის აშენება. ჩვეულებრივ, ვიადუკი ყრილზე ხელსაყრელია 20 – 25 მეტრზე მეტი სიღრმის გადასაკვეთი დაბრკოლებისას.

მალების ნაშენების ძირითადი მზიდი კონსტრუქციის სტატიკური სქემის მიხედვით ანსხვავებენ ხიდების შემდეგ სისტემებს: კოჭურს, თაღოვანს, ჩარჩოვანს და კიდულს.

კოჭურ ხიდებში მალის ნაშენი მასზე ვერტიკალური დატვირთვის მოქმედებისას მუშაობს ღუნვაზე და გადასცემს საყრდენებს ვერტიკალურ საყრდენ წნევებს.

თაღოვან ხიდებში ვერტიკალური დატვირთვით გამოწვეული საყრდენი რეაქციები საყრდენებზე მოქმედებენ დახრილად და შესაძლებელია მათი დაშლა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდგენელებად. თაღის საყრდენი რეაქციების ჰორიზონტალურ H მდგენელს უწოდებენ განმბჯენს. თაღის განმბჯენს გადასცემენ საყრდენებს ან სპეციალურ ელემენტს – შემკვრელს.

ჩარჩოვან ხიდებში მალის ნაშენები და საყრდენები ხისტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და შეადგენენ ერთიან კონსტრუქციას. ვერტიკალური დატვირთვის

მოქმედებისას ჩარჩოვანი ხიდების საყრდენებსა და საძირკვლებს გადაეცემათ მკუმშავი ძალები და საკმაოდ მნიშვნელოვანი მლუნავი მომენტები. ჩარჩოვანი სისტემების ნაწილში ვერტიკალური დატვირთვის მოქმედებისაგან აღიძვრება ასევე H განმბჯენი.

კიდულ ხიდებში საყრდენებს შორის სივრცე იხურება გაჭიმვაზე მომუშავე და სიხისტის კოჭის დამჭერი ფოლადის ბაგირებით (კაბელით ან ვანტებით), რომლის დონეზეც განლაგებულია სავალი ნაწილი. კაბელი ან ვანტები თავისი ბოლოებით გადასცემენ დახრილ ძალებს (ვერტიკალურ მდგენელსა და ჰორიზონტალურ განბრჯენს), რომელთაც ითვისებენ სპეციალური საანკერო საყრდენები ან ხიდის სიხისტის კოჭი.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი სისტემების გარდა, ხიდებში გვხვდება სხვა სტატიკური სქემებიც. ასე მაგალითად, ხის ხიდებში იყენებენ დოინჯიან სისტემას, რომელიც წარმოადგენს დოინჯებით ამოყრდნობილ კოჭს. ლითონისა და რკინაბეტონის ხიდებში გვხვდება სხვადასხვა სახის კომბინირებული სისტემები, რომლებიც წარმოადგენენ უმარტივესი სისტემების, მაგალითად, კოჭურისა და თაღოვანის შეხამებას.

ხიდი, როგორც საპასუხისმგებლო, საინჟინრო ნაგებობა უნდა აკმაყოფილებდეს საწარმოო, საექსპლოატაციო საანგარიშო-კონსტრუქციული, ეკონომიკური და არქიტექტურული ხასიათის მოთხოვნების რიგს.

საწარმოო და საექსპლოატაციო მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ მოძრაობა ხიდზე უნდა იყოს მოხერხებული, უსაფრთხო და დაუბრკოლებელი, სიჩქარის დაწვევის გარეშე. სავალი ნაწილისა და ტროტუარების სიგანე ხიდზე უნდა შეესაბამებოდეს საანგარიშო გამტარუნარიანობას მოძრაობის ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით. სავალი ნაწილის ვაკისი უნდა გაკეთდეს მტკიცე ცვეთმედეგი მასალისაგან. აუცილებელია ვაკისის ზედაპირიდან წყლის კარგი არინება.

ხიდის სქემა, მალეების სიდიდე და მდინარეში წყლის ჰორიზონტის ზემოთ კონსტრუქციის ამალეება უნდა უზრუნველყოფდნენ წყალმოვარდნებისა და გემების უსაფრთხო გატარებას, აგრეთვე აკმაყოფილებდნენ ნაოსნობის მოთხოვნებს.

მთელ ნაგებობას უნდა ჰქონდეს კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხანგრძლივ ვადას და იძლეოდეს ექსპლოატაციის პროცესში მოხერხებული დათვალიერების საშუალებას, უპირატესობა უნდა მიეკუთვნოს ნაგებობათა ისეთ სახეებს, მასალებსა და კონსტრუქციებს, რომლებიც შემდგომში მოითხოვენ მინიმალურ დანახარჯებს შენახვასა და რემონტზე.

ხიდის კონსტრუქცია უნდა პასუხობდეს ინდუსტრიული დამზადებისა (ქარხნებსა და ბაზებზე) და მექანიზებული აგების მოთხოვნებს, უნდა უზრუნველყოფდეს მშენებლობის სწრაფ ტემპებს სამუშაოთა შესრულების მაღალი ხარისხით.

საავტომობილო გზებსა და განსაკუთრებით ქალაქებში, სასურველია ზედსავლიანი ხიდების მოწყობა. ასეთი ხიდები კონსტრუქციისა და აგების პირობების მიხედვით უფრო მარტივია; სავალი ნაწილი იცავს მალეების ნაშენების ქვემდებარე კონსტრუქციას ატმოსფერული ნალექებისაგან. ზედსავლიან ხიდზე გამვლელთათვის გარემომცველი პეიზაჟი ღია რჩება, ხოლო საქალაქო პირობებში ასეთი ხიდი არ არღვევს მიმდებარე დასახლების

საერთო ხედს. ამიტომ საკმარისი სამშენებლო სიმაღლისას უმჯობესია ყოველთვის ზედასვლიანი ავტოსაგზაო ხიდების გაკეთება, საქალაქო პირობებში ქვედასვლიანი ხიდები საერთოდ დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა ზედასვლიანი ხიდის მოწყობა ძალიან ძვირი ან ვერტიკალური გეგმარების პირობებით შეუძლებელია.

საანგარიშო-კონსტრუქციული მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ ნაგებობა მთლიანობაში და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყოს მტკიცე, მდგრადი და ხისტი.

ნაგებობის სიმტკიცე ისაზღვრება პირობით, რომ ძალები ან ძაბვები მის ყველა ელემენტში და შეერთებებში არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ სიდიდეებს. მდგრადობა ეწოდება ნაგებობის უნარს, შეინარჩუნოს საწყისი ფორმა და მდებარეობა გარე დატვირთვების მოქმედებისას. ხიდის მალის ნაშენები და საყრდენები უნდა იყოს მთლიანობაში მდგრადი გადაყირავებისა და ძვრის მიმართ; შეკუმშული ელემენტები უნდა იყოს გრძივი ღუნვის მიმართ მდგრადი და ა.შ.

ნაგებობის სიხისტისადმი მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ დატვირთვების მოქმედებით გამოწვეული მისი დეფორმაციები არ უნდა აჭარბებდნენ დასაშვებ სიდიდეებს. მნიშვნელოვანი დეფორმაციები (არასაკმარისი სიხისტე) მავნებელია, ხოლო ზოგჯერ ნაგებობისთვის საშიშიც. ასე, მაგალითად, თუ ხიდი არ არის საკმარისად ხისტი და დატვირთვისაგან იძლევა ჩაღუნვებს, ამას შეუძლია გააძნელოს მასზე დიდი სიჩქარით ავტომობილების მოძრაობა. ხიდის მნიშვნელოვანი ვიბრაციების აღძვრა არასასიამოვნოა ფეხით მავალთათვის და შეიძლება საშიში იყოს მისი კონსტრუქციისათვის.

ეკონომიკური მოთხოვნები მდგომარეობს დაპროექტებისას ისეთი გადაწყვეტილების არჩევის აუცილებლობაში, რომლის დროსაც უმცირესი იქნება ხიდის ასაშენებელ სამუშაოებათა და მასალათა დანახარჯები და შრომატევადი სამუშაოები. პრაქტიკულად ეკონომიკურ მოთხოვნათა მთელი ერთობლიობის გათვალისწინების სიძნელის გამო ხშირად იყენებენ სამშენებლო ღირებულებას, როგორც ხიდის ეკონომიკურ მახასიათებელს. მაგრამ ნაგებობის ეკონომიკური ხარისხების შეფასება მხოლოდ სამშენებლო ღირებულებით არასაკმარისია. აუცილებელია აგრეთვე სამსახურის ვადის, საექსპლუატაციო პირობების, შენახვის ხარჯების, რემონტისა და ნაგებობის შესაძლო რეკონსტრუქციის გათვალისწინება. გარდა ამისა საჭიროა შეფასდეს არსებული ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობები.

არქიტექტურული მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ ხიდს უნდა ჰქონდეს შესაძლოდ უკეთესი გარეგნული ხედი და ჰარმონიაში უნდა იყოს გარემომცველ ადგილთან. ეს მიიღწევა საინჟინრო სქემისა და ხიდის არქიტექტურული სილუეტის სიზუსტითა და სიციხადით.

საავტომობილო გზების მშენებლობა და ექსპლუატაცია მთიან რაიონებში დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელებთან. სამთო გზები გაჰყავთ უპირატესად ფერდობებზე, ციცაბო კალთებზე, ფერდობების ფუძეებზე, ხეობებში; ამასთან, კონკრეტული ტოპოგრაფიული და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესაბამისად საგზაო ვაკისს განალაგებენ ამონადებში ყრილზე ან ნახევარამონადებში – ნახევრადყრილზე. უზრუნველყოფილ უნდა იქნას კალთებისა და ფერდობების მდგრადობა და აცილებულ

იქნას საგრუნტო მასების ჩამონგრევა, რადგანაც გზის გაყვანა დაკავშირებულია სამთო მასივის წონასწორული მდგომარეობის დარღვევასთან.

სამთო გზებზე უწყვეტი და უსაფრთხო მოძრაობისათვის აუცილებელია მათი დაცვა შესაძლო ჩამოქცევის, ნამქერის, ქვაცვენის, წყლის ნაკადების, თოვლის ზვავების, ღვარცოფებისაგან მთის მასივის სტაბილიზაციისა და გზის დაცვის უზრუნველყოფი სპეციალური ხელოვნური ნაგებობების მოწყობით. ჩვეულებრივ, მთიან ადგილებში ხელოვნურ ნაგებობათა რაოდენობა 2-2.5-ჯერ მეტია, ვიდრე ვაკე ადგილებში, ხოლო მათი ღირებულება შეიძლება აღწევდეს გზის საერთო ღირებულების 50%-ს.

მთიან გზებზე აგებულია სხვადასხვა ხელოვნური ნაგებობები: გვირაბები, ჩამოქცევის საწინააღმდეგო გალერეები, საყრდენი კედლები, დამჭერი, დამცავი და სარეგულაციო ნაგებობები.

ანალოგიური ნაგებობები სამთო გზებზე აგებულია საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში: საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, აშშ-ში, ირანში და სხვ.

სპეციალური ხელოვნური ნაგებობები სამთო საავტომობილო გზებზე თავისი დანიშნულების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

- 1) გზის ტრასის გასაყვანად; 2) გზის დასაცავად; 3) სარეგულაციო და ნაპირსამაგრი.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სახილო ნაგებობები (ხიდები, ნახევარხიდები, ვიადუკები, აივნები), რომლებსაც აგებენ ტრასის იმ უბნებზე, სადაც მისი გაყვანა უშუალოდ მთის კალთებზე მიზანშეწონილი არ არის ან პრაქტიკულად შეუძლებელია. რიგ შემთხვევებში რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში სამთო მასივზე აგებენ გვირაბებს ან ნახევარგვირაბებს, რომლებიც ამოკლებენ გზის საერთო სიგრძეს.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დამცავი ნაგებობები, რომლებიც ემსახურებიან ამონაღების ან ყრილის ციცაბო ფერდობების დაკავებას და იცავენ მათ ჩამონგრევის ან ჩამოცოცებისაგან (საყრდენი და მოსაპირკეთებელი კედლები და კონტრფორსები), ჩამოქცევის საწინააღმდეგო დამჭერი ნაგებობები (ტრანშეები, გაგლეჯა, ბადისებრი შემოღობვა, საგუბარი კედლები, ჩამოქცევები), ასევე ზვავსაწინააღმდეგო, ჩამოქცევის საწინააღმდეგო და თოვლისგან დასაცავი გალერეები.

დამჭერი ნაგებობები გათვალისწინებულია ზვავების, ჩამონაშალის, მეწყერების, ღვარცოფის დასაჭერად, ხოლო გალერეები უზრუნველყოფენ თოვლის ან გზის ზედა გრუნტის ჩამოქცეული მასების გატარებას.

მესამე ჯგუფს ეკუთვნის გზის ვაკისზე წყლების ჩამონადენის, ტალახისა და ღვარცოფის ნაკადების გატარების უზრუნველყოფი ნაგებობები (მილები ყრილებს ქვეშ, წყალსაგდებები, ღარები, სწრაფსადენები).

მთის მდინარეების ნაპირების დასაცავად გამოიყენებისაგან და წყალსადინარის ფსკერისა და ნაპირების დასამაგრებლად იყენებენ ჭავჭავიძის მართვით ჯებირებს, ბუნებს, გაბიონებს, ბეტონის ლეიბებსა და ფილებს.

გარდა ნაგებობათა აღნიშნული სახეებისა, გზებზე უსაფრთხო მოძრაობას ხელს უწყობს მომფარველელი კონსტრუქციები: პარაპეტები, ბოძკინტები, ბორბალამრიდი ძელები და

კედლები.

გვირაბები წარმოადგენენ ხელოვნულ მიწისქვეშა ან წყალქვეშა ნაგებობებს, რომელთა დანიშნულებაა სატრანსპორტო საშუალებათა გატარება, საინჟინრო კომუნიკაციების განლაგება და სხვა.

სატრანსპორტო გვირაბებს ეკუთვნის ავტოსაგზაო, სარკინიგზო, საქვეითო, გემთსავალი, ასევე მეტროპოლიტენის გვირაბები.

ჰიდროტექნიკურს უწოდებენ ჰიდროელექტროსადგურების სისტემაში მიმყვან და გამომყვან გვირაბებს, ასევე საირიგაციო და სამელიორაციო გვირაბებს.

კომუნალურს ეკუთვნის საქალაქო მიწისქვეშა მეურნეობის გვირაბები გაზის, წყლის, კანალიზაციის, კაბელებისა და ა.შ. გასატარებლად.

მიწისქვეშა ავტომანქანების სადგომები და გარაჟები, საწყობები, გაზისა და ნავთობის საცავები, მიწისქვეშა ქარხნები და საზღვაო ბაზები მიეკუთვნება სპეციალური დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობათა ჯგუფს.

სამთო-სამრეწველო გვირაბები გამოიყენება სატრანსპორტო მიზნებისათვის, ასევე სამთო მრეწველობაში მალაროს გვირაბის დრენაჟისა და ვენტილაციისათვის.

განლაგების ადგილის მიხედვით გვირაბები იყოფა სამთო, წყალქვეშა და საქალაქო გვირაბებად.

სამთო გვირაბები გაჰყავთ სამთო ქედებსა და მალლობებზე.

საწყალოსნო დაბრკოლებების - მდინარეების, ტბების, ყურეების, სრუტეების, არხებისა და წყალსაცავების გადაკვეთისას აგებენ წყალქვეშა გვირაბებს.

ქალაქების ქუჩებისა და მოედნების ქვეშ განლაგებულ გვირაბებს უწოდებენ საქალაქო გვირაბებს.

მიწის ზედაპირიდან განლაგების H სიღრმის მიხედვით ასხვავებენ ღრმა განლაგებისა ($H > 10 - 20$ მ) და მცირე განლაგების ($H < 10$ მ) გვირაბებს.

გვირაბების აგების მეთოდები მრავალფეროვანია და განისაზღვრება განვრცობადობის, განლაგების სიღრმის, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური პირობებითა და ეკონომიკური მოსაზრებებით.

საგვირაბო მშენებლობის პრაქტიკაში იყენებენ სამთო, ფარის, ღია და სამუშაოთა სპეციალურ წესებს.

სამუშაოთა სამთო წესი ითვალისწინებს გვირაბის ნაწილ-ნაწილ გახსნას დროებითი გამაგრებით და მზიდი კონსტრუქციის ეტაპობრივ აგებას – მოკეთებას. მაგარ და მდგრად ქანებში გვირაბს ხსნიან სწრაფად მთელი პროფილით დროებითი კონტურული გამაგრებით და მოკეთების შემდგომი მექანიზირებული აღმართვით. სამთო გვირაბების მოკეთებას ასრულებენ მონოლითური ბეტონისაგან ან რკინაბეტონისაგან და, უფრო იშვიათად, რკინაბეტონის ასაწყობი ელემენტებისაგან. სამუშაოთა სამთო წესს იყენებენ საქალაქო, სამთო, წყალქვეშა ღრმა განლაგების გვირაბების მშენებლობისას სხვადასხვა საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში (სუსტი არამდგრადი ქანებიდან მაგარ კლდოვან ქანებამდე).

სამუშაოთა ფარის წესი ემყარება დროებითი გამაგრების სახით ფოლადის მოძრავი

ცილინდრული გარსის - ფარის გამოყენებას, რომლის საფარქვეშ ამუშავებენ ქანს და აგებენ გარსს წინასწარ დამზადებული ლითონის ან რკინაბეტონის ცალკეული ელემენტებისაგან - ბლოკების ან ტიუბინგებისაგან, რომლებიც ქმნიან 0.5-1.2 მ სიგანის რგოლებს. სანგრევში ქანის დამუშავების მიხედვით ფარს წინ გადაადგილებენ ჰიდრავლიური დომკრატებით, რომლებიც ებჯინებიან აღმართულ მოკეთებას. ფარის წესს იყენებენ სამთო, წყალქვეშა და საქალაქო გვირაბების მშენებლობისას სუსტ არამდგრად ქანებში, ასევე მდგრად გრუნტებში.

სამუშაოთა ღია წესს იყენებენ მცირე ჩაღრმავების გვირაბების აგებისას. მზიდ კონსტრუქციებს უპირატესად სწორკუთხა განივი კვეთის ასაწყობი ან მონოლითური რკინაბეტონისაგან აგებენ ფერდობიან ღია ქვაბულში ხიმინჯიანი ან შპუნტიანი გამაგრებით. შესაძლებელია კედლების დაბეტონება ტრანშეებში გადახურვის შემდგომი მოწყობითა და მისი საფარის ქვეშ გვირაბის კედლებს შორის გრუნტის ბირთვის დამუშავებით.

გვირაბების აგებისას სამთო, ფარის ან ღია მეთოდით მძიმე გეოლოგიურ პირობებში (წყლიან არამდგრად გრუნტებში მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი ნაკადისას) მიმართავენ გარემომცველი გრუნტის მასივის გამაგრების სამუშაოთა სპეციალურ ხერხებს ხელოვნური გაყინვის, წყლის შემცირების ან გრუნტის ქიმიური გამაგრების გამოყენებით.

წყალქვეშა გვირაბების მშენებლობისას, გარდა სამუშაოთა სამთო, ფარის ან ღია მეთოდისა, იყენებენ მზა სექციების (საქარხნო), ჩასაშვები კესონ-გვირაბების მეთოდს და სხვა.

ავტოსაგზაო გვირაბები უნდა უზრუნველყოფდნენ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უავარიო და ნორმალურ პირობებს ექსპლუატაციის პერიოდში მოძრაობის ინტენსიურობის პერსპექტიული გაზრდის გათვალისწინებით.

გვირაბის გეგმის, გრძივი პროფილისა და განივი კვეთის მიმართ წაყენებული მოთხოვნები დამოკიდებულია გზის კატეგორიაზე, გვირაბის განლაგების ადგილზე, მშენებლობის რაიონის ტოპოგრაფიულ და საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე.

რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში ან ზედაპირზე განლაგებულ შენობა-ნაგებობათა შემოვლის აუცილებლობისას გვირაბს განლაგებენ სრულ ან ნაწილობრივ მრუდხაზოვან ტრასაზე. ამასთან, მრუდების რადიუსებს იღებენ არა ნაკლებს 250 მეტრისა. განსაკუთრებით რთულ პირობებში შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისას დასაშვებია მრუდის რადიუსის შემცირება 100 მ-დე. ზოგიერთ შემთხვევაში გვირაბის განლაგებით გეგმაში, მრუდზე შეიძლება მიღწეულ იქნეს გზისა და გვირაბის სიგრძის შემოკლება.

გადაკვეთილ სამთო ადგილზე ხაზის განვითარების საჭიროების შემთხვევაში აგებენ მარყუჟისებურ ან სპირალისებურ გვირაბებს. მარყუჟისებურ გვირაბებს მთლიანად განლაგებენ მრუდზე მოხვევის 180°-იანი კუთხით, ხოლო სპირალურს – მრუდზე მოხვევის 360°-ზე მეტი კუთხით. ასეთი გვირაბების შესასვლელები და გამოსასვლელები (პორტალები) მდებარეობენ სხვადასხვა დონეზე.

300 მ-ზე ნაკლები სიგრძის სამთო ავტოსაგზაო გვირაბებს, როგორც წესი, აპროექტებენ ერთქანობიანს, ხოლო 300 მ-ზე მეტი სიგრძის გვირაბებს – უპირატესად ორქანობიანს აწეულობით გვირაბის შუაში.

ერთქანობიანი გრძივიპროფილიანი გვირაბები უმჯობესია მათი განიავების

თვალსაზრისით, მაგრამ ასეთი გვირაბების გაყვანისას წყლიან ქანებში ზედა პორტალის მხრიდან ხდება სანგრევის უწყვეტი შეტბორვა, რაც ართულებს სამუშაოთა წარმოების პროცესს.

წყალქვეშა და საქალაქო ავტოსატრანსპორტო გვირაბებს აქვთ ჩაზნექილი ორქანობიანი პროფილი აწეულობით პორტალებისაკენ. ამასთან, წყლის ასარინებლად ექსპლუატაციის პერიოდში გრძივი პროფილის უდაბლეს ნაწილში აწყობენ სატუმბავ მოწყობილობებს.

წყალქვეშა გვირაბების გრძივი პროფილი უნდა უზრუნველყოფდეს პორტალთან სავალი ნაწილის დონის განლაგებას მაღალი წყლების ჰორიზონტზე არანაკლები 1 მ-ით მაღლა. ჰორიზონტი ისაზღვრება წყლის უდიდესი ხარჯის მიხედვით 1:300 ალბათობით, წყლის ნატბორისა და ტალღის სიმაღლის გათვალისწინებით.

წყალქვეშა გვირაბის ქვედებულის სიღრმე დამოკიდებულია აგების მეთოდზე და საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. ფარისებური გაყვანისას კამარის საჭეკის თავზე დამცავი საფარი შეკუმშული ჰაერის ქვეშ არ უნდა იყოს თიხოვან გრუნტებში 4 მ-ზე ნაკლები და ქვიშიან გრუნტებში – 6 მ-ზე ნაკლები. მზა სექციებისგან წყალქვეშა გვირაბის აგებისას გადახურვის ზემოთ ნაყარის ფენის სისქე 1.5 მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საქალაქო სატრანსპორტო და ქვეითი გვირაბების ქვედებულის სიღრმეს ნიშნავენ შესაძლოდ მინიმალურს. დასაშვებია გვირაბის ზედა ბოლოს განლაგება გზის უშუალოდ სავალი ნაწილის ქვეშ საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანის, მოძრავი დატვირთვისაგან წნევის განაწილებისა და ჩაყინვისაგან კონსტრუქციის დაცვის გათვალისწინებით.

ავტოსაგზაო გვირაბების მაქსიმალური გრძივი ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო მინიმალური 4%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ქანობების სიდიდის შეზღუდვა გამოწვეულია გვირაბში ვენტილაციისა და წყალარინების პირობებით.

სატრანსპორტო გვირაბებში საერთო საქალაქო მაგისტრალეზე დასაშვებია 50%-მდე ქანობი, ხოლო სარაიონო მაგისტრალეზე – 60%-მდე. გვირაბის სხვადასხვა ქანობიანი უბნების შეუღლებისას აწყობენ ვერტიკალურ მრუდებს, რომელთა რადიუსებს ღებულობენ ტრასის ღია უბნების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამთო ავტოსაგზაო გვირაბებს აპროექტებენ, როგორც წესი, მოძრაობის ორ ზოლზე. ოთხზოლიანი მოძრაობის გასატარებლად აწყობენ თითოეული მიმართულებისათვის ორ ცალკე განლაგებულ გვირაბს. ერთ გვირაბში ოთხზოლიანი მოძრაობის შეთავაზება დაიშვება ძლიერ რთულ ტოპოგრაფიულ პირობებში სპეციალური დასაბუთებისას.

საქალაქო და წყლისქვეშა სატრანსპორტო გვირაბებს აპროექტებენ ორი, სამი, ოთხი და ექვსზოლიანი მოძრაობის გასატარებლად.

ავტოსაგზაო გვირაბების განივკვეთს ნიშნავენ კონსტრუქციების მიახლოების მოქმედი გაბარიტების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგენენ გვირაბის განლაგების ადგილის, გზის კატეგორიის, სატრანსპორტო საშუალებათა სახისა და მოძრაობის ინტენსიობის მიხედვით.

ორზოლიანი ავტოსაგზაო გვირაბებისათვის გათვალისწინებულია კონსტრუქციების მიახლოების გაბარიტები სავალი ნაწილის სიგანით შესაბამისად 7 მ და 8 მ. ამ გაბარიტების შესაბამისად სავალ ნაწილს უნდა ჰქონდეს განივი ქანობები გავლის ღერძიდან გვერდზე

არანაკლები 2%-ისა წყლის ჩასადენად. სავალი ნაწილის გვერდზე განლაგებული ტროტუარი გაანგარიშებულია 1 საათში 1000 ქვეითის გატარებაზე. ქვეითთა უფრო ინტენსიური მოძრაობისას აწეობენ 1 მ სიგანის ორ ტროტუარს.

საქალაქო სატრანსპორტო გვირაბებს ორზოლიანი მოძრაობისათვის უნდა ჰქონდეთ სავალი ნაწილის სიგანე 8.0 მ, ხოლო სამზოლიანი მოძრაობისათვის - 12.0მ. ოთხზოლიან გვირაბებში აწეობენ ორ სავალ ნაწილს სიგანით 8 მ თითოეული, გამყოფი ზოლით არანაკლები 1.2 მეტრისა. ავტოსაგზაო გვირაბების განლაგებისას გეგმაში ტრასის მრუდ უბნებზე 700 მ-ზე ნაკლები რადიუსით სავალ ნაწილს აგანიერებენ 0.4–0.6 მ-ით მრუდის რადიუსის მიხედვით.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. სანიკიძე, ნ. წიგნაძე, გ. მემმარიაშვილი, გ. ფარცხალაძე, თ. ქიქავა	ლიტონის კონსტრუქციები	თბილისი, LTD "Smarty"	338

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მემმარიაშვილის საერთო რედაქციით	ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი	თავდაცვის სამინისტროს გამომცემლობა	691 გვ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Sanikidze, N. Tsignasze, G. Medzmariashvili	Portable and rapidly deployable, single span mechanized bridges for extreme situations. Georgian Technical University's Collection of Academic Works.	№ 3(505)	Tbilisi 2014, Publishing House "Technical University".	18
2	S. Tserodze E. Medzmariashvili, M. Nikoladze, A. Chaphodze, Z. Saakian M. Muchaidze	Structural features of mechanical support frame for improvement of space reflector's accuracy. International scientific journal of IFTtoMM "Problems of Mechanics".	№ 3(68)	Tbilisi 2017. "Berikoni"	10
3	თ. შუბლაძე ნ. წიგნაძე შ. შუბლაძე	ტყის ხანძრების კლასიფიკაცია და გარემოზე ზემოქმედება. სამხედრო თეორია	1(5) 2017	სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი	10

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Nodar Tsignadze, Elguja Medzmariashvili, Guram Bedukadze, Mamuka Sanikidze, Abesalom Chapodze, George Medzmariashvili.	Folding metal bridge with falcate modules –KM 02T	2017 National Accelerated Bridge Construction Conference Florida International University, Miami, Florida, USA, December 7-8, 2017.
2	S. Tserodze M. Nikoladze, M. Muchaidze, J. Santiago Prowald, van't Klooster C.G.M.	New approach for improvement of space reflector's mechanical support frame accuracy	Proceedings of 38th ESA Antenna Workshop "Innovative Antenna Systems and Technologies for Future Space Missions" 3 - 6 October 2017 ESTEC, Noordwijk, The Netherlands
3	T. Shubladze, Z Gviniashvili, G Gratiashvili.	Natural Disasters and Human life safety	Azerbaijan University of Architecture and Construction Baku, Azerbaijan 04-06, 2017

• **პატენტები და გამოგონებები**

№	ავტორები	პატენტის სახელი	პატენტის გამოქვეყნების ადგილი
1.	E. Medzmariashvili, N. Tsignadze, N. Medzmariashvili, L. Datashvili, Alexander Ihle, Julian B. Santiago Prowald, Cornelis Van't Klooster.	DEPLOYABLE ANTENNA FRAME	PATENT N: US 9660351 B2 DATE: May 23, 2017
2.	E. Medzmariashvili, N. Tsignadze, N. Medzmariashvili, L. Datashvili, Alexander Ihle, Julian B. Santiago Prowald, Cornelis Van't Klooster.	DEPLOYABLE ANTENNA FRAME	PATENT N:EP2904662 B1 14 December 2016

**სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-
ტიქნოლოგიური ცენტრი**

**2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - ფიზიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი -
გიორგი კობახიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა -

დოქტორი - ეკატერინე სანაია;


დოქტორი - თელა წურწუშია;

დოქტორი - ნანა გამყრელიძე.

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის
გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**


№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	თანამედროვე ზეგამტარი მასალები ფიზიკა, მასალათმცოდნეობა	გ.კობახიძე	ე.სანაია, ნ.გამყრელიძე, ო.წურწუშია
<p>მიღებული გვაქვს (10-50 მმ) MgB₂ ნაერთი, რომელიც დოპირებულია SiC და MgB₄-ით. დამუშავებულია მათი მიღების ოპტიმალური ტექნოლოგია.</p> <p>შესწავლილია მიღებული ნაერთის მიკროსტრუქტურა და ზეგამტარული მახასიათებლები. MgB₂+SiC-ის და MgB₂+B₄C დაწნეხილი ნიმუშების ზედაპირების ინერტულ ატმოსფეროში გახეხვისა და გაპრიალების შემდეგ შესწავლილ იქნა რასტრული ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით. გამოვლენილია, რომ ნიმუშები ფოროვანია და ჩანს მადოპირებელი ელემენტების ჩანართები.</p> <p>დოპირებული მაგნიუმის დიბორიდის ერთდროული სინთეზი და კონსოლიდაცია განხორციელდა ცხლად დაწნეხვის მეთოდით თანამედროვე მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ</p>			

ლუმელში (OXY-GON). ნიმუშების მისაღებად მაგნიუმის, ბორის და მადოპირებელი ფხვნილების ნარევის (მოლური თანაფარდობით Mg:B=1:2) ჰომოგენიზაცია ხდებოდა ნანოწისქვილში (Pulverstate premium line) 30 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ, ნარევი იწნებოდა ფოლადის წნეხ-ფორმაში, რომლებიც ამოგებული იყო გრაფლექსის ფირფიტებით, როგორც გვერდებიდან ასევე ზემოთ და ქვემოთ პუანსონებთან. გრაფლექსი დაფარული იყო BN ფენით (0.2 ± 0.3 მმ). ამ შემთხვევაში დენი არ გადიოდა Mg+B ნარევიში, ცხელდებოდა წნეხ-ფორმა ბარიუმის 1-2მმ ნაჭრებისა




სინთეზირებული ფხვნილებისა და მიღებული სამიზნეების დიფრაქტოგრამები

და ბრიკეტირებული MgB₂-ის ნიმუშების ზედაპირების ინერტულ ატმოსფეროში გახეხვისა და გაპრიალების შემდეგ შესწავლილი იყო ელექტრონული მიკროსკოპით. გამოვლინდა, რომ ნიმუშები ფოროვანია და ამავე დროს ცხელი დაწნეხვით სინთეზირებული და კონსოლიდირებული ბრიკეტისა და კომერციული MgB₂-ის ფხვნილის ცხელი დაწნეხვით მიღებული ბრიკეტის ზედაპირები ფაქტიურად ანალოგიურია.




a)

b)



a)



b)


MgB₂ და MgB₂+SiC ნიმუშების მიკროფოტოგრაფიები.

- a – X800 c – X320
- b – X1600 d – X1600

1. The 4th International Conference “Nanotechnologies” (NANO – 2016) OCTOBER 24 – 27, 2016, TBILISI, GEORGIA

2	ალუმინიზირებული დადის კვლევა ფიზიკა, მასალათმცოდნეობა	გ.კობახიძე	ო. წურწუმია ნ.გამყრელიძე ე.სანაია
---	--	------------	---


ნიმუშები, რომლებიც დაფარული იყო ალუმინით (slurry aluminization ტექნოლოგიით) გამოვცადეთ მაღალ ტემპურატურებზე (750°C) ჰაერის ატმოსფეროში 3000 საათის განმავლობაში, რასაც შემდეგ მოჰყვებოდა მათი მიკროსტრუქტურის კვლევა მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით. ქვემოთ მოყვანილ წონის ნამატის დროზე დამოკიდებულების გრაფიკიდან ნათელია, რომ დადის ალუმინიზირება 7-ზე მეტი რიგით აუმჯობესებს მის მაღალტემპურატულ მედეგობას და შესაბამისად მისი ეგრედ წოდებული სიცოცხლის ხანგრძლივობა ალუმინიზაციით შესაძლებელია რომ იყოს გახანგრძლივებული.



სურ.1:


SEM სურათზე მოცემულია დადისა და თერმულად დამუშავებული დადის მაღალტემპურატურული (750°C) ჟანგვის შედეგად მიღებული ზედაპირების გამოსახულებები.

სურ 2:



ეს შედეგები სრულ კორელაციაშია კინეტიკურ მრუდებთან. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

თერმული დამუშავება კიდევ უფრო მატებს დადის უნარს რომ მაღალ ტემპურებზე შედარებით კიდევ უფრო ხანგრძლივად იფუნქციონიროს.



სურ 3:

იგივე ნიმუშების განიკვეთების ანალიზის შედეგად ვასკვნიტ, რომ ზედაპირის დაცვა ალუმინიზირების შედეგად ხდება თითქმის სრულად და სწორედ ეს განაპირობებს მის მაღალტემპურატურული მედეგობის პარამეტრების გაუმჯობესებას 750°C-ზეც კი. თმცა ამ მიმართულებით კველვების გაგრძელება აუცილებელია რათა დანაგარის მიღების ტექნოლოგია დაიხვეწოს და შესაბამისად 100%-იანი დაცვის უზრუნველყოფა შევძლოთ კოროზიულ გარემოებს დაქვემდებარებული ზედაპირების დასაცავად.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R.Chedia, E.Sanaia, V. Gabunia, N. Kokiashvili.	Preparation of Ultradispersed Crystallites of Modified Natural Clinoptilolite with the Use of Ultrasound and Its Application as a Catalyst in the Synthesis of Methyl Salicylate.	American Journal of Nano Research and Applications 2017; 5(3-1): 26-32 doi: 10.11648/j.nano.s.2017050301.17	USA	6
2	A.Guldamashvili, Yu.Nardaya, Ts. Nebieridze, E.Sanaia, A. Sichinava, M. Kadaria	Mechanical Properties of Tungsten Implanted with Boron and Carbon Ions.	Materials Science and Engineering: A.&B Structural Materials: Properties, Microstructure and Processing, 2017. No. JMSE 20170307-1, 5 p	USA	5
3	E.Sanaia, G.Bokuchava, N.Jalagonia, T.Kuchukhidze	Obtaining of Graphene Structure Containing Ceramic Composites in High Temperature Vacuum Furnace Materials	Materials Science Forum ISSN: 1662-9752, vol. 900, pp.101-104. 2017, Trans Tech publications, Switzerland;	EU	4

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E. Sanaia, G. Bokuchava, and H. Efstathiadis,	“Novel synthesis route for MgB ₂ -based superconductors”,	11th IEEE Nanotechnology Symposium, Albany, NY (15 November 2017).
2	Olga Tsursumia, Elguja Kutelia, Mikheil Okrosashvili, Tengiz Kukava	High temperature properties of FeCrAl coating with the Al rich buffer zones on P92 substrate	EUROMAT2017 17-22 სექტემბერი, 2017, თესალონიკი, საბერძნეთი

კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი

**2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - ხვედელიძე არსენ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის
2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	<p align="center">მონაწილეობა ცერნის CMS LHC ექსპერიმენტზე (შვეიცარია)</p> <p align="center">ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა</p>	<p align="center">ზვიად წამალაიძე</p> <p align="center">არსენ ხვედელიძე</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადამოვი გიორგი 2. ბალათურია იური 3. გოგილიძე სოსო 4. ლომიძე დავით 5. ლომიძე ირაკლი 6. კემულარია ოთარ 7. მაღრაძე ერეკლე 8. მელქაძე ალექსანდრე 9. თავხელიძე დავით 10. ოიკაშვილი ბექარ 11. ტორიაშვილი თენგიზ 12. ფრანგიშვილი არჩილ 13. წამალაიძე ზვიად 14. წვერავა ნიკა 15. ხვედელიძე არსენ
<p align="center">დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ვრცელი ანოტაცია</p> <p>ინსტიტუტი ეფექტურად მუშაობს CMS (CERN, LHC, Switzerland) და COMET (KEK, J-PARC, Japan) ექსპერიმენტებში. CMS -ზე აქტიურობა მიმდინარეობს 4 სხვადასხვა მიმართულებით.</p>			

1. CMS ექსპერიმენტის მიონური სპექტრომეტრის RPC სისტემა

RPC ჯგუფის აქტივობა ამ წელს განპირობებული იყო LHC მეორე ფაზასთან დაკავშირებულ სამუშაოებთან. LHC მეორე ფაზა ითვალისწინებს პროტონების ნაკადის ინტენსივობის იმდენად გაზრდას, რომ კოლაიდერის ნათება $5 \times 10^{34} \text{ სმ}^{-2} \text{ წმ}^{-1}$ მიაღწიოს. ეს ამჩქარებელზე მომუშავე ოთხივე დიდ ექსპერიმენტს საშუალებას მისცემს უფრო დეტალურად შეისწავლონ 14 ტევენერგიაზე მიმდინარე პროცესები და შეეცადონ აღმოაჩინონ ახალი, იშვიათი მოვლენები, რომლებზეც დაკვირვება უფრო დაბალ ინტენსივობებზე შეუძლებელია.

მეორე ფაზისთვის RPC სუბდეტექტორის მოდერნიზაცია ძირითადად ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- ფსევდოსიჩქარის არის გადაფარვას 2.4-მდე
- დიდი ფონური დატვირთვის პირობებში მომუშავე ახალი ტიპის კამერების შექმნა
- არსებული სამუშაო გაზის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო მისაღები გაზით
- არსებულია ახალი კამერების რადიაციული მედეგობის შემოწმება

ჩვენი ჯგუფი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა ამ პრობლემებთან დაკავშირებულ სამუშაოებში და შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა საჭირო შედეგის მისაღებად.

ქვემოთ ძირითადად შევხებით იმ სამუშაოებს, რომლებიც საანგარიშო წელს შესრულდა GIF++ დანადგარზე და ე.წ. 904 ლაბორატორიაში, ასევე სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია CMS ექსპერიმენტის ე.წ. ცენტრალურ, RPC და GIF++ შიფტებთან.

გაუმჯობესებული კამერების ტესტირება

საანგარიშო პერიოდში შემოწმდა ახალი, სამი სხვადასხვა ტიპის კამერა: ბაკელიტის მოდულებიანი 1.4 და 1.6 მმ ღრეჩოთი (GT კომპანიის და Kodel – Korea Detector Laboratory-ის მიერ დამზადებული); ასევე მინის მოდულებიანი 1.2 მმ ღრეჩოთი (ლიონის უნივერსიტეტის ჯგუფის მიერ დამზადებული). ეს, ე.წ. iRPC კამერები განკუთვნილია დიდი ფსევდოსიჩქარის რეგიონის გადასაფარად და მათ შესაბამისად უნდა შეძლონ მაღალი ფონური დატვირთვის ქვეშ მუშაობა ($\sim 2000 \text{ ჰც/წმ}$). ამის მისაღწევად ამცირებენ მოდულის ფირფიტების სისქეს და მათ შორის მანძილს 2 მმ-დან 1.4 – 1.2 მმ-დე. შესაბამისად მცირდება მიონის გავლისას წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ღვარის მუხტი და კამერა უფრო „სწრაფად“ მუშაობს. თუმცა ეს იწვევს მთელ რიგ პრობლემებს (იზრდება სპონტანური განმუხტვის ალბათობა, მცირდება წარმოქმნილი მუხტი და ა.შ.). ეფექტურობა რომ არ შემცირდეს, საჭირო ხდება უფრო მგრძობიარე ელექტრონიკის გამოყენება, რაც თავის მხრივ ახალ პრობლემებს წარმოქმნის. საჭირო ხდება ყველა ამ ეფექტის ექსპერიმენტული შესწავლა და ოპტიმალური გადაწყვეტის პოვნა. ამ ახალი კამერების შესწავლა ხდებოდა როგორც GIF++ დანადგარზე γ -კვანტებით და მიონების ნაკადით, ასევე ე.წ. 904 ლაბორატორიაში კოსმოსური სხივებით და მცირე ზომის Cs-137 წყაროთი.

ლიონის ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ახალი ტიპის ელექტრონიკა (PETIROC სისტემის), რომელიც არსებულზე უფრო მგრძობიარეა და ამასთან შეუძლია სიგნალის წაკითხვა სტრიპის ორივე ბოლოდან (ეს საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნაწილაკის გავლის კოორდინატი სტრიპის გასწვრივ), გამოიცადა 904 ლაბორატორიაში კოსმოსური სხივების საშუალებით.


ამ მიზნით 904 ლაბორატორიისთვის შევქმენით კოსმოსური მიონების 2 ტელესკოპი სცინტილაციური მთვლელებით - მობილური (შესაძლებელს ხდის RPC კამერის ნებისმიერი ნაწილის დეტალურად გამოკვლევას) და სტაციონარული (ნახ.1)



ნახ.1. 2 მთვლელიანი სცინტილაციური ტელესკოპები კოსმოსური მიონებისთვის.

სურათის ქვედა ნაწილში ნაჩვენებია მცირე ზომის (30x30 სმ2) Kodel-ის კამერა, რომელზეც მოთავსებულია 2-მთვლელიანი მობილური ტელესკოპი. სურათის ზედა ნაწილში ნაჩვენებია 2-მთვლელიანი სტაციონარული ტელესკოპი.


დაწყებულია მცირე ზომის ორმოდულიანი კამერის (Kodel, 1.4 მმ ღრეჩო) დეტალური შესწავლა კოსმოსური მიონებით და Cs-137 წყაროთი. პირველ ეტაპზე გამოყენებულია გაზების სტანდარტული ნარევი. მეორე ეტაპზე ამ კამერით უნდა მოხდეს ეკოლოგიურად უფრო სუფთა სამუშაო ნარევის შესწავლა. ამ კამერის თავისებურებას წარმოადგენს სტრიპებიდან სიგნალის მოხსნის სისტემა - სიგნალები იხსნება 50 ომიანი კოაქსიალური კაბელებით, რაც საშუალებას გვაძლევს სიგნალი მარტივად შევაერთოთ ოსცილოსკოპთან, ან სწრაფ გამამდიერებელთან. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ სიგნალის ფორმა და დავადგინოთ სტრიმერების შემცველობა (ნახ.1 და 2).



ნახ. 2. მცირე ზომის კამერიდან ოსცილოსკოპით მოხსნილი სიგნალების ფორმა.


ტრიგერირება ხდება სტაციონარული ტელესკოპით. გამაძლიერებლის გაძლიერების კოეფიციენტი 10-ის ტოლია. გაუმჯობესებული კამერების საბოლოო ტესტირებისთვის გამოიყენება დანადგარი, სადაც შეიძლება მიონების ნაკადით ყველა სამუშაო მახასიათებლის გაზომვა კონტროლირებადი ფონური რადიაციის პირობებში. GT და Kodel კამერები ასევე გამოიყენება ამ დანადგარზე (ნახ.3). ტესტირების შემდეგ კორეული კამერა გადაყვანილ იქნა რადიაციული მდგრადობის შესწავლის რეჟიმში.

Full-size chambers at GIF++



ნახ. 3. GIF++ დანადგარზე ტესტირებული კამერების სისტემა.


Trolley-1 განკუთვნილია „დაძველების“ (Aging) შესასწავლად. Trolley-3 -ზე ხდება ახალი კამერების გამოცდა. Kodel (დამზადებულია კორეაში) და GT (დამზადებულია GT კომპანიის მიერ) ახალი ტიპის კამერებია.



ნახ.4. RE-4-2-Kodel კამერის GIF++ დანადგარზე ტესტირების შედეგები.

წერტილებით აღნიშნულია გაზომვის შედეგები, ხოლო უწრვეტი მრუდით, ე.წ. სიგმოიდით ფიტირების შედეგები. E_{max} აღნიშნავს მაქსიმალურ ეფექტურობას, ხოლო HV_{wp} კი მაღალ სამუშაო ძაბვას.


ნახ. 4-ზე ნაჩვენებია კამერის ეფექტურობის, კლასტერების ზომის და სტრიმერების ალბათობის ძაბვაზე დამოკიდებულების ტიპური სურათი 120 გეგ ენერჯის მიონებისთვის. მარჯვენა დიაგრამაზე გამა-კვანტების წყარო გახსნილია (შთანთქმის კოეფიციენტია 22). გაიზომა ეფექტურობის დამოკიდებულება ფონის ინტენსივობაზე (სხვადასხვა შთანთქმის კოეფიციენტებისათვის). როგორც ნახ.5-დან ჩანს, ამ ტიპის კამერას შეუძლია იმუშაოს ინტენსივობაზეც, რაც მოდერნიზაციისთვის მოთხოვნილ დონეზე მეტია.



ნახ.5. კამერის ეფექტურობის დამოკიდებულება ფონის ინტენსივობაზე.

GIF++ ტესტირებასთან ერთად SPS ამაჩქარებლის მეორადი ნაწილაკების H4 არხზე შემოწმდა GT კომპანიის ორი ახალი კამერა (თითოეული 1.4 და 1.6 მმ დაშორების ორ-ორი მოდულით) და ახალი ელექტრონიკით (PETIROC სისტემის). ეს ელექტრონიკა სტრიპის ორივე ბოლოდან კითხულობს სიგნალს და საშუალებას იძლევა გაიზომოს კამერაში მიონის გავლის მეორე კოორდინატი სტრიპის გასწვრივ (პირველს თვითონ დამუშავებული სტრიპის ნომერი იძლევა). გაზომვების პირველ ეტაპზე ფონზე დამოკიდებულება არ შეისწავლებოდა, ამიტომაც იქნა არჩეული „სუფთა“ H4 არხი რაიმე მნიშვნელოვანი ფონური რადიაციის გარეშე.

ამ ტესტისთვის საჭირო იყო კამერაში მიონების გავლის ორივე კოორდინატის საკმაოდ ზუსტად დადგენა. ამ მიზნით ჩვენი ჯგუფის მიერ გაკეთდა ოთხი მთვლელისგან შემდგარი „ტელესკოპი“ (ორი 1 სმ და ორი 4 სმ სიგანის გრძელი სცინტილატორებით, ნახ.6). გაზომვების შედეგად მიღებულია კოორდინატული გარჩევისუნარიანობის პირველის შეფასება - 1.3 სმ.




ნახ. 6. კამერების შესამოწმებელი დანადგარი მეორადი ნაწილაკების H4 არხზე.



კამერების რადიაციული მედეგობა

RPC კამერების რადიაციული მედეგობა მოწმდება ორგან - როგორც CMS, ისე GIF++ დანადგარზე. CMS-ზე კამერების ეფექტურობები და დროითი გარჩევისუნარიანობები პერიოდულად მოწმდება კოლაიდერის მუშაობისას დაგროვილი ინფორმაციის გამოყენებით. რადიაციული მედეგობის უფრო დეტალური შესწავლა კი ხდება GIF++ დანადგარზე 14 ტერაბეკერელი ინტენსივობის Cs-137 წყაროს საშუალებით ($E_\gamma = 662$ კეV) ამისათვის გამოყოფილი რამდენიმე კამერა გაერთიანებულია ერთ სისტემაში (ე.წ. Trolley-1 Consolidation Chamber, იხ ნახ. 3 და 7). ეს კამერები (ერთის გამოკლებით, რომელიც შესადარებლად გამოიყენება) სხივდება მაქსიმალური დოზით და მაქსიმალურად შესაძლებელი ხანგრძლივობით. უწყვეტად იწერება ამ კამერებში გამავალი დენი; სხვადასხვა პერიოდულობით ხდება მათი მახასიათებლების მონიტორინგი (ეფექტურობა, კლასტერების საშუალო ზომა, სამუშაო ძაბვა, ბაკელიტის წინაღობა და ა.შ.) და შედარება დაუსხივებელ კამერის შესაბამის მონაცემებთან.

ნახ.7-ის მარჯვენა დიაგრამაზე ნაჩვენებია RE2 და RE4 ტიპის კამერების მიერ გამოსხივების შედეგად დღემდე „დაგროვილი მუხტი“. RE4 ტიპის კამერაზე დაგროვილი მუხტი გაცილებით მცირეა, რადგან ის უფრო გვიან იქნა ჩართული ამ გაზომვებში. როგორც ნახ.8-ზე მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს, RE2 კამერის ეფექტურობა ამ დროის განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა. ასევე სხვა პარამეტრებში დღემდე არაა შემჩნეული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ შედეგებზე დაყრდნობით კოლაბორაციამ გადაწყვიტა, რომ არსებული კამერები და მათი ელექტრონიკა პრაქტიკულად არ შეიცვლება მოდერნიზაციის პროცესში. რადიაციულ დაზიანებებზე დაკვირვება გაგრძელდება როგორც უშუალოდ CMS-ზე, ასევე GIF++ დანადგარზე.



ნახ. 7. მარცხნივ ნაჩვენებია რადიაციული მედეგობის შესასწავლი დანადგარი. მარჯვენა გრაფიკზე ორი სხვადასხვა ტიპის კამერების მიერ „დაგროვილი რადიაცია“ კამერების მიერ დღემდე „დაგროვილი“ მუხტის ერთეულებში.




ნახ.8. მარცხენა გრაფიკზე ნაჩვენებია შესასწავლი კამერების ეფექტურობის დამოკიდებულება სიხშირეზე სხვადასხვა დოზით დასხივების შემდეგ. მარჯვენაზე - კამერის ეფექტურობის დამოკიდებულება ძაბვაზე დასხივების 2 წლის განმავლობაში.

ეკოლოგიური გაზების ნარევის შერჩევა

დღემდე კამერებში გამოიყენება საკმაოდ რთული ნარევი - $95,2\% C_2H_2F_4 - 4,5\% Iso - C_4H_{10} - 0,3\% SF_6$, რომელსაც დამატებული აქვს 40% წყლის ორთქლი. ეს ნარევი გამოყენებულ ბაკელიტთან ერთად უზრუნველყოფს კამერების სტაბილურ მუშაობას ე.წ. ღვარულ რეჟიმში. მაგრამ ამ ნარევის ზოგიერთი კომპონენტი, განსაკუთრებით $C_2H_2F_4$ და SF_6 გამოირჩევა „სათბურის ეფექტის“ მაღალი კოეფიციენტით და ევროგაერთიანების კანონმდებლობით მისი გამოყენება აკრძალულია. საჭიროა ახალი, უფრო ეკოლოგიური ნარევის შერჩევა. ახალი ნარევი, ეკოლოგიურობის გარდა, კიდევ რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

- არსებულ და ახალ კამერებს უნდა შეეძლოს ღვარულ რეჟიმში მუშაობა (სტრიმერების ალბათობა უნდა იყოს დაბალი).
- ახალი სამუშაო ძაბვა დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს არსებულისგან (ახალი და ძველი გაძლიერების კოეფიციენტებს შორის განსხვავება უნდა იყოს მცირე).
- კლასტერების საშუალო ზომა მნიშვნელოვნად არ უნდა გაიზარდოს.
- რადიაციულად გამძლე უნდა იყოს.
- არ უნდა იყოს ცეცხლსაშიში და შხამიანი

როგორც ვხედავთ, ისეთი ნარევის მოძებნა, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, არც ისე ადვილია. სამუშაოები ამ მიმართულებით დაწყებულია და ჩვენი ჯგუფიც ბოლო რამდენიმე თვეა აქტიურად ჩაერთო ამ საქმიანობაში. კერძოდ, ჩვენს მიერ შეთავაზებულ იქნა სიგნალის ფორმის შესწავლის მარტივი და ეფექტური სქემა - სტრიპებიდან მოხსნილი სიგნალი უშუალოდ, ან სწრაფი გამაძლიერებლის საშუალებით მიეწოდება ციფრული ოსცილოსკოპს, რომელიც მიერთებულია კომპიუტერთან (მანამდე გამოიყენებოდა სპეციალური გამაძლიერებელი მოდული, რომლიდანაც სიგნალი მუშავდებოდა ე.წ. Digitizer-ით. სიგნალის ფორმის დაუმახინჯებელი მიღება არ იყო გარანტირებული). აწყობილია შესაბამისი აპარატურა და Labview-ზე შექმნილია შესაბამისი პროგრამის პირველი ვერსია. სიგნალის ფორმის ანალიზი საშუალებას იძლევა განვასხვავოთ ღვარები სტრიმერებისაგან, ასევე შევაფასოთ გაძლიერების კოეფიციენტი.



ნახ.9. iRPC 1.4 მმ ღერძიანი კამერის მახასიათებლების შედარება სტანდარტული (წითელი) და ეკოლოგიური გაზის (ლურჯი) ნარევისთვის
(50% HFO – 1234ze – 45%CO₂ – 0.3% SF₆ – C₄H₁₀)

როგორც ვხედავთ (ნახ.9.) მახასიათებლების ყოფაქცევა იდენტურია, მაგრამ წანაცვლებულია თითქმის 1.5 კვ-ით, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს სისტემის მუშაობას. ამ მიმართულებით რამოდენიმე ნარევი გამოიცადა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საბოლოო დამაკმაყოფილებელი შედეგი

არაა მიღებული და მუშაობა გრძელდება.

2. CMS ექსპერიმენტის ადრონული კალორიმეტრი

2017 წლის განმავლობაში ჩვენი ჯგუფის აქტივობის ერთ-ერთი მიმართულება იყო, CMS ექსპერიმენტის სუბდეტექტორის HCAL-ის განახლება (update) და არსებული სისტემის მხარდაჭერა. YETS- (Year End Technical Stop) ტექნიკური შეჩერების დროს (2017-2018 წლები) CMS დეტექტორის HCAL სისტემის ჰადრონის ენდკაპის (HE) ნაწილში დაგეგმილია დამატებითი ახალი სამონტაჟო ელექტრონიკის დამონტაჟება. იგი ეფუძნება ახალ დიზაინს Silicon Photo Multiplier (SiPM), როგორც გაზომვების ძირითადი წყარო. ჩვენი ჯგუფი მონაწილეობას იღებს როგორც ტესტირების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ასევე ახალი ელექტრონიკის მოსამზადებელ სამუშაოებში და შესაბამისად ტესტებში. ტესტების შედეგად მოწმდება ყველა ახალი წამკითხავი მოდულები (RM's), სანამ მოხდება მათი ინსტალირება დეტექტორში. ტესტზე მოწმდება როგორც მოდელირებული პარამეტრები, ასევე მოდულების ქცევა მუშაობის დროს. ახალი მოდულების ტესტები განსაზღვრავს, თუ როგორ იქცევა ელექტრონიკა დეტექტორის მუშაობის რეალურ პირობებში და როგორ იმოქმედებს შესაძლო ჩავარდნებზე. HCAL-ს განახლების აქტივობების მხარდასაჭერად მიმდინარეობს ახალი პროგრამული სისტემის შემუშავება, რომლებიც აუცილებელია როგორც ახალი მოდულების დამონტაჟებისათვის ასევე მათი შემდგომი მუშაობის დროს. ასევე მონაწილეობა მივიღეთ HCAL-ის DOC-ის შიფტებში (shift), რომლის დროსაც მოხდა შიფტების კოორდინაცია CMS-ს ცენტრალური კონტროლისა და HCAL-ის ექსპერტებს შორის, რათა ქვესისტემამ შეძლოს ჯანსაღი მდგომარეობის შენარჩუნება და სხვა ქვესისტემების კოორდინაცია, რათა გააგრძელონ უწყვეტი CMS ოპერაციები.

3. CMS ექსპერიმენტის ცენტრალური კომპიუტერული სისტემა და ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის აქტივობა

2017 წლის განმავლობაში ინსტიტუტის ჯგუფმა განაგრძო CMS მთავარი პროგრამული უზრუნველყოფის CMSSW-ზე მუშაობა. კერძოდ ჯგუფის ორი წევრი, ერეკლე მალრამე და გიორგი ადამოვი აქტიურად იყვნენ ჩართული ორი ამოცანის შესრულებაში. ჯგუფის წინაშე დასახული იყო CMSSW-ის პროგრამული უზრუნველყოფის ვალიდაციისა ეფექტურობის გაზრდის და ვალიდაციის პროცესში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის ბიბლიოთეკებისა და პაკეტების სიის დინამიური გენერირების ამოცანები. როგორც ცნობილია CMSSW პაკეტი შედგება მილიონობით სტრიქონი პროგრამული კოდისგან, რომელიც დაწერილია როგორც Python ასევე C++ დაპროგრამების ენაზე. ამ პაკეტის დახვეწა, ფუნქციონალური გაფართოება და განვითარება მუდმივი პროცესია. ბუნებრივია ამ პროცესის თანმდევი სხვადასხვა შეცდომებისა და უზუსტობების წარმოქმნა რაც დაუშვებელია პროგრამული უზრუნველყოფის ძალიან აქტიური გამოყენებისა და მასზე მთელი ექსპერიმენტის

კრიტიკული დამოკიდებულების გამო. შესაბამისად, CMSSW ყოველი ცვლილების შეტანისას და ახალი ვერსიის მომზადებისას აუცილებელია ჩატარდეს რიგი შემოწმებებისა, რაც ხორციელდება ავტომატიზირებული სისტემის საშუალებით. შემოწმებები თავის მხრივ რამოდენიმე ეტაპიანია და ყოველი ეტაპის შესრულება დამოკიდებულია წინა ეტაპის წარმატებით დასრულებაზე. რა თქმა უნდა შემოწმებები მოითხოვს არცთუ მცირე გამოთვლით რესურსს და ასევე მიზანშეწონილია რომ ყველა შემოწმება დასრულდეს დროულად. ანუ, ამოცანა მდგომარეობდა მოცემული გამოთვლითი (პროცესორების ბირთვებისა, ანუ განსაზღვრული ნაკადების რაოდენობის მიხედვით), მოხდეს მაქსიმალური რაოდენობის შემოწმებების გაშვება, რაც საბოლოო ჯამში მოახდენს CMSSW პროგრამული უზრუნველყოფის ვალიდაციაზე დახარჯული დროის ოპტიმიზაციას. ეს ოპტიმიზაციის ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი დინამიური პროგრამირების, კერძოდ კი „ზურგჩანთის“ ალგორითმის გამოყენებით. ამოცანის გადაჭრამ პროცესორებისთვის გააჩინა შემოწმების ოპტიმიზაციის აუცილებლობა მეხსიერების მიხედვითაც, რაც ამ ეტაპზე მიმდინარე ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულება და წარმართვა ერეკლე მალრადის პასუხისმგებლობის ქვეშ მიმდინარეობს.

CMSSW აქვს მოდულური სტრუქტურა და მისი შემოწმება მოითხოვს სხვადასხვა პროგრამული ბიბლიოთეკისა და პაკეტის გამოყენებას, თუმცა აუცილებელია რომ ამ პაკეტებისა და ბიბლიოთეკების რაოდენობა იყოს ოპტიმიზირებული და შესაბამისად განისაზღვროს თითოეული შემოწმებისთვის, კრიტიკულად აუცილებელი პაკეტებისა და ბიბლიოთეკების რაოდენობა და სია. ანუ დინამიურად უნდა მოხდეს გაშვებული შემოწმების პროცესების ანალიზი. ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი გიორგი ადამოვი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემთა ბაზისა და დაწერილი პროგრამული უზრუნველყოფის CMSSW-ში ინტეგრაციის პროცესი.


წარმატებით შესრულებული ამოცანებიდან გამომდინარე დაისახა შემდგომი ამოცანის თემატიკა კერძოდ კი, ამოცანა დაკავშირებული იქნება DQM (Data Quality Monitoring) მოდულების განვითარებასთან.

გარდა ამ სამუშაოებისა, ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის მიზნებში შედის CMS მართვის ოთახის ორგანიზება თბილისში, რაც გულისხმობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებასა და გამართვას. ასევე ჯგუფის წევრები, ერეკლე მალრადე და გიორგი ადამოვი აქტიურად არიან ჩართული COMET ექსპერიმენტის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისა დაგეგმვისა და შემდგომი აქტიური თანამშრომლობის ამოცანების განსაზღვრის პროცესში.

4. CMS ექსპერიმენტის GEANT4 -ს გეომეტრიული ანალიზი.

ამოცანა მიზნად ისახავდა BeamPipe კვანძის CAD და GDML ვერსიების მონაცემების ერთმანეთთან შედარებას. ამ კვანძში შემაჯავალი დეტალების საინჟინრო პროექტირების პროგრამებისთვის განკუთვნილი .STP ფორმატისა და ნაწილაკების მოძრაობის კომპიუტერული სიმულაციის პროგრამა GEANT4-სთვის განკუთვნილი .GDML ფორმატის გეომეტრიებს შორის გაბარიტული და სიმკვრივის მონაცემებს შორის სხვაობების აღმოჩენას. პრობლემის აქტუალურობა გამოიხატება,

არსებული .GDML ფაილებში, გეომეტრიებისა და ამ გეომეტრიებზე მითითებული მატერიალების გამარტივებული სახით არსებობის გამო, ნაწილაკების მოძრაობის სიმულირების დროს წარმოქმნილი ცდომილებების შემცირებაში. რისთვისაც საჭიროა .GDML ფორმატის ფაილების, ორიგინალი ნახაზების მიხედვით აწყობილ CAD დეტალებთან შედარება და ანალიზი.




ნახ.10. სპექტრომეტრის ცენტრალური ნაწილის ჭრილები XY და ZY სიბრტყეებზე

სპექტრომეტრის შემადგენლობაში 5 იდენტური ობიექტია. ცენტრალური წრე და მიყოლებით 2 წრე წინა და უკანა მხარეებიდან.

- შესრულებული სამუშაოები

დასმული ამოცანის შესასრულებლად, დამუშავდა არსებული .STP და .GDML ფაილები: მოხდა .STP გეომეტრიულ მოდელებზე შესაბამის მასალათა ფიზიკური თვისებების მონაცემების მითითება, .GDML ფაილებში არსებული მონაცემების მიხედვით აიგო გეომეტრიული მოდელები და მოხდა ამ მოდელებზე შესაბამის მასალათა სიმკვრივის მონაცემების მითითება. ნაპოვნი იქნა აგებულ დეტალებსა და მათზე მითითებულ მასალებს შორის სხვაობები, რაც საბოლოოდ ამ დეტალების მასათა სხვაობებით გამოიხატა.



ნახ. 11. ფრაგმენტი სპექტრომეტრის ცენტრალური ნაწილის ჭრილიდან

- მთავარი ამოცანა სპექტრომეტრის მასის გაზომვა და სიმულაციის ფორმატთან შედარებაა
- კონკრეტულად ეს წრე (W0) ცენტრშია განთავსებული.
- მეტი სიზუსტისათვის, მოცემული ობიექტი დავყავით სექტორებად და
ინდივიდუალურად გავზომეთ ყველა სექტორის მონაცემები. სექტორი მთლიანად შედგება
Fe310 low-carbon steel შენადნობისაგან.


შემდეგ ეტაპზე გავზომეთ 6 სექტორის, (მთელი ობიექტის ნახევარი) მონაცემები. აღსანიშნავია რომ მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სავენტრალაციო და გაგრილების სისტემების გაყვანილობას.

ამის შემდგომ ეტაპზე მოხდა მთელი წრის მონაცემების გამოთვლა, რამაც მოგვცა შემდეგი შედეგი: მასა - 1243.708 ტ (1 243 708კგ) მოცულობა - 158.434 მ³ სიმკვრივე - 7850 კგ/მ³.

- შედარება სიმულაციის გეომეტრიასთან

შემდეგი ეტაპი მოიცავს CAD ფაილების STP ფაილებთან უშუალო შედარებას მათ შორის სხვაობის დასადგენად. ამისათვის საჭირო გახდა სიმულაციის ფაილების კონვერტაცია. ჩვენი კოლეგების მიერ მოხდა ამ კონვერტერის დამუშავება, რამაც მოგვცა კონვერტაციის განხორციელების საშუალება.

GDML ვერსია, სპექტრომეტრის 5 წრე




ნახ.12. სპექტრომეტრის 5 წრე, GDML ვერსია

- წრის კონსტრუქციის დეტალური ანალიზი
- მასათა შედარება გაკეთებულია GDML ცხრილში
- საერთო სხვაობაში არ შედის სადგამების წონა
- STPდეტალებს აქვთ იგივე სახელები რაც GDML დეტალებს, ნიშნით_stp

წითელი დეტალები აღნიშნულია 1.X და ყვითელი დეტალები - 2.X ცხრილებში

	სახელი	მასა	მოცულობა	სიმკვრივე
1.1	YB3_w2P_t20	4763.652kg	0.611m3	7799.996kg_m3
1.2	YB3_w2P_m10	31886.591kg	4.088m3	7799.996kg_m3
1.3	YB3_w2P_b20	4457.612kg	0.571m3	7799.996kg_m3
1.4	YB2_w2P_t20	3923.963kg	0.503m3	7799.996kg_m3
1.5	YB2_w2P_m10	26997.462kg	3.461m3	7799.996kg_m3
1.6	YB2_w2P_b20	3635.724kg	0.466m3	7799.996kg_m3
1.7	YB1_w2P_m10	10186.303kg	1.306m3	7799.996kg_m3
1.8	YB1_w2P_b20	2781.463kg	0.357m3	7799.996kg_m3
2.1	YB5_w2F_t10	844.677kg	0.1083m3	7799.996kg_m3
2.2	YB3_w2P_t30	587.454kg	0.0753m3	7799.996kg_m3
2.3	YB3_w2P_b10	588.2001kg	0.0754m3	7799.996kg_m3
2.4	YB3_w2P_b30	672.3358kg	0.0862m3	7799.996kg_m3
2.5	YBSepar3_w2P_t30	791.4461kg	0.1015m3	7799.996kg_m3
2.6	YB2_w2P_t10	592.7562kg	0.076m3	7799.996kg_m3
2.7	YB2_w2P_t30	767.5945kg	0.0984m3	7799.996kg_m3
2.8	YB2_w2P_t10	644.1011kg	0.0826m3	7799.996kg_m3
2.9	YB2_w2P_t30	526.5963kg	0.0675m3	7799.996kg_m3
2.10	YBSepar2_w2P_t30	649.5697kg	0.0833m3	7799.996kg_m3
2.11	YB1_w2P_b10	684.8946kg	0.0878m3	7799.996kg_m3
2.12	YB1_w2P_b30	939.0937kg	0.1204m3	7799.996kg_m3



ნახ.13. ფრაგმენტი სპექტრომეტრის მეორე წრიდან (Wheel +2) GDML ფორმატი

- სპექტრომეტრის თითოეული წრის მონაცემები

დასახელება (GDML)	მასა	სიმკვრივე	მოცულობა	მატერიალი
Wheel_2N0	1163057.874kg	7799.996kg/m3	149.110m3	M_Steel-0080
Wheel_1N0	1159322.696kg	7799.996kg/m3	148.631m3	M_Steel-0080
Wheel_00	1178520.312kg	7799.996kg/m3	151.092m3	M_Steel-0080
Wheel_1P0	1160654.787kg	7799.996kg/m3	148.802m3	M_Steel-0080
Wheel_2P0	1163057.874kg	7799.996kg/m3	149.110m3	M_Steel-0080
Total	5824613.543kg	7799.996kg/m3	746.746m3	M_Steel-0080

დასახელება (STP)	მასა	სიმკვრივე	მოცულობა	მატერიალი
YB-2	1243422.492kg	7850kg/m3	158.398m3	Fe 310 low-carbon steel
YB-1	1239962.304kg	7850kg/m3	157.957m3	Fe 310 low-carbon steel
YB 0	1243708.87kg	7850kg/m3	158.434m3	Fe 310 low-carbon steel
YB+1	1219463.029kg	7850kg/m3	155.346m3	Fe 310 low-carbon steel
YB+2	1221583.788kg	7850kg/m3	155.616m3	Fe 310 low-carbon steel
Total	6168140.483kg	7850kg/m3	785.751m3	Fe 310 low-carbon steel

5. CMS-ს სავალდებულო სეანსებში და სერვის სამუშაოებში (service work) მონაწილეობა

შიფტის დასახელება	შიფტის რაოდენობა	დგროვილი კრედიტი
HCAL Doc + სერვის სამუშაოები	14	18
Online DQM P5	46	74
RPC O&M + სერვის სამუშაოები	35	35
Muon Doc 3 sertification	21	18.9
GIF ++ test beam	18	2 თვის პლეჯი

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	მონაწილეობა J-PARC -ს	დავით ლომიძე	

	<p>COMET ექსპერიმენტზე (იაპონია) ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა</p>		<ol style="list-style-type: none"> 1. აბრამიშვილი რომან 2. ადამოვი გიორგი 3. ბაღათურია იური 4. ლომიძე დავით 5. ლომიძე ირაკლი 6. მელქაძე ალექსანდრე 7. წამალაიძე ზვიად 8. წვერავა ნიკა 9. ხვედელიძე არსენ
--	--	--	---

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

COMET (Coherent Muon to Electron Transition) ექსპერიმენტი J-PARC ამაჩქარებელზე

COMET ექსპერიმენტის მიზანი არის 4 რიგით გააუმჯობესოს (დღეს არის 7×10^{-13})

$\mu^- + N(A, Z) \rightarrow e^- + N(A, Z)$ ($\mu^- \rightarrow e^-$) პროცესის (რომელშიც ირღვევა ლეპტონური მუხტი, Charged Lepton Flavor Violation, CLFV) ზედა ზღვარი და მივიღოთ 2.6×10^{-17} .

პროცესის მგრძობიარობის ამ დონეზე მიღწევა საშუალებას მოგვცემს ვნახოთ არის თუ არა სუპერნაწილაკები 10-30 ტევის ინტერვალში, რომელსაც ვერ შეამოწმებს LHC. და საერთოდ ვნახოთ რა ხდება ასეთი დონის მგრძობიარობაზე, ხომ არ არის აქ საერთოდ სრულიად ახალი რაიმე ფიზიკური ეფექტები. იმის გამო, რომ ექსპერიმენტი არის ძალიან რთული, და გამოყენებული იქნება უახლოესი ტიპის ტექნოლოგიები, იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ექსპერიმენტის რეალიზება მოხდეს 2 ფაზად, **Phase-I** და **Phase-II**.

Phase -I

ექსპერიმენტის პირველი ეტაპი დაიწყება 2019 წელს, სეანსები 4-5 თვე.

მიზანი: 1. დღეს საუკეთესო შედეგის 200-ჯერ გაუმჯობესება, ანუ მიღება 10^{-15} მგრძობიარობის.

2. რეალური შეფასება ფონური პროცესების, როდესაც მიონების ნაკადი იქნება უპრეცედენტო 10^9 წამში.

პირველ ეტაპზე არ იქნება გამოყენებული სრული მაგნიტური სისტემა, სრული ელექტრული კალორიმეტრი, და სრული სტროუ (straw) ტრეკული დეტექტორები. გამოყენებული იქნება ცილინდრული დრეიფული დეტექტორი და კოსმოსური ვეტო მთვლელები (CRV, Cosmic Ray Veto).

Phase –II

მთავარი ეტაპი, ექსპერიმენტი კომეტ-ი დაიწყება 2021-2022 წელს, სეანსები 1-2 წელი.

ექსპერიმენტის მთავარ ეტაპზე გამოყენებული იქნება COMET-ს სრული სისტემა, სრული მაგნიტური სისტემა, ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, სტროუ დეტექტორების 5 სადგური (თითოეული სადგური შედგება 4 შრისგან 2x და 2y) და კოსმიკური ვეტო მთვლელები.

კომეტ ექსპერიმენტის დეტექტორული სისტემა შედგება

- სტროუ დეტექტორების სისტემა
- ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი
- კოსმოსური ვეტო მთვლელების სისტემა

2015 წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტი არის COMET კოლაბორაციის სრულფუნქციონირებელი წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს სამივე დეტექტორების შექმნაში.

სტროუ დეტექტორების სისტემა

შესავალი

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის მიმართულებით თანამედროვე ექსპერიმენტების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ტრეკული დეტექტორები. მათი მიზანია ნაწილაკების ტრაექტორიების და სივრცული კოორდინატების მაქსიმალურად სიზუსტით დაფიქსირება. სტროუ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ტრეკული დეტექტორი თანამედროვე სისტემაა, რომელიც დაფუძნებულია გაზის იონიზაციასა და პოტენციალურ ველში იონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ღვარის გაძლიერების პრინციპზე. თვითონ სტროუ მილი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: ცილინდრული ფორმის კათოდისაგან და მის ცენტრში გამავალი ანოდისაგან. მათ შორის სივრცე შევსებულია გაზით, რომლის იონიზაციასაც მასში გამავალი ნაწილაკი იწვევს. პოტენციალთა სხვაობა კათოდსა და ანოდს შორის უზრუნველყოფს პირველადი იონების აჩქარებას და გაზად გაზის მოლეკულებთან დაჯახების შედეგად ხელმეორე იონიზაციას, ეს პროცესი ძლიერდება და ფორმირდება როგორც ღვარი. ღვარი მოძრაობისას სასიგნალო მავთულზე ქმნის ანალოგურ სიგნალს, რომელიც იკითხება მასზე მიერთებული ელექტრონიკის მეშვეობით.


COMET ექსპერიმენტის მოთხოვნის მიხედვით მთლიანი ტრეკული დეტექტორი მოთავსებულია ვაკუუმში. იგი წარმოადგენს საძიებო 105 მეგ. ელექტრონის მთავარ დამაფიქსირებელ დეტექტორს, რაც აყენებს შემდეგ ექსტრემალურ მოთხოვნებს განსაკუთრებით ამ დეტექტორის ყველაზე მგრძობიარე სტროუ მილების წინაშე:

- დამზადდეს რაც შეიძლება თხელი კედლის მქონე სტროუ მილი
- შეინარჩუნოს ვაკუუმში სტაბილური ცილინდრული ფორმა
- მაღალი ვაკუუმის პირობებში მინიმალური გაზის გაჟონვა

ზოგადად ტრეკული სისტემის მიმართ კი მოთხოვნები შემდეგია:


- მაღალი სივრცითი გარჩევისუნარიანობა
- დაბალი სითბური და ფონური ხმაური

მოცემულ პირობებს აკმაყოფილებს ახალი თაობის სტროუ მილი, რომელიც დამზადებულია ულტრაბერით შედუღების ტექნოლოგიის გამოყენებით. გავრცელებული ორმაგხვეული სტროუ მილისგან განსხვავებით, ახალი თაობის სტროუ მილის დამზადებაში არ გამოიყენება წებო, აგრეთვე მას სპირალური ფორმის ნაცვლად გააჩნია ცილინდრის გასწვრივ ერთი შედუღების ზოლი რაც მინიმუმამდე ამცირებს გაზის ჟონვის ფართს (იხ. ნახ.14.)



ნახ.14. ორმაგხვეული და ერთი ნაკერის მქონე სტროუ მილების დიაგრამა

მოსამზადებელი და კვლევითი სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით, მას შემდგომ რაც ხარისხის და სტაბილურობის ყველა ტესტი წარმატებით იქნა ჩატარებული COMET კოლაბორაციამ გადაწყვიტა ტრეკული დეტექტორისთვის გამოგვეყენებინა ახალი თაობის ერთნაკერიანი მილები. სტროუ მილების კვლევა და წარმოება დაიწყო ორ ნაწილად Phase-1 და Phase-2. პირველ ეტაპზე დამზადდა 20 მიკრონიანი და 9.8 მმ დიამეტრის სტროუ მილები რომლის გამოყენებით იაპონიაში კერძოდ KEK-ში აეწყო პირველი სრული ზომის პროტოტიპი (იხ. ნახ.16.), მას შემდგომ რაც ტესტებმა აჩვენეს ახალი ტექნოლოგიის საიმედოობა.




ნახ.15. 5 მოდულიანი სტროუ დეტექტორის დიაგრამა.



ნახ.16. 32 არხიანი ტრეკული დეტექტორის პროტოტიპი

გადაწყდა ამ სტროუ მილების მასობრივი წარმოება 5 სრული ზომის მოდულისათვის (იხ. ნახ.15) რომელიც გამოყენებული იქნება ძირითადად ფონური პროცესების შესასწავლად. მეორე და მთავარი ნაწილისათვის სამომავლოდ დაგეგმილია ახალი 12 მიკრონიანი და 5 მმ დიამეტრის მილების დამზადება.



ნახ.17. მომზადებული სტროუ მილები ტესტირებისთვის

შესრულებული სამუშაო:

Phase-1-თვის სპეციალურ მანქანა-დანადგარებზე შესრულდა სტროუ მილის კვლევიტი და საიმედოობის ტესტირების მოსამზადებელი სამუშაოები. თავდაპირველად დამზადდა 120 სატესტო სტროუ მილი, რომელიც გამოვიყენეთ პროტოტიპის ასაწყობად. მილები დამზადდა 20 მკმ სისქის მაილარის (Mylar) ლენტისგან რომლის ერთ მხარეს დაფენილია 70 ნმ ალუმინის ფენა, მილის დიამეტრია 9.8 მმ (იხ. ნახ.17). ალუმინის ფენა რომელიც წარმოადგენს კათოდს ჩამიწებულია, ხოლო მის ცენტრში გადის მოოქროვილი ვოლფრამის 35 მკმ დიამეტრის მქონე ძაფი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველ ეტაპზე დაგეგმილია 5 მოდულის აწყობა ფონური ეფექტების შესასწავლად. მოცემული მოდულები მოითხოვენ დაახლოებით 500 სტროუ მილს თითოეული, სულ ჯამში საჭიროა 2500 სტროუ მილი + 200 ცალი რეზერვისათვის. ამრიგად სულ მომზადდა 2700 ერთეული და გადაიგზავნა იაპონიაში შესანახად და ტესტირებისთვის (იხ.ნახ.18). მილის დამზადებისას საწყისი პარამეტრები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

მილების რაოდენობა	დიამეტრი	ნაკერის სიმტკიცე	MAX წნევა	დამზადების დრო
2500+200	9.8 მმ	3.2 კგ	7 ბარ.	14 თვე

2017 წლის განმავლობაში Phase-1-ის ფარგლებში დაგეგმული და შესრულებული იქნა სტრუქტურული ტრეკერისათვის დამზადებული მილების საიმედოობის მონიტორინგი. სამუშაოები შესრულდა J-PARC-ის ტერიტორიაზე სადაც ამჟერად განთავსებულია მოდულების ასაწყობი ლაბორატორია COMET ექსპერიმენტის კომპლექსში.



ნახ. 18. J-PARC-ში განთავსებული ლაბორატორია, შესანახად მომზადებული სათავსოები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სტრუქტურული მილებიდან გაზის გაჟონვაზე დაკვირვება. გარდა ჩატარებული ტესტებისა მილების დამზადებისთანავე (სანამ გადაიგზავნებოდა იაპონიაში) მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ტესტები საბოლოო საიმედოობის განსასაზღვრავად. ამისათვის მილები ხელმეორედ იქნა შემოწმებული:

1. დიამეტრის ცვლილებაზე
2. გაზის წნევაზე (რამდენი დაკარგა მილმა დროთა განმავლობაში)
3. მექანიკურ დეფექტებზე

ამისათვის სპეციალურად დამზადდა მექანიკური ზემოქმედებით გაზთან უკონტაქტო მობილური წნევის გამზომი ხელსაწყო, იხ. ნახ.19-20.





ნახ.19. პორტატული წნევის გამზომი



ნახ.20. პორტატული წნევის გამზომი

მოქროვილი მილით	ალუმინიზირებული მილით
-----------------	-----------------------

გაზომვების შედეგებმა აჩვენეს, რომ მექანიკური დეფორმაცია აღნიშნებოდა მხოლოდ 13 მილს 2700-დან, ხოლო წნევის ვარდნა შეინიშნებოდა მხოლოდ 25 %, იხ. ნახ.21-22. ასეთი შედეგი მეტწილად წარმოადგენს მილის ბოლოების ჩაწებების პრობლემას, რაც გამოვლინდა მათი გადატანის და შენახვის დროს.

	
---	--

ნახ.21. წნევის გამზომი სტენდი	ნახ.22. წნევის ვარდნის ჰისტოგრამა
-------------------------------	-----------------------------------

აგრეთვე გასული წლის განმავლობაში ჩატარდა პირველი კვლევითი სამუშაოები ახალი 5 მმ დიამეტრის მქონე მილების დასამზადებლად ნახ.23.


1. ცილინდრული მილის მთელ სიგრძეზე დიამეტრის ერთგვაროვნების კონტროლი
 წინა 9.8 მმ დიამეტრის მქონე მილის კონტროლისათვის დამზადებული იყო სპეცილური მოწყობილობა რომელიც შედგება სხვადასხვა საკალიბრო დიამეტრის $D=9.72, 9.75, 9.77, 9.80, 9.85$ მმ. სექციებისგან. გასატესტად მილის ბოლოებიდან ჩამოიჭრება სანიმუშე რგოლები რომელიც გაიზომება ზემოთ აღნიშნული ხელსაწყოს მეშვეობით



ნახ.23. 9.8 mm და 5 mm დიამეტრის სტროუ მილები

ეს მეთოდი შეიცვალა ახალი უკონტაქტო ოპტიკური სენსორით რომელიც უკონტაქტოდ ლაზერის მეშვეობით ზომავს მილის დიამეტრს იხ.ნახ.24.

ნახ.25-ზე ნაჩვენებია 5 მმ დიამეტრის გამზადებული მილები.



ნახ.24. ლაზერული გამზომი




ნახ.25. 5 მმ დიამეტრის მილები


2. ნაკერის სიმტკიცის ტესტირება და გაზომვა

ახალი ტიპის სტროუ მილის დამზადების ტექნიკური პროცესიდან გამომდინარე, ვინაიდან შედეგების პროცესში მიმდინარეობს ფიზიკურ ტემპერატურული ზემოქმედება ნივთიერებაზე, ნაკერის ფორმირებისას გვექნება გარკვეული შიდა სტრუქტურული ცვლილებები, ამრიგად მილის შედარებით სუსტ ნაწილს წარმოადგენს უშუალოდ შედეგების ადგილი, რადგან სტროუ

მილის სამუშაო ადგილი ვაკუუმია, ხოლო მასში მიედინება 1 ბარი წნევის გაზი. გადაბმის ადგილმა უნდა გაუძლოს მინიმუმ 1 კგ/სმ² დატვირთვას. ამისათვის შეიქმნა სპეციალური სტენდი რომელზეც მიმდინარეობს თითოეული მილიდან ჩამოჭრილი ნიმუშების შემოწმება ნახ.26.



ნახ.26. სიმტკიცის შესამოწმებელი სტენდი





ნახ.27. შედუღების ზოლი სტროუ მილის გასწვრივ

20 მკმ კედლის სისქის მილებისგან განსხვავებით 12 მკმ სისქის მილები თითქმის ორჯერ უფრო სუსტია ნაკერის სიმტკიცით, ეს ბუნებრივიცაა ვინაიდან კედლის სისქე ორჯერ ნაკლებია. ამ მიმართულებით კვლავ მიმდინარეობს აქტიური კვლევები და ზებგერითი შედუღების მეთოდის გამოკვლევა მოცემული ამოცანისთვის, ნახ.27. ნახ.28-ზე შეგიძლიათ იხილოთ პირველი 5 მმ დიამეტრის მილის შემდუღებელი აპარატის პროტიტიპი.



ნახ.28. ულტრაბგერითი შედუღების აპარატის პროტოტიპი

პირველი 5 მმ დიამეტრის მქონე სტროუ მილების დამზადების შემდგომ ჩატარდა მათი ტესტი, ცილინდრული ფორმის სტაბილურობაზე, მექანიკური ზემოქმედებისა და გაზის წნევის ქვეშ მყოფ მილებზე, ნახ.29-30.



ნახ.29. მომზადებული სტროუ მილები

ნახ.30. წნევის ტესტი

საბოლოოდ გაზომვებზე აჩვენებს შემდეგი შედეგები

მილების რაოდენობა	დიამეტრი	ნაკერის სიმტკიცე	MAX წნევა	დამზადების დრო
50	5 მმ	1.6-2.0 კგ	3 ბარ.	5 თვე

სამომავლო სამუშაოები Phase-2 ფარგლებში

COMET ექსპერიმენტის მიხედვით Phase-2 დაგეგმილია ახალი 5 მმ დიამეტრის და 12 მკმ სტროუ მილების დამზადება. ამისათვის პირველ რიგში მოსამზადებელია ახალი ბაზა რაც დაფუძნებული იქნება იმ გამოცდილებაზე რომელიც დაგროვდა 20 მკმ მილების კვლევებისას. როგორც ზემოთ იქნა აღწერილი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. გამოცდილება რომელიც პირველი 5 მმ სატესტო მილებთან მუშაობამ მოიტანა, გვიჩვენებს საჭიროებას სრულიად ახალი ტესტირებისა და ხარისხის მეთოდების შემუშავების აუცილებლობაზე, მაღალი საიმედოობის შესანარჩუნებლად. მოცემული სამუშაოების მთავარ მიზნად რჩება შევქმნათ ვაკუუმში მომუშავე ყველაზე თხელკედლიანი სტროუ მილებისგან შემდგარი ტრეკული დეტექტორი, რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ჯგუფისთვის.

შედეგები

Phase-1-ის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები წარმატებით იქნა დასრულებული. მოღებულ შედეგებზე დაიწერა სტატია “Nuclear Instruments and Methods in Physics research”
<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0168900216306465>

აგრეთვე პუბლიკაციის პროცესშია სტატია „Production of thin-wall straw tubes“ მიმდინარე.


უნდა აღინიშნოს, რომ Phase-I-სთვის სტროუ დეტექტორების შექმნაში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების აქტივობისთვის (დიზაინი, სტროუ მილების წარმოება, მათი შემოწმება და ტესტირება) გამოყენებული იქნა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ბაზა, რადგან თვითონ დუბნა არის კომეტ ექსპერიმენტის წევრი, ხოლო საქართველო კი დუბნის წევრი. ასევე იგეგმება შემდგომში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობა სტროუ დეტექტორების აწყობაში და ინსტალირებაში იაპონიაში.

ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი

COMET ექსპერიმენტში უნდა მოხდეს 105 მევიანი ელექტრონის დიდი სიზუსტით რეგისტრაცია.

ამისთვის გამოიყენება ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, ნახ.31.

ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი შედგება სეგმენტირებული კრისტალებისგან, და განლაგებულია სტროუ დეტექტორების შემდეგ. კალორიმეტრს აქვს 3 მთავარი მიზანი: ელექტრონის ენერჯის გაზომვა კარგი სიზუსტით, დროითი სიგნალის მიღება, რომელიც ჩართულია ტრიგერში და ინფორმაცია ტრეკის მდებარეობის შესახებ.



ნახ. 31. COMET ექსპერიმენტის ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი.


იმის გამო, რომ გვაქვს ფონური პროცესები კალორიმეტრის ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა 105 მევიანი ელექტრონისთვის უნდა იყოს <5%, სწრაფი, decay time <100ნწ (ns), რადიაციულად მყარი და სინათლის კარგვა LY \leq 10%, 1მრად.

კალორიმეტრისთვის განიხილებოდა კრისტალების 2 კანდიდატი, GSO და LYSO. დეტალური კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ უდაო ფავორიტი არის LYSO კრისტალი, რომელიც იქნა შერჩეული კომეტ-ს ელექტრომაგნიტური კალორიმეტრის შესაქმნელად. კრისტალების ყველა კვლევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ (და აგრძელებენ) ინსტიტუტის თანამშრომლები. ძირითადი პრინციპი ნაწილაკის ენერჯის გაზომვისა კალორიმეტრში არის პროპორციულობა კალორიმეტრში შემავალ ნაწილაკსა და კალორიმეტრში გამოყოფილ ენერჯიას შორის. ენერჯის ზუსტ გაზომვაზე კალორიმეტრში გავლენას ახდენს ელექტრომაგნიტური ღვარის ფლუქტუაციები და პასიური ელემენტების სისქე და პარამეტრები, რომლებიც განლაგებულია სცინტილატორის გარშემო. როგორც ავღნიშნეთ COMET კალორიმეტრის მთავარი მოთხოვნა არის მაღალი ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა. კალორიმეტრის ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით

$$\frac{\sigma}{E} = \frac{a}{\sqrt{E}} \oplus \frac{b}{E} \oplus c,$$

სადაც a - არის სტოხასტიკური წევრი, რომელსაც ძირითადად განსაზღვრავს ღვარის სტატისტიკური ფლუქტუაციები; b - ფოტოდეტექტორის და ელექტრონიკის ფონური კომპონენტი; c - მუდმივი წევრი, გამოწვეული დეტექტორის არაერთგვაროვნებისგან.


ელექტრომაგნიტური კალორიმეტრის ენერგეტიკულ გარჩევისუნარიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კრისტალებში გამოყოფილი შუქის არაერთგვაროვნობას. შესაბამისად ეს პარამეტრი ჩვენს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი. კრისტალში გამოყოფილი შუქის არაერთგვაროვნობის შესწავლის დროს, კარგად უნდა იქნას შერჩეული, თუ რა ამრეკლი მატერიალი უნდა იქნეს გამოყენებული კრისტალის შესახვევად. ჩვენს მიერ ექსპერიმენტალურად შესწავლილი იქნა სხვადასხვა ამრეკლი მასალები. საუკეთესო შედეგი (მაქსიმალური ფოტოელექტრონები) მივიღეთ როდესაც ვიყენებთ, ტეფლონი (2 შეხვევა) + ESR (2 შეხვევა) + ESR (ბოლოში). ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით გაზომვები ჩატარდა ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში ქ. დუბნაში. ნახ. 32-ზე ნაჩვენებია LYSO კრისტალის (ზომა არის $2 \times 2 \times 12$ სმ³) ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა. გაზომვების დროს გამოყენებული იქნა ⁶⁰Co-ს (1173.2 მევ, 1332.5 მევ) წყარო, რომელიც მდებარეობდა 6 სმ-ში ფოტოდეტექტორიდან და 0.1სმ-ში კრისტალიდან.



ნახ.32. LYSO კრისტალების სპექტრი და ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა, ⁶⁰Co-ს წყაროზე, ამრეკლი მატერიალის ვარიანტია ტეფლონი (2 შეხვევა) + ESR (2 შეხვევა) + ESR (ბოლოში).

მიღებული იქნა ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა 8.4% ენერგიისთვის 1173.2 keV, ხოლო 8.0% ენერგიისთვის 1332.5 keV. ამ ენერგიებისთვის ეს შედეგი არის მისაღები ექსპერიმენტისთვის.

კრისტალის გამოსავალი შუქის (Light Yield, LY) ერთგვაროვნების განსაზღვრაში უნდა ველოდოთ გარკვეულ შეცდომებს, განსაკუთრებით მაშინ როცა ნაწილაკის ტრეკი არის არაწრფივი (მრუდე), როგორც ეს არის COMET-ში. ეს პრობლემა დაკავშირებულია იმაზე, თუ რა კუთხით შედის კრისტალში ნაწილაკი, ანუ, როდესაც გვაქვს ღვარის ერთი და იგივე გეომეტრიული ზომა, ერთნაირი ენერჯის გამოყოფა, მაგრამ კრისტალში სცინტილაციის დროს წარმოქმნილი ფოტონები გაივლიან სხვადასხვა მანძილს ფოტოდეტექტორამდე (APD), და ეს მანძილი დამოკიდებულია კუთხეზე ღვარის ღმსა და კრისტალს შორის. ეს პრობლემა შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ, შედეგები ნაჩვენებია ნახ.33 -ზე.




ნახ.33. ენერჯის კუთხური განაწილება სეგმენტირებულ კალორიმეტრში.

როგორც ნახაზიდან ჩანს, კრისტალების სიგრძის სხვადასხვა ადგილას (L_{xi}) გამოყოფილი ენერჯია და შესაბამისად APD-დან მიღებული სიგნალებს აქვთ სხვადასხვა ამპლიტუდა.

შესაბამისად სეგმენტირებულ ელექტრომაგნიტურ კალორიმეტრში გამოყოფილი ენერჯის გაზომვა ხდება შეცდომით, რომელიც განისაზღვრება კუთხით (α) კრისტალსა და ელექტრომაგნიტური ღვარის მიმართულებას შორის. ტოჰოკუს უნივერსიტეტის (იაპონია) ელექტრონულ ამაჩქარებელზე ჩავატარეთ COMET ექსპერიმენტის კალორიმეტრის პროტოტიპის (LYSO კრისტალების მატრიცა 9×9) ტესტური გაზომვები. გაზომვების დროს გამოვიყენეთ 105 მევიანი ელექტრონის ნაკადი, და კუთხეები იყო $\alpha = 90^\circ$ და $\alpha = 20^\circ$. გაზომვებმა აჩვენა, რომ გამოყოფილ ენერჯებს შორის სხვაობა არის დაახლოებით 6%. აქედან გამომდინარე, როდესაც მოვახდენთ გაზომილი ენერჯის დამუშავებას, რომელიც გამოიყოფა კალორიმეტრში, უნდა გავითვალისწინოთ ენერჯის გაზომვის შეცდომები, რომელიც დაკავშირებული კუთხეებთან, ანუ უნდა ავიღოთ ელექტრონების რეალური ტრეკები კრისტალებში.

ამის შესასწავლად შეიქმნა პრეციზიული სტენდი, რომელზეც მოვახდინეთ ექსპერიმენტალური შესწავლა კუთხური ცდომილების წვლილისა გაზომილ ენერგიაში. ამ გაზომვების დროს გამოყენებული იქნა კალორიმეტრის პროტოტიპი, LYSO კრისტალების (ზომები $2 \times 2 \times 15$ სმ³) 3×3 მატრიცა. სიგნალების მიღება ხდებოდა ღვარული ფოტოდiodებით (APD S8664-1010, Hamamatsu).



ნახ.34. a) გაზომილი ენერგიების ცდომილების სპექტრი. b) ენერგიის კუთხური განაწილება.

როგორც მიღებული შედეგებიდან (ნახ.34) ჩანს, ენერგიის გაზომვის ცდომილება კოსმოსურ მიონებზე, როდესაც გვაქვს კუთხე 20° , არის დაახლოებით 6.7%, რომელიც მთლიანად ემთხვევა შედეგებს, რომელიც მივიღეთ COMET-ს კალორიმეტრის პროტოტიპის ტესტური გაზომვების დროს ტოპოკუს ელექტრონულ ამაჩქარებელზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ენერგიის გაზომვის ცდომილება არ არის დამოკიდებული დასამზერი ნაწილაკის ტიპზე, ეს დამოკიდებულია მხოლოდ კრისტალში შუქის გამოყოფის ერთგვაროვნებაზე, და ენერგიის კუთხურ განაწილებაზე.


ჩვენს მიერ მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება COMET ექსპერიმენტის სრული კალორიმეტრის (2400 LYSO კრისტალი) შექმნის დროს.

კოსმოსური ვეტო მთვლელების სისტემა, (Cosmic Ray Veto, CRV)

COMET ექსპერიმენტის CRV დეტექტორის დიზაინს შეადგენს ორგანული პლასტიკური სინტილატორი სადაც ხდება დამუხტული ნაწილაკის მიერ ენერგიის გამოყოფა, რომელიც გარდაიქმნება ფოტონებად. გენერირებული ფოტონების ჩაჭერა და ფოტოდეტექტორამდე ტრანსპორტირება ხორციელდება სინათლის ტალღის სიგრძის გარდამქმნელი შუქგამტარით,

რომელიც ამავედროულად არის ფოტონების ტრანსპორტიერი ფოტო დეტექტორამდე. ფოტო დეტექტორებზე გამოიყენება სილიკონის ფოტოგამამრავლებელი. ეს არის კომპაქტური ნახევარგამტარული ხელსაწყო, რომელიც ფართოდ იწერება თანამედროვე მაღალი ენერგიების ექსპერიმენტებში. სილიკონური ფოტოგამამრავლებელის პოპულარობის ძირითადი მიზეზი ტრადიციულ ფოტო გამამრავლებელ მილაკთან შედარებით არის მისი კომპაქტური ზომა, დაბალი ფასი, მაღალი ეფექტურობა და გაძლიერების მაღალი კოეფიციენტი (10^6). მაღალი ენერგიების ფიზიკაში სინტილაციური დეტექტორების გამოყენებისას ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რაც აუცილებლადაა გასათვალისწინებელი, ესაა რადიაციული გავლენა ფოტო-დეტექტორის პერფორმანსზე. ცნობილია რომ რადიაცია ახდენს ფოტო-დეტექტორში ზედაპირული მუხტის აკუმულირებას რომელიც ხდება წყარო დეტექტორში ხმაურის წარმოშობაზე. რადიაციული გავლენა ფოტო დეტექტორებზე არის ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემა და აუცილებლად საჭიროებს წინასწარ კვლევებს რათა მოხდეს ექსპერიმენტალური სიგნალის ხმაურთან ფარდობის მინიმიზაცია. მაღალი რადიაციული ფონის პრობლემა კომეტ ექსპერიმენტისათვის, კერძოდ ნეიტრონების ინტეგრირებული ფონი ექსპერიმენტის პირველ ფაზაში აღწევს 10^{10} სმ⁻²-ს და ექსპერიმენტის მეორე ფაზაში მოსალოდნელია ფონის გაზრდა 10^{13} სმ⁻²- მდე, აქედან გამომდინარე ძალზედ მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის ფოტო დეტექტორების დეტალური შესწავლა რათა აღნიშნული რადიაციის პირობებში მოსალოდნელია შავი ხმაურის დრამატული ზრდა. პრობლემის შესასწავლად მოხდა რამოდენიმე სილიკონური ფოტოგამამრავლებელის ხელოვნური დასხივება 1 MeV ნეიტრონებით 10^{10} და 10^{14} სმ⁻² დოზებით და მოხდა მათი შესწავლა -30C და $+30\text{C}$ ტემპერატურულ რეჟიმში. გაზომვებზე დაყრდნობით მოხდა ახალი მეთოდის შემუშავება რომელიც საშუალებას გვაძლევს დეტალურად დავახასიათოთ დასხივებული ფოტო-დეტექტორის პერფორმანსი. მეთოდი. სილიკონური ფოტო-დეტექტორის რადიაციული დაზიანება გამოიხატება ეფექტური ლეგიონების შეცვლაში, მცირდება მუხტის მატარებლების მობილობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, ამავედროულად იზრდება თერმული ელექტრონულ-ხვრელური წყვილების გენერირების სიხშირე. წყვილების გენერაციის სიხშირის გაზრდა თავისთავად ზრდის შავ ხმაურს (Dark Count Rate (DCR)), სწორედ DCR-ი წარმოადგენს უდიდეს ლიმიტს როდესაც SiPM-ი გამოიყენება რადიაციულ გარემოში. SiPM-ის პერფორმანსზე DCR ის გავლენის აღწერისათვის შემოვიტანეთ პარამეტრი “პიქსელის ბლოკირების ალბათობა”, რომელიც დეტერმინირებულია შავი დენების გაზომვების მონაცემებზე დაყრდნობით და პიქსელის ჩამქრობი წინააღობის სიდიდის გამოყენებით. პიქსელის ბლოკირების ალბათობა განვსაზღვრეთ როგორც ალბათობა იმისა რომ გეიგერის განმუხტვა მოხდება პიქსელში ელექტრული ველის პოტენციალის აღდგენის დროის ინტერვალში (τ). პიქსელის ბლოკირების ალბათობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ SiPM ის დინამიკური დიაპაზონი. კვლევისათვის გამოყენებული იქნა 4384 პიქსელიანი SiPM, პიქსელის ზომით 15×15 მკმ². ნეიტრონებით დასხივებამდე და დასხივების შემდეგ მოხდა ნიმუშების გაზომვა ვოლტ-ამპერულ (IV) მახასიათებლებზე და ძაბვა-ტევადობის (CV) მახასიათებლებზე. ნეიტრონებით დასხივება განხორციელდა ოთახის ტემპერატურაზე, ძაბვის გარეშე. გაზომვებს შორის SiPM ის ნიმუშები ინახებოდა -30C ზე იმისათვის რომ თავიდან აგვერიდებინა ანილინგის ეფექტები. თვითოეული გაზომვა გრძელდებოდა დაახლოებით 2 საათი კონკრეტული ტემპერატურისთვის, რაც


განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ტემპერატურებისათვის $>20^{\circ}\text{C}$, რა დროსაც ხდება ანილინგის ეფექტი. გაზომვები განხორციელდა მიკროკლიმატურ კამერაში სადაც შესაძლებელია ტემპერატურის ცვლილება -30 დან $+30^{\circ}\text{C}$ ინტერვალში და რაც მეტად მნიშვნელოვანია შესაძლებელია ტენიანობის რეგულირება, ჩვენს შემთხვევაში საჭირო იყო მშრალი გარემო ($H < 1\%$). ვოლტ-ამპერული მახასიათებლების ჩაწერა ხდებოდა სრულიად ბნელ გარემოში და ასევე ხელოვნური განათებით რა დროსაც ვიყენებდით 470 ნმ ტალღის სიგრძის სინათლის წყაროს.



ნახ.35. ვოლტ-ამპერული მახასიათებლების გაზომვის შედეგები სხვადასხვა რადიაციული დოზისათვის ოთახის ტემპერატურაზე (მარცხნივ), და -30°C ტემპერატურაზე ხელოვნური განათებით (წყვეტილი ხაზი) და ხელოვნური განათების გარეშე (უწყვეტი ხაზი). შესაბამისი რადიაციული დოზები მითითებულია თვითოეული განაწილების გრაფიკზე.

გარღვევის ძაბვის სიდიდე

გარღვევის ძაბვის სიდიდე (V_{bd}) არის ერთ ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი SiPM ის ოპერირებისას. V_{bd} თვითოეული გაზომვისათვის დეტერმინირებულია შებრუნებული ლოგარითმული წარმოებულის (ILD) მინიმიზაციის მეთოდით. ნახ.36-ზე, მარცხნივ ნაჩვენებია ILD იმ განაწილებებისათვის რომელც ნაჩვენებია ნახ.35-ზე. V_{bd} სიდიდე დასხივებამდე და დასხივების შემდეგ რჩება ერთი და იგივე 40mV ცდომილების ფარგლებში $5 \times 10^{13} \text{ cm}^{-2}$ რადიაციის დოზამდე, ხოლო $5 \times 10^{14} \text{ cm}^{-2}$ რადიაციისთვის დამზერილი იქნა გარღვევის ძაბვის სიდიდის მნიშვნელოვანი ცვლილება. სხვაობა დასხივებამდე და დასხივების შემდეგ აღწევს 350 მვ ს რაც მნიშვნელოვანი რიცხვია SiPM ს ეფექტური ოპერირებისათვის.



ფიგურ

ა ნახ.36. შებრუნებული ლოგირითმული წარმოებული (მარცხნივ), რომელიც მიიღება IV განაწილებიდან (იხ. ნახ.35). სხვაობა გარღვევის ძაბვების სიდიდეებს შორის (მარცხნივ), დასხივებამე და დასხივების შემდეგ.

ფოტოდეტექტირება

SiPM-ის აპლიკაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, ეს არის, თუ როგორ იცვლება ფოტონის დეტექტირების ეფექტურობა (PDE) რადიაციულ დოზასთან და ტემპერატურასთან ერთად, რადგანაც შესაძლებელია შეიცვალოს SiPM რომელიმე ელექტრონული პარამეტრი (სიგნალის ხანგრძლივობა, ელექტრონული ველი, V_{bd} , კორელირებადი ხმაური (CN) ანდაც DCR ის ზრდის გამო რომელიც აშკარად გამოხატული პროცესია).

$$I_{LED}^{norm} = \frac{I_{LED}^{meas}(V_{bias}) - I_{dark}(V_{bias})}{I_{LED}^{meas}(V_{bias} = 10 V) - I_{dark}(V_{bias} = 10 V)} \quad (1)$$


ნახ.37-ზე მოცემულია SiPM ის ნორმალიზებული ფოტო-დენი რადიაციამდე და რადიაციის შემდეგ დოზამდე $5 \times 10^{13} \text{ სმ}^{-2}$, რომელიც გამოთვლილია “გამოსახულება 1” ით. ნორმალიზაციის კოეფიციენტი დათვლილია +10 ვ ძაბვაზე, სადაც ვუშვებთ რომ SiPM-ის გაძლიერების კოეფიციენტი 1-ის ტოლია. თუ დავუშვებთ რომ LED ით გამოწვეული პიქსელის დამატებითი ბლოკირება ნულის ტოლია, მაშინ LED ით ინდუცირებული დენი შეგვიძლია დავუკავშიროთ SiPM- ის პარამეტრებს როგორც

$$I_{LED}^{norm} \approx A_{prob}^* \cdot G \cdot (1 + CN) \quad (1s)$$

სადაც A_{prob} არის გეიგერის განმუხტვის ალბათობა გამრავლებული ალბათობაზე იმისა რომ პიქსელი არაა ბლოკირებული გეიგერის ხდომილებით. ფარდობა:

$$R = \frac{I_{LED}^{norm}(\Phi_{neq})}{I_{LED}^{norm}(\Phi_{neq} = 0)} \quad (2)$$

“გამოსახულება 2” უნდა იყოს 1-ის ტოლი თუ “ფორმულა 1s” ზე რადიაციას არ აქვს გავლენა. წინა გაზომვებიდან გამოკვლეულ იქნა რომ ფარდობა არის 1-თან ახლოს, 10% ენტიანი სიზუსტით რადიაციამდე 10^{12} სმ^{-2} , მაგრამ როგორც ეს ნაჩვენებია ნახ.37-ზე, დენების ფარდობაში გვაქვს მნიშვნელოვანი გადახრა რადიაციისთვის 10^{13} სმ^{-2} . ეს მიგვითითებს იმაზე რომ SiPM-ის ერთი ან რამოდენიმე პარამეტრი შეიცვალა დასხივების შემდეგ.



ნახ.37. ნორმალიზებული SiPM-ის ფოტო-დენი დაუსხივებელი (ლურჯი) და დასხივებული (წითელი) SiPM-ისათვის, და მათი ფარდობა R, ოთახის ტემპერატურაზე (მარცხენა ფიგურა) და -30C ზე (მარჯვენა ფიგურა).

იმისთვის რომ გამოგვეკვლია სიგნალის დანაკარგი რადიაციის გავლენის გამო, შემოგვაქვს პიქსელის ბლოკირების ალბათობა:

პიქსელის ბლოკირების ალბათობა

პიქსელის ბლოკირების ალბათობას η_{DC} -ს, განვსაზღვრავთ როგორც ალბათობა იმისა, რომ გეიგერის განმუხტვა მოხდება რომელიმე პიქსელში, დროის ინტერვალში dt . η_{DC} -სი შეგვიძლია დავაკავშიროთ DCR ს შემდეგი გზით:

$$DCR \cdot (1 + CN) \approx \frac{N_{pix}}{\tau} \cdot \eta_{DC}, \quad (3)$$


სადაც $dt = \tau = R_q \cdot C_{pix}$ არის პიქსელის ელექტრული პოტენციალის აღდგენის დრო. SiPM ის ფოტო დენი შეგვიძლია გამოვსახოთ როგორც η_{DC} ის ფუნქცია

$$I_{dark} = q_0 \cdot G \cdot DCR \cdot (1 + CN) \approx q_0 \cdot \frac{C_{pix} V_{ex}}{q_0} \cdot \frac{N_{pix}}{\tau} \cdot \eta_{DC}. \quad (4)$$


გამოსახულება 4 შეგვიძლია გადავწეროთ როგორც:

$$\eta_{DC} = \frac{I_{dark}}{V_{ex}} \cdot \frac{R_q}{N_{pix}}. \quad (5)$$

უნდა აღინიშნოს რომ მე-5 გამოსახულების ყველა პარამეტრი გამოთვლილია SiPM ის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი გრაფიკიდან. კონკრეტულად R_q რომელიც არის პიქსელის ჩამქრობი წინაღობა გამოთვლილია ფორვარდული დენიდან 1.7ვ-ზე ფოტოდენის ძაბვით წარმოებულთ. ასევე აღსანიშნავია, რომ η_{DC} მიისწრაფვის 1-სკენ, რადგანაც ძაბვის ვარდნა ფოტო დენისთვის R_q/N_{pix} ზე = V_{ex} , რაც იმას ნიშნავს რომ პიქსელი არის მუდმივად ბლოკირებული და ვერ ახერხებს ელექტრული პოტენციალის აღდგენას.



(ა)



(ბ)

ნახ.38. $5 \times 10^{13} \text{ სმ}^{-2}$ რადიაციული დოზით დასხივებული SiPM-ს ფოტოდენი (ა), და ფოტოდენიდან გამოთვლილი პიქსელის ბლოკირების ალბათობის განაწილება სხვადასხვა ტემპერატურისთვის (ბ).

კონსტალაციებს და აქვთ მანძილის უკეთესი ევკლიდური მახასიათებლები. ჩვენ შევიმუშავეთ ეიზენშტეინის ძირითადი სიგნალების კონსტალაციის დანაწევრების მეთოდი მასში ჩადებულ ქვეკონსტალაციებად და დავამტკიცეთ, რომ შეიძლება ისეთი დანაწევრების ალგორითმის შემუშავება, რომ ქვესისტემებისათვის იზრდებოდეს მინიმალური ევკლიდური მანძილი. ჩვენ განვიხილეთ ეიზენშტეინის მთელი რიცხვები, როგორც სიგნალური კონსტალაციები განზოგადებული სივრცითი მოდულაციისათვის. განზოგადებული სივრცითი მოდულაციის გამოყენების შემთხვევაში ინფორმაცია გადაიცემა კონსტალაციიდან სიგნალის არჩევით და დამატებით ანტენათა სისტემიდან გარკვეული ქვესისტემის არჩევით. ძირითადი განსხვავება კლასიკურ MIMO სისტემასა და განზოგადებულ სივრცით მოდულაციას შორის არის ის, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში არა ყველა ანტენა არის აქტივირებული ერთდროულად. ჩვენ განვიხილეთ ეიზენშტეინის კონსტალაციები, რომლებიც არ შეიცავს ნულოვან ელემენტს. მიღებული კონსტალაციები წარმოდგება როგორც კომპუტაციური ჯგუფები გამრავლების ოპერაციის მიმართ. ჩვენ წარმოვადგინეთ კომპიუტერული მოდელირების შედეგები, რომლებიც მიღებული იქნა რელეის მიყუჩების შემცველი არხებისათვის. შესრულებული იყო მაქსიმალური დამაჯერებლობით დეკოდირება, თანაც მიმღებზე არხის მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის გათვალისწინებით. ჩვენ შევადარეთ წარმოდგენილი სიგნალური კონსტალაციების მახასიათებლები დღეისათვის ლიტერატურიდან ცნობილ საუკეთესო გაუმჯობესებული სივრცითი მოდულაციის (ESM) სქემის მახასიათებლებს, თანაც შედარების სიზუსტისათვის შევისწავლეთ ერთნაირი კარდინალურობის მქონე სიგნალთა ვექტორთა ერთობლიობები. მოდელირების მაღალი სიზუსტის მისაღწევად ჩვენ განვიხილეთ ერთ მილიონი სიგნალის გადაცემა მოცემული სიგნალ/ხელშეშლის ფარდობის (SNR) თითოეული მნიშვნელობისათვის. მოდელირებამ გვიჩვენა, რომ ეიზენშტეინის კონსტალაციები აღწევენ უფრო კარგ მახასიათებლებს, ვიდრე ESM სქემები SNR-ის მთლიანი დიაპაზონისათვის და მოგება SNR-ის მიხედვით შეადგენს დაახლოებით 1 დეციბელს.

1/2 სიჩქარის მქონე არხის კოდერი, რომელიც აგებულია მთელი რიცხვების რგოლზე 4-ის მოდულით, შერწყმულია 4-ობით უწყვეტი ფაზის მქონე მოდულაციასთან (CPM). ჩვენს მიერ შემუშავებულია სერიული კასკადური კოდირების სქემა ინტერლივინგით, სადაც შიდა საფეხურზე გამოიყენება CPM, ხოლო გარე საფეხურზე არაორბითი ხვევადი კოდერი. დეკოდირების მეთოდად გამოყენებულია ვიტერბის ალგორითმი „ხისტი“ გადაწყვეტილებით. ჩვენ წარმოვადგინეთ მოდელირების შედეგები ადიტიური თეთრი გაუსის ხმაურის შემცველი არხებისათვის და ასევე არხებისათვის რაისის მიყუჩებით. უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენებოდა არხი რაისის პარამეტრით $K = 10$. კომპიუტერზე მოდელირების დროს განვიხილავდით ნორმალიზებულ სიხშირულ ზოლს $BT_s = 1.2$, სადაც B სიხშირული ზოლის სიგანეა, ხოლო T_s - სიმბოლოს ხანგრძლივობა. კომპიუტერულმა მოდელირებამ გვიჩვენა, რომ შემოთავაზებულ სქემას აქვს უკეთესი მაკორექტირებელი მახასიათებლები, ვიდრე სხვა მოდულაციის სქემებს, მაგალითად QPSK-ს. მიღებული შედეგები ადვილად განზოგადდება გაუსის მთელი რიცხვებისათვის. ჩვენ განვიხილავთ სიგნალთა სისტემას G_{Σ} , რომელიც შეიცავს 25 ელემენტს. მინიმალური მანძილის მაქსიმალური დანაწევრებით ჩვენ ვიღებთ 5 ქვეჯგუფს,

სადაც თითოეულ ქვეჯგუფში მინიმალური კვადრატული ევკლიდური მანძილი ტოლია $\delta = 5$. აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ ადრე მიღებული შედეგების მიხედვით არსებობს ნაშთების კომპლექსური რგოლი, $G_{25} = \{z \bmod (4 + 3i), z \in Z_{25}\}$, რომელიც შეიცავს 25 ელემენტს და რომელიც იზომორფულია Z_{25} რგოლზე ნაშთების კლასის. ის შეიძლება დაიყოს 5 ქვესისტემადაც, სადაც თითოეულ ქვესისტემაში მინიმალური ევკლიდური მანძილის კვადრატი 5-ის ტოლია. მაგრამ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი სიგნალური კონსტალაცია არ არის მისი ექვივალენტური. G_{25} აქვს ენერგია $E = 104$, მაშინ როცა G_5 აქვს ენერგია $E = 100$. აქედან გამომდინარე ერთი და იმავე მინიმალური ევკლიდური მანძილის კვადრატისათვის ახალი კონსტრუქცია მოითხოვს უფრო მცირე ენერგეტიკულ დანახარჯს სიგნალებზე. თითოეული ასეთი სიგნალთა ქვესისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას სიგნალურ-კოდური კონსტრუქციისათვის, და კომპიუტერზე სიმულაციის შედეგები გვიჩვენებენ 0.1 დეციბელის ტოლ მოგებას ზემოთ აღწერილ სქემასთან შედარებით.

ჩვენ წარმოვადგინეთ სივრცითი მოდულაციის ახალი გაუმჯობესებული სუბოპტიმალური დეტექტირების ალგორითმი, რომელიც დაფუძნებულია გაუსის აპროქსიმაციის მეთოდზე (GAM). ჩვენი მიდგომა ამარტივებს კლასიკურ GAM-ს, ვინაიდან შეიძლება ამოღებულ იქნას მატრიცის ინვერსიის ოპერაცია. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი მეთოდი, მაღალი სიგნალ/ხელშეშლის ფარდობის (SNR) მნიშვნელობებისათვის, ექვივალენტურია ლიტერატურიდან ცნობილი სიგნალური ვექტორის დეტექტირების (SVD) მეთოდის და მაქსიმალური ფარდობის კომბინირების (MRC) მეთოდის. კერძოდ, ჩვენს მეთოდს აქვს დეტექტირების სირთულის იგივე რიგი, $O(NT+M)$. ამასთან, შედარებით დაბალი SNR მნიშვნელობებისათვის, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი აუმჯობესებს როგორც MRC-ს ასევე SVD-ს. უფრო მეტიც, ჩვენს მიერ შემოთავაზებული სივრცითი მოდულაციის სიგნალთა კონსტალაცია საშუალებას იძლევა მივალწიოთ ბალანსს დეტექტირებისას ანტენის არჩევის დროს წარმოქმნილ შეცდომის ალბათობასა და სიმბოლოს დეტექტირებისას წარმოქმნილ შეცდომის ალბათობას შორის. როგორც კომპიუტერული სიმულაციის შედეგები გვიჩვენებენ ასეთი ბალანსის მისაღწევად საუკეთესოა ეიზენშტეინის მთელ რიცხვებზე დაფუძნებული სიგნალთა კონსტალაციის გამოყენება, რომლებიც სივრცითი მოდულაციის სქემებში გამოყენებისას აღწევენ უპირატესობას კლასიკურ QAM და PSK სიგნალურ კონსტალაციებთან შედარებით.

ჩვენ ასევე შევისწავლეთ განზოგადებული სივრცითი მოდულაციის (ანუ როდესაც გადაცემისას აქტიურია ერთ ანტენაზე მეტი) სქემები. შემოთავაზებულია განზოგადებული სივრცითი მოდულაციის მახასიათებლების გაუმჯობესების ორი მეთოდი. პირველ რიგში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ლიტერატურიდან ცნობილთან შედარებით უფრო ეფექტური სუბოპტიმალური დეტექტირების ალგორითმი, რომელიც დაფუძნებულია GAM-ზე. უფრო კონკრეტულად, ჩვენ ვთავაზობთ არსებული GAM მეთოდის ორ მოდიფიკაციას, რომლებიც ერთის მხრივ ამცირებენ რეალიზაციის სირთულეს და, მეორეს მხრივ, აუმჯობესებენ დეტექტირების მახასიათებლებს სიგნალ/ხელშეშლის ფარდობის მაღალი მნიშვნელობებისათვის. ამის შემდეგ, ჩვენ შევიმუშავეთ ორი აქტიური ანტენის მქონე განზოგადებული სივრცითი მოდულაციის სქემებისათვის ახალი, ჰურვიცის მესერზე დაფუძნებული სიგნალური

კონსტრუქციები. ასიმპტოტიკურად, ანუ სიგნალ/ხელშეშლის ფარდობის მაღალი მნიშვნელობებისათვის, მაქსიმალური დამაჯერებლობით დეტექტირების მახასიათებელი განისაზღვრება სიგნალურ სივრცეში სიმბოლოთა ვექტორებს შორის მინიმალური ევკლიდური მანძილის კვადრატით. ამგვარად, სიგნალური ვექტორების ერთობლიობა ისე უნდა იყოს შერჩეული რომ ამის შედეგად მოხდეს აღნიშნული სიდიდის მაქსიმიზაცია. ჩვენ ვუჩვენეთ, რომ ჰურვიცის მთელი რიცხვები (ანუ ჰურვიცის მესერი) უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო მჭიდრო ოთხგამზომილებიან შეფუთვას. ჩვენ შემოთავაზებული გვაქვს ჰურვიცის მთელ რიცხვებზე დაფუძნებული სიგნალთა კონსტრუქციები, რათა გამოყენებულ იქნას განზოგადებული სივრცითი მოდულაციის სქემებში ორი აქტიური ანტენით. კომპიუტერული სიმულაციის შედეგები გვიჩვენებენ რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემას აქვს უპირატესობა, დღეისათვის ლიტერატურიდან ცნობილ ანალოგიურ სქემებთან შედარებით.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	1. S.A. Shavgulidze 2. A.V. Asanidze	Coding Scheme based on rings of integers and continous phase modulation. Georgian Engineering News.	მიღებულია გამოსაქვეყნებლად (No. 3, 2017)	საქართველო	6

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	1. J. Freudenberger 2. S. Shavgulidze	Signal Constellations based on Eisenstein Integers for Generalized Spatial Modulation. IEEE Communications Letters	Vol. 21, No. 3, March 2017	აშშ	4
2	1. J. Freudenberger 2. D. Rohweder 3. S. Shavgulidze	On Low-complexity Detection for Spatial Modulation. IEE Electronics Letters	2017 მიღებულია გამოსაქვეყნებლად	დიდი ბრიტანეთი	2
3	1. J. Freudenberger 2. D. Rohweder 3. S. Shavgulidze	Generalized multistream spatial modulation with signal constellation based on Hurwitz integers and low complexity detection. IEEE Wireless Communications Letters	2017 მიღებულია გამოსაქვეყნებლად	აშშ	4

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
 (სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	1. J. Freudenberger 2. M. Rajab 3. S. Shavgulidze	A Channel and Source Coding Approach for the Binary Asymmetric Channel with Applications to MLC Flash Memories	11 th International ITG Conference on Systems, Communications and Coding, Hamburg, Germany, February 6-9, 2017

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

2017 წლის
სამეცნიერო ანგარიში

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ფოფორაძე

პერსონალური შემადგენლობა:

- 7 პროფესორი,
- 13 ასოცირებული პროფესორი,
- 3 ასისტენტ-პროფესორი,
- 9 ემერიტუსის აკადემიური წოდების მეცნიერი
- 6 მასწავლებელი

I. 4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულებების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ფიქლის გაზის პერსპექტიული ლოკალური უბნების დეტალური გეოლოგიური შესწავლა (№217754) 1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 1.5. დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემ-	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ოლღა სესკურია	ნოდარ ფოფორაძე ია ახვლედიანი ნათია ინანაშვილი

	სწავლელი მეცნიერებანი			
2	ივრისპირეთი ზედა მიოცენში: სამხრეთ კავკასიის ნამარი პრიმატების მატთანეში გარკვევისთვის	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	მაია ბუხსიანიძე	პროექტის კოორდინატორი - ნინო ქოლოლიშვილი. პირითადი პერსონალი - რუსუდან ჩაგელიშვილი, ირმა კოკოლაშვილი, დავით ლორთქიფანიძე კონსულტანტები: ანგელა ბრუხი, ეშმა ბიუკუმარერი, ივან გაბრიელიანი
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1. ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ფიქლის გაზის პერსპექტიული ლოკალური უბნების დეტალური გეოლოგიური შესწავლა.</p> <p>ამჟამად ფიქლის გაზის (შეილგაზის) მდიდარი მარაგების ათვისებისკენ მიმართული სამუშაოები მთელ მსოფლიოშია გაშლილი. შეილგაზის შემცველობის თვალსაზრისით, პერსპექტიულად ითვლება მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში სხვადასხვა ასაკისა და შედგენილობის თიხაფიქლები. კვლევისათვის ამ ეტაპზე, რიგი მნიშვნელოვანი მონაცემების გათვალისწინებით, კავკასიონის ნაოჭა სისტემის პერსპექტიული უბნების თიხაფიქლები იქნა არჩეული.</p> <p>ყაზბეგ-ომალოს ზონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის რაიონის, არღუნის, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ წინა წლებში ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, ქიმიური, რენტგენოფაზური, რენტგენოფლოუორესცენტული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალური პარაგენეზისი,</p>				

ორგანული ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოვყავით შეილგაზის შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, გარემოს შემდგომი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით.

დამუშავებულია საქართველოს ფონდებში არსებული ანგარიშები და სხვადასხვამასშტაბიანი გეოლოგიური და ტოპოგრაფიული რუკები; გაკეთებულია წინა გრანტის პერიოდში დამუშავებული და მას მერე მოძიებული მასალების სისტემატიზაცია; მიმდინარეობს ფიქლის გაზის მოპოვების საერთაშორისო ანალიზი; დამთავრებულია 1:50 000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების (K-38-42-V; K-38-54-a; K-38-55-V; K-38-55-b) აციფვრა და GIS-პროგრამებით დამუშავება.

პროექტის ფარგლებში საველე-გეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა სანაპიროსა და მდ. პირიქითა ალაზნის სათავეებში. საველე სამუშაოების დროს, ლაბორატორიული კვლევებისათვის საჭირო ქანების მახასიათებელი ნიმუშების აღებასთან ერთად, ხორციელდებოდა დაკვირვების წერტილების GPS კოორდინატების დაფიქსირება, წოლის ელემენტების (დაქანების აზიმუტისა და დახრის კუთხის) განსაზღვრა და ქანების გამოსავლების ფოტოგრაფირება. ნიმუშებს ჩაუტარდა რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი, პეტროგრაფიული კვლევა. მიმდინარეობს შედეგების ინტერპრეტაცია და მათი სქემებისა და დიაგრამების შედგენა.

2. ივრისპირეთი ზედა მიოცენში: სამხრეთ კავკასიის ნამარი პრიმატების მატთანეში გარკვევისთვის.

პროექტის ინიციატივით, 2012 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების მიერ სარმატულ-მეოტურ ნალექებში, ჭაჭუნას ჭრილზე ნაპოვნი იქნა პრიმატის ქვედა ყბა (მონაცემები ამ აღმოჩენის შესახებ არ არის გამოქვეყნებული). სამხრეთ კავკასიაში ეს პირველი მონაცემებია უძველეს მაიმუნებზე (colobine) და შესაძლოა ევრაზიაშიც. ახალი აღმოჩენის ადგილსამყოფელი 50-60კმ-ით არის დაშორებული უდაბნოს აღმოსავლეთით, სადაც მეოტურ ნალექებში (8.0-8.5მლ) ნაპოვნი იყო ევრაზიაში უძველესი დრიოპიტეკი (*Udabnopithecus garedziensis*).

პროექტის მიზანია ზუსტად დავადგინოთ პრიმატის არსებობის დრო და პირობები სამხრეთ კავკასიაში. ეს მონაცემები საჭიროა იმისთვის რომ დავადგინოთ ორ ჰიპოტეზებს შორის რომელი სწორია: 1. (H1) უძველესი მაიმუნი (colobine) და დრიოპიტეკი ერთდროულად არსებობდნენ სამხრეთ კავკასიაში, თუ 2. (H2) ცვლიდნენ ერთმანეთს დასავლეთ ევრაზიაში პირობების ცვლელასთან დაკავშირებით მიოცენურის ბოლოს, ცნობილი ვალეზიანი კრიზისის

სახელით (8.7 მლ).

თუ იქნება დაშვებული პირველი ჰიპოტეზა (H1) უძველესი მაიმუნის (colobine) და დრიოპიტეკის ერთდროული არსებობის შესახებ სამხრეთ კავკასიაში, ეს შეცვლის არსებულ მოსაზრებას ცერკოპიტეკის (cercopithecids) აფრიკიდან მიგრაციის შესახებ. ჭაჭუნას მაიმუნის (colobine) გვიანნეოგენური ევრაზიის და აფრიკის სახეობებთან ნათესაობის დადგენა ნათელს მოფენს ევრაზიის ცერკოპიტეკის (cercopithecoid) ევოლუციაზე.

ჩვენი მრავალდისციპლინარული მიდგომა, ორივე პრიმატის ადგილსამყოფელის, ნამარხი ფლორის, ფაუნის შესწავლით და ზუსტი სტრატეგრაფიკული კონტროლით ივრის ხეობაში (უდაბნო და ჭაჭუნა), საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ პალეოპირობების დინამიკა სამხრეთ კავკასიაში დრიოპიტეკის კოლობინაში გადასვლის პერიოდში.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ. ზაუტაშვილი	საქართველოს მინერალური წყლების რუკა, მ. 1:1500000 (ატლასი) The mineral waters map of Georgia, 1:150000 (Atlas)	საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტი (ჩაშვებულია დასაბეჭდად)	

2	ბ. ზაუტაშვილი	საქართველოს თერმული წყლების რუკა (საცნობარო ატლასი), მ. 1:3000000 Thermal waters map of Georgia, 1:3000000 (Atlas)	საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტი (ჩამვებულია დასაბეჭდად)	
---	---------------	--	--	--

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. მაღალაშვილი ი. ახვლედიანი	საქართველოს სანახელავო ქვები	თბილისი, სტუ	150

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია, ნ. ინანაშვილი	Alpine Type Quartz Ve- ins of the Fold System of the Greater Cauca- sus (within Georgia) (ინგლისურ ენაზე), „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“	ტ.11, №2 2017 Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. vol.11. no.2, 2017	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	7
2	ნ. ფოფორაძე, ს. გველესიანი,	კავკასიონის ნაოჭა სისტემის ფიქლებ- რივი ტერიგენული	№1(38) 2017	თბილისი, „საქართველოს	5

	ხ. გაჩეჩილაძე, ო. სესკურია	ფორმაციის მთის ბროლი, „სამთო ჟურნალი“		სამთო საზოგადოება“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, „სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი“	
3	ნ. შეყრილაძე; დ. ტალახაძე; მ. ჭოხონელიძე; მ. ბაღნაშვილი; ნ. ადეიშვილი	“დავით - გარეჯის ბარიტ - ოქრო - პოლიმეტალური საბადოს ვერცხლ - ბარიტის მადნების კვლევა გამდიდრებადობაზე“ სამთო ჟურნალი.	№1(38)	თბილისი, 2017	4
4	ვ. გელეიშვილი	თრიალეთის ქედის ჩრდილო- აღმოსავლეთი ნაწილის და მიმდებარე ტერიტორიის ამგები ქანების მნიშვნელობა მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში	სამთო ჟურნალი 1(38) 2017	თბილისი	
5	დ. ბლუაშვილი ქ. ბენაშვილი, შ. ჯანაშვილი გ. მინდიაშვილი	დისტანციური ზონდირების შედეგები (ზემო სვანეთი)	სამთო ჟურნალი N1(38) 2017	თბილისი	
6	Ирма Коклашвили	Итоги палеоботанического изучения меотических	ელექტრო- ნული	საქართველოს ეროვნული	

	Ирина Шатилова	отложеный Абхазии საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჟურნალი „მაცნე“	ფორმატი	მუზეუმი	
7	მ. მარდაშოვა, უ. ზვიადაძე, თ. ძაძამია	თელავის ღვინის ქარხანა „მარნის“ ტერიტორიაზე გრუნტის წყლების დრენაჟის შესახებ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ს შრომები #1(503),	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	8 გვ.
8	მ. მარდაშოვა თ. ძაძამია, უ. ზვიადაძე, ზ. კაკულია, დ. ჩუტკერა- შვილი, ლ. ლლონტი	ბიოკოროზიის გამომწვევი მიკროორგანიზ- მების ფიზიოლოგიური ჯგუფების განსაზღვრა სარეაბილიტაციო მილსადენის ლითონის მილებზე და მათი განთავსების გრუნტში (დიდმის ველზე)	ჟურნ. „მეცნიერება და ტექნოლოგიებ ი“	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	10 გვ.
9	ნ. ზაუტაშვილი, ნ. ქიტიაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ნ. ფოფორაძე, ზ. ბოსტაშვილი	ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა მტკნარი წყლების განახლებული მონიტორინგი	სამთო ჟურნალი #1(38)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4 გვ.
10	ლ. გორგიძე ნ. გაჩეჩილაძე თ. გორგიძე	გეოლოგიური გარე- მოს რაციონალური გამოყენების გზები, ჰიდროელექტროსად-	სამთო ჟურნალი, 1(38)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4 გვ.

	დ. სირბილაძე	გურების მშენებლობის სთვის (ლახამი ჰესი-1 და ჰესი-2-ის მაგალითზე)			
11	ლ. გორგიძე ნ. გაჩეჩილაძე თ. გორგიძე	ქუთაისი-ალპანა- მამისონის უღელტე- ხილის საავტომო- ბილო გზის კმ4 კმ 14 მონაკვეთის მეწყერ- ული უბნების წინას- წარი საინჟინრო- გეოლოგიური გამოკვლევა	სამთო ჟურნალი, 1(38)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6 გვ.
12	თ. ჯიქია	IMPROVEMENT OF RESTORATION- RECUltIVATION METHOD OF ERODED AREAS BY MEANS OF WATER ACCUMULATION	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “მომბე” (2017 წელი)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	წარდგენილია და მიღებულია გამოსაქვეყ- ნებლად
13	G. Lobjanidze, B.Kakhadze, T. Butulashvili, G. Machaidze, K. Mdinaradze, G. Khetsuriani, D. Labadze, D. Loria.	Georgian mineral resources as the country’s economic growth and to improve the competetniveness factor. Mineralogical Society of Georgia, Georgian Technical University, 3-rd International Scientific- practical Conference on up-to-date problems of Geology.	Book of Abstracts	GTU, Tbilisi, „Technical University“, 1-2 June, 2017.	4 p.
14	ქ. მდინარაძე, გ. ხეცურიანი,	კლასტერების ფორმირების პერსპექტივები საქართველოს	№ 1(38), 2017 წ.	სტუ, სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი,	15 გვ.

	თ. ბუტულაშვილი, დ. ლაბაძე.	მინერალური რესურსების ათვისებაში. ჟურნალი „სამთო ჟურნალი“		გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი	
15	გ. ტაბატაძე, გ. ლობჯანიძე, გ. ტატიშვილი, დ. ლაბაძე.	სამთო მრეწველობის საინვესტიციო პროექტების რისკები და მათი მართვის საკითხები. ჟურნალი „სამთო ჟურნალი“	№ 1(38), 2017 წ.	სტუ, სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი, გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი	5 გვ.
16	გ. ტაბატაძე, გ. ლობჯანიძე	საქართველოს ინოვაციური განვითარების აქტუალური სოციალურ- ეკონომიკური ასპექტები. შრომების კრებული.	<u>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია</u> „გლობალიზაც ია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. 19-20 მაისი, 2017 წ.	საქართველო, თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესტექნოლო გიების ფაკულტეტი	10 გვ.
17	გ. ლობჯანიძე	გლობალიზაცია და საქართველოს თანამედროვე სოციალურ- ეკონომიკური განვითარების ტენდენციები. შრომების კრებული	<u>II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია</u> „გლობალიზაც იის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 3-4 ნოემბერი, 2017 წ.	საქართველო, თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.	7 გვ.

18	გ. ლობჯანიძე, ბ. კახაძე, გ. ლომსაძე, გ. ტაბატაძე, გ. მაჩაიძე, თ.ბუტულაშვილი, გ. ხეცურიანი, დ. ლაბაძე, დ. ლორია, გ. ნანიტაშვილი	ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირების შესაძლებლობები საქართველოს სამთო მრეწველობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებაში. თეზისები	სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი მე-4 ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენცია: „სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები“. 2017 წლის 8 დეკემბერი	სტუ, სამთო- გეოლოგიური ფაკულტეტი, გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბილისი	3 გვ.
----	---	---	--	---	-------

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Х. Микадзе, А. Менабде, Н. Икошвили	Роль известковых фораминифер в верхнемеловых карбонатных породах Грузии	LXIII , 2017	Санкт-Петербург, Российская Академия Наук, ВСЕГЕИ им. Карпинского	3
2	Т. Гавтадзе, Х. Микадзе, З. Чхаидзе	Комплекс нанопланкто-на и планктонных фо- раминифер как пока- затель истории пале- обасейнов позднего	LXIII , 2017	Санкт-Петербург, Российская Академия Наук, ВСЕГЕИ им. Карпинского	3

		мела Местиа-Тиане- тской структурно-фаци- альной зоны			
--	--	---	--	--	--

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია	ქვევრის მინერალური შედგენილობა	20 ოქტომბერი, 2017 ქუთაისი, მეხუთე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია "ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ"
2	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია	მძლავრი სამთო-გეოლოგი- ური საწარმოების მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა და უცხოენოვა- ნი გარემოსდაცვითი საგანმა- ნათლებლო პროგრამები	12 ოქტომბერი, 2017, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერ- სიტეტი, <i>პირველი საერთაშორისო კონფერენცია "უმადლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები" - IHE 2017</i>
3	ო. სესკურია, ხ. გაჩეჩილაძე, ნ. ნოზაძე	ქალცედონისა და გრანატის ჯგუფის მინერალები არქეოლოგიურ მონაპოვარში (მცხეთის მაგალითზე)	23-24-25 მაისი, 2017, თბილისი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, IV სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“
4	ნ. ფოფორაძე,	ყაზბეგ-ომალის რეგიონის ქვედა- და შუაიურული	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური

	ი. ახვლედიანი, ი. შეყრილაძე ო. სესკურია	ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების ფიქლის გაზის პერსპექტიულობა	უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
5	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია, ნ. ინანაშვილი	კავკასიონის ნაოჭა სისტემის ალპური ტიპის კვარცის ძარღვები (საქართველოს ფარგლებში)	7-10 თებერვალი, 2017, თბილისი, თსუ მეხუთე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში
6	ხ. მიქაძე, ნ. იკოშვილი	დასავლეთ საქართველოს პლანქტონური ფორამინიფერები და მისი როლი ზედაცარცული ნალექების სტრატეგრაფიაში	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
7	ვ. გელიშვილი, გ. ბენიძე, დ. მაქაძე, მ. მაქაძე	საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლების მოსაპირკეთებელი ქვები და მათი შესატყვისი ქანები ბნებრივი გაშიშვლებიდან ბოლნისის რაიონში	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
8	ვ. გელიშვილი მ. ტყემალაძე	ბუნებრივი ქვების გამოყენება ეკლესია-მონასტრების შენება- რესტავრაციაში (აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე)	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“

9	ვ. გელეიშვილი ნ. ჯაფარიძე	სელენი და ტელური ბოლნისის რაიონის ოქროსშემცველ კომპლქსურ მადნებში	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიმლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
10	დ. ბლუაშვილი ქ. ბენაშვილი შ. ჯანაშვილი	Results of the remote sensing (Upper Svaneti)	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიმლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
11	დ. ბლუაშვილი დ. მაქაძე გ. მინდიაშვილი	Geological position of Khachkovi gold-ore occurence.	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიმლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
12	ნ. ზაუტაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ნ. ქიტიაშვილი, ნ. ფოფორაძე, ზ. ბოსტაშვილი	THE METHODOLOGY OF THE RENEWED MONITORING OF FRESH GROUNDWATER IN GEORGIA BASED ON THE EXAMPLE OF A WELL IN THE VILLAGE OF VACHNADZIANI	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიმლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
13	მ. მარდაშოვა, უ. ზვიადაძე,	The hydraulic system between the Natakhtari and Mukhrani water intake at various exploitation regime	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება.

	თ. ძაძამია, ხ. ავალიანი		საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
14	მ. მარდაშოვა, ნ. ფოფორაძე	Groundwater Obstacles related to building foundations in Tbilisi	1-2 ივნისი, 2017. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“
15	ი.სამხარაძე, ნ.შეყრილაძე, ნ.მაისურაძე, ნ.ადეიშვილი, გ.ჩქარეული	ზნელი ხევის დაჟანგული მადნების ორი სინჯის გამოტუტვის ტექნოლოგიური შეფასება („სვეტის“ ტესტი)	8 დეკემბერი სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, მე-4 ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Ирма Коклашвили Ирина Шатилвоа	“Основные этапы развития хвойных лесов Грузии в Кайнозой”.	Актуальные проблемы современной палинологии: Материалы XIV Всероссийской палинологической конференции. УДК 561:581.33:551.71/.78 Москва-2017г. Стр. 369-372.
2	Khatuna Mikadze, Anna Menabde, Nana Ikoshvili	The Khrami Shallo`s Paleogeography During the Campanian-Maastrichian Stages	21-26 August, Vienna, 10th International Symposium on the Cretaceous, Austria

3	Kh. Mikadze, T. Gvartadze, A. Menabde, N. Ikoshvili, Z. Chkhaidze	Paleogeography reconstruction of the Georgia in the Late Cretaceous on based foraminiferal and nannoplankton	10-12 October, 2017 Toulouse, France, International Meeting of Sedimentology
4	Tamara Gvartadze, Zviad Chkhaidze, Khatuna Mikadze	The Paleogeographic setting and biostratigraphy of the South-East part of Georgia at the boundary of the Cretaceous/Paleogene	21-26 August, Vienna, 10th International Symposium on the Cretaceous, Austria
5	И.Ахвледиани, И.Гогонаия, М.Корошинадзе	Некоторые результаты диагностики чеканных окладов грузинских Евангелий (XII в.) в рамках интердисциплинарного проекта Национального центра Грузии им.Корнелия Кекелидзе	2-4 Октябрь, 2017, Санкт-Петербург, Россия, Конференция Византийское культурное наследие

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი - პროფესორი ირაკლი გუჯაბიძე

დეპარტამენტში მოღვაწეობს:

6 პროფესორი

11 ასოც.პროფესორი

1 მოწ. ასოც.პროფესორი

1 მოწ. მასწავლებელი

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის
გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სსიპ
სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)
სსიპ რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი-მანქანათა დინამიკის განყოფილება; სტუ, სამთო-
გეოლოგიური ფაკულტეტი, სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>2 წლიანი (2017-18) თემა:</p> <p>ფხვიერი მასალის სივრცითი ვიზრაციული მოძრაობის კომპლექსური კვლევა და ვიზრაციული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების ახალი კონსტრუქციების დამუშავება</p> <p>2017 წ. ეტაპი:</p> <p>ფხვიერი მასალის სივრცითი ვიზრაციული</p> <p>სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესის მათემატიკური მოდელირება</p>	<p>ვიქტორ ზვიადაური-ტ.მ.დ., ასოც. პროფ.</p>	<p>თ. ნადირაძე - ტ.მ.კ, უფრ. მეცნ. თანამშრ. გ. თუმანიშვილი - ტ.მ.კ, მთ. მეცნ. თანამშრ. გ. გოგია - ტ.მ.კ., პროფ. (სტუ, სამთო-გეოლ. ფაკ.)მ. ჭელიძე - ტ.მ.კ, უფრ. მეცნ. თანამშრ.მ. თედოშვილი - ტ.მ.კ, უფრ. მეცნ. თანამშრ. გ. გ. თუმანიშვილი - მაგისტრ. - ინჟინ. ს. ჩაგელიშვილი - სწ. მდ.</p>

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფხვიერი მასალის სივრცითი ვიზრაციული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესის მათემატიკური მოდელირება

ანოტაცია

როგორც ცნობილია, ვიზრაციული სატრანსპორტო - ტექნოლოგიური მანქანები ფართოდ გამოიყენებიან წარმოების მრავალ სფეროში (მეტალურგიაში, მშენებლობაში, სამთო წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ქიმიურ და საკონდიტრო წარმოებებში და ა. შ.) სხვადასხვა სახის

მასალების ვიბრაციული ტრანსპორტირებისა და ვიბრაციული დამუშავებისათვის.

პროექტი განეკუთვნება ვიბრაციული ტექნიკის სფეროს და განიხილავს ფხვიერი მასალების ვიბრაციულ სატრანსპორტო-ტექნოლოგიურ პროცესებს ვიბრაციულ მანქანასთან ერთად.

პროექტისწარმოდგენილი ეტაპიდაკავშირებულია სხვადასხვა სახის ფხვიერი მასალის (სამშენებლო, სამთამადნო, სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური და ა.შ.) სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესების განზოგადებული მათემატიკური მოდელის დამუშავებასა და მის მოდელირებასთან.

კვლევის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია თანამედროვე და შედარებით ადრეული წლების ლიტერატურული წყაროების მოძიება და ანალიზი ვიბრაციული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების სფეროში კვლევების მდგომარეობის შესახებ.

ანალიზის საფუძველზე დამუშავებულია ვიბრაციული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანის განზოგადებული სივრცითი დინამიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ სისტემის „ვიბროამპრაფი - მუშა ორგანო - ტვირთი“ ყველა შესაძლო მოძრაობის აღმწერი მათემატიკური მოდელი (განტოლებათა სისტემა).

განზოგადებული მათემატიკური მოდელის დამუშავებისთვის განხილულია დატვირთული ვიბრომკვებავის, როგორც სამმასიანი არასიმეტრიული რხევითი სისტემის დინამიკური მოდელი და ჩამოყალიბებულია მისი მასების ცენტრების და შეერთების (დრეკადი სისტემებით) წერტილების კოორდინატების განსაზღვრის მეთოდიკა სტატიკური და დინამიკური მდგომარეობებისათვის; მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც 3-ზენაკლები, ისე 3-ზემეტ მასიანი სისტემებისათვის. გასაზღვრულია სისტემა ზემოქმედი ძალთა სრული ველი: პოტენციალური, კინეტიკური, შინაგანი და გარეგანი.

აღნიშნული მოდელის თითოეული მასისათვის მიღებულია სივრცეში მოძრაობის, ერთმანეთთან დრეკადი და ინერციული ძალებით დაკავშირებული, დიფერენციალურ განტოლებათა სისტემები, რომელთა დაყვანა (გამარტივება) შესაძლებელია მოძრაობის ნებისმიერი მდგომარეობის მიხედვით (ხაზოვანი, სიბრტყითი, სივრცითი, წრფივი და არაწრფივი)

განხილულია ვიბრომანქანის არახისტფსკერიანი მუშაო ორგანო; ზოგად განტოლებათა სისტემაში დამატებულია განტოლება, რომელიც აღწერს მუშა ორგანოს მოძრაობას მისი დრეკადი დეფორმაციების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ დეფორმაციები შესულია რხევის დანარჩენ განტოლებებშიც, რაც იძლევა საშუალებას გამოკვლეულ იქნას მისი გავლენა მასალის მოძრაობის მახასიათებლებზე (სიჩქარე, ტრაექტორია და ა.შ.).

დადგენილია, რომ ფსკერის დეფორმაცია ძირითად (მუშა) რხევასთან ფაზით თანხვედრის შემთხვევაში ზრდის ჯამურ ამპლიტუდას, რაც შედეგად ხელს უწყობს მასალის მოძრაობის ინტენსიურობის ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ფსკერის სიხისტის ცვლილებახდებამისიზომების (სისქე, სიგანე, სიგრძე) ცვლილებით, რაც გარკვეულ

შეზღუდვებს უქმნის ტექნოლოგიური ტვირთის სიდიდეს (ცხადია, რომ დიდი ტვირთის შემთხვევაში გამწვანდება მცირე სიხისტის ფსკერის გამოყენება).

მატემატიკური მოდელირება ჩატარებულია ფხვიერი მასალის ვიბრაციული ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევისთვის შემდეგი მიმართულებებით: 1) მოძრაობა ხისტ მუშა ორგანოზე, 2) მოძრაობა დრეკად ფსკერიან მუშა ორგანოზე, 3) სხვადასხვა სიბლანტის (მშრალი, ტენიანი, სველი და ა.შ) ფხვიერი მასალების ვიბრაციული მოძრაობა.

მიღებულია გრაფიკები, რომლებიც ასახავენ მასალების ვიბრაციული გადაადგილების სიჩქარის და სხვა დინამიკური და კინემატიკური მახასიათებლების დამოკიდებულებას დრეკადი ფსკერის სიხისტისგან, მასალის ფიზიკური მდგომარეობისგან, მუშა ორგანოს რხევის ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლისგან, მუშა ორგანოსთან ხახუნის კოეფიციენტისგან და ა.შ.

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
 (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სპილენძ-ოქროს შემცველი ღარიბი და წვრილად ჩაწინწკლული მადნების გამდიდრების კვლევა და კონტროლი დამატებითი მმართველი სიდიდეების გათვალისწინებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მიხეილ გამცემლიძე	დ. ტალახაძე რ. ენაგელი

2	მადნეულის საბადოს სპილენძ-ოქროს ძნელადგასამდიდრებელი მადნის ფლოტაციის პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა R/354/3-180	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. გამცემლიძე	რ. ენაგელი გ. ჯავახიშვილი და სხვ.
---	---	---	---------------	---

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სპილენძ-ოქროს შემცველი ღარიბი და წვრილად ჩაწინწყლული მადნების გამდიდრება, გადამუშავების სრულყოფილი ტექნოლოგიის შემუშავება. პროექტის მიზანი იყო ძნელად გასამდიდრებელი მადნების გადამუშავებისას მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მიღება სასარგებლო კომპონენტის ნაკლები დანაკარგით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესრულებელია შემდეგი ამოცანები: მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრებისას გამდიდრების მაჩვენებლების მაღალი ხარისხით და სასარგებლო კომპონენტების ნაკლები დანაკარგით მიღება ბევრად არის დამოკიდებული გასამდიდრებელი მადნის გამდიდრებადობის კატეგორიის ხარისხზე. უკანასკნელის ამაღლებას ძირითადად განაპირობებს მადნიდან ფუჭი ქანის მოცილება, რისთვისაც ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების წინ გამოვიყენეთ მძიმე გარემოიანი სუსპენზიით სეპარაციის პროცესი. საცრითი და ფრაქციული ანალიზით დადგინდა გასამდიდრებელი მასალის კლასის ფრაქციის ზღვრების და მძიმე სითხის სიმკვრივის ის მნიშვნელობები, რომლებმაც უზრუნველყო აღნიშნული სეპარაციიდან მსუბუქი ფრაქციის (ფუჭი ქანის) მიღება მაქსიმალური გამოსავლით და სასარგებლო კომპონენტების ნაკლები შემცველობით, რომლის გამოსავლია $\gamma = 43,64 \%$, სპილენძის შემცველობით 0,1 %, ოქროს შემცველობით - 0,11 გრ/ტ.

მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრებამდე მოსამზადებელ პროცესებში (დაფქვა-კლასიფიკაცია) გამონთავისუფლებული ოქროს მარცვლები არ გადადის საკლასიფიკაციო გადანადენში, არამედ კონცენტრირდება ცირკულაციურ დატვირთვაში და წისქვილში, დროთა განმავლობაში, ისინი დაქუცმაცდება და ბრტყელდება. ასეთ შემთხვევაში, გადანადენში გადასული ოქრო ფლოტაციური მეთოდით გამდიდრებისას მიიღება დანაკარგების სახით. ამის აღმოფხვრის მიზნით ცირკულაციური დატვირთვის მასალას წინდაწინ ვამდიდრებთ გრავიტაციული მეთოდიდან დალექვის პროცესით, კერძოდ, MOI ტიპის სალექ მანქანაზე, რომლის სიახლეა ის, რომ არსებულ მმართველ სიდიდეებთან ერთად შემოგვყავს ახალი

დამატებითი მმართველი სიდიდეები. ისეთები როგორცაა, წყლის ძირითად რხევებთან ერთად დაბალამპლიტუდიანი მაღალი სიხშირის დამატებითი რხევები და წყლის დაღმავალი ნაკადის გაძლიერებული სიჩქარე. აღნიშნულ მანქანზე ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ოქრო ამოიკრიფება 57,2 გრ/ტ ოდენობით, ხოლო გამოსავალია $\gamma = 0,18 \%$. მისი სიმცირის გამო მიღებული შედეგები არ იქნა გათვალისწინებული გამდიდრების პრინციპიალური გათვლის შედეგებში.

გამდიდრების შედეგად მიღებული მძიმე ფრაქცია გაერთიანდა (6 - 0) მმ კლასის გაუწყლოების შედეგად მიღებულ სილებთან და სტადიალური დაფქვის შემდეგ მიეწოდება ფლოტაციის პროცესს. სელექციურ-კოლექტიური ფლოტაციის პროცესის წარმართვისათვის კვლევებით დადგენილი იქნა: საჭირო საანგარიშო კლასის ზომა -0,074 მმ. ასევე დადგენილი იქნა რეაგენტული რეჟიმი: ბუთილის ქსანტოგენატი - 25 გრ/ტ; ამქაფებელი T-92 - 20 გრ/ტ; პულპის pH- ის მნიშვნელობა, რომელიც ტოლია 12,3. დაჟანგული მინერალების აქტივაციისას გამოყენებული იქნა ნატრიუმის ჰიდროსულფიდი NaHS. დადგენილი იქნა, რომ დაფქვილ პროდუქტის სპილენძის მაქსიმალური შემცველობამიღწევა დაფქვის ოპტიმალური სისხოს (-0,074 მმ) 60 - 63% -ის შემთხვევაში, როცა დაფქვის ოპტიმალური დრო არის 12 წთ. ეს კვლევები ჩატარებული იქნა სპილენძ-ოქროს შემცველი XI-C ტიპის მადნებზე.

გამდიდრების მეორე გზის განსახორციელებლად გათვალისწინებულია გამდიდრება მძიმე სუსპენზიით, ამის შემდეგ მიღებულ მძიმე ფრაქციას ვამსხვრევთ ორიგინალურ სამსხვრევ მოწყობილობაზე (პროექტში მოცემულ სპილენძის მადნების პრინციპიალურ ტექნოლოგიურ სქემაზე მოყვანილია პუნქტირით). შემდეგ დამსხვრეულ პროდუქტს დაფქვის წინ ვაწვდით კლასიფიკატორს. კლასიფიკატორიდან მიღებული გადანადენი მიდის კოლექტიურ ფლოტაციაზე, ხოლო სილები გაერთიანდა (6 - 0) მმ კლასის გაუწყლოების შედეგად მიღებულ სილებთან და მიეწოდება დაფქვას. ამის შემდეგ მირებულმა მასალამ განიცადა ფლოტაცია კოლექტიურ-სელექციური სქემით. აღნიშნული პროცესი პირველისგან განსხვავებული რეაგენტული რეჟიმით წარიმართა, კერძოდ, ნატრიუმის ჰიდროსულფიდის NaHS რეაგენტთან ერთად გათვალისწინებული იქნა ნატრიუმის რკინის სულფიტის $Na_2[Fe_2(SO_3)]$ ხარჯიც. ეს კვლევები განხორციელდა სპილენძ-ოქროს შემცველი VIII-C ტიპის მადნებზე.

შემდეგი ამოცანა მიზნად ისახავდა აღნიშნულ პროექტში პროცესების მართვის მოდელების შექმნას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩატარებულ კვლევებს საფუძვლად დაედო პროცესის ოპტიმიზაციის ტექნოლოგიური კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს მიზნის ფუნქციის (მზა პროდუქტის ან კონცენტრატის გამოსავლის) მაქსიმიზაციას შეზღუდვის ფუნქციის (მზა პროდუქტის ან კონცენტრატის ხარისხის) მუდმივობის პირობებში, მმართველი ზემოქმედებების დასაშვებ ზღვრებში ცვალებადობის ფარგლებში. ჩატარებული კვლევების ძირითადი მიზანი იყო მადნის გამდიდრების ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემის და მისი პარამეტრების ოპტიმალური სიდიდეების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო კომპონენტის მინიმალურ დანაკარგებს.

განხორციელდა: 1. მძიმეგარემოიან სეპარატორში მადნის პირველადი სეპარაციის პროცესის კვლევა მმართველი ზემოქმედებების ოპტიმალური სიდიდეების დადგენის მიზნით. აგებული იქნა მათემატიკური მოდელი. დამუშავდა მოწყობილობის მოქმედების პრინციპი და კონსტრუქცია, რომელიც იძლევა მასალის გამდიდრებადობის უნარის წინასწარი შეფასების საშუალებას. დამუშავდა პროცესის მართვის ხერხი, რომელიც გულისხმობს სუსპენზიის სიმკვრივის რეგულირებას გასამდიდრებელი მადნის გამდიდრებადობის უნარის მიხედვით. 2. დამუშავებული იქნა სპილენძ-ოქროს შემცველი ძნელადგასამდიდრებელი მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების პროცესის მათემატიკური მოდელი. დადგინდა პროცესის ძირითადი მმართველი, შემაშფოთებელი და რეჟიმული პარამეტრები. ფლოტაციის პროცესის (რეჟიმული სიდიდის) კონტროლისათვის დამზადდა პულპის სიმკვრივის გამზომი მოწყობილობა. დამუშავდა ამ პარამეტრის მიხედვით პროცესის ოპტიმალური მართვის ხერხი. 3. დამუშავებული იქნა სპილენძ-ოქროს შემცველი ძნელადგასამდიდრებელი მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების პროცესის მათემატიკური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს პროცესის რეჟიმული სიდიდის - საფლოტაციო კამერაში ქაფის სიმაღლის, და მისი პროპორციული, ქაფის ელექტრული წინააღმდეგობის მიხედვით რეაგენტების ავტომატური რეგულირების მართვას.

კვლევების შედეგებზე დაყრდნობით საბოლოოდ მიიღება: სპილენძის კოლექციური კონცენტრატის გამოსავალი $\gamma = 11,59\%$, შემცველობა $\beta_{Cu} = 4,21\%$, ამოკრეფა $\varepsilon_{Cu} = 85,63\%$, სპილენძის სელექციური კონცენტრატის გამოსავალი $\gamma = 2,85\%$, შემცველობა $\beta_{Cu} = 16,21\%$, ამოკრეფა $\varepsilon_{Cu} = 81,05\%$, ოქროს კოლექციური კონცენტრატის შემცველობა $\beta_{Au} = 2,66$ გრ/ტ, ამოკრეფა $\varepsilon_{Au} = 83,31$ გრ/ტ, ოქროს სელექციური კონცენტრატის შემცველობა $\beta_{Au} = 6,12$ გრ/ტ, ამოკრეფა $\varepsilon_{Au} = 47,14$ გრ/ტ.

ძნელად გასამდიდრებელი აპილენძ-ოქროს შემცველი VIII – C ბლოკის ტიპის მადნების გამდიდრებადობაზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიზანშეწონილი იყო აღნიშნული გამდიდრებადობის მადნების გადამუშავება კომბინირებული გრავიტაციულ-ფლოტაციური მეთოდით. შედეგად მიღებულია სპილენძის შემცველობის მიხედვით კონდიციური კონცენტრატი $Cu=16,21\%$, მაღალი ამოკრეფით.

პროექტის ფარგლებში ერთერთ ძირითად მიღწევად ჩაითვლება ის, რომ ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების წინ ძნელად გასამდიდრებელი სპილენძის და ოქროს შემცველი მადნების გამდიდრებადობის კატეგორიის ხარისხის ამაღლების მიზნით აღნიშნული მადნებიდან წინდაწინ გამოყოფილი იქნა დიდი რაოდენობით ფუჭი ქანი სასარგებლო კომპონენტების ნაკლები შემცველობით. ფუჭი ქანის გამოყოფა განხორციელდა მძიმე სუსპენზიაში მადნის გამდიდრების შედეგად. ამ პროცესით მადნის ეფექტურად განშრევისათვის ე. ი. დაყოფა მძიმე და მსუბუქ ფრაქციებად (ფუჭი ქანი), პროცესისათვის დამუშავებული იქნა მართვის მოდელი, ძირითადად დაფუძნებული ალბათურ მოდელზე. ამ მოდელის სიახლე გამოიხატება იმით, რომ პროცესის მმართველ და გამდიდრების მაჩვენებლებს

შორის მიღებული დამოკიდებულებები, როგორც წყვილებს შორის, ასევე მრავლობითებს შორის, ითვალისწინებს შემაშფოთებელი ფაქტორების ცვლილების გავლენას. მიღებული მოდელით პროცესის მართვის მიღწევად ჩაითვლება ის, რომ მისი ავტომატიზაციის განსახორციელებლად გამოყენებული იქნა გასამდიდრებელი მადნის გამდიდრებადობის უნარის შემფასებელი გამზომი მოწყობილობა. სიახლე გამოიხატება იმით, რომ გარკვეული სიმკვრივის სუსპენზიის ავზში (სადაც სრულდება სხვადასხვა სიმკვრივის მინერალების განშრევა), გარკვეული მანძილით დაშორებულ შრეებში იზომება სიმკვრივეები. გაზომილი სიმკვრივეების დისპერსიის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის დგინდება გასამდიდრებელ მადანში შენაზარდიანი ნატეხების რაოდენობა და, შესაბამისად, ფასდება მადნის გამდიდრებადობის უნარი, რომლის გათვალისწინებით სრულდება აღნიშნული პროცესის ავტომატური მართვა.

პროექტის მიღწევად ჩაითვლება ის, რომ მადნის დაფქვა-კლასიფიკაციის ციკლში, ცირკულაციური დატვირთვის მასალაში, რომელშიც დიდი ალბათობით მოცემულია გამონთავისუფლებული ოქროს მარცვლები, მისი მაქსიმალურად ამოკრეფის მიზნით აღნიშნულ მასალას ვამდიდრებთ გრავიტაციული მეთოდიდან დალექვის პროცესით, კერძოდ, დიაფრაგმულ სალექ მანქანაზე. სიახლე გამოიხატება იმით, რომ ამ მანქანას შეუძლია პროცესისათვის მიიღოს არსებულ მმართველ სიდიდეებთან, ანუ, წყლის ძირითად რხევებთან ერთად, დაბალ ამპლიტუდიანი წყლის დამატებითი რხევები და წყლის დაღმავალი ნაკადის განსხვავებული სიჩქარეები, ხელშემწყობი სხვადასხვა სიმკვრივის მინერალების ეფექტურად დაყოფის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროცესით შესაძლებელი გახდება ოქროს მაქსიმალური ამოკრეფით მიღება.

პროექტის განხორციელების შედეგად პრაქტიკაში ცვლილება შეიძლება მოხდეს პროექტის შესრულების იმ ზეგავლენიდან გამომდინარე, რომელიც ეხება მძიმე სუსპენზიიდან მიღებული მძიმე ფრაქციის მასალის დამსხვრევა - დალექვის ციკლის კვლევას. განსაკუთრებთ დამსხვრევის ოპერაციას, რომელიც სრულდება ორიგინალურ სამსხვრევ მოწყობილობაზე. მისი სიახლე გამოიხატება იმით, რომ ნატეხების დამსხვრევა ხორციელდება სპირალურად განლაგებულ კბილებიანი დისკოს ბრუნვის შედეგად, ე. ი. ჭრის პრინციპით. აღნიშნულ სამსხვრევზე ნატეხების 2 მმ-მდე დამსხვრევისას დამსხვრეულ პროდუქტში მიიღება 1 – 0 მმ-მდე კლასის ფრაქცია გამოსავლით 40%-მდე, რომელშიც გამონთავისუფლებული სასარგებლო მინერალები არის მოცემული დიდ ალბათობით. რომ არ მოხდეს სასარგებლო კომპონენტების დაკარგვა მათი გადაფქვის შედეგად, აღნიშნული მასალა მიეწოდება პირდაპირ დაფქვის ციკლში მომუშავე კლასიფიკატორს, რომელიც დროულად მოაცილებს მზა საჭირო კლასის ფრაქციას ფლოტაციისათვის.

პროექტის მიღწევად ჩაითვლება, აგრეთვე, ფლოტაციური პროცესისათვის მართვის მოდელის შექმნა ალბათური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პროცესში მმართველ და გამდიდრების მაჩვენებლებს შორის, როგორც წყვილ ასევე მრავლობითი დამოკიდებულებების მიღებას, გამდიდრების მაჩვენებლების ტექნოლოგიური კრიტერიუმის გათვალისწინებით - მართვის ოპტიმალური კანონის მიღება. საბოლოოდ, ინოვაცია გამოიხატება იმით, რომ

მიღებული ოპტიმალური კანონის ავტომატური მართვა ხორციელდება ფლოტაციის ქაფის პროდუქტში გადასული მინერალიზაციის ხარისხის (სასარგებლო კომპონენტების რაოდენობის) გამზომი ორიგინალური მოწყობილობის საშუალებით.

- პროექტის ძირითადი დისციპლინის(ების) განვითარებასთან მიმართებაში პროექტით წარმოდგენილი სამუშაო, კერძოდ პროცესებისათვის დამუშავებული მართვის მოდელი შესაბამისი კონტროლით ხარისხობრივად, ხოლო გამოყენებული მანქანა-დანადგარები - შემამოფოთებელი სიდიდეების (რეჟიმული სიდიდეების) გამზომი გადაამწოდებით მისაღები იქნება სხვა მარგი წიაღისეულის გამდიდრების სფეროში, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სამთო ინჟინერიის განვითარებაში.

- სხვა დისციპლინებთან მიმართებაში ზოგიერთი მანქანა-დანადგარები შემამოფოთებელი სიდიდეების (რეჟიმული სიდიდეების) გამზომი გადაამწოდებით, განსაკუთრებით სამსხვრევი მოწყობილობა შესაძლებელია გამოყენებული იქნება სხვა სფეროში, მაგ., საამშენებლო დარგში.

პროექტის მიზანი იყო ძნელად გასამდიდრებელი სპილენძ-ოქროს შემცველი მადნების გადამუშავებისას მაღალხარისხოვანი კონცენტრატის მიღება სასარგებლო კომპონენტის ნაკლები დანაკარგით. ამ მიზნის განსახორციელებლად გამოყენებული იქნა კომბინირებული გრავიტაციულ-ფლოტაციური მეთოდი. პირველ რიგში ჩატარებული იქნა კვლევები გამდიდრებადობის კატეგორიის ხარისხის ასამაღლებლად. აღნიშნული მასალიდან დიდი რაოდენობით მოცილებული იქნა მსუბუქი ფრაქცია (ფუჭი ქანის), რომელიც განხორციელდა მძიმეგარემოიან სეპარატორში. პროცესში მონაწილე მმართველი ზემოქმედებების ოპტიმალური სიდიდეების დადგენის მიზნით აგებულია მათემატიკური მოდელი. მასალის გამდიდრებადობის უნარის წინასწარი შეფასებისათვის დამუშავდა მოწყობილობის მოქმედების პრინციპი და კონსტრუქცია, პროცესის მართვის ხერხი, რომელიც გულისხმობს სუსპენზიის სიმკვრივის რეგულირებას გასამდიდრებელი მადნის გამდიდრებადობის უნარის მიხედვით.

ფლოტაციური მეთოდით გამდიდრებისას აღნიშნული მასალის გამდიდრებადობაზე კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ფრაქციული ანალიზი. დადგენილია ფლოტაციის პროცესზე პულპის pH-სა და ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის გავლენა; განხორციელდა კვლევები პირდაპირი სელექციური და კოლექტიურ-სელექციური ფლოტაციის მიმართულებით. ცდებით განისაზღვრა დაფქვის ოპტიმალური სისხო (-0,074 მმ), რეაგენტული რეჟიმი.

დამუშავებულია ძნელადგასამდიდრებელი მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების პროცესის მათემატიკური მოდელი. დადგინდა პროცესის ძირითადი მმართველი, შემამოფოთებელი და რეჟიმული პარამეტრები. პირველი ხერხით ფლოტაციის პროცესის (რეჟიმული სიდიდის) კონტროლისათვის განისაზღვრა პულპის სიმკვრივე. ამ პარამეტრის მიხედვით დამუშავდა პროცესის ოპტიმალური მართვის ხერხი. მეორე ხერხით - ქაფის ელექტრული წინააღმდეგობის მიხედვით ხორციელდება რეაგენტების ავტომატური

რეგულირების მართვა.

კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა ძნელად გასამდიდრებელი VIII – C ბლოკის მადნების გადამუშავების ოპტიმალური, კომბინირებული ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ითვალისწინებს მასალის დამსხვრევას, კლასიფიკაციას, მძიმე სუსპენზიებში გამდიდრებას. შემდგომ გამდიდრებას ფლოტაციის მეთოდით, კოლექტიურ-სელექციური სქემით. საბოლოოდ მიიღება: სპილენძის კოლექტიური კონცენტრატი გამოსავალით $\gamma = 11,59\%$, შემცველობით $\beta_{Cu} = 4,21\%$, ამოკრევით $\varepsilon_{Cu} = 85,63\%$, სპილენძის სელექციური კონცენტრატი გამოსავალით $\gamma = 2,85\%$, შემცველობით $\beta_{Cu} = 16,21\%$, ამოკრევით $\varepsilon_{Cu} = 81,05\%$, ოქროს კოლექციური კონცენტრატის $\beta_{Au} = 2,66$ გრ/ტ, $\varepsilon_{Au} = 83,31$ გრ/ტ, ოქროს სელექციური კონცენტრატის $\beta_{Au} = 6,12$ გრ/ტ, $\varepsilon_{Au} = 47,14$ გრ/ტ.

2. სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნის გამდიდრების სირთულეს განაპირობებს ერთის მხრივ მადანში სპილენძის ნაკლები და პირიტის მომეტებული შემცველობა და, მეორეს მხრივ, სპილენძისა და ოქროს მინერალების ფუჭი ქანის მინერალებთან სხვადასხვა ზომით ჩაწინწკლა. აღნიშნული მასალის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების შედეგად მიღებულ ცალკეულ კონცენტრატებში შესაბამისი სასარგებლო კომპონენტების შემცველობის გაზრდისა და მიღებული პროდუქტების თვითღირებულების შემცირების მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს პროცესის შესწავლა ავტომატიზაციის თვალსაზრისით და მმართველი ზემოქმედებების ოპტიმალური სიდიდეების შერჩევა.

ტექნოლოგიური კრიტერიუმისა და ალბათური მათემატიკული მოდელის საფუძველზე მიღებული მიზნისა და შეზღუდვის ფუნქციების ოპტიმიზაცია განხორციელდა წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტით. აგებულ იქნა სპილენძისა და ოქროს კონცენტრატისაგან კონცენტრატის გამოსავლის ცვალებადობის გრაფიკები. მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მმართველი ზემოქმედებების (რეაგენტების ხარჯების) ოპტიმალური სიდიდეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპილენძის და ოქროს კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლის მიღებას.

